

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

იურიდიული ფაკულტეტი

შოთა ბიჭია

ხანდაზმულობა სისხლის სამართალში

დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის
სამართლის თეორიის (სისხლის სამართლის მეცნიერებისა და
სისხლის სამართლის ფილოსოფიის) საპროფესოროს
ხელმძღვანელი, სრული პროფესორი გურამ ნაჭყებია*



2 0 1 0

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|------------|
| შემოკლებანი..... | 4 |
| შესავალი | 6 |
| ა. საკითხის აქტუალობა..... | 6 |
| ბ. ნაშრომის მიზნები..... | 8 |
| გ. კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგიური საფუძვლები..... | 9 |
| დ. ნაშრომის სიახლე..... | 9 |
| ე. დასაცავად ჩარდგენილი ძირითადი დებულებები:..... | 10 |
| თავი 1. ხანდაზმულობის თეორიული გააზრება..... | 14 |
| § 1.1 ხანდაზმულობის შესახებ თეორიის განვითარება..... | 14 |
| 1.1.1. ხანდაზმულობის უკუღებელმყოფელი თეორიები..... | 14 |
| 1.1.2. ხანდაზმულობის აუცილებლობის უარყოფი თეორიები..... | 15 |
| 1.1.3. ხანდაზმულობის არსებობის გამამართლებელი თეორიები..... | 19 |
| 1.1.3.1. ხანდაზმულობის სისხლისსამართლებრივი თეორიები | 19 |
| 1.1.3.1.1. დანაშაულის ნიშნებთან დაკავშირებული თეორიები..... | 19 |
| 1.1.3.1.2. ქმედების სუბიექტის პიროვნებასთან დაკავშირებული თეორიები..... | 22 |
| 1.1.3.1.3. საზოგადოების დამოკიდებულებასთან დაკავშირებული თეორიები | 25 |
| 1.1.3.1.4. სხვა თეორიები..... | 26 |
| 1.1.3.2. პროცესუალური თეორიები..... | 31 |
| 1.1.3.3. შერეული თეორიები..... | 32 |
| § 1.2. ხანდაზმულობის არსი და ადგილი სისხლისსამართლებრივ ცნებათა სისტემაში | 39 |
| 1.2.1. ხანდაზმულობა კერძო და საჯარო სამართალში..... | 39 |
| 1.2.2. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობა, როგორც დროის გამოვლენა სამართალში | 48 |
| 1.2.2.1. დროის კატეგორია | 48 |
| 1.2.2.2. დრო სამართალში..... | 52 |
| 1.2.3. ხანდაზმულობა და იურიდიული აზროვნების წესი..... | 58 |
| 1.2.3.1. დანაშაულის სოციოლოგიური და იურიდიული გაგება, როგორც ხანდაზმულობის მეთოდოლოგიური საფუძველი..... | 58 |
| 1.2.3.2. დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის კრიტიკა ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის მომენტთან მიმართებით..... | 61 |
| 1.2.3.3. დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და ხანდაზმულობა..... | 65 |
| 1.2.3.4. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, როგორც ხანდაზმულობის ბუნების გაგების მეთოდოლოგიური საფუძველი..... | 67 |
| 1.2.3.5. სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა და ხანდაზმულობა..... | 69 |
| 1.2.3.6. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა და დანაშაულის დადგენის მექანიზმი, როგორც ხანდაზმულობის ვადის ათვლის მეთოდოლოგიური საფუძველი..... | 75 |
| 1.2.3.7. ხანდაზმულობის ვადის დენის პირობები..... | 79 |
| 1.2.4. ხანდაზმულობა მომიჯნავე კატეგორიებთან, ცნებებთან, პრინციპებთან მიმართებაში..... | 81 |
| 1.2.4.1. პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა, როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება..... | 81 |
| 1.2.4.1.1. პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი | 82 |
| 1.2.4.1.2. პასუხისმგებლობაში მიცემის არსი..... | 86 |
| 1.2.4.1.3. ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა..... | 88 |
| 1.2.4.2. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა, როგორც სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელი გარემოება..... | 93 |
| 1.2.4.3. სასჯელისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობა ხანდაზმულობასთან მიმართებით..... | 100 |
| 1.2.4.3.1. ხანდაზმულობა და სასჯელის გარდუვალობა..... | 100 |
| 1.2.4.3.2. ხანდაზმულობა და პასუხისმგებლობის გარდუვალობა | 102 |
| 1.2.4.4. ხანდაზმულობა, როგორც სამართლიანობის მოთხოვნა..... | 105 |
| 1.2.4.5. ხანდაზმულობა და სასჯელის დაუყოვნებლობა (მართლმსაჯულების სისწრაფე)..... | 110 |

| | |
|--|------------|
| 1.2.4.6. ხანდაზმულობა და სახელმწიფოს უფლებამოსილება სასჯელის გამოყენებაზე | 111 |
| 1.2.5. ხანდაზმულობის ფუნქციონალური დატვირთვა | 113 |
| 1.2.6. ხანდაზმულობის ლეგიტიმაცია სისხლის სამართალში | 116 |
| 1.2.7. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები | 121 |
| 1.2.7.1. ხანდაზმულობა და ნასამართლობა | 121 |
| 1.2.7.2. ხანდაზმულობის სხვა შედეგები | 125 |
| 1.2.8. ხანდაზმულობის ბუნება | 128 |
| 1.2.9. ხანდაზმულობის ცნება | 130 |
| თავი 2. ხანდაზმულობის დოგმატიკურ-პრაქტიკული გააზრება | 131 |
| § 2.1. პასუხისმგებლობის მიცემის ხანდაზმულობა | 131 |
| 2.1.1. ხანდაზმულობის ვადების დიფერენცია | 131 |
| 2.1.1.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი | 131 |
| 2.1.1.2. ხანდაზმულობის ვადების აგების წესი დანაშაულთა კატეგორიზაციის ფარგლებში | 133 |
| 2.1.2. ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი | 140 |
| 2.1.3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება | 143 |
| 2.1.4. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა | 150 |
| 2.1.5. ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტი | 153 |
| 2.1.6. ხანდაზმულობის ვადის გასვლის პროცესუალური შედეგი | 160 |
| 2.1.7. ხანდაზმულობა და განსასჯელის რეაბილიტაციის უფლება | 162 |
| 2.1.8. დანაშაულები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება | 166 |
| 2.1.9. ხანდაზმულობა დანაშაულთა ერთობლიობისას | 171 |
| 2.1.10. ხანდაზმულობა და არასრულწლოვანთა დანაშაულები | 172 |
| 2.1.11. ხანდაზმულობა და კანონის უკუხაზი | 173 |
| 2.1.11.1. ხანდაზმულობის ვადების ცვლილება კანონში | 173 |
| 2.1.11.2. ცვლილებები კოდექსის კერძო ნაწილში და ხანდაზმულობა | 182 |
| §2.2. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა | 183 |
| 2.2.1. ხანდაზმულობის ვადების დიფერენცია | 183 |
| 2.2.2. ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი | 184 |
| 2.2.3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება | 186 |
| 2.2.4. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა | 188 |
| 2.2.5. ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტი | 190 |
| 2.2.6. ხანდაზმულობის ვადის დენის დასრულების იურიდიული შედეგი | 191 |
| 2.2.7. დანაშაულები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება | 192 |
| 2.2.8. ხანდაზმულობა და განაჩენთა ერთობლიობა | 194 |
| 2.2.9. ხანდაზმულობის ვადები არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის | 194 |
| 2.2.10. ხანდაზმულობა და კანონის უკუხაზი | 195 |
| 2.2.10.1. ხანდაზმულობის ვადების ცვლილება კანონში | 195 |
| 2.2.10.2. ცვლილებები კოდექსის კერძო ნაწილში და ხანდაზმულობა | 195 |
| დასკვნა | 198 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 202 |
| ნორმატიული მასალა | 202 |
| პრაქტიკის მასალები | 203 |
| სამეცნიერო ნაშრომები | 203 |
| ქართულ ენაზე | 203 |
| რუსულ ენაზე | 205 |
| გერმანულ ენაზე | 209 |
| ინგლისურ ენაზე | 211 |

შემოკლებანი

- ა. შ. - ასე შემდეგ
გამომც. - გამომცემლობა
გდრ. - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
ბპ. - ბკერდი
გვრ. - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი
ე. ი. - ესე იგი
ე. წ. - ეგრეთ წოდებული
თბ. - თბილისი
თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იხ. - იხილეთ
მაგ. - მაგალითად
მთ. რედ. - მთავარი რედაქტორი
მუხ. - მუხლი
სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სსრ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
- в кн. - в книге (წიგნში)
вып. - выпуск (გამოცემა)
изд.- издание (გამოცემა), издательство (გამომცემლობა)
Л. - Ленинград (ლენინგრადი)
ЛГУ - Ленинградский государственный университет (ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
М. - Москва (მოსკოვი)
МГУ - Московский государственный университет (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
отв. ред. - ответственный редактор (პასუხისმგებელი რედაქტორი)
РФ - Российская Федерация (რუსეთის ფედერაცია)
РСФСР - Российская Советская Федеративная Социалистическая Республика (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა)
сб. - сборник (კრებული)
ССР - Советская Социалистическая Республика (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა)
СССР - Союз Советских Социалистических Республик (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი)
С-П. - Санкт-Петербург (სანკტ-პეტერბურგი)
т. - том (ტომი)
Тб. - Тбилиси (თბილისი)
ун. - университет (უნივერსიტეტი)
УК - Уголовный Кодекс (სისხლის სამართლის კოდექსი)
- L. Rev. - Law Review (სამართლის მიმოხილვა)

- Wm. - William
- U. - University (უნივერსიტეტი)
- Pa. - Pensilvania
- J. - Journal (ჟურნალი)
- Ark. - Arkansas
- Wash. - Washington
- ed. - edition (გამოცემა)

- AT - Allgemeiner Teil (ზოგადი ნაწილი)
- Aufl. - Auflage (გამოცემა)
- BGH - Bundesgerichtshof (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
- DDR - Deutsche Demokratische Republik (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)
- DtZ - Deutsch-deutsche Rechts-Zeitschrift (გერმანული სამართლის ჟურნალი)
- EGStGB - Einführungsgesetz zum Strafgesetzbuch (სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი კანონი)
- f - folgende (მომდევნო)
- ff - fortfolgende (მომდევნონი)
- GA - Goldammer's Archiv für Strafrecht (სისხლის სამართლის გოლტდამერის არქივი)
- GRUR - Gewerblichen Rechtsschutz und Urheberrecht (სამეწარმეო სამართლებრივი და საავტორო სამართალი)
- JuS - Juristische Schulung (იურიდიული სწავლება)
- JR - Juristische Rundschau (სამართლის მიმოხილვა)
- JZ - Juristenzeitung (იურისტების გაზეთი)
- NJW - Neue Juristische Wochenschrift (ყოველკვირეული გერმანული იურიდიული ჟურნალი)
- NStZ - Neue Zeitschrift für Strafrecht (სისხლის სამართლის ახალი ჟურნალი)
- NVwZ - Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht (ადმინისტრაციული სამართლის ახალი ჟურნალი)
- NZV - Neue Zeitschrift für Verkehrsrecht
- OLG - Oberlandesgericht
- StGB - Strafgesetzbuch (სისხლის სამართლის კოდექსი)
- StuR - Staat und Recht (სახელმწიფო და სამართალი)
- verl. - verlag (გამომცემლობა)
- Z - ZRP - Zeitschrift für Rechtspolitik (ჟურნალი სამართლის პოლიტიკისათვის)

შესავალი

ა. საკითხის აქტუალობა:

მეცნიერებასა და კანონმდებლობაში დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებები წარმოშობს ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას. ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად დამუშავებულ თემად შეიძლება მივიჩნიოთ ხანდაზმულობის პრობლემა სისხლის სამართალში.¹ მასზე ქართულ ენაზე სამეცნიერო გამოკვლევა არ შექმნილა. ამიტომაც ათწლეულების განმავლობაში ქართველ მეცნიერებსა და პრაქტიკოს იურისტებს ხანდაზმულობის საკითხზე საბჭოთა სამართლის მიერ დამუშავებული რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფიით უწევდათ ხელმძღვანელობა. არადა მათში გამოხატული ძირითადი დებულებები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებს.

მართალია, ხანდაზმულობა დასავლეთევროპელი, უფრო მეტად კი გერმანელი მეცნიერების ყურადღების საგანი შედარებით ხშირად ხდებოდა, თუმცა აღნიშნული პრობლემა იქ ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებში დამუშავდა. ამასთან, XX საუკუნეში შექმნილი გერმანულენოვანი ნაშრომები საკითხის გაღრმავებისთვის საკმარისი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი აქტუალობას ინარჩუნებს.

აღნიშნული საკითხის აქტუალობას არც მცირერიცხოვანი ინგლისურენოვანი ნაშრომები ამცირებს.

უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით, მართალია, აღნიშნული თემა ძალიან მშრალი, საკანონმდებლო ტექნიკაზე დამოკიდებული ჩანს, თუმცა სინამდვილეში ხანდაზმულობის საკითხი მჭიდრო კავშირშია რთულ თეორიულ პრობლემებთან. მათ შორის უნდა დასახელდეს ფილოსოფიის, სამართლის თეორიის, სისხლის სამართლის, საპროცესო სამართლის, კრიმინოლოგიის პრობლემატიკიდან ისეთი საკითხები, როგორცაა დროის კატეგორია, დროის გამოვლენის ფორმები სამართალში, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ხანდაზმულობის არსის გაგებისათვის; დანაშაულის კატეგორიზაცია, რასაც ეყრდნობა ხანდაზმულობის ვადების დიფერენციაცია; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელი, პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, პასუხისმგებლობის გამორიცხვა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპები; ლატენტური დანაშაულობა, რაც არის ხანდაზმულობის არსებობის საფუძველი; დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, რაც უკავშირდება ხანდაზმულობის იურიდიულად გამართული ცნების აგებას; სისხლისსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობა, სახელმწიფო ორგანოების როლი დანაშაულის გამოვლენისა და განაჩენის აღსრულების პროცესში, რაც განსაზღვრავს ხანდაზმულობის ადგილს ცნებათა სისტემაში.

ამდენად, აღნიშნული თემა პრობლემატურია არა მარტო პრაქტიკული თვალსაზრისით, სადაც ყურადღება ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის წესს ეთმობა, არამედ კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით, რა დროსაც

¹ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი რომ დამუშავებულია - ეს არ არის მხოლოდ ჩვენი აზრი. აღნიშნულს ადასტურებს ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარებიც. მაგ. იხ. Ochoa T. T., Wistrich A. J., *The Puzzling Purposes of Statutes of Limitation*, Pacific Law Journal, McGeorge School of Law, University of the Pacific: Spring, 1997, №28, 454-455

ყურადღება ეთმობა ხანდაზმულობის ვადების აგების კანონზომიერებებს, აღნიშნული ვადის ათვლის საწყისი და ბოლო ეტაპის სწორად დადგენას, ხანდაზმულობის ვადების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების ზუსტად განსაზღვრას. ასევე ეს პრობლემა აქტუალურია თეორიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან უკავშირდება ზემოთ დასახელებულ ისეთ რთულ თეორიულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

მართალია, ფუნქციონალურად დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას მოსდევს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან პროცესუალური მოქმედებების დაწყება, თუმცა ეს პრაქტიკაში ყოველთვის ასე როდი ხდება. არის შემთხვევები, როცა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ, იმის გამო, რომ ქმედება შესაბამისი ორგანოებისათვის უცნობი იყო, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებები არ დაწყებულა. ასეთ სიტუაციაში დგას საკითხი, რამდენად მართებულია პირისათვის გარკვეული დროის გასვლის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრება. სწორედ აქ იმალება ხანდაზმულობის არსი. პრობლემა მოითხოვს, გაირკვეს, რატომ შეიძლება დაგვიანდეს პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის აღსრულება. ამასთან, დასადგენია, რა სუბიექტური და ობიექტური გარემოებები ახლავს თან დროის სვლას, რაც, თავის მხრივ, ხდება პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ხანდაზმულობის ორ სახეს: პასუხისგებაში მიცემის და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას. ორივე მათგანის დაფუძნებისათვის ძირითადია სწორედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაბამისი მოქმედების შეუსრულებლობა.

ამასთან, დასადგენია, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას აფუძნებს იგივე მოვლენები, რაც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას, თუ – ამ უკანასკნელს განსხვავებული საფუძვლები აქვს?

ჯერ ერთი, გასარკვევია, ხანდაზმულობა თვითონ განსაზღვრული დროის მონაკვეთია თუ მისი გასვლის შედეგი. ამის დასადგენად კი აუცილებელია დროის კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშნების კვლევა. მეორე, გასარკვევია ხანდაზმულობის ბუნება: პროცესუალური ცნებაა იგი თუ მატერიალური, ხომ არ ატარებს ის ორმაგ ბუნებას და თუ ასეა, რაში გამოიხატება კონკრეტულად მისი პროცესუალური და მატერიალური ბუნება. მესამე, აუცილებელია ზუსტად დადგინდეს ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მტკიცება, რომ ხანდაზმულობის ცნება აუცილებელია სისხლის სამართალში და მას სისხლისსამართლებრივ ცნებებს შორის თავისი ადგილი უჭირავს.

ხანდაზმულობის საკითხის დამუშავებისათვის აუცილებელია სამართალში დროის გამოვლენის პრობლემის კვლევა, რაც, სამწუხაროდ, მეცნიერთა ინტერესის საგანი იშვიათად იყო. არადა სწორედ სამართალში დროის მოქმედების თავისებურებები განსაზღვრავს ხანდაზმულობის არსს სისხლის სამართალში, გამოკვეთს ხანდაზმულობისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ნიშნებს, ხელს უწყობს ხანდაზმულობის ცნების შემუშავებას.

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე არავის უცდია, გაერკვია ხანდაზმულობის შესაბამისობა იურიდიული აზროვნების წესთან. საუბარია ხანდაზმულობის სოციოლოგიური გაგებისაგან გათავისუფლებასა და ხანდაზმულობის იურიდიული ცნების გააზრებაზე. აღნიშნული საკითხის დამუშავების გარეშე ხანდაზმულობა იურიდიული აზროვნებისათვის შეუთავსებელ ცნებად შეიძლება მოგვეჩვენოს, ხოლო მისი ასეთი სახით არსებობა სისხლის სამართალში სოციოლოგიზმის საფრთხეს შეიცავს.

ხანდაზმულობის საკითხის პრობლემატურობას ადასტურებს ისიც, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობის არსებობის საფუძვლების მრავალმხრივი კვლევისა, დღემდე არ შექმნილა დამაჯერებელი, ლოგიკურად მწყობრი და მეცნიერულად მყარი თეორია, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვებს: რატომ არსებობს ხანდაზმულობის ცნება სისხლის სამართალში? რა მიზანი აქვს მას? რატომ არის იგი აუცილებელი? რა შეუცვლელ როლს ასრულებს ის? აღნიშნული ვითარება დღის წესრიგში აყენებს ხანდაზმულობის არსებობის აუცილებლობის დამადასტურებელი საფუძვლების პოვნას.

ხანდაზმულობის შესახებ ზოგადსამართლებრივი გამოკვლევების სიმცირის გამო ხშირად რთულია სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხანდაზმულობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. ამის საფუძველზე, ხშირად სისხლის სამართალში ხანდაზმულობა გაიგება სამოქალაქოსამართლებრივი ხანდაზმულობის ანალოგიურად მაშინ, როცა ეს, თვით დარგებს შორის არსებული პრინციპული განსხვავებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ მხრივ ყურადღების გამახვილება, რათა ცხადი გახდეს განსხვავება სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ ხანდაზმულობას შორის.

აუცილებელია ხანდაზმულობის ვადების აგების კანონზომიერების დადგენა, რაც აქამდე მეცნიერულ ნაშრომებში ფუნდამენტური კვლევის საგანი ნაკლებად იყო, რადგან მას პოლიტიკის სფეროს მიაკუთვნებდნენ და თვითნებურ ხასიათს მიაწერდნენ. არადა ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის კანონზომიერებების დადგენა ხანდაზმულობის არსის გარკვევასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთის ახსნა მეორის არსში ჩაწვდომის გარეშე წარმოუდგენელია.

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა მხრიდან ინტერესს უნდა იწვევდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებიც ხანდაზმულობას ეხება და რომლებიც არ არის მწყობრი მეცნიერული თეორიის შედეგად ჩამოყალიბებული, რის გამოც მათ მიერ არ არის აღნიშნული საკითხი ხარვეზებისა და ურთიერთწინააღმდეგობების გარეშე დარეგულირებული. ეს, თავის მხრივ, იწვევს პრაქტიკაში მრავალი პრობლემის წამოჭრას, რომელთა გადაწყვეტაც ითხოვს ამ საკითხებისადმი სპეციალური სამეცნიერო ნაშრომის მიძღვნას.

ბ. ნაშრომის მიზნები:

მოცემული ნაშრომის მიზანია ხანდაზმულობის შესახებ არსებული თეორიების კრიტიკული განხილვა; მათში არსებული პროგრესული მარცვლის მიგნება-განვითარება და ხანდაზმულობის საკითხის ირგვლივ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლოგიკურად მწყობრი თეორიის შექმნა; ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება; ხანდაზმულობის ადგილის პოვნა ცნებათა სისტემაში; იმის გარკვევა, რამდენად არის თავსებადი ხანდაზმულობის დღევანდელი გაგება თანამედროვე სისხლის სამართლის დებულებებთან, ზოგადად იურიდიული აზროვნების წესთან; მოძველებული შეხედულებების უარყოფა და მათი შეცვლა მწყობრი, ლოგიკური, იურიდიული აზროვნების წესის შესაბამისი დასკვნებით; მიღებული დასკვნების შედეგად საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის შესახებ წინადადებების შეთავაზება; პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების ჩვენება.

ბ. კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგიური საფუძვლები:

ხანდაზმულობის საკითხის დამუშავებისას გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აქსიოლოგიური მეთოდი, რაც უკავშირდება დანაშაულის სოციოლოგიური და იურიდიული ცნებების, არსისა და ჯერარსის მიმართებას, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმის გარკვევას, დანაშაულის ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშნების გამიჯვნას, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდება ხანდაზმულობის ბუნების დადგენის საკითხს.

დიდ როლს თამაშობს დიალექტიკური მეთოდი ხანდაზმულობის შესახებ არსებული თეორიების წინააღმდეგობრივი დებულებების აღმოჩენითა და მათში პროგრესული მარცვლის განვითარებით, დაპირისპირებული ასპექტების მთლიანობაში განხილვით და ნეგატიურის გასაგებად დადებითის მოშველიებით. გამოყენებულია ასევე მეტაფიზიკური მეთოდიც გარკვეულ საკითხთა ანალიზისას.

საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებულია ჰიპოთეზის წამოყენების, დამუშავებისა და შემოწმების მეთოდი. უნდა ითქვას, რომ ნაშრომში ასახვა პპოვა აღწერისა და გაგების მეთოდებმაც. გაგებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ ფიქციის მეთოდი.

თავისი ადგილი უჭირავს ფორმალურ-დოგმატიკურ მეთოდს. შესაბამის როლს თამაშობს აღნიშნული საკითხის დამუშავებაში ახსნის მეთოდი. თავისი წვლილი შეაქვს მათემატიკურ მეთოდს.

შესაბამისი ადგილი ეთმობა პროგნოზირების მეთოდს. გარკვეული დებულებების შემუშავების პროცესში შეუცვლელ ფუნქციას ასრულებს დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები. გამოყენებულია ასევე სოციოლოგიური მეთოდი.

ნაშრომი ეფუძნება ასევე ფორმალიზაციის მეთოდს. ხანდაზმულობის სათანადო შესწავლა მოითხოვს ისტორიული მეთოდის გამოყენებას. ამასთან, შეუძლებელია აღნიშნული პრობლემის დამუშავება აზროვნების ლოგიკური კანონების გამოყენების გარეშე. ლოგიკური აზროვნების პროცესში გამოიყენება ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

ნაშრომში გვხვდება დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული შეხედულებების შედარება, სხვადასხვა სამართლის სისტემაში მიღებული დებულებების შეპირისპირება, მეცნიერების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიღწევათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე მკითხველისთვის ახალი დასკვნების შეთავაზება. შესაბამისი ადგილი უჭირავს პრაქტიკის მასალების ანალიზს, მათ ჩართვას თემაში და მიღებული შედეგების გამოყენებას საკითხის სრულყოფის მიზნით. შეუცვლელ როლს ასრულებს სისტემური მეთოდი.

დ. ნაშრომის სიახლე:

ნაშრომი წარმოადგენს ქართულ სინამდვილეში ხანდაზმულობის საკითხის კვლევის პირველ მცდელობას. ამასთან, მასში პირველადია ნაცადი ხანდაზმულობის ცნების დადგენა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე დაყრდნობით; პირველადია ნაჩვენები ხანდაზმულობის მაგალითზე იურიდიული და სოციოლოგიური აზროვნების წესებს შორის არსებული დაპირისპირება, რის გამოც პირველადია ეჭვქვეშ დაყენებული დანაშაულის ჩადენა, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი; პირველადია ნაცადი, გაირკვეს დროის ფილოსოფიური კატეგორიისა და ხანდაზმულობის ცნების მიმართება; კვლევის შედეგად გამოტანილია ორიგინალური დასკვნები სხვადასხვა საკითხებზე. ნაშრომში შემოთავაზებულია ხანდაზმულობის ახლებური

გააზრება; ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო წინადადებები ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასა და შეწყვეტასთან, დანაშაულთა ერთობლიობის ვითარებაში ხანდაზმულობის გამოთვლის წესთან, კანონის უკუძალასა და ხანდაზმულობის ცნების მიმართებასთან დაკავშირებით.

განხილული დებულებების გაანალიზების შედეგად მოცემულია ხანდაზმულობის ცნების ახალი განსაზღვრება.

ნაშრომში მითითებულია, თუ რა პროცესუალური შედეგი უნდა მოჰყვეს ხანდაზმულობის ვადის გასვლას; სათანადო ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების აგებას; პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალის თემას; სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის, აღნიშნული ვადის ათვლის ახალ წესს. განხილულია ასევე სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში სასჯელისაგან გათავისუფლების პროცედურა.

ე. დასაცავად წარდგენილი ძირითადი დებულებები:

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც დღემდე გადაუწყვეტელია და რომელთა გადაჭრის გზა ნაჩვენებია ნაშრომში:

1. ხანდაზმულობის, როგორც სამართალში დროის გამოვლენის, გააზრებისათვის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის დროის, როგორც ცვლილებების გამომხატველი ცნების, აღიარება. მეორე ნაბიჯი იქნება დროის აბსტრაქტული ბუნების დადგენა. მესამე – დროის გაგება, როგორც უმნიშვნელოვანესი ცვლილებების - ქმნადობის გამომხატველი ცნებისა. მეოთხე – ფუნქციონალური დროის შეცნობა, რომელიც არის შინაგანი დრო. მესუთე – სამართალში დროის მიზანმიმართული – ფუნქციით დატვირთული, ფუნქციონალური ბუნების დადგენა. ყოველივე აღნიშნულის შედეგად უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობა უკავშირდება დროის სწორედ იმ გაგებას, რომელიც ზემოთ მითითებულ ნიშნებს აერთიანებს.

2. მიუღებელია სისხლის სამართალში ხანდაზმულობის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების ანალოგიით გადმოტანა, თუმცა სამართლის ორივე დარგში ხანდაზმულობა საერთო ნიშნებით ხასიათდება, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ხანდაზმულობის ზოგადი ცნების, ასევე სისხლისსამართლებრივი ცნების აგებისას.

3. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ჩადენიდან.

4. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე.

5. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება თავიდან ბოლომდე სისხლისსამართლებრივ და საპროცესო ურთიერთობებს გარეთ მიმდინარეობდეს, თუმცა ეს არ არის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი. აქ იგულისხმება ის, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება გაგრძელდეს საპროცესო ურთიერთობაშიც, სადაც ის მოქმედებს, როგორც გამოძიების ვადა.

6. ხანდაზმულობის ვადის დენის პროცესუალურ ურთიერთობაში გაგრძელების იდეა მოითხოვს ხანდაზმულობის ვადის დენის დასასრულის საკითხის გადაწყვეტას. ამ მიმართებით უარყოფილ უნდა იქნეს შეხედულება, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა მიმდინარეობს პირის პასუხისგებაში მიცემამდე და უნდა ვაღიაროთ, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის

ვადის დენა უნდა გაგრძელდეს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

7. ხანდაზმულობა შეიძლება განხილულ იქნეს პასუხისმგებლობისა და სასჯელის გარდუვალობის პრონციპთან შეთანხმებულად. ხანდაზმულობა არის სამართლიანობის პრინციპის გამოვლენა. ასევე ხანდაზმულობა დაუკავშირდა სასჯელის დაუყოვნებლობის (მართლმსაჯულების სისწრაფის) პრინციპს. ის განხილულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფოს ძალაუფლების დროითი შეზღუდვის ბერკეტი.

8. ხანდაზმულობა წარმოადგენს დაგვიანებული პროცესის გამოძრიცხველ; სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების სწრაფი და შედეგიანი მუშაობის მასტიმულირებელ გარემოებას; პასუხისმგებლობის უსამართლო ზომის; ქმედების სუბიექტზე ზემოქმედების გზით ახალი დანაშაულის თავიდან აცილების; პირის კვლავ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნების საშუალებას.

9. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად პირს არ დაეკისრება ნეგატიური პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება უარყოფითად არ შეფასდება, პირს სასჯელი არ დაეკისრება, ასევე არ გვექნება ნასამართლობა. ე.ი. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არაბრალეულობის პრეზუმფციის ძალით იგულისხმება, რომ პირს დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია. აქ ის იგულისხმება, რომ ხანდაზმულობა ქმედების არსებობას კი არ აუქმებს ზოგადად, არამედ მისთვის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას გამორიცხავს მხოლოდ.

10. ხანდაზმულობის არსებობას რამდენიმე (სუბიექტური და ობიექტური) საფუძველი აქვს, რომლებიც ერთმანეთთანაა ლოგიკურად გადაჯაჭვული (რაც ადასტურებს მის ორმაგ – მატერიალურ-პროცესუალურ ბუნებას). ხანდაზმულობის პროცესუალური საფუძველია მტკიცებულებების არარსებობა იმის შესახებ, იქონია თუ არა დრომ გავლენა პიროვნებაზე და რა მიმართულებით, რის გამოც, ეჭვის პირის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპის საფუძველზე, მოქმედებს პირის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ხანდაზმულობის მატერიალური საფუძველია ნეგატიური პასუხისმგებლობის, სასჯელის მიზნების უკვე მიღწევის შესაძლებლობა, დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლის გამო სისხლის სამართლის კოდექსის მიერ დაწესებულ დასჯის მოთხოვნასა და საზოგადოებაში არსებული შეხედულებებს შორის დაცილება, კონკრეტული ქმედების უარყოფითი სოციალური გავლენის ამჟამად არარსებობა.

11. ხანდაზმულობა დოგმატიკურადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ორმაგი ბუნებისაა. მისი მატერიალური ბუნება ვლინდება ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის ეტაპად ქმედების შემადგენლობის განხორციელების მიხნევაში და ვადის დასრულების შემდეგ პირის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნების შესაძლებლობაში, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტაში, იმ შემადგენლობების განსაზღვრაში, რომელთა შემთხვევებშიც ხანდაზმულობა არ მოქმედებს, ხანდაზმულობის ვადის აგების კანონზომიერებაში. ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტად ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების მიხნევა, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ხანდაზმულობის მატერიალურ ბუნებაზე მიუთითებს, რასაც ადასტურებს ის, რომ ხანდაზმულობის შეწყვეტას საფუძველად პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენა უდევს, რაც გამოიხატება ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. ხანდაზმულობის ვადების აგებას მატერიალურსამართლებრივი მოსაზრებებით ადასტურებს ხანდაზმულობის

ვადების განსაზღვრა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით. პროცესუალური ბუნება ვლინდება ხანდაზმულობის ვადის დინების პროცესუალურ მოქმედებებზე გავრცელებაში; ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში პროცესუალური მოქმედებების განხორციელების შეუძლებლობაში; ხანდაზმულობის შეჩერებაში, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის განხორციელების მათდამი დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებლობა; ხანდაზმულობის არსებობა გამოძიების ვადის ფორმაში.

12. პასუხისგებაში მიცემას, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენისათვის მნიშვნელოვან პროცესუალურ ეტაპს უნდა მიენიჭოს არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის, არამედ ხანდაზმულობის ბრალდებულის სასარგებლოდ პროცესუალურ ფორმაში გადაყვანის ფუნქცია, რომლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა აგრძელებს დენას განაჩენის დადგენამდე, თუმცა, მიუხედავად ამისა, პასუხისგებაში მიცემა ხანდაზმულობისათვის რჩება უმნიშვნელოვანეს ცნებად, ვინაიდან ხანდაზმულობა ძირითადად პასუხისგებაში მიცემას გამორიცხავს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პასუხისგებაში მიცემა მოხდება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ხდება ვადის დენის გაგრძელება უკვე პროცესუალურ ფორმაში განაჩენის დადგენამდე.

13. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ხანდაზმულობა არის არა თვითონ ვადა ან მისი მსვლელობა, ან ამ დროს არსებული მოვლენა, როგორც ამას აღნიშნავდნენ, არამედ ვადის დენის შედეგად დამდგარი მოვლენა, ვინაიდან არა ვადის მიმდინარეობა, არამედ სწორედ ვადის გასვლა ადასტურებს თვისობრივად ახალი მოვლენის არსებობას, რასაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უნდა მოჰყვეს.

14. **ხანდაზმულობა სისხლის სამართალსა და სისხლის საპროცესო სამართალში არის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ვადის გასვლის შედეგი, რომელიც სამართლებრივი პრეზუმფციის ძალით, ქმედების შეფასებისაგან თავის შეკავების შედეგად აღიარებს პიროვნების კეთილსინდისიერებას ანუ ნდობას უცხადებს ქმედების სუბიექტს, რის გამოც გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი დევნა და ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.**

15. ხანდაზმულობის დღევანდელი დოგმატიკური მოწესრიგების მიხედვით უგულებელყოფილია ქმედების ბუნებისა და ქმედების სუბიექტის კომპლექსურად განხილვის აუცილებლობა. იგულისხმება დანაშაულთა კატეგორიზაციის შესაბამისობა პასუხისმგებლობის ზომასთან ისე, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაული ყოველთვის უფრო მსუბუქად დაისაჯოს, ვიდრე მძიმე და მით უფრო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები. ეს კი მაშინ მოხდება, როცა დანაშაულთა კატეგორიზაცია მოხდება არა მხოლოდ სასჯელის მაქსიმუმის, არამედ მინიმუმისა და მაქსიმუმის მიხედვით. ეს არის ძირითადი დებულება, რომელზე დაყრდნობითაც უნდა აიგოს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები. ნაშრომში მოყვანილი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს დანაშაულთა კონკრეტული კატეგორიისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმისა და ნასამართლობის ვადის ჯამის ტოლი.

16. ქმედების სუბიექტის იურიდიული მიმალვა უნდა დარჩეს ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებად, ვინაიდან ის არ ეწინააღმდეგება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ბუნებას.

17. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლად კანონმდებელმა უნდა დაასახელოს შესაბამისი ორგანოების მიერ ქმედების სუბიექტის მიმართ

კანონით მინიჭებული მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა თვით ქმედების სუბიექტის ქმედებისა თუ საერთოდ მისი საქმიანობის შედეგად.

18. ხანდაზმულობის შეწყვეტის ცნება ერთმნიშვნელოვნად უნდა დარეგულირდეს სისხლის სამართლის კოდექსში და ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა უნდა იყოს ვადის შეწყვეტის გამომწვევი გარემოება.

19. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი შესაძლებელი პროცესუალური შედეგი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება).

20. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ის 88-ე და მე-100 მუხლებში მითითებული ვადები და სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა მოხდეს შესაბამისი ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა.

21. ხანდაზმულობის ვადების ცვლილების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი ვადა, თუ ძველი ვადა ჯერ გასული არ არის; ხოლო კერძო ნაწილში სასჯელის ცვლილებების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ყველაზე მსუბუქი სასჯელის შესაბამისი ხანდაზმულობის ვადა.

22. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა განისაზღვროს უკვე დანიშნული სასჯელის და არა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით.

23. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა დაზუსტდეს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისი მომენტი. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან.

24. სპეციფიკურია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის დასასრულის საკითხიც. კერძოდ, სასჯელის აღსრულების დაწყებამ კი არ უნდა შეწყვიტოს ან დაასრულოს ვადის დენა, არამედ უნდა შეაჩეროს, რათა სასჯელის აღსრულების გაგრძელების შეწყვეტის შემთხვევაში (აქ არ იგულისხმება მსჯავრდებულის გაქცევა) კვლავ განახლდეს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნული ვადის დენის საბოლოოდ დასასრული კი არის სასჯელის აღსრულების დასრულება ან ხანდაზმულობის ვადის გასვლა სასჯელის აღსრულების დასრულებამდე.

25. პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებული იქნება, სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს დაეკისროს ხანდაზმულობის ვადის დენაზე ზედამხედველობის მოვალეობა და მიენიჭოს ხანდაზმულობის ვადის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების თხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

26. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლისაგან განსხვავებით, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლევად.

27. განაჩენით რამდენიმე სახის სასჯელის გამოყენების შემთხვევაში თითოეული სახის სასჯელის აღსრულებას თავისი დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადა უნდა დაუწესდეს. ამასთან, ერთი სახის სასჯელთა შეკრებისას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ტოლი.

28. დასაშვებია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოყენება უვადო თავისუფლებადაკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ, რა დროსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა იცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

თავი 1. ხანდაზმულობის თეორიული გააზრება

§ 1.1 ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრების განვითარება

1.1.1. ხანდაზმულობის უგულვებელყოფელი თეორიები

ხანდაზმულობის საკითხის დამუშავებას გარკვეული პერიოდი დასჭირდა. ხანდაზმულობის შესახებ თეორიები საზრდოობს დანაშაულის, მისი სისტემის, სასჯელის, პასუხისმგებლობის შესახებ თეორიებით. ამიტომაც მათში მიმდინარე ცვლილებები ნელ-ნელა აისახა ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრებაზე.

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების საწყის ეტაპზე მეცნიერთა და სისხლისსამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ ფილოსოფოსთა ყურადღება მიპყრობილი იყო უფრო გლობალურ საკითხებზე, როგორცაა დანაშაულისა და სასჯელის ბუნება. ამიტომ ხანდაზმულობა ყურადღების მიღმა დარჩა. მაგალითად, სასჯელის აბსოლუტური თეორია არ ეხება ხანდაზმულობის საკითხს და ზოგად დასკვნას აკეთებს, რომლის მიხედვითაც სასჯელი დანაშაულის გარდუვალი შედეგია. ამ თეორიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ფილოსოფოსი იმანუელ კანტი სასჯელს განიხილავს, როგორც კატეგორიული იმპერატივის მოთხოვნის გარდუვალ განხორციელებას. ასეთ ვითარებაში ხანდაზმულობა, როგორც პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამომრიცხველი გარემოება, ლოგიკურად ვერ იარსებებს. ამ გადასახედიდან უცნაურად ჩანს ი. კანტის პოზიცია შეწყვეტებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის არ ეწინააღმდეგება.² როგორც ჩანს, სასჯელის შესახებ თვით ყველაზე კატეგორიული თეორიის ფარგლებშიც გაუჩნდა სასჯელის იმპერატიულობას ბზარი.

სასჯელის აბსოლუტური თეორიის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენლისთვის - ფილოსოფოს ფრიდრიხ ჰეგელისთვის სასჯელი არის დანაშაულის უარყოფა და ამ საფუძველით არის იგი აუცილებელი. აღნიშნული თეორიის მიხედვით, დანაშაული არის სამართლის უარყოფა. თავის მხრივ, დანაშაული უნდა იქნეს უარყოფილი და ამ ფუნქციას სასჯელი ასრულებს. ვერც ფ. ჰეგელის ნაშრომებში ვხვდებით სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის შესახებ მსჯელობას, თუმცა იგი სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობას ამართლებს. ამიტომ ისევე, როგორც ი. კანტის მოძღვრების შემთხვევაში, აქაც ლოგიკური აზროვნების გზით გვიწევს დასკვნების გაკეთება. კერძოდ, ფ. ჰეგელის სისხლისსამართლებრივი შეხედულებებიდან გამომდის, რომ მისთვის ხანდაზმულობა, როგორც პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამომრიცხველი გარემოება, მიუღებელია. ი. კანტისა და ფ. ჰეგელის ნაშრომებში ხანდაზმულობის კრიტიკაზე პირდაპირ მითითებას, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, ვერ ვხვდებით. ამიტომ ისინი უფრო უგულვებელყოფენ ხანდაზმულობას, ვიდრე ეწინააღმდეგებიან მას. სასჯელის აბსოლუტური თეორიის აღიარება ხანდაზმულობის უარყოფას ავტომატურად რომ არ ნიშნავს,

² იხ. Галанза П. Н., *Учение Иммануила Канта о государстве и праве*, Москва, 1960, 35-37

აღნიშნული დებულების სისწორეზე მიუთითებს ისიც, რომ ხანდაზმულობის აღიარება და მისი გამართლება მოუწიათ სასჯელის აბსოლუტური თეორიის წარმომადგენელ ე.წ. ჰეგელიანელ კრიმინალისტებს: აბეგს, კოსტლინს, ბერნერს.

სისხლის სამართალში გამოჩნდნენ ჰეგელის შეხედულებათა მიმდევრები, რომლებიც შეეცადნენ, მისი მოძღვრების მიხედვით დაემუშავებინათ სისხლის სამართლებრივი საკითხები. ჰეგელიანელ გერმანელ კრიმინალისტებს ა. პიონტკოვსკი მიაკუთვნებს კ. აბეგს, რ. კოსტლინს, ა. ბერნერს.³ კ. აბეგი ემხრობა სასჯელის აბსოლუტურ თეორიას და სასჯელს განსაზღვრავს, როგორც სამართლიან სამაგიეროს მიზღვას, თუმცა სასჯელის უტილიტარულ მიზნებს მიიჩნევს სასჯელის შინაგან გამოვლინებად.⁴ რ. კოსტლინს შემოაქვს სასჯელის მიზნებში ადამიანზე ზემოქმედების აუცილებლობა: დაშინება და გამოსწორება.⁵ უკვე ა. ბერნერთან სასჯელის მიზნები დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს.⁶

როგორც სასჯელის შესახებ ჰეგელის შეხედულებები განიცდიდა ცვლილებებს თვით ჰეგელიანელთა თეორიებში, ასევე შემოდიოდა ჰეგელის ფილოსოფიისთვის უცხო ელემენტები მათ ნაშრომებში. ერთ-ერთი ასეთი არის ხანდაზმულობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ დანაშაული და სასჯელი არსებობს არა დროისგან და გარესამყაროსგან იზოლირებულად, არამედ მათთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ სასჯელის საკითხის განხილვა დანაშაულის ჩადენის დროის უგულებელყოფით წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა თვითონ სასჯელის ბუნებასთან, რომელიც სამართლიანობის გამოვლინებად მიიჩნეოდა. მოცემული უხერხულობისგან თავის დაღწევის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ აღნიშნული ავტორების მიერ ხანდაზმულობის გამართლება. როგორც ჩანს, ზოგადად სასჯელისაგან გათავისუფლების, კერძოდ კი - ხანდაზმულობის უგულებელყოფა თვით სასჯელის აბსოლუტური თეორიის ფარგლებშიც ვერ მოხერხდა, წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, რადგან მის გარეშე სასჯელს უსამართლო აქტად, უმიზნო შურისძიებად ქცევის საშიშროება დაემუქრა.

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებასთან ერთად ავტორები დაინტერესდნენ ხანდაზმულობის საკითხით. ამასთან, პოზიციები გაიყო: ერთნი ფიქრობენ, რომ სასჯელი დროის სვლის მიუხედავად უნდა აღსრულდეს და ამ საფუძვლით უარყოფენ ხანდაზმულობის არსებობის აუცილებლობას, მეორენი კი პირიქით: სასჯელის აღსრულებას დროის სვლას უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ სასჯელი არ უნდა აღსრულდეს (ან პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს პირს).

1.1.2. ხანდაზმულობის აუცილებლობის უარყოფი თეორიები

სისხლის სამართალში ხანდაზმულობის ცნების დამკვიდრებიდანვე ორი პოზიცია გაემიჯნა ერთმანეთს. ერთი ხანდაზმულობას უარყოფს, მეორე კი მის

³ იხ. Пионтковский А. А., *Учение Гегеля о праве и государстве и его уголовноправовая теория*, М., 1963, 177-179

⁴ იქვე, 211

⁵ იქვე, 213

⁶ იქვე, 217

არსებობას აუცილებლად მიიჩნევს. ამჯერად შევჩერდებით ხანდაზმულობის უარყოფი თეორიების განხილვაზე.

აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელი მხოლოდ წარსულზეა ორიენტირებული და არა მომავალზე, მას მიზანი არა აქვს, ის თვითმიზანია. აღნიშნული დებულება მიუღებელი აღმოჩნდა იმ მეცნიერებისთვის, რომლებმაც შექმნეს სასჯელის შეფარდებითი თეორია. ამ მიმართულების შიგნით ერთ-ერთი გავლენიანი თეორია შეიმუშავა ანსელმ ფოიერბახმა და მას ეწოდა ფსიქოლოგიური იძულების თეორია, რომლის მიხედვითაც სასჯელი, როგორც გრძნობადი ბოროტება, აუცილებელია დანაშაულის პრევენციისთვის. მართალია, აქ უკვე სასჯელი მომავალზეა ორიენტირებული, მას მიზანი გაუჩნდა - დანაშაულის პრევენცია, მაგრამ ა. ფოიერბახმა ამ მიზნის მიღწევა აუცილებლობით დაუკავშირა სასჯელის აღსრულებას. მისი აზრით, ადამიანის მოქმედებების დეტერმინირებისთვის აუცილებელია მათზე სასჯელის მეშვეობით ზემოქმედება. ამის გამო ის მკაცრი სასჯელების მომხრე იყო. აღნიშნული პოზიციის შედეგად ავტორი ხანდაზმულობის არსებობას ეწინააღმდეგება.⁷

სასჯელის ერთ-ერთი თეორია, რომელიც ამტკიცებს ხანდაზმულობის მიუღებლობას, არის უტილიტარიზმის თეორია, რომლის ფუძემდებელია იერემია ბენტამი. მისთვისაც სასჯელის მიზანი დანაშაულის პრევენციაა, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ იმაზე მეტი გრძნობადი ტანჯვის მიყენებით, ვიდრე დამნაშავემ დანაშაულისგან სარგებელი მიიღო. საკითხის ასე დაყენების გამო ხანდაზმულობა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მართალია, ი. ბენტამი არ არის სასჯელის აბსოლუტური თეორიის მომხრე და მას ჩამოთვლილი აქვს ის შემთხვევები, თუ როდის არ უნდა იქნეს სასჯელი გამოყენებული,⁸ მაგრამ ი. ბენტამი ეწინააღმდეგება ხანდაზმულობას მიიჩნევს რა უსამართლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვას. თუმცა, ამ მხრივ ი. ბენტამი ბოლომდე კატეგორიული არაა, რადგან ის ხანდაზმულობას უშეგებს გაუფრთხილებელი და დაუმთავრებელი დანაშაულების შემთხვევებში. მართალია, არ არის სრულად მისაღები ის საფუძველი, რის გამოც ავტორი ხსნის ამ სახის დანაშაულებზე ხანდაზმულობის გავრცელების აუცილებლობას, თუმცა ის ფაქტი, რომ ზოგადად ხანდაზმულობის უარყოფის მიუხედავად, მას მოუხდა გამონაკლისების დაშვება, იმაზე მეტყველებს, რომ ხანდაზმულობის არსებობას გარკვეული საფუძველი აქვს.⁹

სისხლის სამართლის მეცნიერების სათავეებთან მდგარი დიდი კრიმინალისტი, ჩეზარე ბეკარიასათვის სასჯელის გარდუვალობა არის ძირითადი პრინციპი, რომელსაც ის სასჯელის სიმკაცრეს უპირისპირებს, თუმცა ის ვერ გაექცა ხანდაზმულობის აღიარებას. მართალია, ჩ. ბეკარია მძიმე დანაშაულების ხანდაზმულობას უარყოფს და ასეთი დამნაშავეების გარდუვალ დასჯას მოითხოვს, თუმცა „მცირე“ დანაშაულების შემთხვევაში ხანდაზმულობის არსებობას ამართლებს. ის ამბობს: „წყვედიანი, რომლითაც დიდი ხნის მანძილზე დანაშაული მოცული იყო, დაუსჯელობის მაგალითის საშიშროებას აშორებს და ამასთან, დამნაშავეს გამოსწორების საშუალებას აძლევს.“¹⁰

⁷ იქვე, 209-211

⁸ იხ. *Избранные сочинения Иеремии Бентама*, Т. 1, С-II, 1867, 168-173

⁹ ხანდაზმულობაზე ი. ბენტამის შეხედულება განხილული აქვს ასევე ვ. საბლერს დასახელებულ ნაშრომში, 147-149

¹⁰ ხუცურაული ი., *ჩეზარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის*, თბ., 1999, 152

ჩეხარე ბეკარიას მოცემული მოსაზრება არის სასჯელის გარდაუვალობაზე განსაზღვრულ ფარგლებში უარის თქმა, რაც უნდა მივიჩნიოთ იმ პერიოდში მომძლავრებული ჰუმანისტური იდეების გამარჯვებად და მათი სისხლის სამართალში დამკვიდრების მცდელობად. სწორედ სასჯელისათვის მიზნის განსაზღვრამ და სასჯელის მიზნის სასჯელის გარეშე მიღწევის შესაძლებლობის აღიარებამ დაუდო საფუძველი ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრების წარმოშობასა და განვითარებას.

აქვე მოკლედ უნდა შევეხოთ ხანდაზმულობის არსებობის გამართლებისათვის მნიშვნელოვან საკითხს: დანაშაული და სასჯელი დროის გარეშე არსებობენ თუ ისინი დროის სვლას ემორჩილებიან? დანაშაული არის მნიშვნელოვანი სუბიექტური და ობიექტური ცვლილებების შედეგი. იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სუბიექტური და ობიექტური პირობები. ამასთან, დანაშაული თვითონ იწვევს ობიექტურ ცვლილებებს, რომლებიც ობიექტურ სამყაროში ვლინდება. მეორე მხრივ, სასჯელი, რომელიც ქმედების სუბიექტს მიემართება, მოწოდებულია სწორედ სუბიექტური ცვლილებებისაკენ. კანონის მიხედვით, სასჯელი უკავშირდება დროის განსაზღვრულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს აღნიშნული ცვლილებები. ცვლილებები და დრო განუყოფელია ერთმანეთისგან, ვინაიდან დრო სწორედ ცვლილებების აბსტრაქტირების შედეგია. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ დანაშაული და სასჯელი დროში არსებობს და დროის ყოველსმომცველი ძალა მათზეც ვრცელდება. ამდენად, ცვლილებების აღმნიშვნელი დროის გარეშე დანაშაული და სასჯელი ვერ გაიგება, მის გარეშე მათი არსებობა შეუძლებელია. ამიტომ ნაკლებია ყველა თეორია, რომელიც დანაშაულსა და სასჯელს დროსთან მიმართების გარეშე განიხილავს.

აქვე უნდა იქნეს ნახსენები გერმანელი კრიმინალისტის, კილის აზრი, რომ სასჯელი დანაშაულის აუცილებელი ლოგიკური შედეგია. ამის გამო ხანდაზმულობა თავისთავად არის რაღაც უსამართლო, თუმცა აუცილებელი, როგორც ნაკლები ბოროტება მეტი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, დროთა განმავლობაში მოსამართლეს უფრო და უფრო გაუჭირდება საქმის გარემოებების დადგენა, რაც ხელს შეუშლის სამართლიანი განაჩენის გამოტანას. ამის თავიდან ასაცილებლად არის შემოღებული ხანდაზმულობა. ავტორი, იმ მიზეზით, რომ ზემოთ მითითებული საფუძველი არ შეესაბამება მოკლევადიან ხანდაზმულობას, საერთოდ უარყოფს მის აუცილებლობას.¹¹ აქ უკვე ჩნდება ხანდაზმულობის დაყოფა არა დანაშაულის სახის, არამედ ვადების მიხედვით. ამასთან, ავტორი ერთი სახის (მოკლევადიანი) ხანდაზმულობას უარყოფს, მეორე სახის (გრძელვადიანი) ხანდაზმულობის არსებობას კი აუცილებლად მიიჩნევს. აღნიშნული თეორია ყურადსაღებ დებულებებს შეიცავს. კერძოდ, ხანდაზმულობა მართლაც ნაკლები ბოროტებაა, რადგან იდეალური შემთხვევაა ყოველი დანაშაულებრივი ქმედების თავის დროზე გამოვლენა და დასჯა. ხოლო დიდი ხნის განმავლობაში ქმედების შესახებ ინფორმაციის არქონა აუცილებელს ხდის არჩევანს მეტ და ნაკლებ ბოროტებას შორის: უსამართლო სასჯელსა და ხანდაზმულობის ცნებას შორის. მიუხედავად აღნიშნული მნიშვნელოვანი დებულების განმარტებისა, ეს თეორია მაინც არ

¹¹ სამწუხაროდ, კილის ნაშრომი Kill, *Über die Gründe und den Rechtsgrund der Criminalverjährung*, "Der Gerichtssaal", 1868, 360ff ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ აზრს პირდაპირ პირველწყაროდან არ გავცნობივართ, ის იმდენად საინტერესოდ გვეჩვენება, რომ ვფიქრობთ, მისი ყურადღების გარეშე დატოვება აღნიშნული საკითხის კვლევისას შეცდომა იქნებოდა. ამიტომაც ამ აზრს ვიშველიებთ არაპირდაპირ წყაროზე: ვ. საბლერის დასახელებულ ნაშრომზე, მითითებით, გვ. 140.

არის მწყობრი. კერძოდ, ამ პოზიციის მიხედვით, დანაშაულის ნიშნების შესახებ მტკიცებულებების არარსებობა ხანდაზმულობის გამართლების საფუძველია. სინამდვილეში ეს შეიძლება იყოს გამართლებული სისხლის სამართლის პროცესის განვითარების იმ ეტაპზე, როცა ბრალდებულს ევალებოდა თავის მართლება და ბრალდების მხარეს არ ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი. დღეს მსგავს ვითარებაში ბრალდებული მართლდება მტკიცებულებების არარსებობის გამო და ხანდაზმულობის აუცილებლობა ამ საფუძველით ქრება. ასევე მიუღებელია მოკლევადიანი ხანდაზმულობის გაუქმების მოთხოვნა, ვინაიდან მას თავისი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ყურადღება უნდა გაკმახვილოთ ავტორის შეხედულებაზე, რომ, მართალია, ხანდაზმულობა უსამართლოა, თუმცა აუცილებელი.

საინტერესო შეხედულებას ავითარებს პულფერმახერი, რომლის მიხედვითაც პოზიტიური სამართალი და ხანდაზმულობის სამართალი (das Recht der Verjährung) ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებს ეფუძნება, მეორე უფრო და უფრო ავიწროებს პირველს, ამიტომ ხანდაზმულობას ვერასდროს დავაფუძნებთ იმ საწყისებზე, რაზეც პოზიტიურ სამართალს, არამედ, უფრო ამ უკანასკნელის სისუსტეზე.¹² ეს შეხედულება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ პოზიტიური სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ დანაშაულის გამოვლენის მოვალეობა, ხოლო ხანდაზმულობა დანაშაულის არსებობის დადგენას ეწინააღმდეგება. ამასთან, ის სწორედ შესაბამისი ორგანოების მუშაობის არაეფექტურობის შედეგია. ამ მოსაზრებაში ჩანს ჯერ კიდევ ხანდაზმულობის უარყოფის ქვეცნობიერი თუ ინერციული მუხტი, რომელიც მას პოზიტიური სამართლის საწინააღმდეგო მხარეზე განიხილავს, თუმცა აღნიშნული დებულებით აშკარა გახდა, რომ ხანდაზმულობამ, მიუხედავად ყველაფრისა, თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა მეცნიერების ნაშრომებში და უფრო და უფრო ძლიერდება აზრი მისი შესწავლის აუცილებლობის შესახებ. იგივე ავტორთან იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება. საუბარია ავტორის სიტყვებზე: გამოძიების უშედეგოდ წარმართვის შემთხვევაში გამოდის, რომ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება არ შელახულა, რადგან დანაშაული არ ჩადენილა. აქ საქმე გვაქვს არაბრალეულობის პრეზუმფციასთან, იურიდიული და სოციოლოგიური აზროვნების წესს შორის განსხვავებასთან. მართლაც, თუ დანაშაული დადგენილი არ არის, იურიდიულად ეს დანაშაული ჩადენილი არც ყოფილა. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამ სწორი აზრისა, დაზუსტებას მოითხოვს ხანდაზმულობისა და პოზიტიური სამართლის მიმართება, ვინაიდან ის ამ უკანასკნელის წიაღში არსებობს, და, შესაბამისად, მის საპირისპირო საწყისებზე ვერ იქნება დაფუძნებული.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობის ცნობიერი უარყოფისა, დროის გავლენა დანაშაულსა და სასჯელზე მაინც იწენს თავს და მისთვის გვერდის ავლა შეუძლებელია. ამიტომ უხდებათ მეცნიერებს მისთვის ანგარიშის გაწევა. სასჯელის გარდუვალობას თავიდან ხანდაზმულობის სასარგებლოდ დათმობა მოუწია გაუფრთხილებელ და დაუშთავრებელ დანაშაულებთან დაკავშირებით, შემდეგ ეს წრე გაფართოვდა

¹² მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ავტორის ნაშრომი: Pulvermacher, *Die Gruende der Verjährung im Strafrecht*, in: "Goldtamer's archiv", Band XVIII, 1870, Maerz, Mai und Juni Hefte, 303, 390 ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, მიგვაჩნია, რომ აქ გამოთქმული აზრი იმდენად მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის საკითხის კვლევისას, რომ თუნდაც არაპირდაპირი წყაროს მეშვეობით, მაგრამ მასზე მითითება, აუცილებელია. პულფერმახერის მითითებული შეხედულება ჩვენთვის ცნობილი გახდა ვ. საბლერის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 142.

და ბოლოს, აშკარა გახდა რა ხანდაზმულობის არსებობის აუცილებლობა, მეცნიერებმა უკვე იმაზე დაიწყეს დავა, თუ რა საფუძველს ემყარება ხანდაზმულობა.

1.1.3. ხანდაზმულობის არსებობის გამამართლებელი თეორიები

1.1.3.1. ხანდაზმულობის სისხლისსამართლებრივი თეორიები

1.1.3.1.1. დანაშაულის ნიშნებთან დაკავშირებული თეორიები

ხანდაზმულობის აუცილებლობის უარყოფელი თეორიების შემდეგ უნდა გადავიდეთ იმ თეორიათა განხილვაზე, რომლებიც ხანდაზმულობას სისხლის სამართლისთვის აუცილებელ ცნებად მიიჩნევენ. აღნიშნული თეორიები ხანდაზმულობის გათვალისწინებას სისხლის სამართლის კოდექსში ხსნის სხვადასხვა საფუძველით. ამის მიხედვით განასხვავებენ მატერიალურსამართლებრივ, პროცესუალურ და შერეულ თეორიებს. თავდაპირველად შეეხოთ მატერიალურსამართლებრივ თეორიებს, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალფეროვანია. ზოგი მათგანი ხანდაზმულობას აფუძნებს დანაშაულებრივ ქმედებასთან, ზოგი – სუბიექტის პიროვნებასთან, ზოგიც – საზოგადოებასთან მიმართებაში.

შეხედულებათა ერთი ნაწილი შეიძლება გავაერთიანოთ „ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვის თეორიის“ სათაურში. აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები არიან ა. ტრაინინი, ნ. დურმანოვი, ი. სლუცკი, ა. გერცენზონი, პ. ფეფელოვი.¹³ ავტორებს ხანდაზმულობა საზოგადოებრივი საშიშროების, როგორც დანაშაულისთვის დამახასიათებელი ნიშნის, გამომრიცხველ გარემოებად აქვთ წარმოდგენილი. გამოდის, რომ ქმედება მისი ჩადენის დროს წარმოადგენდა დანაშაულს, რადგან ის იყო საზოგადოებრივად საშიში, ხოლო დროის გასვლის შემდეგ უკვე აღარ არის დანაშაული, რადგან დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი – საზოგადოებრივი საშიშროება* დაკარგა

აღნიშნული თეორია არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ და ამ მხრივ უნდა დავეთანხმოთ იმ იურისტებს, რომლებიც მას უარყოფენ. კერძოდ, პ. მშვენერაძე მართალია, როცა ამბობს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლისას ქმედების დაუსჯელობა არ გამომდინარეობს ქმედების საზოგადოებრივი

¹³ იხ. Траинин А. Н., *Уголовное право, Часть Общая*, М., 1929, 468, 482; Дурманов Н. Д., *Давность и погашение судимости*, М., 1939, 3; იგივეს იმეორებს ავტორი ნაშრომში: *Освобождение от наказания по советскому праву*, М., 1957, 25; Слуцкий И. И., *Обстоятельства, исключющие уголовную ответственность*, изд. ЛГУ, 1956, 11; Герцензон А. А., *Уголовное право, часть общая*, М., 1948, 265; Фефелов П. А., *Критерии установления уголовной наказуемости деяний*, - «Советское государство и право», 1970, №11, 105

* აქვე უნდა განვმარტოთ, რომ 1960 წელს მიღებული და 1961 წელს ამოქმედებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაული განიმარტება, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, 1, მუხ. 10. ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ დანაშაულის ცნება ასევეა გავებული უფრო ადრეულ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებშიც.

საშიშროების გაქრობით. მისი აზრით, პირიქით, „ქმედება ზოგადად რჩება დანაშაულებრივი და დასჯადი, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო პირი თავისუფლდება სასჯელისგან.“¹⁴ „ამისგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გაქრობას, რომელიც ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ხასიათის გაქრობასაც. [ასეთ ვითარებაში] ქმედება არა მარტო კონკრეტულ შემთხვევაში რჩება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, არამედ, ამასთან ერთად, ქრება ზოგადად ამ ტიპის ქმედებების დანაშაულებრობისთვის დამახასიათებელი თვისება – მისი საზოგადოებრივი საშიშროება.“¹⁵

მართებულად უნდა მივიჩნიოთ პ. მშვენერიადის პოზიცია, რომ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გაქრობა ნიშნავს იმას, რომ იგივე ქმედება დღეს მისი ხელახლა ჩადენის შემთხვევაში უკვე დანაშაულად არ ჩაითვლება. ხოლო თუ იგივე ქმედება ხელახლა ჩადენის შემთხვევაშიც დანაშაული იქნება, მაგრამ უკვე მისი დასჯა მიუღებელია, ეს მიუთითებს არა კონკრეტული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გაქრობაზე, არამედ სრულიად სხვა საფუძველზე. ჩვენს შემთხვევაში ქმედება დანაშაულებრივად რჩება, თუმცა არ ისჯება. აღნიშნულ პოზიციას ავითარებს ს. კელინა¹⁶ და ი. ტკაჩევსკიც.¹⁷

ადამიანთა ქმედებები ჩართულია საზოგადოებრივ ურთიერთობებში, იწვევს გარკვეულ შედეგებს, ხდება სხვა მოვლენების მიზეზები. ამასთან, ისინი გავლენას ახდენს მიზნების ფორმირებაზეც. საზოგადოებრივი ურთიერთობები სუბიექტების ქმედებების გარეშე წარმოუდგენელია. ა. დროზდოვი ამბობს, რომ ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის არსი, როგორცაა პოლიტიკური ურთიერთობა, გამოიხატება ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში;¹⁸ იგივე ავტორი სხვაგან ამბობს: „სოციალური ცხოვრების შინაგანი განსაზღვრულობა გამოიხატება იმაში, რომ ის არის საზოგადოების წევრებს შორის საქმიანობათა გაცვლა.“¹⁹ როგორც ვხედავთ, სწორედ ქმედებები ქმნის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. თუ ეს ასეა, მაშინ დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ახალი ქმედებები უწყობს ხელს. საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვალებადობას სწორედ ძველი ქმედებების ახალი ქმედებებით შეცვლა განაპირობებს. აღნიშნული საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ დროთა განმავლობაში ძველი ქმედებები კარგავს აქტუალობას, ისინი უკვე არ მონაწილეობს საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, მოხდა მათი ისტორიზაცია.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებები შეიძლება შეცვალოს ისევე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებმა ან ისინი შეიძლება შეიცვალოს მართლზომიერი ქმედებებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ძველი ქმედების გავლენა იცვლება საპირისპირო მიმართულებით. ამიტომ წინა ქმედება კარგავს ძალას, ის უკვე აღარ ახდენს გავლენას გარშემომყოფებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ითქმის სწორედ ლატენტურ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც თავის დროზე უცნობი იყო საზოგადოებისათვის, სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ფარული ხასიათის გამო მათ ჩადენის მომენტშიც არ შეეძლოთ გავლენა

¹⁴ Мшвениерадзе П., *Институт давности в советском уголовном праве*, Тбилиси: изд-во «Сабчота сакартвело», 1970, 68

¹⁵ იქვე

¹⁶ об. Келина С. Г., *Теоретические вопросы освобождения от уголовной ответственности*, М., 1974, 200

¹⁷ об. Ткачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, 1978, 7

¹⁸ об. Дроздов А. В., В. И. Ленин о проблеме общественных отношении, Л., 1969, 11

¹⁹ Дроздов А. В., *Человек и общественные отношения*, Л., 1966, 21

მოხდინათ საზოგადოების წევრების ქმედებებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლატენტური დანაშაულები და მათი შედეგები ახდენს გავლენას ქმედების ჩამდენ პირზე. ამიტომაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების მართლზომიერი ქმედებებით ჩანაცვლება, ობიექტური მხრივ, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ დანაშაულებრივმა ქმედებამ თავისი ძალა დაკარგა ქმედების სუბიექტზეც ან მან არ მოახდინა უარყოფითი გავლენა მასზე. ეს ყველაფერი კი იძლევა საფუძველს, ქმედება სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩეს.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როცა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს მოსდევს ისევ მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, აღნიშნული განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. კერძოდ, მართალია, ძველი ქმედებები იცვლება ახლით, რომელიც ახალ ურთიერთობებს აყალიბებს, თუმცა არ შეიძლება უგულებელყოფა იმისა, რომ ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დიდი ალბათობით, წინა ქმედებაზე სწორი სამართლებრივი რეაგირების არარსებობის შედეგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი ქმედება ჩადენილია წინა ქმედების და მისი შედეგის გავლენით. აღნიშნული მიუთითებს ამ შემთხვევაში ძველი ქმედების აქტუალობაზე, იმაზე, რომ დროთა განმავლობაში მისი ისტორიზაცია კი არ მოხდა, არამედ ის აგრძელებს გავლენის მოხდენას ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზეც. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ძველი ქმედება სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.

ქმედების მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობების შემქმნელი ძალის დაკარგვა უნდა დაედოს ობიექტურ საფუძველად ხანდაზმულობის გამართლებას. ამიტომაც, ზემოთ მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით, გერმანელი იურისტები სწორად ასახელებენ ხანდაზმულობის გამართლების ობიექტურ საფუძველად ქმედების ისტორიზაციას და მისი აქტუალობის დაკარგვას.²⁰

დანაშაულებრივი ქმედება სწორედ იმიტომ ისჯება, რომ ხელყო რა სამართლებრივი ღირებულება და გამოიწვია გარკვეული შედეგი, ის უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ქმედების სუბიექტზე, ასევე საზოგადოების სხვა წევრებზე. ერთი მხრივ, ქმედებასა და სუბიექტს შორის, მეორე მხრივ, საზოგადოების წევრებს შორის იქმნება გარკვეული კავშირი. ქმედების დასჯა კი აქარწყლებს ამ უარყოფით ზეგავლენას, რის შედეგადაც ხდება ადამიანთა მართლზომიერი ქცევის წახალისება. დროთა განმავლობაში ახალი დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის ვითარებაში ეს კავშირი სუსტდება. ამიტომ ხანდაზმულობის დაფუძნების საკითხში ქმედების უგულებელყოფა შეცდომა იქნებოდა. ამდენად, ჩადენილი ქმედების არააქტუალობა უნდა მივიჩნიოთ ხანდაზმულობის გამამართლებელ ერთ-ერთ ობიექტურ საფუძველად. ამასთან, ეს ხანდაზმულობის არსებობის გამართლების მხოლოდ ერთ - ობიექტურ ასპექტად შეიძლება მივიჩნიოთ. მის გარდა ხანდაზმულობის არსებობას სხვა ასპექტებიც ამართლებს. ამიტომ აუცილებელია ხანდაზმულობის გამამართლებელი სუბიექტური ფაქტორების კვლევა, რაც წარმოაჩენს ხანდაზმულობის დამოკიდებულებას პიროვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი.

²⁰ ქმედების სოციალური როლის დაკარგვისა და ისტორიზაციის იდეა უდევს საფუძველად ხანდაზმულობის შესახებ ზოგიერთ სუბიექტზე ორიენტირებულ თეორიას. მოცემულ იდეას ეყრდნობა ასევე შტეფან ციმერმანის შეხედულება, რომელიც შეიძლება შერეულ თეორიათა რიცხვს მივაკუთვნოთ. აღნიშნულის შესახებ იხ. Zimmerman S., *Strafrechtliche Vergangenheitaufarbeitung und Verjährung*, Freiburg im Breisgau, 1997, 56

1.13.12. ქმედების სუბიექტის პიროვნებასთან დაკავშირებული თეორიები

მას შემდეგ, რაც ხანდაზმულობის დაფუძნებამ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა, მეცნიერებმა დაიწყეს ხანდაზმულობის საფუძვლის ძიება ქმედების სუბიექტის პიროვნებაში. ამასთან, აღნიშნული მიმართულების შიგნით არის მრავალფეროვნება. ერთ-ერთ ამ მიმდინარეობათაგანს შეიძლება ვუწოდოთ „დამნაშავის გამოსწორების თეორია“. მოცემული თეორიის მიხედვით, დროის სვლასთან ერთად სუბიექტის მიერ ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისგან თავის შეკავება არის დასტური იმისა, რომ იგი გამოსწორდა. პირის გამოსწორების თეორია დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების გაქრობის თეორიასთან ერთად შეიძლება საბჭოთა სამართალში გაბატონებულად ჩავთვალოთ. მაგალითად, ს. კელინას მიხედვით, სასჯელისგან შეიძლება გათავისუფლდეს პირი, თუ მისი გამოსწორებისთვის არაა აუცილებელი სასჯელის გამოყენება.²¹ ვ. სკიბიციკი კი ამტკიცებს, რომ ხანდაზმულობის საფუძველია პირის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა.²² იგივე აზრი იკითხება მ. შარგოროდსკის,²³ ა. სოლოვიევის,²⁴ ვ. სმოლნიკოვის²⁵ ნაშრომებშიც. ს. ზელდოვი და ც. პოზნიშევი ხანდაზმულობის საფუძველად პირდაპირ აღიარებენ პირის გამოსწორებას.²⁶ ნ. დურმანოვი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვასთან ერთად ხანდაზმულობის საფუძველად პირის გამოსწორებას ასახელებს.²⁷

აღნიშნული თეორია უარყო მრავალმა მეცნიერმა, რომელთა აზრით, დროის სვლა არ არის იმის გარანტი, რომ პირის ცნობიერებაში დადებითი ძვრები მიმდინარეობს. ამას არ ადასტურებს ისიც, რომ პირმა გარკვეული დროის მანძილზე დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაიდინა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო მისი გამოსწორებით, არამედ სხვა მიზეზებითაც. ამ პოზიციას იზიარებენ მიტერმაიერი, კარლ აუგუსტ გრიუნდლერი, ვ. საბლერი.²⁸ მართლაც, ახალი დანაშაულის არარსებობიდან კატეგორიული ლოგიკური დასკვნა იმის თაობაზე, რომ ეს პირის გამოსწორების შედეგია, შეუძლებელია. აღნიშნული დაიშვება მხოლოდ ვარაუდის დონეზე, ინდუქციური დასკვნის გამოყენებით, ვინაიდან დანაშაულისგან თავის შეკავება მრავალი ფაქტორის გამო შეიძლება. ასეთ ვითარებაში დანაშაულის არარსებობა პირის გამოსწორებაზე პირდაპირ არ მიუთითებს. ამასთან, რეალურად გამოსწორება პიროვნებაზე დამოკიდებული და არა დანაშაულის კატეგორიაზე. ხანდაზმულობის ვადები კი სწორედ დანაშაულის კატეგორიზაციის მიხედვითაა აგებული და არა პიროვნული ნიშნების მიხედვით. ამდენად, პირის გამოსწორება ხანდაზმულობის არსებობის გამამართლებელ საფუძველად არ გამოდგება.

სამწუხაროდ, ხანდაზმულობის საკითხის კვლევისას საჭირო ყურადღება არ დაეთმო იმას, რომ დამნაშავის გამოსწორებისგან უნდა განვასხვავოთ

²¹ იხ. კელინა ს., *დასახ. ნაშრ.*, 22-23

²² იხ. Скибицкий В. В., *Освобождение от уголовной ответственности и отбывания наказания*, Киев, 1987, 90

²³ იხ. Шаргородский М. Д., *Наказание по советскому уголовному праву*, М., 1958, 179

²⁴ იხ. Соловьев А., *Вопросы применения наказания по советскому уголовному праву*, М., 1958, 184

²⁵ იხ. Смольников В. Е., *Давность в уголовном праве*, М, 1973, 20

²⁶ იხ. Зельдов С., *Соотношение сроков давности привлечения к уголовной ответственности и погашение судимости*, «Советская Юстиция», 1967, №12, 8; Познышев С. В., *Учебник уголовного права*, М. 1923, 276

²⁷ იხ. Дурманов Н. Д., *Давность и погашение судимости*, М, 1939, 3

²⁸ იხ. Саблер В., *О Значении давности в уголовном праве*, М, 1872, 102

გამოსწორების პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც დროის გასვლა, მართალია, პირდაპირ არ ადასტურებს პირის გამოსწორებას, თუმცა იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ აღნიშნული. ვფიქრობთ, ეს იდეა წინანდელთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან აღიარებს ფორმიდან შინაარსზე დედუქციური გადასვლის შეუძლებლობას. ეს დებულება სწორია იმ მხრივ, რომ ასეთი გადასვლა მხოლოდ ინდუქციური შეიძლება იყოს, რაც მხოლოდ ვარაუდის საფუძველს იძლევა. ამასთან, რაც მეტი საფუძველი არსებობს ვარაუდისა (ჩვენს შემთხვევაში ასეთად აღებულია დროის ხანგრძლივობა), მით უფრო სარწმუნო ხასიათს იღებს ეს ვარაუდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კატეგორიულ მტკიცებაში ვერ გადაიზრდება. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ტერმინი „გამოსწორება“ არაერთგვაროვნად გაიგება. მას ხშირად იმაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც მას შეიძლება სისხლის სამართალში ჰქონდეს. ვფიქრობთ, არა ზოგადად გამოსწორების, არამედ სისხლის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ელემენტის: ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებელი დამოკიდებულების ვარაუდი უნდა აფუძნებდეს ხანდაზმულობას.

გამოსწორების თეორიის ძირითადი ნაკლი არის ის, რომ მას პირის გამოსწორება კატეგორიულად გამოჰყავს მხოლოდ ორი წინამძღვრებიდან – დროის განსაზღვრული პერიოდის გასვლიდან და ახალი დანაშაულის არარსებობიდან. სინამდვილეში აღნიშნული გარემოებები არ არის საკმარისი პირის გამოსწორების დასასაბუთებლად. მოცემული მიმართულების განვითარება უნდა ყოფილიყო „სავარაუდო გამოსწორების“ თეორია, თუმცა გამოსწორებისაგან ამ უკანასკნელის განსხვავების წარმოჩენას და ამის საფუძველზე მის მხარდაჭერას ვერც ერთ ავტორთან ვერ შევხვდით. არადა გამოსწორების იდეა, მართალია, საკმარისად დასაბუთებული ვერ იქნა, თუმცა არც ხელაღებით უარსაყოფი დებულებაა, რადგან ის გამოხატავს პირისა და ქმედების ურთიერთდამოკიდებულებას, ასევე სწორედ აქ იმალება ხანდაზმულობის პროცესუალური ბუნების ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. კერძოდ, გამოსწორების დაუსაბუთებლობასთან ერთად საწინააღმდეგოს მტკიცების შეუძლებლობაც სომ ხანდაზმულობის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს? სუბიექტის კეთილსინდისიერების ვარაუდი არის სწორედ ის მარცვალი, რომელიც ხანდაზმულობის თანამედროვე თეორიამ უნდა გამოიყვანოს „გამოსწორების თეორიიდან“. კეთილსინდისიერების ვარაუდი განსაზღვრული დროის განმავლობაში ახალი დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის შემთხვევაში მისაღებია, თუმცა ამისთვის აუცილებელია ასევე აღნიშნული ვარაუდის ჩამოყალიბებისთვის ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის დასაბუთება. წინააღმდეგ შემთხვევაში კეთილსინდისიერების ვარაუდი დამაჯერებლობას მოკლებულია.

გამოსწორების თეორიასთან ახლოსაა ბრალის გამოსყიდვის, იგივე სასჯელის ეკვივალენტურობის თეორია, რომლის წარმომადგენლები არიან კუტურიე და ვან ჰორებეკე, რომელთა მიხედვითაც ხანდაზმულობის საფუძველია დამნაშავის სინდისის ქენჯნა, რაც კრიტიკას ვერ უძლებს იმავე მოტივით, რა მოტივითაც გამოსწორების თეორია. კერძოდ, დროის სვლა ვერ იქნება იმის მტკიცების საფუძველი, რომ პირი ნანობს ჩადენილს. ამ თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა, რომ დამნაშავის მიერ სასჯელის შიშში გატარებული დრო რეალური სასჯელის ეკვივალენტურია, რაც ასევე არ არის დასაბუთებული.

მიუხედავად აღნიშნული თეორიის ხანდაზმულობის ერთადერთ საფუძველად აღიარების უარყოფისა, ის მნიშვნელოვან პროგრესულ მარცვალს შეიცავს. კერძოდ, მისი მეშვეობით ირკვევა, რომ შეიძლება დროის გარკვეული პერიოდის

გასვლის შემდეგ სასჯელი ზედმეტი აღმოჩნდეს, ვინაიდან მისი მიზნები მის გარეშე უკვე მიღწეულია. აღნიშნული პროგრესული მარცვალი კი გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის თანამედროვე თეორიის შემუშავების პროცესში.

ჩეზარე ბეკარია ხანდაზმულობას უკავშირებს დამნაშავეში ზედმეტი გაურკვეველობისგან წარმოშობილ სასტიკ ტანჯვას.²⁹ მცირე დანაშაულის შემთხვევებში ხანდაზმულობამ ბოლო უნდა მოუღოს მოქალაქის გაურკვეველ მდგომარეობას. აღნიშნული მიზეზით არის სავსებით მისაღები ავტორის აზრი, რომ ხანდაზმულობა არის ოქროს ხიდი ხელისუფლების დესპოტიზმსა და ანარქიას შორის.³⁰

კიდევ ერთი თეორია, რომელსაც შეიძლება ფსიქიკის ცვლილების თეორია ვუწოდოთ, გულისხმობს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარეობს ცვლილებები, რის გამოც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტში დამნაშავეს პიროვნება და გარკვეული დროის შემდეგ იგივე ადამიანის პიროვნება განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის გამოც დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი მიემართება დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის პიროვნებას და არა დროის გასვლის შემდეგ დასჯილი პირის პიროვნებას.³¹ ავითარებს რა აღნიშნულ აზრს, მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ დანაშაულსა და სუბიექტს შორის დროთა განმავლობაში ხდება ურთიერთდაცვილება, სუბიექტი თავისი შინაგანი დამოკიდებულებით სცილდება მის მიერვე ჩადენილ ქმედებას და, საბოლოოდ, ურთიერთზეგავლენა ქრება, რის გამოც დანაშაული უკვე არაა სუბიექტის პიროვნების გამომხატველი და პირიქით, სუბიექტი არ განიხილება აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირად. ამას ლოური განასხვავებს გამოსწორებისგან და უწოდებს ღირებულებითი შეფასებისგან თავისუფალ ფსიქიკურ ემანსიპაციას.³² აღნიშნული თეორია ჰგავს გამოსწორების თეორიას კატეგორიული მტკიცების თვალსაზრისით, რის გამოც, მსგავსი იქნება მისი უარყოფის საფუძველიც. ამ თეორიის მიხედვით, დრო ადამიანზე მოქმედებს, რაც სწორია, მაგრამ, ვერ დავეთანხმებით მტკიცებას, რომ ის მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე სწორედ იმ მოვლენებზე, რომლებმაც ხელი შეუწყო ქმედების ჩადენას.* ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები უცხო თვალისთვის მიუწვდომელია. ქმედებებიდან ან ქმედებისგან თავის შეკავებიდან შინაგან სამყაროში კონკრეტული მიმართულებით მიმდინარე ცვლილებებზე კატეგორიული უკუდასკვნა შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს თეორიაც, წინამორბედებთან შედარებით, თუმცა პროგრესული, მაგრამ მაინც არასრულყოფილია და ხარვეზების შემცველი. ამასთან, ქმედებისა და სუბიექტის ურთიერთკავშირის გაქრობა საყურადღებო მომენტი.

²⁹ იხ. ხუცურაული ი., *ჩეზარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის*, თბ., 1999, 101-104

³⁰ იქვე, 151-155

³¹ აღნიშნულის შესახებ იხილეთ შტეფან ციმერმანის *დასახ. ნაშრ.*, 32-33. ავტორი აღნიშნულ იდეას პოულტობს მე-XIX საუკუნის ბოლოსა და მე-XX საუკუნის დასაწყისის ავტორებთან: Lammensch, *Gutachten ueber die Frage: Soll zur Verjährung der Strafverfolgung der blosse Ablauf einer gesetzlich bestimmten Zeit seit Verübung der Straftat genügen oder soll diese Verjährung auch noch an andere Bedingungen geknüpft werden?* in: Verhandlungen des 24. Deutschen Juristentages, Zweiter Band, Berlin, 1897, 119; Lourie S., *Die Kriminalverjährung*, Breslau, 1914, 46

³² აღნიშნულის შესახებ იხილეთ ციმერმანი შ., *დასახ. ნაშრ.*, 33

* ცნობილია, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას განაპირობებს გარეშე და შინაგანი პროცესები. ამიტომ თუ ადამიანმა დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაიდინა, ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ შინაგანი ცვლილებების გამოა. სავსებით შესაძლებელია, აღნიშნულის მიზეზი იყოს გარეშე პირობების არარსებობა და შინაგანი პროცესები არ იყოს შეცვლილი.

როგორც უკვე დავრწმუნდით, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი თეორიების ნაკლისა, მათში არის რაციონალური მარცვალი, კერძოდ, ისინი სწორად შენიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში პირი შეიძლება გამოსწორდეს, შეიძლება ამ ხნის განმავლობაში განცდილი ტანჯვა სასჯელზე უფრო მძიმე იყოს, სუბიექტის პიროვნება დასცილდეს ქმედებას. აღნიშნული აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ხანდაზმულობის თანამედროვე თეორიაში იმ დათქმით, რომ აქ საქმე არა გვაქვს სუბიექტში მიმდინარე პროცესების კატეგორიულ მტკიცებასთან, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი ავტორები ასკენიან. ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენის შეუძლებლობის კონცეპცია, თუმცა ქმედებისა და მისი ჩამდენის დამოკიდებულებაში მიმდინარე ცვლილებები არ არის საკმარისი ხანდაზმულობის ასახსნელად.

1.1.3.13. საზოგადოების დამოკიდებულებასთან დაკავშირებული თეორიები

გერმანიაში ჩამოყალიბდა ქმედების სუბიექტისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების თეორია, რომელსაც „გაწონასწორების თეორია“ შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნული თეორიის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით პირი არღვევს მის და საზოგადოების სხვა წევრების უფლებებს შორის წონასწორობას, რომლის აღდგენის საშუალებაც არის სასჯელი. მაგრამ იგივე ფუნქციის შესრულება შეუძლია დროს, ვინაიდან ქმედების სუბიექტის მომავალი ქცევები იკავებს დანაშაულის ადგილს და ახლებურად წყვეტს წონასწორობის საკითხს. ამრიგად, მისი მართლზომიერი ქმედებების შედეგად დანაშაული აქტუალობას კარგავს, ვერ გამოხატავს ამჟამად არსებულ წონასწორობას, რის გამოც სასჯელი გაწონასწორებისთვის უკვე აუცილებელი არაა. მსგავს პოზიციას იცავს მერკელი,³³ რომლის მიხედვითაც დანაშაული დროთა განმავლობაში კარგავს ფსიქიკურ გავლენას დამნაშავეზე და საზოგადოებაზე, რის გამოც დანაშაული უკვე ისტორიის კუთვნილება ხდება. ამის გამო სასჯელი კარგავს ობიექტს. მიუხედავად იმისა, რომ „გაწონასწორების თეორიას“ სრულად არ ვეთანხმებით, ვფიქრობთ, ის, „დანაშაულის დაძლევის თეორიასთან“ ერთად, მნიშვნელოვან დადებით მომენტებს შეიცავს იმ გაგებით, რომ ქმედება დროთა განმავლობაში არ გვევლინება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გავლენის მომხდენ მოვლენად. აღნიშნული დებულება, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ხანდაზმულობის არსებობის გამართლების ობიექტურ საფუძველს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საზოგადოების დანაშაულისადმი თუ დამნაშავისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქმედების დასჯადობაზე საერთოდ, სასჯელის ზომის განსაზღვრაზე და ასევე სასჯელისგან გათავისუფლებაზე, მათ შორის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამიტომ, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოების დამოკიდებულებას ქმედებისა და მისი ჩამდენისადმი ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრისას. როგორც ცნობილია, საზოგადოების დამოკიდებულება ქმედებისადმი უნდა გამოვლინდეს დანაშაულთა

³³ აღნიშნული თეორიის მიმოხილვა იხილეთ შ. ციმერმანის დასახელებულ ნაშრომში, 34. ორიგინალში აღნიშნულ აზრს შეგიძლიათ გაეცნოთ ნაშრომში: Merkel A., *Lehrbuch des deutschen Strafrecht*, Stuttgart, 1889, 243f

კატეგორიზაციაში. ამიტომ დანაშაულთა კატეგორიზაციის და პასუხისმგებლობის ზომის გათვალისწინებას ხანდაზმულობის ვადის გასაზღვრისას შესაბამისი როლი უნდა მიენიჭოს. სწორედ ამაში ვლინდება საზოგადოების მნიშვნელობა ხანდაზმულობის დაფუძნების საქმეში. ამდენად, არა ტრადიციული მიმართულებით, თუმცა საზოგადოების, როგორც ხანდაზმულობის ცნების დამფუძნებელი და მისი ვადების განმსაზღვრელი ელემენტის მნიშვნელობა განსაზღვრული დოზით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის თანამედროვე თეორიაში.

1.1.3.14. სხვა თეორიები

ზემოთ უკვე ნახსენების გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე შეხედულება, რომლებიც ასევე უნდა განვიხილოთ. მაგალითად, აბეგი სამართლიანად მიუთითებს ხანდაზმულობის დანიშნულებაზე, ქმედების სუბიექტი წაახალისოს, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაულებრივი ქმედება. მაგრამ მხოლოდ აღნიშნული ვერ იქნება მიჩნეული ხანდაზმულობის არსებობის გამამართლებელ საფუძველად, რის გამოც აღნიშნული დებულება კრიტიკის საგანი გახდა შვარცეს, საბლერის მხრიდან,³⁴ რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქმედების სუბიექტის დაუსჯელობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ახალი დანაშაულის წახალისება. ამიტომ მხოლოდ აბეგის მიერ მითითებულ საფუძველზე ხანდაზმულობის დაფუძნება არასწორი იქნება, თუმცა ვერ უარყოფთ, რომ ხანდაზმულობას მართლაც აქვს კერძო პრევენციის ფუნქცია.

არის თეორიები, რომლებიც ხანდაზმულობას სისხლის სამართალში ხსნიან კერძო სამართლის ანალოგიურად.³⁵ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობას წესრიგის შენარჩუნებისა და კერძო პირთა უფლებების დაცვის ფუნქცია აქვს. მის საფუძველზე, გარკვეული დროის მანძილზე თავისი უფლების განუხორციელებლობა პირს ართმევს ამ უფლებას. ეს მოსაზრება სისხლის სამართალში არ შეიძლება გამოვიყენოთ, რადგან სახელმწიფოს სასჯელის უფლება საზოგადოების მიერ აქვს მინიჭებული გარკვეული მიზნის მისაღწევად, შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები, რის გამოც ისინი, კერძო პირებისაგან განსხვავებით, თვითნებურად ვერ იტყვიან უარს სასჯელის გამოყენებაზე. ამიტომ საკუთარი ნებით რაიმე უფლებაზე უარის თქმა ვერ გახდება სისხლის სამართალში ხანდაზმულობის არსებობის გამართლების საფუძველი.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია გერმანელ მეცნიერებში არის ე.წ. დროის დაუძღვევლი ძალის თეორია, რომლის მიხედვითაც დროის სვლა არაფერს ინდობს, ყველაფერი ემორჩილება მის ძალას, მათ შორის პირისადმი პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის აღსრულება.³⁶ ეს თეორია ცდილობს ხანდაზმულობა დააფუძნოს დროის ბუნდოვან ძალაზე, რომელიც გაურკვეველია, საიდან მოდის, რის საფუძველზე ჩნდება, რა შედეგების გამოწვევა შეუძლია... მისი მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი შეიძლება მარტივად დროის სვლას მიეწეროს, თუმცა ამის გამო ეს თეორია

³⁴ აბეგის, შვარცესა და XIX საუკუნუს სხვა გერმანელი კრიმინალისტების მოსაზრებები ისევე, როგორც მათი კრიტიკა იხილეთ ნაშრომში: საბლერი ვ., დასახ. ნაშრ., 111

³⁵ იქვე, 117;

³⁶ ამ თეორიას იზიარებენ კოსტლინი, აბეგი, შვარცე, დამბახი და სხვები. აღნიშნული თეორიის ანალიზი იხილეთ ვ. საბლერის ნაშრომში, 122-126

მეცნიერულ ღირებულებას კარგავს. სასჯელისგან გათავისუფლებას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მოვლენას, აქვს კონკრეტული მიზეზი, რისი დადგენისგან თავის შეკავება უპატიებელი მეცნიერული შეცდომაა. დროის სვლის მიღმა სინამდვილეში მოვლენებში მიმდინარე ცვლილებები იმალება, რასაც აღნიშნავს კიდევ ვ. საბლერი.³⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, სიმარტივის გამო მიმზიდველობის მიუხედავად, აღნიშნული შეხედულება უნდა უარყოფთ.

ცალკე გამოყოფას იმსახურებს პ. მშვენიერადის შეხედულება. ავტორი ხანდაზმულობის დამაფუძნებელ ძალად სასჯელის მიზანშეუწონლობას ასახელებს.³⁸ ჩვენ აღნიშნულ დებულებას ვეთანხმებით, თუმცა მივიჩნევთ, რომ სასჯელის მიზანშეუწონლობის საფუძვლები არ არის ისე აშკარა, რომ სპეციალურ განხილვას არ მოითხოვდეს. ამიტომაც ხანდაზმულობის პრობლემის მოგვარება მხოლოდ სასჯელის მიზანშეუწონლობაზე მითითებით შეუძლებელია. აქ პრობლემა კი არ მთავრდება, პირიქით, იწყება, რადგან მაინც გაუგებარი რჩება, თუ რა აფუძნებს ხანდაზმულობას. აუცილებელია მითითება იმაზე, თუ რატომაა სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელი. აღნიშნულში ჩაღრმავებას კი მივყავართ ისევე იმ თეორიებამდე, რომლებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ.

ყურადღებას იმსახურებს ვ. საბლერის მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი,³⁹ რომლის მიხედვითაც გრძელვადიანი ხანდაზმულობის საფუძველია სამართლიანობა, ხოლო მოკლევადიანისა - სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება მიუღებლად ჩაითვალოს, ის ვერ გასცდა ზედაპირულობის იმ თვისებას, რომელსაც თვითონ ავტორი აკრიტიკებდა სხვა თეორიებში. ზოგადად სამართლიანობის მიღწევისათვის არის შექმნილი სამართლის ყველა აუცილებელი ინსტიტუტი თუ ცნება, მაგრამ ეს მათი არსებობის კონკრეტულ საფუძვლებს არ ხსნის. სამართლიანობა უზოგადესი ცნებაა, კატეგორიაა, რომელზე დაყრდნობითაც ვერ ავსხნით ხანდაზმულობის არსებობის საფუძველს. ის, რომ ხანდაზმულობის არსებობა სამართლიანობის მოთხოვნაა, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს კოდექსში, მაგრამ მის არსებობას უფრო კონკრეტული საფუძვლების ძიება სჭირდება. იგივე შეიძლება ითქვას სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, რომლითაც ხსნის ვ. საბლერი მოკლევადიან ხანდაზმულობას. სისხლის სამართლის პოლიტიკა რაღაცას ეყრდნობა, თვითნებური არ არის. ის სწორედ სამართლიანობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. ამ ლოგიკით, მოკლევადიანი ხანდაზმულობაც სამართლიანობის მოთხოვნა უნდა იყოს და ეს არც იქნება გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სისხლის სამართალში სასჯელთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყველა ცნება უნდა ემორჩილებოდეს სამართლიანობის ზოგად პრინციპს. აღნიშნულის გამო, უნდა ითქვას, რომ ვ. საბლერის თეორია სათანადოდ ვერ ხსნის ხანდაზმულობის აუცილებლობას.

საინტერესოა აზრი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობა ახსნილია იმ ფაქტით, რომ სასჯელის მიზნები უკვე მიღწეულია, ან მათი მიღწევა შეუძლებელია. ეს შეხედულება, ერთი შეხედვით, თითქოს ელემენტარულ ჭეშმარიტებას შეიცავს, თუმცა, ისევე ზოგადი და ბუნდოვანია, როგორც იყო სამართლიანობის ან დროის ყოველისმომცველი ძალის თეორია. ამიტომ ეს, ერთი შეხედვით, მარტივი და სწორი შეხედულება სინამდვილეში დაზუსტებას

³⁷ იქვე

³⁸ იხ. პ. მშვენიერადის ნაშრომი, 74

³⁹ იხ. ვ. საბლერი, დასახ. ნაშრ., 150-175

და შესწორებას მოითხოვს. კერძოდ, უნდა გაირკვეს, რატომ არის მიზნები უკვე მიღწეული ან მათი მიღწევა შეუძლებელი, რა ცვლილებები მოხდა დროის განმავლობაში და რას მიემართება ეს ცვლილებები, არის თუ არა ისინი ისეთი მნიშვნელობის, რომ შეუძლია შეცვალოს პირის სტატუსი, მიანიჭოს მას ხელშეუხებლობის გარანტია დროის გასვლის შემდეგ. აღნიშნული საკითხების დაზუსტების გარეშე ხანდაზმულობის პრობლემა გადაჭრილად ვერ ჩაითვლება.

ცალკე მსჯელობას იმსახურებს ი. ლისტოკინის თეორია. ის ეყრდნობა სასჯელის მიზნის მიღწევის ეფექტურობის ხარისხისა და სასჯელის ეკონომიკური დანახარჯების შედარების საფუძველზე ხანდაზმულობის, როგორც არაეფექტური და ზარალიანი სასჯელის გამომრიცხველი საშუალების გამართლებას. ეს თეორია შეიძლება მონათლოს, როგორც „მაქსიმალური სარგებლის ეკონომიკური თეორია“. მის საფუძველში დევს დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტის მიერ, საზოგადოებასთან შედარებით, წინასწარ მომავლის უფრო მცირე მონაკვეთის გათვალისწინება, რის გამოც დროის ამ მონაკვეთის გასვლის შემდგომ დანაშაულის პრევენციის მიზნის მიღწევისთვის სასჯელის ძვირადღირებული ღონისძიების გამოყენება არაეფექტურია. ავტორის აზრით, საზოგადოება განსაზღვრავს სასჯელის ზომას სასჯელის მიზნისა და სასჯელის ეკონომიკური დანახარჯების ოპტიმალური ბალანსის მიხედვით. ამიტომ, თუ, მაგალითად, ქმედების სუბიექტი მომავალს გათვლის 5 წლის მასშტაბით, ანუ, მისთვის მთავარია, ამ 5 წლის განმავლობაში ისარგებლოს დანაშაულის შედეგებით და ამ დროის განმავლობაში არ მოჰყვეს მის ქმედებას უარყოფითი შედეგები, მაშინ 5 წლის მერე მისი დასჯა ზოგადი და კერძო პრევენციის მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან მან უკვე დაიკმაყოფილა თავისი დანაშაულებრივი მოთხოვნილება. ამასთან, საზოგადოებას გამოთვლილი აქვს 5 წლის განმავლობაში სასჯელის ეკონომიკური დანახარჯების ოპტიმალური ოდენობა, რაც გათვლილია ქმედების ჩადენიდან მოკლე დროში მის გამოყენებაზე, ხოლო ხანგრძლივი დროის შემდეგ ეს სასჯელი არაეფექტური ხდება და მხოლოდ ზედმეტ დანახარჯებს წარმოადგენს.⁴⁰

აღნიშნული თეორია მეტად მნიშვნელოვან მომენტებს უსვამს ხაზს, რაც თავისებურად ხსნის სასჯელის მიზანშეუწონლობას. ესაა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მიდრეკილ ადამიანთა მიერ შორეული მომავლის განჭვრეტის და აღნიშნულის შესაბამისად მოქმედების უუნარობა და დანაშაულებრივი ქმედების წინასწარ გათვლილი შედეგების მიღებით სუბიექტის დანაშაულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. თუმცა საკითხავია, რამდენად არის შესაძლებელი იმის გამოთვლა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ სუბიექტს რამდენად უღირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, რა სარგებელი მოაქვს მისთვის მას. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენება რთული იქნება გაუფრთხილებელ დანაშაულებზე, სპონტანურად წარმოშობილი განზრახვით ჩადენილ ქმედებებზე, სადაც სუბიექტს წინასწარ არ უწარმოებია გათვლა, თუ რა შედეგს მიიღებდა ქმედებისაგან და რამდენად უღირდა მას მისი ჩადენა. ამიტომ, ვფიქრობთ, აღნიშნული შეხედულება მიესადაგება დანაშაულთა მხოლოდ ცალკეულ სახეებს და არა ყველა მათგანს. ხანდაზმულობა კი ყველა დანაშაულზე ვრცელდება (არსებული გამონაკლისები ამ შემთხვევაში სურათს არ ცვლის). ასევე, კრიმინოლოგიური მონაცემები, რომელსაც ეს თეორია ეყრდნობა, არის

⁴⁰ იხ. Listokin Y. and Princeton University, *Efficient Time Bars: A New Rationale for the Existence of Statutes of Limitations in Criminal Law*, The Journal of Legal Studies, The University of Chicago, January, 2002, №31, 99-102

ინდუქციური დასკვნების შედეგად მიღებული, რის გამოც ისინი სააღბათო დასკვნებია და ვერ მოიცავს ყველა კონკრეტულ შემთხვევას. ესეც რომ არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, რომ სასამართლოს ან კანონმდებელს აქვს რაიმე ბერკეტი იმის ზუსტად განსაზღვრისათვის, თუ რომელი კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტი აწარმოებს მომავლის გათვლას 5 წელზე, რომელი 4 წელზე და ა. შ. და, საერთოდ, არის კი მომავლის გათვლა დამოკიდებული დანაშაულის კატეგორიაზე თუ ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებზე?

ამასთან, მოცემულ ნაშრომში აქტუალურია სასჯელის მიზნისა და მისი მიღწევისთვის გადებული დანახარჯების თანაფარდობის პრობლემა. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ სასჯელის ეფექტიანობა ქმედებისგან მიღებული სარგებლის ეკონომიკური კრიტერიუმებით ყოველთვის ვერ გაიზომება. მაგალითად, გაუგებარია, რომელიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში სუბიექტის მიერ სასჯელისგან მიღებული დანაკლისი რატომ უნდა იყოს, ვთქვათ, 10000, 12000 ან 15000 დოლარი⁴¹ მაშინ, როცა ეს თანხა ინდივიდუალურია ყველასთვის იმის მიხედვით, რა სტატუსი უჭირავს საზოგადოებაში, რა შემოსავალი აქვს, რა პერსპექტივა და ა. შ. ამასთან, საეჭვოა ყველა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის წინ აწარმოებდეს სუბიექტი იმ რთულ მათემატიკურ გამოთვლებს, რასაც ავტორი საფუძვლად უდებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

ი. ლისტოკინის თეორიაში არადამაჯერებელია ასევე საზოგადოების მიერ მომავლის გათვალისწინების ზუსტი რიცხვის გამოთვლა. ასევე გაუმართლებლად გვეჩვენება ამა თუ იმ კატეგორიის დანაშაულთა მიერ მიყენებული ზიანის ზუსტად კონკრეტული თანხით განსაზღვრა კონკრეტული დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, რატომ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ნაკლებად მძიმე დანაშაული იწვევს 2000 დოლარის ზიანს ან ყველა მძიმე დანაშაული იწვევს 10000 დოლარის ზიანს ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული იწვევს 1000000 დოლარის ზიანს?⁴² ეს ხომ აბსურდული დაშვებაა, რომელსაც მეცნიერული საფუძველი არა აქვს? აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს მეტად საინტერესო ფაქტთან. აქამდე ქართული სისხლის სამართლისათვის ცნობილი იყო ფსიქოლოგიზმი, სოციოლოგიზმი. ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა სოციოლოგია და ფსიქოლოგია ზედმეტად იჭრება სისხლის სამართალში, ცდილობს მოაწესრიგოს ის სისხლისსამართლებრივი პრობლემები, რომელთა მოწესრიგება მის ფარგლებს სცილდება. ამ შემთხვევას კი შეიძლება ვუწოდოთ „ეკონომიზმი“ სისხლის სამართალში, როცა გაუმართლებელი ეკონომიკური მეთოდებით ცდილობენ ახსნან სისხლისსამართლებრივი ცნებები. სისხლის სამართლის სპეციფიკა ისაა, რომ ამ დარგში ყველაფერს მატერიალური ეკვივალენტი არ აქვს, რის გამოც არის ცნებები, რომლებსაც ეკონომიკურ გამოთვლებს ვერ დაუყვავშირებთ. ერთ-ერთი ასეთი ცნებაა ხანდაზმულობა. ამასთან, ავტორის მიერ მიღებული ხანდაზმულობის ოპტიმალური ვადები მოითხოვს დანაშაულთა დამატებით კლასიფიკაციას ერთი კატეგორიის შეგნით. ეს ასეა, რადგან ერთი კატეგორიის დანაშაულთათვის სხვადასხვა შემთხვევაში ავტორი გვთავაზობს ხანდაზმულობის 7 ვადას.⁴³ ყოველივე ამის გამო მოცემული თეორია ხანდაზმულობის დამაფუძნებელ ერთადერთ საფუძვლად არ გამოდგება.

⁴¹ იქვე, 101-103, 107

⁴² იქვე, 107-108

⁴³ იქვე, 108-113

მიუხედავად აღნიშნული თეორიის ნაკლოვანებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ სწორი პოზიციებიც არის განვითარებული. კერძოდ, რომ დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტის მიერ მომავლის განსხვავებულად გათვლა მიანიშნებს იმაზე, რომ ოპტიმალური სასჯელი ყოველთვის არ არის მაქსიმალური სასჯელი, რის გამოც მცდარია ხანდაზმულობის ვადების აგება სასჯელის მაქსიმუმის მიხედვით.⁴⁴ ასევე აღსანიშნავია ავტორის დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადები უნდა აიგოს მიყენებული ზიანის ოდენობისა და სასჯელის ზომის მიხედვით. მართალია, ჩვენ ვეთანხმებით ხანდაზმულობის ვადის ზრდას ამა თუ იმ დანაშაულის მიერ გამოწვეული ზიანის მიხედვით, რასაც ავტორი ამტკიცებს, თუმცა ეს დებულება არ გამომდინარეობს ხანდაზმულობის გამართლების ეკონომიკური საფუძვლებიდან. კერძოდ, თუ ხანდაზმულობას ამართლებს სუბიექტის მიერ მომავლის გათვლისა და საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯების თანაფარდობა, მაშინ რა შუაშია აქ დანაშაულისაგან მიყენებული ზიანი და რატომ უნდა განსაზღვროს მან ხანდაზმულობის ვადა? ეს დებულება ავტორის კონცეფციიდან ამოვარდნილი ჩანს.⁴⁵ აღნიშნულის საპირისპიროდ, ავტორის პოზიცია ლოგიკურად გამომდინარეობს მის მიერ შემოთავაზებული წინამძღვრებიდან, როცა ის ამბობს, რომ ხანდაზმულობის ვადა მით უფრო ნაკლები უნდა იყოს, მომავლის რაც უფრო ნაკლებ მონაკვეთზე აკეთებს სუბიექტი გათვლას და მით უფრო მეტი, რაც უფრო მეტი ზიანი ადგება მსჯავრდებულს სასჯელით.⁴⁶ ამასთან, ავტორი ეხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებასა და ვადის გაგრძელებას და ამბობს, რომ დაუშვებელია ვადის შეჩერება ან გაგრძელება თვითნებურად, შესაბამისი გათვლების გარეშე. ასეთ თვითნებურ აქტად მიიჩნია ხანდაზმულობის შეჩერება მცირეწლოვანთა წინააღმდეგ სექსუალური დანაშაულების შემთხვევაში დაზარალებულის სრულწლოვანების მიღწევამდე. რაც შეეხება განგრძობად დანაშაულებს, ამ შემთხვევებში შემდგომი ქმედება ხანდაზმულობის ვადას წყვეტს და ამ გზით ხდება დანაშაულის გაგრძელებაზე ხელის აღების წახალისება.⁴⁷ ეს უკანასკნელი დებულებები აღნიშნული თეორიის პროგრესულ მარცვლებად მიგვაჩნია, რის გამოც მათი განვითარება აუცილებელია, თუმცა პრინციპულად მიუღებელია დებულება, რომ დასჯა მხოლოდ ოპტიმალური დანახარჯებისას არის ეფექტური, ვინაიდან პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი მოხდა სახელმწიფოს შეიძლება იმაზე ძვირი დაუჯდეს, ვიდრე ოპტიმალურ შემთხვევაში იქნებოდა, თუმცა ის მაინც შეასრულებს თავის როლს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში.

ხანდაზმულობის სისხლისსამართლებრივი თეორიების განხილვის დასასრულ უნდა შევეხოთ ფ. კალველი-ადორნოს შეხედულებას, რომელიც საკვებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ხანდაზმულობის დაფუძნების საკითხი ვადის სახელწიფოსა და ქმედების ჩამდენის ინტერესების დაბალანსებაზე.⁴⁸ მოცემული დებულება საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსზე მიგვითითებს და ხანდაზმულობას წარმოადგენს, როგორც აღნიშნული ბალანსის შედეგს.⁴⁹ მოცემული დებულება გასაზიარებელია და შემდგომ გადრმაგებას საჭიროებს.

44 იქვე

45 იქვე, 106-107

46 იქვე

47 იქვე, 115-116

48 იხ. Calvelli-Adorno F., *Die Verlaengerung der Verjaehrungsfrist fuer die Strafverfolgung von Verbrechen, die mit lebenslangem zuchthaus bedroht sind*; NJW, 18. Jahrgang – 1. Halbband, 1965, 273-276

49 აღნიშნულ ბალანსზე საუბრობს ი. ლისტოკინიც დასახელებულ ნაშრომში, გვ. 99-101, 103-

105

1.1.3. პროცესუალური თეორიები

მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი ხანდაზმულობის მატერიალურსამართლებრივი დაფუძნების მცდელობებიდან და მისი ლეგიტიმაციის ძიება პროცესუალურ მიზეზებში დაიწყო. კერძოდ, დროთა განმავლობაში მტკიცებულებები იკარგება, რის გამოც შეუძლებელი ხდება რეალური სურათის სრულად აღდგენა.⁵⁰ ხანდაზმულობის ორივე სახეს – პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამომრიცხველ ხანდაზმულობას პროცესუალურ სამართალს მიაკუთვნებს ჰერმან ბლაი,⁵¹ ხანდაზმულობის პროცესუალურ ბუნებაზე საუბრობენ ი. ბაუმიანი და უ. ვებერი.⁵² უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თეორია არ არის უსაფუძვლო იმ ნაწილში, რომ ის ხანდაზმულობის საფუძვლებს მტკიცებულებებს უკავშირებს, თუმცა ცდებიან მოცემული ავტორები, როცა დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მიაწინებენ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიზეზი სისხლის სამართალში სამოქალაქო სამართლიდან პირდაპირაა ნასესხები, რაც დაუშვებელია. სისხლის სამართლის პროცესის თანამედროვე ეტაპზე ეს მიზეზი არ შეიძლება ხანდაზმულობას დაედოს საფუძვლად, ვინაიდან დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობას ან არასაკმარისობას უნდა მოჰყვეს პირის გამართლება, რა დროსაც ხანდაზმულობის არსებობას აზრი ეკარგება. რაც შეეხება პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების არჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებების დაკარგვას, აღნიშნული საკითხი დღეს თეორიულად ნაკლებად აქტუალურია, ვინაიდან ბრალდების მიერ საკმარისი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში პირი მაინც უნდა გამართლდეს. ეს ასეც რომ არ იყოს, ხანდაზმულობის დაფუძნებას მტკიცებულებების დაკარგვაზე ეწინააღმდეგება ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება დანაშაულთა კატეგორიების და არა მტკიცებულებათა ხასიათის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული თეორია ვერ ჩაითვლება სრულად მისაღებად.

ახლოსმდგომი მოსაზრების მიხედვით, ხანდაზმულობა გამართლებულია საპროცესო მოქმედებების ეკონომიის პრინციპით.⁵³ მართალია, აღნიშნული შეხედულებაც მისაღებია, თუმცა გასათვალისწინებელია მისი უარყოფითი მხარეები, რომლებიც მოცემულია შეარცესთან, საბლერთან რამდენიმე საფუძვლით: 1. მტკიცებულებების არარსებობა არ აუარესებს დაცვის მხარის პოზიციას, 2. ეს თეორია ვერ ხსნის მოკლევადიან ხანდაზმულობას, 3. ვერ ხსნის ასევე ვადების დიფერენციაციის კრიტერიუმს.⁵⁴ ამასთან, ეს მოსაზრება უგულებელყოფს სასჯელის მიზნებისადმი ხანდაზმულობის, როგორც სასჯელისაგან გამათავისუფლებელი და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების მიმართებას. აღნიშნულის გამო პროცესის ეკონომია გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრებაში, თუმცა

⁵⁰ იხ. Jescheck H-H, *Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil*, 4. Aufl., Berlin, 1988, 812f; Maurach / Gössel / Zipf, *Strafrecht AT 2*, §75/13; Roxin, *Strafrecht AT I*, 4. Aufl., 2006, §23/57

⁵¹ იხ. Blei H., *Strafrecht I, AT*, 18. Aufl., München, verlag C. H. Beck, 1983, 420

⁵² იხ. Baumann J., Weber U., *Strafrecht, AT*, 9. Aufl., verlag Ernst und Werner Giesing Bielefeld, 1985, §12 I 2, 12 II 2

⁵³ იხ. Bemann G., *Zur Frage der nachträglichen Verlängerung der Strafverfolgungsverjährung*, JuS 1965, 333 (338); Klug U., *Die Verpflichtung des Rechtsstaats zur Verjährungsverlängerung*, JZ 1965, 149 (152)

⁵⁴ იხ. საბლერი ვ., 112-115

ის არ არის ძირითადი საფუძველი ხანდაზმულობის არსებობისა, არამედ უფრო შედეგი მისი მოქმედების.

მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალურ თეორიებს აქვთ თავისი დადებითი მხარე: ყურადღების გადატანა მტკიცებულებების არარსებობაზე. აღნიშნული დებულება გასაზიარებელია და ხანდაზმულობის შესახებ თეორიაში გამოსაყენებელი, თუმცა, სამწუხაროდ, მეცნიერები ამ აზრს სრულიად სხვა მიმართულებით ავითარებდნენ, კერძოდ მას უკავშირებდნენ დანაშაულის დადასტურებას, რაც არ არის სწორი. სინამდვილეში საუბარი შეიძლება იყოს ქმედების ჩამდენის ქმედებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების დამადასტურებელ მტკიცებულებაზე. რის გარეშეც შეუძლებელია სამართლიანი, სასჯელის მიზნების შესაბამისი სასჯელის დანიშნვა.

1.1.3. შერეული თეორიები

ხანდაზმულობის არსებობის გამართლების მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალური თეორიების ნაკლოვანებაში დარწმუნების შემდეგ მეცნიერებმა სცადეს ორივე მიმართულებისთვის დამახასიათებელი მისაღები დებულებების შესამება. ამ თეორიებს შერეული თეორიები ეწოდებათ. ერთ-ერთი ასეთი თეორია ჩამოაყალიბა ა. ლოხვიციკიმ,⁵⁵ რომელმაც მანამდე არსებული რამდენიმე თეორია შეკრიბა და ხანდაზმულობის საფუძველად აღიარა პროცესის ჩატარების სირთულე, საზოგადოების მიერ დანაშაულის დაეწევა, დანაშაულის მიერ განცდილი ტანჯვისა და სასჯელის ეკვივალენტობა, სახელმწიფოს მიერ სასჯელის გამოყენების უფლებამოსილებაზე უარის თქმა მის მიერ დიდი ხნის განმავლობაში მისი გამოუყენებლობის გამო, სასჯელის მიზანშეუწონლობა.

სანამ ა. ლოხვიციკის თეორიას კრიტიკულად განვიხილავდეთ, უნდა ითქვას, რომ მას სწორი პოზიცია უჭირავს, როცა ცდილობს, შეახამოს ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრების წიადში შექმნილი თეორიები, გააერთიანოს პროცესუალური და მატერიალური ბუნება, მაგრამ ეს შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ ვღებულობთ ერთიანი სტრუქტურის მქონე, ლოგიკურად შეთანხმებულ თეორიას. თუ ამის მაგივრად ეკლექტურად დალაგებული მოსაზრებები შეგვრჩა, უნდა ჩავთვალოთ, რომ მიზანი არ არის მიღწეული. რაც შეეხება მითითებული ავტორის შეხედულებას, ის თავშივე არასწორ საფუძველზე დგას, კერძოდ, უთითებს რა პროცესის გამართვის სირთულეზე, როგორც ხანდაზმულობის დამაფუძნებელ ერთ-ერთ გარემოებაზე, მას ავიწყდება, რომ სხვადასხვა სახის დანაშაულების დამადასტურებელი მტკიცებულებები ერთდროულად არ ქრება განსაზღვრული დროის გასვლით დანაშაულის კატეგორიების მიხედვით. ა. ლოხვიციკის თეორიით შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ უნდა ვთქვათ მტკიცებულებათა გაქრობის შიშით უარი გამოძიებაზე თავიდანვე. ჯერ ერთი, ხომ შეიძლება, მტკიცებულება არ აღმოჩნდეს გამქრალი? მეორეც, თუ აღმოჩნდება, რომ დანაშაული არ

⁵⁵ აღნიშნული ავტორის შეხედულება განხილულია პ. შშენიერაძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 54. ორიგინალში შეგიძლიათ იხილოთ Лохвицкий А., *Курс русского уголовного права*, С.-П., 1867, 269

დასტურდება, პირი გამართლდება და ამით მორჩება ყველაფერი. რა საჭიროა აქ ხანდაზმულობის არსებობა?

რაც შეეხება საზოგადოების მიერ დანაშაულის დავიწყებას, არც ეს დებულებაა გასაზიარებელი, ვინაიდან არის ისეთი დანაშაულები, რომლის შესახებ ცნობილი ხდება დიდი ხნის შემდეგ, რის გამოც მათ დავიწყებას ამ ხნის მანძილზე საზოგადოება ვერც ასწრებს.

სუბიექტის მიერ განცდილი ტანჯვის შესახებ მოსაზრება არ არის დასაბუთებული.

არ შეიძლება, სახელმწიფოს მიერ დიდი ხნის მანძილზე სასჯელის გამოუყენებლობა მივიჩნიოთ მის მიერ უფლებაზე უარის თქმად. ამიტომ სასჯელის უფლებაზე უარის დებულებას ვერ გავიზიარებთ.

ა. ლოხვიცკის თეორია იმიტომაცაა უარსაყოფი, რომ მასში დებულებების ლოგიკური მწყობრი შეხამება არ არის. ისინი თანმიმდევრულად კი არ მისდევს ერთმანეთს და ერთურთისგან კი არ გამომდინარეობს, არამედ უბრალოდ უსისტემოდ არის ერთმანეთს მიწყობილი, რაც ეკლექტიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კიდევ ერთი შერეული თეორია შემოგვთავაზეს გ. სპასოვინმა, ე. ნემიროვსკიმ,⁵⁶ რომელთა მიხედვით, დანაშაულით გამოწვეული საზოგადოებრივი აღშფოთება უკვე მიწყნარდა, დამნაშავე გამოსწორდა და არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის საშიშროებას, ამასთან, შეცდომის დაშვებას სჯობია გასამართლებაზე უარის თქმა. საზოგადოებრივი აღშფოთების მიწყნარებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მას, რა თქმა უნდა, მიემართება ყველა ის შენიშვნა, რაც საზოგადოების მიერ დანაშაულის დავიწყებაზე გამოითქვა. ამასთან ერთად, აღნიშნული დებულებით შეუძლებელია ხანდაზმულობის შეჩერების ახსნა. პირის გამოსწორებას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ დროის გასვლის სუბიექტის გამოსწორებასთან დაკავშირება საკითხის მარტივად გადაჭრის მცდელობაა მხოლოდ და მეტი არაფერი. ამიტომაც ვერ მივიჩნევთ ამ დებულებას მისაღებად.

შეცდომის დაშვებასთან დაკავშირებით შეიძლება იგივეს გამოვთქვათ, რაც ითქვა პროცესის გამართვის (თუ გამოძიების წარმოების) სირთულის დებულების გარშემო: თუ მტკიცებულებები არ არის საკმარისი, პირი უნდა გამართლდეს, ხოლო თუ საკმარისია, მაშინ შეცდომაზე საუბარი არ გვიწევს. ამ ვითარებაში რატომაც აღნიშნული ავტორების მიერ სასამართლო განხილვაზე უარის თქმა პირის გამართლებაზე უფრო პრიორიტეტულად მიჩნეული, გაუგებარია. ის მოსაზრება, რომ დამნაშავის გამართლების შემთხვევაში სასამართლო ავტორიტეტი ზარალდება, არ არის მისაღები, ვინაიდან მსგავსად ზარალდება სასამართლოს ავტორიტეტი საქმის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაშიც.

შერეული თეორიის წარმომადგენელია ნ. ტაგანცევიც, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის საფუძველია ის, რომ დროთა განმავლობაში ფაქტობრივი გარემოებების და პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები იკარგება და ისიც, რომ სასჯელი არაა აუცილებელი. ამასთან, „ხანდაზმულობის ვადები აქარწყლებს დასჯადობას თავისთავად, ამ დროის განმავლობაში მიმდინარე რაიმე სხვა გარემოებებისაგან დამოუკიდებლად“.⁵⁷

⁵⁶ აღნიშნული ავტორის შეხედულება განხილულია პ. მშვენიერაძის ნაშრომში, გვ. 54, 65; ორიგინალში იხილეთ Спасович В., *Учебник уголовного права*, т. 1, С-П., 1863, 309; Немировский Э. Я., *Советское уголовное право*, Одеса, 1924, 219

⁵⁷ ციტატა მოყვანილია პ. მშვენიერაძის ნაშრომიდან, გვ. 57. მოცემული თეორიის კრიტიკა იხილეთ იქვე; ორიგინალში იხ. Таганцев Н. С., *Русское уголовное право, лекции*, т. 2, 1902, 1424

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი თვითონ ამჩნევს ზემოთ მითითებული პროცესუალური მიზეზის დაუსაბუთებლობას, კეძოდ, სასჯელის აღსრულების გამომრიცხველი ხანდაზმულობის შემთხვევაში, რის გამოც ცდილობს მის შევსებას მატერიალური ელემენტით – სასჯელის მიზანშეუწონლობით, თუმცა მიზანშეუწონლობას ის ასაბუთებს მეტად ბუნდოვანი დებულებით – „დროის სვლით თავისთავად.“ ავტორი დამატებით არ ხსნის, თუ რას გულისხმობს მასში, რის გამოც ის მოკლებულია მეცნიერულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს თეორია უნდა უარყოფთ.

შერეული თეორიის კიდევ ერთი წარმომადგენელია ი. ფონინციკი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის საფუძველია 1. პირის სულიერი და ღირებულებითი ცვლილებების შედეგად სასჯელის არააუცილებლობა: „[პირის] სულიერი და ღირებულებითი თვისებები შეიძლება დროის განმავლობაში ისე შეიცვალოს, რომ იმ ზომების გამოყენება, რაც აუცილებელი იყო დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროის განმავლობაში, უსაფუძველო ხდება“;⁵⁸ 2. მტკიცებულებათა გაქრობა დროთა განმავლობაში, რაც შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების საფუძველი, 3. სახელმწიფოს მიერ ქმედების შეფასების ცვლილება, რადგან ადრე საშიში ხასიათის მქონე ქმედებები შეიძლება სახელმწიფოს შეფასებით ნაკლებად საშიში გახდეს. თავიდანვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ავტორი ამბობს: „შეიძლება შეიცვალოს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირის თვისებები შეიძლება არც შეიცვალოს იმდამდეგად, როგორც ეს ზემოთაა ნაჩვენები. ასეთ ვითარებაში, როცა არა გვაქვს კატეგორიული მსჯელობა პირის თვისებების ცვლილების შესახებ, გაუგებარია სასჯელის არააუცილებლობის კატეგორიული მტკიცება. მტკიცებულებათა გაქრობისა და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ცვლილების შესახებ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, რის გამოც აქ არ განემორღვბით. საერთო ჯამში აღნიშნული თეორია არ ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს, რის გამოც ის მიუღებელია.

ნ. დურმანოვი ამტკიცებს, რომ ხანდაზმულობის საფუძველია დანაშაულის მიერ საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვა, დამნაშავის უკეთესობისკენ შეცვლა და მის მიერ საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვა, სასჯელის მიზნების მიღწევის შეუძლებლობა.⁵⁹

დანაშაულის მიერ საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვას ვერ დავეთანხმებით ზემოთ მოყვანილი მიზეზებით. რაც შეეხება დამნაშავის უკეთესობისკენ შეცვლას და მის მიერ საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვას, უნდა ითქვას, რომ უკეთესობისკენ შეცვლა არის პირის დადებითი შეფასება, თუმცა არ ჩანს, ავტორი ამ შეფასების ქვეშ რას გულისხმობს. სამწუხაროდ ნ. დურმანოვი ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს არ განაწილებს და არ განმარტავს არც ხანდაზმულობის, არც სასჯელისაგან გათავისუფლებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული დებულებები იმეორებს საბჭოთა სამართალში აღიარებულ შეხედულებას ხანდაზმულობის საფუძველების თაობაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ავტორი გულისხმობს პირის გამოსწორებას, რაც არაერთხელ იქნა უარყოფილი სხვადასხვა მეცნიერის მიერ.

რაც შეეხება სასჯელის მიზნის განხორციელების შეუძლებლობას, ის, ერთი შეხედვით, იძლევა იმის გაფიქრების საშუალებას, რომ ავტორმა მიაგნო

⁵⁸ ციტატა მოყვანილია პ. შშენიერაძის ნაშრომიდან, 57. ორიგინალში იხ. Фойницкий, *Учение о наказании*, С-П, 1889, 114-115

⁵⁹ იხ. Дурманов Н. Д., *Давность и погашение судимости*, М. 1939, 3; იმავე ავტორის *Освобождение от наказания по советскому праву*, М. 1957, 25

ხანდაზმულობის არსის მნიშვნელოვან ნიშანს, თუმცა ამ დებულების ავტორისეული განმარტების გაცნობის შემდეგ იმედგაცრუება გვეუფლება. ის ამ მიზნის განხორციელების შეუძლებლობას უკავშირებს პირველ ორ ნიშანს, კერძოდ, რომ ქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, პიროვნება კი შეიცვალა უკეთესობისკენ. აღნიშნული ცვლილებებით სასჯელი მიზნების მიღწევა შეუძლებელი კი არ ხდება, არამედ მიზნები უკვე მიღწეულად ითვლება (ყოველ შემთხვევაში, კერძო პერვენციის მიზანი მაინც). შეიძლება ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ ამ მიზნების განხორციელება უკვე სასჯელის გამოყენებით შეუძლებელია, რაც აზრის სწორი ფორმულირება იქნებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში სხვა პრობლემა იქნეს თავს: მართალია, ამ თეორიაში შემავალი დებულებები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ლოგიკური ერთობა არსებობს მათ შორის: ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა და ქმედების ჩამდენის გამოსწორება იწვევს სასჯელის გამოყენების მიზანშეუწონლობას სასჯელის მიზნების სასჯელის გამოყენებით მიღწევის შეუძლებლობის გამო, თუმცა თვითონ წანამდევრები დებულებების (ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების კლება და პირის გამოსწორება) მიუღებლობის გამო საბოლოოდ ეს თეორიაც მიუღებელი ხდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მასში შემავალი დებულებების კრიტიკისა, თანამედროვე რუსეთშიც მძლავრია ეს თეორია, რასაც ხ. ალიკპეროვის შეხედულებაც მოწმობს: ის ხანდაზმულობის საფუძვლად მიიჩნევს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების გაძნელებას და, ამასთან, პირის გამოსწორების შემთხვევაში, დასჯის მიზანშეუწონლობას.⁶⁰

შერეული თეორიის წარმომადგენლებს უნდა მივაკუთვნოთ დ. ორლოვიც, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის საფუძვლებია დროითი წყვეტა დანაშაულსა და სასჯელს შორის, რის გამოც სასჯელის მიზნების განხორციელება შეუძლებელია; პირის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა, სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ზომების ეკონომია, მტკიცებულებების არარსებობა, სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის რეგლამენტაციის არასრულყოფილება და შეცდომის დაშვების შესაძლებლობა.⁶¹ სამწუხაროდ დ. ორლოვი თავის ნაშრომში ეყრდნობა საბჭოთა პერიოდის მეცნიერთა ნააზრევს დანაშაულისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების კლებასთან დაკავშირებით და სწორედ აქიდან გამოჰყავს სასჯელის მიზნების განხორციელების შეუძლებლობის კონცეფცია. აღნიშნულის კრიტიკა კი ზემოთ უკვე მოცემულია, რის გამოც მას არ გავიმეორებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თვითონ დებულება სასჯელის მიზნის მიუღწევლობის შესახებ საინტერესოა და შემდგომ განვრცობას საჭიროებს, თუმცა არა იმ იმართულებით, როგორც ეს საბჭოთა და თანამედროვე რუს მეცნიერთა ნაშრომებში გვხვდება სხვადასხვა ინტერპრეტაციით. რაც შეეხება რეპრესიის ეკონომიას, ის აღნიშნულ ავტორთან ემყარება იმავე საფუძვლებს: დანაშაულისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობას, რის გამოც ის მიუღებელია.

იგივე შეიძლება ითქვას მტკიცებულებათა გაქრობის შესახებ. დ. ორლოვს ის წარმოდგენილი აქვს, როგორც დანაშაულის ფაქტობრივი მონაცემების შესახებ მტკიცებულებები. აღნიშნული აზრი კი არაახალია, ის საბჭოთა კავშირის მასშტაბით გავრცელებული იყო. მისი კრიტიკული მიმოხილვა ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ, რის გამოც აქ გამეორებისგან თავს შევიკავებთ. ასევე ვერ

⁶⁰ იხ. Аликперов Х., *Освобождение от уголовной ответственности в связи с истечением сроков давности*, "Законность", 1999, №8, 13

⁶¹ იხ. Орлов Д., *Теоретико-практические проблемы уголовно-правовой давности*, Владимир, 2007, 180

დავეთანხმებით ხანდაზმულობის დაფუძნებას იმაზე, რომ სასამართლო და საგამომძიებო ორგანოები არ არიან დაცულები შეცდომისაგან, რადგან ის, თავის მხრივ, დანაშაულის შესახებ მტკიცებულებათა დაკარგვის დებულებას ეფუძნება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვერც დ. ორლოვმა მოგვცა ხანდაზმულობის გამართლების მისაღები თეორია.

შ. ციმერმანის აზრით, გადამწყვეტია ის, რომ დანაშაული დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგავს მართლწესრიგის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთობების და სოციალური კავშირების შექმნის ძალას ისე, რომ ის უკვე ვერ განიხილება როგორც სიმპტომი სამართლებრივი ღირებულებისათვის საფრთხის შემქმნელი მდგომარეობისა.⁶² აღნიშნულ მოსაზრებას უახლოვდება ი. ბაუმანი, როცა საუბრობს დროის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, არამედ დანაშაულის მიერ დარღვეული სამართლებრივი ნორმის ძალისა და ავტორიტეტის აღდგენა პირის შემდგომი მართლზომიერი ქმედებებით. აღნიშნულ პირობებში უნდა დავეთანხმეთ ავტორს, რომ კერძო პრევენცია არ მოითხოვს პირის დასჯას. რაც შეეხება დანაშაული-სუბიექტი-საზოგადოების ურთიერთმიმართებაში დროის გასვლით გამოწვეულ დაძაბულობის კლებას, აღნიშნული დებულება მეტად საინტერესოა მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ახალი დანაშაულებრივი ქმედება არ ჩადენილა. ამასთან, იცვლება თვით საზოგადოების დამოკიდებულებაც ქმედებისა და სუბიექტის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაული-სუბიექტი-საზოგადოების კავშირი ხანდაზმულობის კუთხით აქტუალურია.

მიმოიხილავს რა ხანდაზმულობის შესახებ თეორიებს, შ. ციმერმანი ასკვნის: „დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას მოსდევს ქმედების სუბიექტისა და საზოგადოების მხრიდან დანაშაულის ისტორიზაციისა და გადალახვის პროცესი, რომელიც უფრო და უფრო ართულებს სასჯელის გამოყენებით პრევენციული მიზნის მიღწევას და საბოლოოდ მას შეუძლებელს ხდის. ე. ი. სახელმწიფოს შესაძლებლობა, სასჯელის სახით მოახდინოს რეაგირება ნორმის დარღვევაზე, დროით არის შეზღუდული. სწორედ ისტორიზაციის ამ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებში უნდა ვეძებოთ სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის საფუძველი.“⁶³ ავტორი სავსებით მართებულად ამახვილებს ყურადღებას ხანდაზმულობის ცნებასთან დაკავშირებით ქმედების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების განხილვის აუცილებლობაზე. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ხანდაზმულობის პროცესუალური მნიშვნელობა, რომლის როლის დაკნინება ხანდაზმულობის არსის სრულად წარმოჩენას ხელს შეუშლის.

ტ. ოჩოასა და ა. ვისტრიჩის შეხედულებით ხანდაზმულობას აფუძნებს სამი პირობა: „ხანგრძლივი დროის შემდეგ დასჯა დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ქმედებიდან მალევე პირის დასჯა იმავე პირობებში; ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირის დაუსჯელობის შემთხვევაში პირი ასწრებს სხვა უმართლობების ჩადენას, ვიდრე სასჯელის შემაკავებელი ფუნქცია დაიწყებს მოქმედებას; თუ ახალი შემადგენლობები არ იქნება ჩადენილი, ე.ი. პირი გამოსწორდა და სასჯელი პრევენციის ფუნქციას ვერ შეასრულებს, ხოლო თუ ახალი დანაშაული გვექნება, მაშინ უფრო იოლად და ნაკლები დანახარჯებით შესაძლებელია პირის დასჯა ახალი

⁶² იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 168

⁶³ იქვე, 56

დანაშაულისთვის“⁶⁴ რის გამოც ძველი ქმედების გამოკვლევა საჭირო არ არის. ჩვენ ვეთანხმებით პირველ ორ დებულებას, თუმცა მივიჩნევთ, რომ მათზე, როგორც ხანდაზმულობის დამაფუძნებელ გარემოებებზე მითითება არ იქნება სწორი, ვინაიდან ნაკლებფექტური დასჯა ჯობია საერთოდ დაუსჯელობას სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. ამიტომაც ავტორმა ხანდაზმულობის გამართლების საფუძვლის ძიებისას უნდა ამტკიცოს სასჯელის მიზნების მიუღწევლობა და არა სასჯელის ნაკლებფექტურობა. რაც შეეხება მესამე დებულებას, მას ვერ დავეთანხმებით ვერც პირის გამოსწორების და ვერც წინა დანაშაულის დავიწყების ნაწილში, რადგან ის აღნიშნული დანაშაულის დაუსჯელად დატოვებას ითვალისწინებს, ქმედებას სამართლებრივი რეაგირების გარეშე ტოვებს მიუხედავად იმისა, რომ არც ქმედების სოციალური როლი შემცირებულა და არც სუბიექტში მომხდარა წინა ქმედებების ღირებულებითი გადაფასება. მართალია, ქმედებას სუბიექტისაგან დამოუკიდებლად უნდა დაუწესდეს სამართლებრივი რეაგირების დრო, თუმცა იმ შემთხვევაში, როცა წინა ქმედებამ საფუძველი დაუდო შემდგომ დანაშაულებრივ ქმედებებს, პირველი ქმედების დავიწყება არ იქნება მართებული. ეს ხანდაზმულობის შემაკავებელ ფუნქციასაც უგულებელყოფს.

ა. ეიდლშტაინი ასახელებს ხანდაზმულობის გამართლების 5 საფუძველს: 1. მტკიცებულებათა სარწმუნოების შესუსტება, 2. დროთა განმავლობაში სუბიექტის გარდაქმნის შესაძლებლობა იზრდება, რის გამოც სასჯელის აუცილებლობა მცირდება (ან იზრდება შესაძლებლობა, პირი დაისაჯოს ახალი დანაშაულისთვის), 3. ხანგრძლივი დროის განმავლობაში „საზოგადოების დამსჯელი იმპულსი“ ქრება და ის შეიძლება შეიცვალოს საზოგადოების სიმპატიით, 4. სასამართლო განხილვის ვადების შემცირება ამცირებს შანტაჟის შესაძლებლობას იმ პირების მხრიდან, ვინც იცის ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, 5. ხანდაზმულობა იწვევს სუბიექტის დამშვიდებას მისი დასჯის შეუძლებლობის გამო, მისი შემდგომი ქმედებების უსაფრთხოებას და სტაბილურობას.⁶⁵ აქ ჩამოთვლილ ნიშნებს უნდა დავეთანხმოთ. ხანდაზმულობა მართლაც არის მითითებული უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილების მექანიზმი, თუმცა განვიხილოთ აღნიშნული ნიშნები ცალ-ცალკე.

პირველ ორ ნიშანზე ზემოთ არაერთხელ ვისაუბრეთ, რის გამოც აქ არ განვმეორდებით. რაც შეეხება საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას, აღნიშნული გარემოება საყურადღებოა, თუმცა ის დამოუკიდებლად ხანდაზმულობას ვერ დააფუძნებს, არამედ სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს უნდა ეფუძნებოდეს. მეოთხე და მეხუთე ნიშნები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და კერძო სამართლის ანალოგიითაა სისხლის სამართალში გადმოტანილი. განსაკუთრებით ბოლო დებულება, თუმცა ისინი სისხლის სამართალშიც მნიშვნელობენ, ვინაიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილების (თუნდაც შანტაჟის საფუძველზე ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის), უკვე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის (არა დასჯის, არამედ კრიმინალისტიკური და კრიმინოლოგიური მიზნებით) ფუნქცია აკისრიათ. ამიტომაც ბოლო სამი დებულება ხანდაზმულობის დაფუძნების, მისი ფუნქციონალური დატვირთვის და შედეგის გამომხატველად მიგვაჩნია, რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ ისინი არ არის საკმარისი ხანდაზმულობის არსის სრულყოფილად გაზრებისთვის.

⁶⁴ Ochoa T. T., Wistrich A. J., *The Puzzling Purposes of Statutes of Limitation*, Pacific Law Journal, McGeorge School of Law, University of the Pacific Spring, 1997, №28, 493

⁶⁵ იხ. Adlestein A. L., *Conflict of the Criminal Statute of Limitations With Lesser Offenses At Trial*, 37 Wm. & Mary L. Rev., 1995, 265-266

პ. რობინზონი ამ საფუძვლებს ეჭვქვეშ აყენებს, ვინაიდან განსასჯელის მიერ ხანდაზმულობის გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევებში გამოვა, რომ მტკიცებულებათა სარწმუნოების შესუსტების მიუხედავად განსასჯელის სასარგებლოდ სასჯელზე უარის თქმა კი არ მოხდება, არამედ პირიქით; საზოგადოების „დამსჯელი მუხტი“ ყველა დანაშაულზე არ ქრება; ამასთან, ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ მიუღებელია სისხლის სამართლებრივი ხანდაზმულობის აგება სამოქალაქო სამართლის ანალოგიურად. ამის საფუძველზე მას შემოაქვს გაუმართლებელი დანახარჯების კონცეფცია, რომელიც პროცესის ეკონომიის პრინციპს მოგვაგონებს, ვინაიდან გულისხმობს, რომ ხანდაზმულობის პირობებში პროცესის გამართვის ხარჯების გადახდა გაუმართლებელია.⁶⁶ ავტორის მიერ შემოთავაზებული კრიტიკა დამაჯერებელია, თუმცა ხანდაზმულობის გამართლება პროცესის გამართვის ხარჯების თავიდან აცილებით საკითხის მართებული გადაჭრად არ გვესახება.

მართალია, არსებული შერეული თეორიები ვერ გამოხატავს ხანდაზმულობის რეალურ სახეს, თუმცა, მათში მინიშნებულია საკითხის კვლევის სწორი მიმართულება. აქ ის იგულისხმება, რომ, როგორც კარლ ლაკნერი მიმოიხილავს, ხანდაზმულობის ცნებაში გაერთიანებულია მატერიალური და პროცესუალური ელემენტები.⁶⁷

ამდენად, ხანდაზმულობის გამართლება მისი არსებობის ისტორიაში მრავალი კუთხით სცადეს, რის საფუძველზეც შეიქმნა შესაბამისი თეორიები, თუმცა, არც ერთი მათგანი არ გამოხატავს ხანდაზმულობის არსს სრულად, რის გამოც დგას ხანდაზმულობის დაფუძნების პრობლემა. მართალია, აღნიშნული კუთხით წარსულში ბევრი მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოითქვა, რომლებიც განვითარებას საჭიროებს, თუმცა, სამწუხაროდ, მეცნიერებმა ვერ მოახერხეს, სწორი მიმართულებით წაეყვანათ მსჯელობა. ამიტომაც ხანდაზმულობის პრობლემა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სათანადოდ არაა გამოკვლეული. ჩვენი მიზანია აღნიშნული ნაკლის შეძლებისდაგვარად შევსება. შემდგომ თავში ნაჩვენები იქნება ის ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა შეიქმნას ხანდაზმულობის თანამედროვე თეორია; განხილული იქნება ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უნდა დაგვეხმაროს ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის საფუძვლის დადგენაში, მისი დოგმატიკური მოწესრიგების საკითხების გარკვევაში, ცნების ჩამოყალიბებაში, სხვადასხვა ინსტიტუტთან მისი დამოკიდებულების სწორი მიმართულებით კვლევაში.

⁶⁶ იხ. Robinson P. H., *Criminal Law Defenses*, 1995, § 2.02 (b)

⁶⁷ იხ. Lackner K., *StGB mit Erleuterungen*, 22. Aufl., Verlag C. H. Beck, München, 1997, 543; Lackner/Kühl, *StGB Kommentar*, 26. Aufl., Verlag C. H. Beck, München, 2007, 524

§ 1.2. ხანდაზმულობის არსი და ადგილი სისხლისსამართლებრივ ცნებათა სისტემაში

1.2.1. ხანდაზმულობა კერძო და საჯარო სამართალში

სისხლის სამართალში ხანდაზმულობის ცნების გასააზრებლად აუცილებელია, დადგინდეს ხანდაზმულობის ცნება, ადგილი, როლი კერძო სამართალში, სადაც წარმოიშვა იგი.⁶⁸

თანამედროვე ხანდაზმულობის ცნების ჩანასახები გაჩნდა რომის სამართალში, რომლისთვისაც უცხო არ იყო პირის უფლებებში ცვლილებების შეტანა განსაზღვრული დროის გასვლის გამო. განასხვავებდნენ უფლებათა წარმომშობ და შემწყვეტ, ერთმანეთში გადამსვლელ ხანდაზმულობას, განსაზღვრულ, განუსაზღვრელ, კანონისმიერ, სასამართლოსეულ, თვითნებურ, წამიერ ხანდაზმულობას. რომის სამართალი არ იცნობდა თვითონ ხანდაზმულობის ცნებას იმ სახით, როგორც არის დღეს, თუმცა მისთვის უცხო არ იყო დროის გაშვების გამო საჩივრის განხილვაზე უარის თქმა. სავინის მიხედვით, პირველად ხანდაზმულობა, როგორც ზოგადი ტერმინი, გამოიყენეს „გლოსატორებმა“ იმ გავლენის აღსანიშნავად, რასაც ახდენდა დრო უფლებაზე იმის მიხედვით, ამჟამად შესრულებადი იყო ის თუ არა. აქედან ხანდაზმულობა გადმოიღეს კანონიკურ სამართალში. ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდანაც ნათელია, რომ ხანდაზმულობის ცნება პოზიტიური სამართლის ნორმების განზოგადების შედეგად არის შექმნილი.⁶⁹ აღნიშნულის გაცნობიერების შემდეგ კერძო სამართლის თეორეტიკოსთა შორის წარმოიშვა დავა ხანდაზმულობის საჭიროების საკითხზე. უნტერჰონცლერი მას აუცილებლად მიიჩნევს, პუხტა კი ზედმეტად თვლის. ვინდშიაიდი, თუმცა აღიარებს, რომ ზოგადი ხანდაზმულობის ცნების გამოყენებისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, და რომ ეს ცნება არაიურიდიულია, თუმცა ის მის არსებობას არ უარყოფს, რადგან დროის სვლას ემორჩილება ყველაფერი.⁷⁰

ხანდაზმულობის ბუნების ისტორიული განვითარების მიმოხილვასთან ერთად უნდა ითქვას ისიც, რომ ხანდაზმულობა, როგორც განსაზღვრული დროის გასვლა, დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებათაგანი იყო და არ ჰქონდა ის კატეგორიული მნიშვნელობა, რომლის პირობებშიც მოსამართლე ვალდებულია განსაზღვრული შინაარსის გადაწყვეტილება მიიღოს, როგორც ეს დღესაა გათვალისწინებული.⁷¹ აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია სისხლის სამართალში იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

ვადა არის დროის განსაზღვრული მონაკვეთები ან მომენტები, რომლებთანაც კანონი აკავშირებს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. ვადის გასვლა

⁶⁸ ამავე აზრს ადასტურებს Amy Dunn, სტატიაში *Statutes of Limitation on Sexual Assault Crimes: Has the Availability of DNA Evidence Rendered Them Obsolete?*, 23 U. Ark. Little Rock L. Rev. (2001) 839, 842-43

⁶⁹ სამოქალაქო ხანდაზმულობის ცნების მოკლე ისტორიული ექსკურსი იხილეთ Энгельман И. Е., *О давности по русскому гражданскому праву*, изд. 3, С-П, 1901, 2-4

⁷⁰ იქვე, 5-8

⁷¹ იქვე, 49

ხდომილებაა.⁷² თავისი დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ სამოქალაქო უფლების წარმომშობ, სამოქალაქო უფლების განხორციელების, ვალდებულების შესრულების და უფლების დაცვის ანუ ხანდაზმულობის ვადას. სხვა ვადა არის პერიოდი, რომელიც პირს ანიჭებს უფლებას ჩვეულებრივ მდგომარეობაში მაშინაც, როცა ის დარღვეული არ არის. ხანდაზმულობის ვადა კი არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირს უფლება აქვს იძულებითი წესით მოითხოვოს მისი დარღვეული ინტერესის აღდგენა ან ასეთი დარღვევის აღკვეთა. ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება უფლების დარღვევის შეტყობიდან. აღნიშნული ვადის გასვლა მატერიალური გაგებით ნიშნავს სარჩელზე უარის თქმას.⁷³

სასარჩელო ხანდაზმულობის მიზანია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა სტიმულირება თავიანთი უფლებების სწრაფი განხორციელებისკენ და ამით ამტკიცებს ის სამეურნეო, ხელშეკრულებით, ფინანსურ დისციპლინას.⁷⁴

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ბოლო თავში განხილულია ვადები სამოქალაქო სამართალში, სადაც არის კიდევ მოთავსებული ხანდაზმულობა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, გარდა პირადი არაქონებრივი უფლებისა (თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო შეანაბრეთა მოთხოვნისა.

ზურაბ ახვლედიანი ამბობს: „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობის ვადის დადგენა იმითაა გამოწვეული, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება სადრო გარემოებების უტყუარად აღდგენა და პირები, რომლებსაც უსაფუძვლოდ წაეყენათ მოთხოვნა, აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს. ამავე დროს, ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს, დროულად იზრუნონ თავიანთი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე.“⁷⁵ „ის გარემოება, რომ ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება შეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო, გამოწვეულია ამ ურთიერთობათა ხანგრძლივი ხასიათის გამო“.⁷⁶

მოყვანილ ციტატაში იკვეთება ავტორის პროცესუალური მიდგომა ხანდაზმულობის საფუძვლებისდმი. ის ხანდაზმულობას სამოქალაქო სამართალში მტკიცებულებების ცვლადი (ან გაქრობადი) ხასიათიდან ამართლებს. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის გაშვებას მოჰყვება პირისათვის უარყოფითი შედეგები, რის თავიდან

⁷² იხ. კობახიძე ა., *სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი*, თბ., 2001, 351. დავა იმის თაობაზე, ვადა ხდომილებაა, მოქმედება თუ ორივეს ნიშნების შემცველი რაღაც მესამე, ასახულია დ. სუხიტაშვილის ნაშრომში „*დრო და სამართალი*“, 2004, 26-35

⁷³ იხ. კობახიძე ა., *დასახ. ნაშრ.*, 353-377

⁷⁴ იხ. *Коментарий к гражданскому кодексу РСФСР*, изд. 3, отв. ред. Братусь С. Н., Садиков О. Н., М., 1982, 100-106

⁷⁵ *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი I, მთ. რედ. ლ. ჭანტურია, სარედაქციო კოლეგია: ზ. ახვლედიანი, ბ. ზოიძე, ს. ჯორბენაძე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2002, 316

⁷⁶ *იქვე*, 318

ასაცილებლადაც პირი იძულებულია დაიცვას აღნიშნული ვადები. ამაში ხედავს ავტორი ხანდაზმულობის მასტიმულირებელ ფუნქციას. აღნიშნული დებულება მნიშვნელოვანია არა მარტო კერძო სამართლისთვის, არამედ საჯარო სამართლისთვისაც როგორც ხანდაზმულობის დაფუძნების საკითხის გადასაჭრელად, ასევე ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგების დასადგენად სისხლის სამართალში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დებულებების ავტომატურად გადატანა სისხლის სამართალში დაუშვებელია ამ ორ დარგს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებების გამო. კერძოდ, თუ სამოქალაქო სამართალში მისაღებია ხანდაზმულობის დაფუძნება მოპასუხის თავის მართლებისათვის აუცილებელი მტკიცებულებების არარსებობაზე, სისხლის სამართალში საქმე სხვაგვარადაა, რადგან მოპასუხე, ანუ ბრალდებული (განსახველი) არ არის მოვალე ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და თუ ბრალი არ დადასტურდება, ის მართლდება. ამიტომაც უფრო მეტი ყურადღების დათმობა სჭირდება ამ ორ სფეროს შორის განსხვავების დადგენას.

მ. კირილოვა სწორად მიანიშნებს, რომ ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში უნდა განესაზღვროთ სამოქალაქო სამართლის მიზნებიდან გამომდინარე. „ხანდაზმულობას შეაქვს სამართალში სიმწვობრე, მიზანმიმართულება ქონებრივ ურთიერთობებში“.⁷⁷ ავტორი ამბობს, რომ თუ პირი დიდი ხნის განმავლობაში არ ითხოვს უფლების დაცვას, ე.ი. პირს არა აქვს მისი დაცვის ინტერესი. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველობები სამართლებრივ ურთიერთობებში, რისი თავიდან აცილების საშუალებაც არის ხანდაზმულობა.

ჰონ ციანგ ხიანგეი სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის მიზნად ასახელებს სოციალური და ეკონომიკური წესრიგის სტაბილურობის შენარჩუნებას და ეკონომიკური შეთანხმებების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება საკუთარი უფლების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების სტიმულირებას.⁷⁸

მ. კირილოვა უკავშირებს ხანდაზმულობას „უფლებას სარჩელზე“. ამასთან, სამოქალაქო სამართალში, ავტორის აზრით, ხანდაზმულობის ვადის გასვლა იმ უფლებას არ აუქმებს, რომელიც დაირღვა და ამას ადასტურებს ის, რომ მოვალეს ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია ვალდებულების შესრულება, თუმცა ეს ვალდებულებები მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წესრიგდება სოციალური თანაცხოვრების წესით,⁷⁹ მორალური ნორმებით,⁸⁰ ზოგის აზრით კი საერთოდ უქმდება აღნიშნული ვალდებულება.⁸¹

მეცნიერთა სხვა ჯგუფი თვლის, რომ ის ვალდებულებები, რომლებიც არ უქმდება, ინარჩუნებს სამართლებრივ ხასიათს.⁸² აქვე უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობის მასტიმულირებელი როლი ვლინდება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალშიც. ამიტომაც ეს ნიშანი ხანდაზმულობის ზოგადი ცნებისათვისაა დამახასიათებელი და აერთიანებს მის ყველა სახეს. კერძოდ, თუ სამოქალაქო სამართალში ის ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით

⁷⁷ Кириллова М. Я. *Исковая давность*, М., 1966, 15

⁷⁸ იხ. Xianwei H. Z., *Comment on the Legal Regime of Limitation of Actions Regarding Carriage of Cargo by Sea in China*, *Journal of Maritime Law & Commerce*, Jefferson Law Book Company, April, 2006, 261-263

⁷⁹ იხ. Болотников И. М., *Проблемы исковой давности в советском гражданском праве*, Л., 1964, 7-8

⁸⁰ იხ. *Советское гражданское право*, т. 1, 1965, 245

⁸¹ იხ. Ринг М. П., *Действие исковой давности в советском гражданском праве*, «Советское государство и право», 1953, №8, 84

⁸² იხ. კირილოვას ნაშრომი, 26-29

სიმწიფის შემტანია, სისხლის სამართალში - მართლწესრიგის დაცვის მიზნით სახელმწიფო ორგანოთა დროული საქმიანობის წამახალისებელია.

ე. რიჩარდსონი ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით ასკვნის, რომ ხანდაზმულობის მიზანია მოპასუხეთა დაცვა მოსარჩელეთა ხანდაზმული მოთხოვნების უარყოფის სიძნელისგან. ამ მხრივ ხანდაზმულობა სამართლიანობის დამცველად განიხილება. ასევე, სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ხანდაზმულობის დანიშნულებად ის ასახელებს საზოგადოების დაცვას ხანდაზმული მოთხოვნის წამოყენების საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან წარმოშობილი გაკვირვებისაგან; სასამართლოს დაცვას ხანდაზმული მოთხოვნების საქმეების განხილვისგან; მოსარჩელის მიერ თავისი უფლებების დროულად დაცვის წახალისებას, რათა მან შეძლოს თავისი უფლების არსებული მტკიცებულებებით დადასტურება; მოპასუხის დაცვას პასუხისმგებლობის გაუთავებელი შიშისგან, რაც აფერხებს მის მომავალ წარმატებულ საქმიანობას.⁸³ ავტორს ხანდაზმულობის არსის გამომხატველ ნიშნად მიაჩნია უნარი, გააჩინოს მოპასუხეში დარწმუნებულობის განცდა, რომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მის წინააღმდეგ სარჩელი არ იქნება მიღებული სასამართლოს მიერ.⁸⁴ მოცემულ ნიშანზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისთვისაც. უნდა ითქვას, რომ ეს ნიშანი პირდაპირ ამ სახით არ გადადის სისხლის სამართალში, არამედ სახეს იცვლის. კერძოდ, წარმოვიდგება, როგორც ახალი დანაშაულისაგან თავის შეკავების წამახალისებელი მექანიზმი. ეს ასეა, რადგან სწორედ ახალი დანაშაულის არარსებობის შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სამოქალაქო სამართალში ასევე ახალი არ არის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობა მხარეთა ინტერესების ბალანსის მექანიზმია.⁸⁵ აღნიშნული დებულება მნიშვნელოვანია არა მარტო სამოქალაქო სამართალში, არამედ სისხლის სამართალშიც. თუმცა, სისხლის სამართალში ის ვლინდება საჯარო (საზოგადოების, სახელმწიფოს) ინტერესებსა და კერძო (ქმედების სუბიექტის) ინტერესებს შორის ბალანსში. ამასთან, საზოგადოების ინტერესები სასჯელის მიზნებშია გამოსატყობი, ხოლო სუბიექტის ინტერესი მდგომარეობს იმაში, მის მიმართ არ იქნეს გამოყენებული პასუხისმგებლობის ზედმეტად მკაცრი ზომა. ამდენად, ინტერესთა ბალანსი, როგორც ერთ-ერთი ნიშანი, დამახასიათებელია ხანდაზმულობის ზოგადი ცნებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ახასიათებს ხანდაზმულობას სამოქალაქო სამართალში და რომელიც სამწუხაროდ გაუაზრებლად გადმოიტანა მეცნიერთა ერთმა ნაწილმა სისხლის სამართალში, არის ხანდაზმულობის მიზანი: დაიცვას მოპასუხის უფლება, მოიპოვოს სარჩელის მოთხოვნის უარყოფი მტკიცებულებები.⁸⁶ აღნიშნული დებულება მოქმედებს სამოქალაქო სამართალში, თუმცა ისევე უდაოდ არ გამოიყურება თანამედროვე სისხლის სამართალში, სადაც მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს. დაცვის მხარე უფლებამოსილია შეაგროვოს არაბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამით დაადასტუროს არაბრალეულობა (თუმცა ამის ვალდებულება არ აქვს) ან ბრალდების მიერ შეკრებილი

⁸³ იხ. Richardson E. J., *Eliminating the Limitations of Limitations Law*, Arizona State Law Journal, №29, Winter 1997, 1021-1027

⁸⁴ იქვე, 1015-1018

⁸⁵ იქვე, 1021

⁸⁶ იქვე, 1020-1022

მტკიცებულებების არასაკმარისობის თუ არასარწმუნოების საფუძველით მოითხოვოს პირის გამართლება. ორივე შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, ადასტურებს თუ არა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები განსასჯელის ბრალს. ამიტომაც ქმედებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ ბრალის წარდგენა ბრალდების მხარეს უფრო ცუდ პოზიციაში აყენებს, ვიდრე დაცვის მხარეს. ესეც რომ არ იყოს, ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა რომ იყოს ხანდაზმულობის მიზანი, მაშინ ხანდაზმულობის ვადები უნდა აიგოს მტკიცებულებათა სახეების მიხედვით და არა დანაშაულთა კატეგორიების შესაბამისად. აღნიშნულის გამო მოპასუხის ინტერესების დაცვის უფლების უზრუნველყოფა სამოქალაქოსამართლებრივი ხანდაზმულობისათვის დამახასიათებელ დარგობრივ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ და არა ზოგადად ხანდაზმულობის ელემენტად.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალში ხშირად მიიჩნევენ ხანდაზმულობას სამართლიანობის გამოვლენად.⁸⁷ ეს ზოგადი დებულება სისხლის სამართალშიც მოქმედებს თავისებური ფორმით ინტერესთა ბალანსის მეშვეობით. ამასთან, სისხლის სამართალში ხანდაზმულობის სამართლიანობა უკავშირდება პასუხისმგებლობის ზომის აუცილებლობას, ერთი მხრივ, და საკმარისობას, მეორე მხრივ, მისი მიზნების მიღწევისათვის. როცა უკვე პასუხისმგებლობის დაკისრება აუცილებელი საშუალება არაა მისი მიზნების მიღწევისთვის, მაშინ სამართლიანი იქნება პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმა. სწორედ ამ დებულებას ეფუძნება სისხლის სამართალში ხანდაზმულობა.

ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალში მიღებული აზრი, რომ ხანდაზმულობა არის, ერთი მხრივ, მოსარჩელის მიერ დროის გაწვლვის თავიდან აცილების, მეორე მხრივ – სასამართლოს მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი.⁸⁸ აღნიშნული დამახასიათებელია სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობისთვისაც, რის გამოც წამახალისებელი ფუნქცია ზოგადად ხანდაზმულობის თვისებად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულს უკავშირდება სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის საფუძველი – უზრუნველყოს მოპასუხის მიერ მომავალში გადასადგმელი ეკონომიკური ნაბიჯების უსაფრთხოება. აღნიშნული სისხლის სამართალში შემდეგი სახით მოქმედებს: ახალი დანაშაულის არარსებობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვა არის სტიმული ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა, ვინაიდან სუბიექტს ეძლევა შანსი, დაივიწყოს წარსული და განაგრძოს ცხოვრება როგორც სამართლის მოთხოვნის დამცველმა ადამიანმა. ხანდაზმულობის არარსებობის შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ დანაშაულებრივი ქმედების ერთხელ ჩამდენი პირი უკვე ჩადენილისათვის სასჯელის გარდუვალობის გამო არ მოერიდება ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენას.

სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით აღდგენის გამომრიცხველი გარემოება. მართალია, სისხლის სამართალში ხანდაზმულობის როლი ახლოს დგას აღნიშნულთან, მაგრამ მათ შორის არის ძირეული განსხვავებები. სისხლის სამართალში ხანდაზმულობა არის პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველი და სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელი საშუალება. ორივე დარგში ხანდაზმულობას ახასიათებს ის ნიშანი, რომ ორივეგან ის არის შესაბამისი ინსტანციისაგან განსაზღვრული სახის ზემოქმედების გამომრიცხველი გარემოება. ერთ შემთხვევაში ის

⁸⁷ იქვე, 1025-1026; იხ. ასევე კ. ხიანვეის დასახ. ნაშრ., 263-265

⁸⁸ იხ. ე. რიჩარდსონის დასახ. ნაშრ., 1025-1026

გამორიცხავს სასამართლოს ძალით უფლების იძულებით აღდგენას, მეორე შემთხვევაში – სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის აღდგენის მიზნით იძულებით გარკვეული ღონისძიებების გამოყენებას. ესეც კიდევ ერთი საერთო ნიშანი, რომელიც ხანდაზმულობის ზოგადი ცნების ჩამოყალიბების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.

განსხვავება ხანდაზმულობის ამ ორ სახეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობა არ გამორიცხავს უფლების ნებაყოფლობით აღდგენას მაშინ, როცა სისხლის სამართალში დანაშაულის შეუქცევადი ბუნებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. ამასთან, განსხვავებულია ასევე ხანდაზმულობის დაფუძნების გზები, ხანდაზმულობის ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები. ეს კი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ცნების დადგენისას.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ უნდა შევეხოთ ხანდაზმულობის ბუნების შესახებ თეორიებსაც. მეცნიერთა ნაწილი მას განიხილავს, როგორც მატერიალურსამართლებრივს, რის გამოც ამ ვადის გასვლა სარჩელის წარდგენის უფლებას კი არ სპობს, არამედ უფლების დაცვის იძულების წესით უზრუნველყოფას.⁸⁹ ზოგი კი ამბობს, რომ რადგან ის უკავშირდება „სარჩელის“ ცნებას, ის პროცესუალურიცაა.⁹⁰

მ. კირილოვა აკრიტიკებს რა ა. დობროვოლსკის, ამბობს, რომ მასთან ხანდაზმულობა მთლიანად პროცესუალურია, რაც ხანდაზმულობის არასწორი გაგების შედეგია. აღნიშნული მოტივით ის არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხანდაზმულობის გასვლის შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა და არ განიხილოს საქმე არსებითად. ამის სანაცვლოდ გეთავაზობს, სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება, სადაც აღინიშნება სარჩელის წარდგენის ფაქტი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, თუმცა თვითონ მატერიალურსამართლებრივ მოთხოვნას საკმარისი საფუძველი აქვს.⁹¹

ეს არის საკითხი, სადაც სისხლის სამართალი რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე დგას. კერძოდ, თუ სამოქალაქო სამართალში შესაძლებელია (ან ზოგი მეცნიერი მიიჩნევს შესაძლებლად) სასამართლომ საქმე განიხილოს და დაადგინოს, რომ მოთხოვნა სამართლიანია, თუმცა მისი იძულებით განხორციელება ვერ მოხდება, სისხლის სამართალში მსგავსი რამ დაუშვებელია. კერძოდ, დანაშაულის დადგენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გარდუვალია. ამიტომ იმის თქმა, რომ მართალია, პირმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ რა ვუყოთ, ხანდაზმულობის ვადა უკვე გაშვებულია და ამიტომ მას ნეგატიურ პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ, მიუღებელია.

ჰ. ც. ხიანვეის მიხედვით, ხანდაზმულობის შესახებ ნორმების ობიექტია მოთხოვნის უფლება,⁹² რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ავტორი ხანდაზმულობის მატერიალურ ბუნებას აღიარებს, თუმცა შემდგომში ის წერს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ აუქმებს უფლებას, არამედ მხოლოდ შესაძლებლობას, სარჩელით მიმართო სასამართლოს, რაც მის პროცესუალურ ბუნებას უსვამს ხაზს.⁹³ ს. ხინოი ამბობს, რომ „სასარჩელო ხანდაზმულობა არის კანონით დადგენილი დრო, რომლის გასვლით ქარწყდება სარჩელის

⁸⁹ იხ. Ринг М., *Исковая давность в новом гражданском кодексе РСФСР*, №19, 20

⁹⁰ იხ. Добровольский А. А., *Исковая форма защиты права*, М., 1965, 91

⁹¹ იხ. მ. კირილოვას დასახ. ნაშრ., 12

⁹² იხ. ჰ. ხიანვეის დასახ. ნაშრ., 267-269

⁹³ იქვე, 274-276

უფლება მატერიალური გაგებით.⁹⁴ ბ. პოპოვის მიხედვით, ხანდაზმულობის პირობებშიც კი სასამართლომ უნდა მიიღოს სარჩელი და უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან გაქარწყლდა მატერიალური უფლება.⁹⁵ სასარჩელო ხანდაზმულობის მატერიალურსამართლებრივად აღიარებამ გამოიწვია სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის მიუხედავად სარჩელის განხილვის მოთხოვნის წამოყენება.

ზოგი მეცნიერის აზრით, ხანდაზმულობა ორმაგი ბუნებისაა.⁹⁶ ამიტომაც ხანდაზმულობის გასვლისას საქმე არსებითად არ უნდა იქნეს განხილული, არამედ უნდა შეწყდეს. აღნიშნული დასკვნა მისაღებია სისხლის სამართალშიც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევაში, რადგან საქმის შეწყვეტის დადგენილება (განჩინება) არ არის დანაშაულის დამდგენი აქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ნეგატიურ პასუხისმგებლობაზე საუბარი.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ მეცნიერები ხანდაზმულობას განმარტავენ, როგორც ვადას, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია გარკვეული მოქმედებების შესრულება. აღნიშნული მიდგომა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადა არის დროის მონაკვეთი, რომელიც გამოხატავს განსაზღვრული მოვლენის ცვლილებისთვის აუცილებელ დროს, ანუ რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლისათვის აუცილებელ დროს. აღნიშნულისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ვადის ბოლო თარიღი, რომლის მერეც საქმე სხვა მოვლენასთან გვაქვს, მანამდე კი თვისობრიობა ჯერაც სრულყოფილად შეცვლილად არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა უნდა აღნიშნავდეს არა გარკვეულ ვადას, არამედ ვადის გასვლის შედეგად დამდგარ მოვლენას. ამასვე ადასტურებს ტერმინ „ხანდაზმულობის“ მნიშვნელობა ქართულ ლექსიკაში, სადაც ის დროის განსაზღვრული პერიოდის გასვლის შედეგს გამოხატავს, ხოლო ხანდაზმული - დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შედეგად განსხვავებული თვისებრიობის მატარებელ მოვლენას მიემართება. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ავტორებს, რომლებიც ხანდაზმულობას ვადის მსვლელობასთან აიგივებენ ან ზოგადად გარკვეულ ვადასთან. ეს ვადა, მართალია, მას ეწოდება „ხანდაზმულობის ვადა“, მაგრამ არის არა ხანდაზმულობის არსის ან შინაარსის მომცველი, არამედ ხანდაზმულობის დადგომისთვის აუცილებელი წინამძღვარი. ამიტომაც ის განასახიერებს ხანდაზმულობის დადგომის ვადას – იმ დროს, რა პერიოდშიც ხანდაზმულობა დგება, როგორც ამ ვადის გასვლის შედეგი.

აუცილებლად უნდა შევეხოთ ასევე ხანდაზმულობის დინებას სამოქალაქო სამართალში. ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). ასევეა გაგებელი აღნიშნული საკითხი ამერიკელი იურისტების მიერ, თუმცა ზოგი მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს ზიანის მიმყენებლის ქმედებას, ზოგი – შედეგს, ზოგიც – ქმედების ან შედეგის შეტყობას მოსარჩელის მიერ.⁹⁷ სამწუხაროდ, სისხლის სამართალში მოხდა აღნიშნული დებულების

⁹⁴ Хинной С. Г., *Исковая давность*, М, 1959, 4

⁹⁵ იხ. Попов Б., *Исковая давность*, М., 1926, 4

⁹⁶ იხ. ა. დობროვოლსკის დასახ. ნაშრ., 97

⁹⁷ იხ. ე. რიჩარდსონის დასახ. ნაშრ., 1036-1040; ჰ. ხიანგვის დასახ. ნაშრ., 266-268; ამერიკის შეერთებული შტატებში სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის დასაწყისთან დაკავშირებული გაუგებრობების შესახებ ვრცელი ანალიზი იხ. Jeb Wait C. F., *The Statute of Limitations Governing Medical Malpractice Claims: Rules, Problems, and Solutions*, South Texas Law Review, Spring, 2000, 377-446

ანალოგიით გადმოტანა, რის გამოც ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად დანაშაულის ჩადენა დასახელდა, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი. აღნიშნული დებულება არ არის სწორი, რადგან თუ სამოქალაქო სამართალში მოთხოვნის წარმოშობა პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების არჩადენის შედეგადაა შესაძლებელი, მაგალითად, პროცენტის სესხის პირობებში თანხის დროულად გადაუხდელობა ავტომატურად იწვევს პროცენტის დარიცხვას, სისხლის სამართალში ეს საკითხი უკავშირდება არა მოთხოვნის წარმოშობის მომენტს, არამედ ნორმის დარღვევის მომენტს, დანაშაულის დადგენის დროსა და ამისათვის საჭირო პროცედურას, დანაშაულის შემადგენლობასა და დანაშაულის მიმართებას.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ სარჩელის წარმოდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა (132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას მოთხოვნის უფლების გამოყენების შეუძლებლობას უკავშირებს კ. ც. ხიანვეი.⁹⁸ აღნიშნული დებულება სისხლის სამართალში ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ვადის დენა შეჩერდება, თუ პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას აბრკოლებს სახელმწიფო ორგანოებისათვის დაუძლეველი ძალა. მაგალითად, იმუნიტეტი. როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საკითხში სისხლის სამართალში მოქმედებს სამოქალაქო სამართლის მიერ აღიარებული წესი, მხოლოდ მცირეოდენი სახეცვლილებით.

სამოქალაქო კოდექსით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსთვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება (138-ე მუხლი). სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე (140-ე მუხლის I ნაწილი). აღნიშნულიდან შეიძლება განზოგადების მეთოდის გამოყენებით ითქვას, რომ „თუ ის [უფლება] რაიმე ფორმით განხორციელდა, ხანდაზმულობის დინება წყდება.“⁹⁹ აღნიშნული დებულებაც მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალში ხანდაზმულობის მოქმედების მექანიზმის გასაგებად. კერძოდ, თუ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს უფლების განხორციელება, ეს იმიტომ, რომ ხანდაზმულობა უფლების იძულებით განხორციელების გამომრიცხველი გარემოებაა. სისხლის სამართალში ხანდაზმულობა ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველი გარემოებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობის არსებობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა უკვე არააქტუალური ხდება და ვადის დენა უნდა დასრულდეს. თუმცა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეწყდეს პოზიტიური პასუხისმგებლობის არარსებობის დადგენის შემთხვევაში.

რამდენადაც სისხლის სამართალში ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართლიდან შევიდა, მოცემული საკითხები უნდა ვიკვლიოთ იმ კუთხით, რამდენად არის შესაძლებელი მათი მისადაგება სისხლის სამართლისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ დარგს შორის განსხვავება ბევრ საკითხში

⁹⁸ კ. ხიანვეის დასახ. ნაშრ., 283-285

⁹⁹ ენგელმანის დასახ. ნაშრ., 15. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხგავსად არის გადწვევტილი ჩინეთის სამოქალაქო სამართალშიც. აღნიშნულის შესახებ იხ. კ. ხიანვეის დასახ. ნაშრ., 267-269

ვლინდება, თუმცა მსგავსება სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობასა და სამოქალაქოსამართლებრივ ხანდაზმულობას შორის უდაოა, რაც იმის მანიშნებელია, რომ თავის დროზე მათ ერთი საწყისი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმ განსხვავებების შემდგომი განვითარება, რაც სისხლის სამართლის სპეციფიკას განაპირობებს, რათა დაიძლიოს სამოქალაქო სამართლის ზოგჯერ მანკიერი გავლენა, ასევე მოხდეს რაციონალური, ორივე დარგისათვის დამახასიათებელი ნიშნების სწორად გამოყენება.

აქვე მოკლედ უნდა შევეხოთ საჯარო სამართალში ხანდაზმულობის გამოვლენის კიდევ ერთ სახეს. ვგულისხმობთ ადმინისტრაციულ სამართალს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობას შორის მაკავშირებელ რგოლად ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადმინისტრაციულ სამართალში თითქმის უცვლელად ან მცირეოდენი ინტერპრეტაციით არის გადატანილი სამოქალაქოსამართლებრივი ხანდაზმულობის ნორმები, მეორე მხრივ - ადმინისტრაციულსამართლებრივი ხანდაზმულობა უფრო ახლოსაა სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობასთან, რადგან ორივე საჯარო სამართლის სპეციფიკაზე უნდა აიგოს.¹⁰⁰

ადმინისტრაციული სამართლის ნორმებთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობას გამოხატავს პროფ. მაქს-ემანუელ გაისის სიტყვები, რომ ადმინისტრაციული სამართალით ხანდაზმულობის საკითხები არ არის დარეგულირებული, თუმცა იქ მაინც მოქმედებს ხანდაზმულობა და მას იგი სამოქალაქო სამართლიდან სესხულობს.¹⁰¹

ამასთან, მისასალმებელია, რომ მეცნიერების მიერ ხდება ყურადღების გამახვილება იმ განსხვავებებზე, რაც არსებობს კერძო და საჯარო სფეროებს შორის. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ხანდაზმულობის განსხვავებას სამოქალაქოსამართლებრივი ხანდაზმულობისგან ვოლკერ ჰაენიკე ხედავს იმაში, რომ თუ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობა მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმის საშუალებაა, რომელსაც მხარე თავისი შეხედულებით გამოიყენებს, ადმინისტრაციულ სამართალში ხანდაზმულობის არსებობა მოთხოვნის შესრულების გამომრიცხველი გარემოებაა.¹⁰²

ამდენად, ეჭვს არ იწვევს, რომ ხანდაზმულობა მოქმედებს როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის სფეროში, სადაც განსხვავებული თვისებების გვერდით მათ საერთო ნიშნებიც ახასიათებთ. ეს გვაიძულებს, ყოველ კონკრეტულ დარგში ხანდაზმულობის სპეციფიკური ცნების არსებობა ვაღიაროთ, თუმცა ამასთან, გარდუვალი ხდება ხანდაზმულობის ზოგადი ცნების არსებობის აღიარებაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია იმ ზოგადი ნიშნების დადგენა, რაც ახასიათებს ხანდაზმულობას ყველა დარგში.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ხანდაზმულობის ზოგადი ცნების მონახაზი: **ხანდაზმულობა ზოგადად სამართალში არის დროის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შედეგად**

¹⁰⁰ ადმინისტრაციულ სამართალში ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე იხ. Ossenhühl F., *Verzicht, Verwirkung und Verjährung als Korrektive einer polizeilichen Ewigkeitshaftung*, NVwZ, 1995, Heft 6, 547-550; Martensen J., *Die Verjährung als Grenze polizeilicher Verantwortlichkeit*, NVwZ 1997 Heft 5, 442-446; Gübner R., *Die Unterbrechung der Verfolgungsverjährung in Bußgeldsachen*, NZV 1998, Heft 6, 230-236; Dannecker G., *Die Verfolgungsverjährung bei Submissionsabsprachen und Aufsichtspflichtverletzungen in Betrieben und Unternehmen - - Zugleich eine Anmerkung zu BGH, NJW 1984, = NStZ 1985, 77*, NStZ 1985 Heft 2, 49-56; Stumpf C. A., *Die Verjährung öffentlich-rechtlicher Ansprüche nach der Schuldrechtsreform*, NVwZ 2003 Heft 10, 1198-1202

¹⁰¹ იხ. Geis M-E., *Die Schuldrechtsreform und das Verwaltungsrecht*, NVwZ 2002 Heft 4, 385

¹⁰² იხ. Haenicke V., *Zur „Einrede“ der Verjährung im Öffentlichen Recht*, NVwZ 1995 Heft 4, 348-349

დამდგარი მოვლენა, რომელიც გამორიცხავს ინსტანციის მხრიდან სუბიექტის მიმართ ამ უკანასკნელის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას.

1.2.2. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობა, როგორც დროის გამოვლენა სამართალში

ხანდაზმულობის არსის პრობლემა გადის დროის კატეგორიაზე, ვინაიდან, როგორც სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო კოდექსებიდან ჩანს, ხანდაზმულობა სწორედ დროის განსაზღვრული პერიოდის გასვლასთანაა დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია დროის კატეგორიის გააზრება და შემდეგ სამართალში, კონკრეტულად კი სისხლის სამართალში, დროის გამოვლინების ფორმების გაცნობიერება. ამასთან, დრო ჩვენთვის საინტერესოა უშუალოდ სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რის გამოც, შევეცდებით, დროის კატეგორია ამ კუთხით წარმოვაჩინოთ.

1.2.2.1. დროის კატეგორია

დროს სხვადასხვა კუთხით სხვადასხვა მეცნიერება იკვლევს. ყველაზე დიდი გავლენა დროის კვლევაში იქონია ფიზიკამ, ერთი მხრივ, და ფილოსოფიამ, მეორე მხრივ.* უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია კერძო მეცნიერების ფარგლებში დროის გამოკვლევა მთელი თავისი სისრულით. დროის კვლევას უფრო ფართო მასშტაბი სჭირდება, რისი მოცვაც შეუძლია მხოლოდ ფილოსოფიას.

ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც კერძო მეცნიერული ინტერესებითა და მეთოდებით უღებოდნენ დროის საკითხს, დროის პრობლემას სხვაგვარად წარმოაჩინდა ფილოსოფია. ფილოსოფიაში დღეს მეტ-ნაკლებად მიღებულია შეიძლება ჩავთვალოთ დებულება, რომ დრო აღნიშნავს განგრძობადობას, დენადობას და მიმდევრობას მოვლენებისა, რაც გამოხატულებას პოულობს გაზომვის დროით ერთეულებში (წამი, საათი, საუკუნე...) და დროით მიმართებებში, რომლებიც განისაზღვრებიან სიტყვებით „მოგვიანებით“, „ადრე“.¹⁰³

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დროსთან დაკავშირებით ფილოსოფიაში ორი მიმართულება გაიმიჯნა. ერთის მიხედვით, დრო ობიექტური კატეგორიაა, მეორე

* ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფილოსოფია ამ საკითხში ხშირად ფიზიკის მიღწევებს იყენებს, თუმცა კვლევის მეთოდებს შორის არსებულმა განსხვავებებმა და განსხვავებულმა ინტერესთა სფერომ განაპირობა მათ შორის რადიკალური განსხვავების წარმოშობა.

¹⁰³ იხ. Аскин Я. Ф., *Проблема времени, ее философское истолкование*, М., 1966, 11, 37

კი მას სუბიექტურ კატეგორიად მიიჩნევს.* მეორე ბანაკს მიეკუთვნებიან პოზიტივისტები, მათ შორის პირსონი, ასევე მახი, კანტი, მათემატიკოსი ანრი პუანკარე.¹⁰⁴ როგორც რ. ლაზარიაშვილი აღნიშნავს, ფილოსოფოს მახის აზრით, „დრო შეგრძნებათა რიგების მოწესრიგებული სისტემაა.“¹⁰⁵ ანრი პუანკარე ამბობს, რომ „დროის ცნებას ბუნება კი არ გვაძლევს, ჩვენ ვაძლევთ მას ბუნებას.“¹⁰⁶ კარლ პირსონის მიხედვით, დრო არის „არა საგნებში, არამედ ჩვენს მიერ საგანთა აღქმის წესში.“¹⁰⁷ ის საგანთა აღქმის საშუალებაა. აღნიშნულ მოსაზრებებში დრო თითქოს მოწყვეტილია ობიექტურ საწყისს და მთლიანად სუბიექტურ საწყისზეა აგებული. დროის ასეთი გაგება არ არის სწორი, ვინაიდან ვერ ასახავს დროისათვის დამახასიათებელ ყოვლისმომცველ ბუნებას.

ხემოთ მოყვანილ შეხედულებათაგან განსხვავებით სუბსტანციური თეორია დროს განიხილავს ობიექტურად, როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციას, რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ძნელია დაასაბუთო, თუ როგორ მოქმედებს დრო, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანცია ყველაფერზე, რაც ობიექტურ და სუბიექტურ სამყაროში ხდება. ამიტომაც უფრო სწორი მიმართულება უჭირავს რელაციონურ თეორიას, რომელიც დროს აღიქვამს როგორც მიმართებას ან მიმართებათა სისტემას ფიზიკურ მოვლენათა შორის.¹⁰⁸ აღნიშნული დებულების გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ შეხედულება, რომლის მიხედვითაც „დრო არის ყოფიერების დენადობა, სივრცე ყოფიერებაში, არსებობის თანმიმდევრულობა, მოვლენების განგრძობადობა...“¹⁰⁹ დროის ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთიანობას ვხვდებით მოსაზრებაში, რომ დრო, როგორც მატერიის არსებობის ფორმა, არის აბსტრაქცია და მას არ შეუძლია მისი კონკრეტული ფორმების გარეშე არსებობა.¹¹⁰ იგივე აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ ო. ბაზალუკის შეხედულებაში, რომ დრო არის კატეგორია, რომელიც აფიქსირებს და ფეხდაფეხ მიჰყვება ნივთიერების (მატერიის) განვითარებას სივრცეში. დროს სისტემაში მოჰყავს მიზეზ-შედეგობრივი მოვლენები, ასახავს სივრცეში ნივთიერებების ფორმირებისა და განვითარების ეტაპებს.¹¹¹ ე. ვლასოვისა და ა. სუტორმინის აზრით, დრო არის მატერიის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი ფორმა, ის არის „მოვლენათა ცვლილების საყოველთაო ფორმა“.¹¹²

აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დროის გაგების ობიექტივისტური პოზიცია სწორია იმაში, რომ დრო ასახავს რეალობაში მიმდინარე პროცესებს და ის, ამდენად, არაა წმინდა სუბიექტური, დროის დენას ემორჩილება ყოველი ობიექტური მოვლენა. თავის მხრივ, დროის სუბიექტივისტური მიდგომა სწორია, როცა ამბობს, რომ დრო არ არის ცალკე ობიექტურად არსებული სუბსტანცია, ის ადამიანის გონებაში მიმდინარე

* თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დროის სუბიექტურად გაგება მხოლოდ ფილოსოფიური კვლევისათვის არ არის დამახასიათებელი, მას ზუსტი მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელიც აღიარებდა, მაგალითად, ანრი პუანკარე.

¹⁰⁴ იხ. Кант И., *Сочинения* в 6 томах, т. 3, М., 1964, 139; К. Пирсон, *Грамматика науки*, С-П, 1911, 220

¹⁰⁵ ლაზარიაშვილი რ., *დროის პრობლემა ე. ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში*, წიგნში - ახალგაზრდა ფილოსოფოსთა პრობლემატური საკითხების სესიის მასალები, თბ., 1984, 9

¹⁰⁶ იქვე, 9

¹⁰⁷ იქვე, 10,

¹⁰⁸ იხ. Сучкова Г. Г., *Время как проблема гносеологии*, изд. ростовского ун., 1988, 11

¹⁰⁹ Даль В., *Толковой словарь*; ВИТ, - М, 1989, т.1, 261

¹¹⁰ იხ. Жаров А. М., *Проблема времени и неопределенность*, изд. ростовского ун., 1987, 21

¹¹¹ იხ. Базалук О. А., *Время в свете новой космологической концепции*, днепропетровск, 2003, 27, 30

¹¹² Власов Е. Л., Сутормин А. И., *Социальное время, как онтологическая проблема*, в книге: Философские аспекты проблемы времени, Ленинград, 1980, 100

ოპერაციების შედეგია. აქ იგულისხმება ობიექტურად მიმდინარე პროცესების აბსტრაქცირება. ამდენად, დრო სუბიექტის გარეშე არ არსებობს. სუბიექტის გარეშე არსებობს მხოლოდ დროის ობიექტური წანამდგარი: ობიექტურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები. ამასთან, დრო არ არსებობს არც ობიექტური ცვლილებების გარეშე, ვინაიდან დრო არის სწორედ ამ ცვლილებების აბსტრაქცირება. სწორედ ამაში ვლინდება დროის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების კავშირი.

ამიტომაც სწორი პოზიცია უჭირავს ი. ასკინს: „დრო არ არის ცალკე სუბსტანცია, ის მატერიის არსებობის ფორმაა,“¹¹³ რომელიც წარმოებულია შინაარსისგან. ამასთან, დრო არის ცვლილებების გამომწვევი კონკრეტული მიზეზების აბსტრაქცირების შედეგი და არა ამ ცვლილებების მიზეზი.¹¹⁴ ავტორის თქმით, დრო არის არამარტო პროცესების დენადობა და მოვლენათა თანმიმდევრობის რიგი, არამედ უფრო მეტი, კერძოდ, ქმნადობა.¹¹⁵ აღნიშნული თეორია სამართალში დროის გამოვლენის კვლევისათვის მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს. საქმე ისაა, რომ სამყაროში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები, რადგან მოვლენათა განვითარება ემყარება არა სტატიკურ, არამედ დინამიკურ კანონზომიერებას. მაგრამ ყველა ცვლილება როდია ერთნაირად მნიშვნელოვანი. არის ისეთი ცვლილებები, რომელთაც მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ სხვებთან შედარებით, რომლებიც თვისობრივად ახალ მოვლენას იწყებენ. შეიძლება ითქვას, ამ დროს რაოდენობა თვისობრიობაში გადადის და წარმოიქმნება სრულიად ახალი რამ. ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის, რაც ამ მოვლენამდე იყო, თვისობრივად განსხვავებულია იმისაგან, რაც ამ მოვლენის შემდეგ არის. ე.ი. საქმე გვაქვს ახლის ქმნადობასთან, ანუ განვითარების უმაღლეს საფეხურთან.

სამართლისათვის დამახასიათებელია დროის, სწორედ როგორც ქმნადობის გაგება. თუ არა ქმნადობას, მაშ სხვას რას ნიშნავს სრულწლოვანების ან საპენსიო ასაკი? კანონის ძალაში შესვლა? ხანდაზმულობა?..

დროის პრობლემას აქვს მრავალი მიმართულება: სოციალ-ეკონომიკური, ისტორიული, ეთიკური, სამეცნიერო-შემეცნებითი (თეორიული, ემპირიული, ლოგიკური) და სხვა. შესაბამისად, განსხვავებენ საბუნებისმეტყველო ანუ ფიზიკურ დროსა და სოციალურ დროს – კაცობრიობის ისტორიისა და ადამიანის ყოველდღიური ყოფიერების რეალურ დროს.

ჩვენთვის ნაკლებად არის საინტერესო ის დრო, რომელსაც ზუსტი მეცნიერებები იყენებენ. უფრო მეტად ჩვენს ყურადღებას უნდა იპყრობდეს სოციალური დრო, ისტორიული დრო. „სოციალური დრო არის ადამიანური ყოფის დრო, ადამიანური საქმიანობის დრო.“¹¹⁶ ისტორიული დრო არის სოციალური დროის უმნიშვნელოვანესი მხარე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დრო არის ცვლილებების განსაზღვრული ხარისხით აბსტრაქცირება. სწორედ ეს უნდა იყოს კრიტერიუმი ისტორიული დროისა და ყოველდღიური ყოფითი დროის გამიჯვნისა. ამასთან, ასევე უკვე აღინიშნა, რომ დროის შინაარსში უნდა ვიგულისხმოთ ქმნადობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტს, რომელიც გარკვეულ მოვლენებს სწავლობს, აბსტრაქცირების სხვადასხვა ხარისხი ესაჭიროება ამ მოვლენების სწორად აღქმისათვის. ამიტომაც ქმნადობა, როგორც თვისობრივად ახალი მოვლენის წარმოშობა ერთ შემთხვევაში უფრო გლობალური იქნება, მეორე შემთხვევაში – ნაკლები მასშტაბის. მაგალითად,

¹¹³ ი. ასკინის დასახ. ნაშრ., 58

¹¹⁴ იქვე, 62

¹¹⁵ იქვე, 91

¹¹⁶ Яковлев В. П., *Социальное время*, изд. ростовского ун., 1980, 3

ისტორიული დროისათვის დამახასიათებელია დროის მონაკვეთების განსხვავება ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით, ან კიდევ კონკრეტულ სახელმწიფოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების მიხედვით, მაშინ, როცა ყოველდღიური ყოფითი დროისათვის მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს დროის დაყოფა წლების, დღეების, საათების... მიხედვით. სწორედ სოციალური დრო არის სამართალში დროის გამოვლენის მეთოდოლოგიური წინამძღარი.

უკვე ვნახეთ, რომ სამართალში დროის გამოვლენების სრულყოფილად კვლევისათვის (განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის თვალსაზრისით) აუცილებელია სოციალური დროის, როგორც ქმნადობის აღიარება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც უნდა შევხვით, არის ფუნქციონალური დრო. ჩვენ ვიზიარებთ პოზიციას, რომ დრო არის აბსტრაქტირების შედეგად მიღებული ცნება, რომელიც ასახავს ობიექტურად სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს. ჩვენთვის საინტერესოა დრო, როგორც ქმნადობა, როგორც არა მხოლოდ მოძრაობის რიცხვი, არამედ როგორც თვისობრიობის ცვალებადობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ფუნქციონალური დროის, როგორც თვითმყოფადი, ობიექტის შიგნით არსებული დროის ცნება.

ტ. ლოლაევი საუბრობს ფუნქციონალურ დროზე და ამბობს, რომ ის არის „...კონკრეტული მატერიალური ნივთების, მოვლენების და მათი მდგომარეობის საკუთარი დრო, რომელიც ფარდობითობის თეორიის საკუთარი დროისაგან განსხვავებით, რომელიც იზომება ე.წ. „კარგი საათებით“, იქმნება კონკრეტული მატერიალური ობიექტების მდგომარეობის და თვით ამ ობიექტების თანმიმდევრული შეცვლის შედეგად.

მას ჰქვია ფუნქციონალური, რადგან მისი არსებობა და თვისებები მთლიანად დამოკიდებულია მატერიალურ ნივთებსა და მოვლენებში მიმდინარე ცვლილებებზე, როგორც მათში არსებული პოტენციური შესაძლებლობების, ასევე მათი გარემო პირობებთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.“¹¹⁷ ავტორი დროს უკავშირებს მოძრაობას, ცვლილებას, როგორც ქმნადობის მიზეზს. „...მათემატიზირებული დროისაგან განსხვავებით ფუნქციონალური დრო იქმნება კონკრეტული მატერიალური ობიექტების მდგომარეობის და თვით ობიექტების თანმიმდევრული ცვლის შედეგად სხვა ობიექტებისგან დამოუკიდებლად...“¹¹⁸

აქვე უნდა ითქვას, რომ სამართლისთვის საინტერესოა სწორედ ფუნქციონალური დრო, როგორც სისტემის დრო, რომელიც სისტემის შიგნით მიმდინარე ცვლილებებზეა ორიენტირებული. ამდენად, შეიკრიბა ყველა საჭირო ელემენტი, რათა დავიწყოთ უშუალოდ სამართლის დროის კვლევა სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობასთან მიმართებაში. კერძოდ, სამართალში დრო გამოკვლეულ უნდა იქნეს ფუნქციონალურ სოციალურ დროსთან, როგორც ქმნადობასთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძვლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ხანდაზმულობის არსის დადგენა სისხლის სამართალში.

¹¹⁷ Лолаев Т. П., *Время, новые подходы к старой проблеме*, Орджоникидзе, 1989, 3

¹¹⁸ იქვე, 4

1.2.2. დრო სამართალში

ერთ-ერთი იმ კვლევათაგანი, რომლებიც ზოგადად სამართალში დროის გამოვლენას ეძღვნება, არის დ. სუხიტაშვილის ნაშრომი: „დრო და სამართალი“. ავტორი სავსებით სწორად ასხვავებს სამართალში მოქმედ დროსა და ფიზიკურ, ზოგად, ობიექტურ დროს, რადგან სამართალში დროს, მისი აზრით არ ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც ფიზიკურ დროს. კერძოდ სამართლისთვის უცხოა დროის შეუქცევადობა, განუმეორებლობა, უწყვეტობა.¹¹⁹

მართლაც, სამართალი, ალბათ, ერთადერთი სფეროა, სადაც შესაძლებელია მოვლენების უკუძალით გავრცელება, ანუ მათი ზეგავლენის აღიარება მანამდე არსებული ურთიერთობების მოწესრიგებაში. ასევე მხოლოდ სამართალშია შესაძლებელი დროის შეჩერება ან შეწყვეტა და ხელახლა გაგრძელება. ეს ყველაფერი უკავშირდება ფიქციას, როგორც სამართლისათვის გარკვეული მოვლენის დარეგულირების სპეციფიკურ ხერხს. ამის შედეგად, შეიძლება ითქვას, სამართალში დრო ხშირად ფიქტიურია, ფაქტიური დროისაგან განსხვავებული. ამიტომაც საქმე გვაქვს სპეციფიკურ, შეიძლება უხეშად ითქვას, „ვირტუალურ“ დროსთან. ამასთან, დროის მიერ სამართალში შექმნილ ამ ახალ თვისებებს თავისი მიზეზები აქვს, რასაც მოვლენების სამართლებრივი დარეგულირების სპეციფიკა განსაზღვრავს.

იმდენად, რამდენადაც სამართალში არც ერთი ცნება თუ ინსტიტუტი არ არსებობს თავისთავად, თავისი თავისთვის, არამედ მათ არსებობას ფუნქციონალური დატვირთვა აქვს, ამიტომ დროც სამართალში ფუნქციონალურია. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ სისტემის შიგნით მიმდინარე ცვლილებების ამსახველ დროს, როგორც ეს მიღებულია სოციალურ ფილოსოფიაში, არამედ ფუნქციურად დატვირთულ, მიზნით განსაზღვრულ დროს. საქმე ისაა, რომ სამართალი, როგორც ჯერარსი, იდეალურ ნორმათა ერთობლიობა, საჭიროებს არა ჩვეულებრივ, ობიექტურ მოვლენათა პირდაპირ გადმოტანას სამართლის ნორმებში, არამედ მათ ფუნქციურად დატვირთვას. მხოლოდ ეს არის საფუძველი იმისა, რომ სამართალში არ იყოს ზედმეტი ცნებები და ინსტიტუტები. დრო სამართალში ზოგან პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას გულისხმობს (სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტობის ასაკის მიღწევას), სხვა შემთხვევაში – ქმედუნარიანობის დასაწყისს (სრულწლოვანება სამოქალაქო სამართალში)...

დრო სამართალში უფუნქციოდ რომ არ არსებობს, ამას ისიც ადასტურებს, რომ დროის გამოვლინებებს სამართალში (თარიღი, ვადები) იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს: ის წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასთან, დროის დამახასიათებელ თვისებებს, ნიშნებს სწორედ მისი ფუნქციონალური დატვირთვა განსაზღვრავს. ამიტომაც არის, რომ ფუნქციონალური სამართლებრივი დრო არ ემთხვევა ყოფით რეალურ დროს. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, სამართალი ბევრ ობიექტურ მოვლენას არასარკისებურად ასახავს. ასეა დროსთან დაკავშირებითაც. მაგალითად, როცა შეუძლებელია რაიმე უფლების, მოვალეობისა თუ უფლებამოსილების განხორციელება, დრო ჩერდება. ფაქტობრივი შესაძლებლობის აღდგენის შემდეგ კი განაგრძობს დენას. ასევეა დროის დენის შეწყვეტის შემთხვევაში: როცა იმ ფუნქციის შესრულების შეუძლებლობა, რაც დროის გასვლას აკისრია, ამ ვადის გასვლამდე უკვე ნათელია, დროის სვლა წყდება. მიგვაჩნია, რომ

¹¹⁹ იხ. სუხიტაშვილი დ., *დრო და სამართალი*, თბ. 2004, 34

„სამართლებრივი დრო“ სხვა დროისაგან სწორედ მისი ფუნქციური დატვირთვით განსხვავდება. შესაბამისად, მას განსხვავებული ნიშან-თვისებები ახასიათებს, რომელთა შორისაც განმსაზღვრელია ფიქცია, როგორც სამართლებრივი დროის ნიშანი.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დანაშაულის ჩადენის დროს. ქმედება ჩადენისთანავეა დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი, მიუხედავად იმისა, რომ სანამ აღნიშნული კატეგორიულად არ დადგინდება, დანაშაული იურიდიული გაგებით არა გვაქვს. ამასთან, აღნიშნული მუხლი დანაშაულებრივი ქმედების დროდ ასახელებს სწორედ ქმედების ჩადენის დროს შედეგის დადგომის მიუხედავად. არადა ხშირად შედეგის დადგომაზეა დამოკიდებული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. ამიტომაც დანაშაულის ჩადენის დროდ მოქმედების დროის მიჩნევა შეიცავს რეალური მოვლენების კანონში სახეშეცვლილად ასახვას. ეს ხდება ქმედების სუბიექტის ინტერესების დაცვის მიზნით. მეორე, თანამონაწილეობის შემთხვევებში თანამონაწილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედებაზე.¹²⁰ მიუხედავად ამისა, თანამონაწილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დროდ, სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ითვლება არა ამსრულებლის მოქმედების დრო, არამედ თვითონ მისი (წამქეხებელი, დამხმარე, ორგანიზატორი) მოქმედების დრო. მესამე, უმოქმედობის შემთხვევებში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დრო უკავშირდება იმ დროს, როცა პირს უნდა ემოქმედა. მეოთხე - ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს, რაც ასევე ქმედების სუბიექტის ინტერესების დაცვას ემსახურება.

აღნიშნულს უკავშირდება კანონის უკუძალის საკითხი, ვინაიდან ქმედებაზე ვრცელდება ის კანონი, რომელიც არ არსებობდა ქმედების ჩადენის დროს. ამ მხრივ ყველაზე პრობლემატურია შემთხვევები, როცა პრაქტიკაში გამოიყენება არა ერთი კანონი, არამედ ორივე - ის, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის მომენტში და ისიც, რომელიც მოქმედებს დღეს: ერთიდან გამოითვლება სასჯელის მინიმუმი, მეორიდან - მაქსიმუმი. ესეც საკითხის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის მაგალითია.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლისათვის უცხო არ არის ერთსა და იმავე დროს გამოყენება ძალადაკარგული კანონისა, ახალი კანონისა ან ორივეს ერთად. ეს მაშინ, როცა კანონს თავისი მოქმედების დრო აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალში ხშირად განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, დრო უკან ბრუნდება, წარსულში მომავალი წინასწარ მოცემულად იგულისხმება. მართალია, აღნიშნული ნიშნები ობიექტური დროისათვის უცხოა: მომავალი ყოველთვის წარსულის შემდეგაა, დრო შეუქცევადია... თუმცა სამართლებრივი დროისათვის ეს ყველაფერი დამახასიათებელია.

ამდენად დ. სუხიტაშვილი საუბრობს სამართლის სისტემის შიგნით მოქმედ სპეციფიკურ დროზე. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ დროითი კატეგორიები სამართალშიც ფუნქციონირებს. მაგალითად, თარიღი, ხანგრძლივობა, განმეორება, ერთდროულობა, თანმიმდევრობა, თანადროულობა.¹²¹ სამართალი დროს უმეტესწილად სწორედ თარიღების მეშვეობით ითვლის. თარიღს ხშირად აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა სამართლის სხვადასხვა დარგში: ქმედების შემადგენლობის განხორციელების თარიღიდან იწყება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის

¹²⁰ იხ. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, 51;

¹²¹ იხ. სუხიტაშვილი დ., დასახ. ნაშრ., 38-67

დღიდან წყდება პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან უნდა დაიწყოს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ათვლა. მისი ვადის გასვლის დღიდან ქრება სასჯელის აღსრულების შესაძლებლობა...

ხანგრძლივობა არის თარიღებს შორის პერიოდი. სამართალში დრო სწორედ ხანგრძლივობის მეშვეობით ფუნქციონირებს. კერძოდ, მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ პერიოდის ხანგრძლივობით, რა ხნითაც პირს იცავს იმუნიტეტი... ხანდაზმულობასთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანია თანადროულობა, რომელიც ვლინდება ქმედებისა და პასუხისმგებლობის დროში უწყვეტობის მოთხოვნაში.

დრო მრავალ სამართლებრივ ინსტიტუტს უკავშირდება. აღნიშნულზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. ინგო თავის სტატიაში „დრო სამართალში“.¹²² სამართლის ნორმაში განზოგადების მეთოდით არის ასახული იდეალური მოთხოვნა. სამართალს აქვს ნორმატიული ბუნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის განკუთვნილია არა ერთი კონკრეტული შემთხვევისადმი ან ერთი კონკრეტული პირისადმი, არამედ მოიცავს მრავალ განსხვავებულ შემთხვევასა და პირს, აერთიანებს მათ საერთო ნიშნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, სამართალში ყველა მოვლენა ასახულია განზოგადების გარკვეული ხარისხით, რადგან შეუძლებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის ნორმით დარეგულირება, ვინაიდან ის ინდივიდუალურია და განუმეორებელი. ამიტომაც რეალურ სამყაროში არსებული ცნებები სამართალში სახეს იცვლის და შეცვლილი სახით განაგრძობს არსებობას, რათა უკეთესად მოხდეს მოვლენათა ოპტიმალური დარეგულირება.

სამართალში საქმე გვაქვს სწორედ სოციალურ, ფუნქციონალურ* დროსთან, როგორც ქმნადობასთან. სწორედ ასე შეიძლება გავიგოთ კანონის მოქმედების დრო, რომელიც იწყება კანონის იურიდიული ძალის შექმნიდან და მთავრდება მისი ძალის დაკარგვით, რადგან ყოველი კონკრეტული კანონის ამოქმედებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა თვისობრივად ახლებურ სამართლებრივ რეგულირებას განიცდის, ანუ საქმე გვაქვს სისტემის შიგნით თვისობრივ ცვლილებასთან.

იგივე ითქმის სამართლის სუბიექტის ასაკზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, რომლის დროსაც სხვადასხვა ასაკის ადამიანებს განსხვავებული მოპყრობა ესაჭიროებათ. ამდენად, არასრულწლოვანს, რომელიც ჯერ კიდევ ზრდის, აღზრდის, განვითარების პროცესშია, ვერ მოეთხოვება იმდენი, რამდენიც სრულწლოვანს. ამდენად, ეს ობიექტური განსხვავება უნდა აისახოს სამართალშიც. ადამიანის პიროვნებაში მიმდინარე ცვლილებები, როგორც ფუნქციონალური დროის ობიექტური საფუძველი, იმის მიხედვით უნდა აისახოს სამართალში, თუ რამდენად მნიშვნელოვან ცვლილებასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც სამართალი ასაკს ჰყოფს მხოლოდ რამდენიმე ნაწილად იმის მიხედვით, განსაზღვრულ დარგს თუ რომელი კუთხით აინტერესებს ადამიანის განვითარების პროცესი. მაგალითად, მცირეწლოვანი ის ადამიანია, რომელსაც ჯერ არ შეუძლია პასუხისმგებლურად მოეკიდოს კანონის მოთხოვნას. სისხლისსამართლებრივი

¹²² იხ. Ingo, *Zeit im Recht*, NJW 2000, Heft 1, 1-7

* ამ სიტყვის ქვეშ ვგულისხმობთ ორ რამეს: 1. იმ გავებას, რაც სოციალურ ფილოსოფიაში მიღებულია, როგორც მოვლენის შიგნით მიმდინარე ცვლილებების ამსახველი აბსტრაქცია, 2. ფუნქციურად დატვირთულ, მიზნით განსაზღვრულ დროს.

ურთიერთობის სუბიექტი მისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მას უკვე აღნიშნული პასუხისმგებლობის გრძნობა გამომუშავებული აქვს. ადამიანის პიროვნებაში ან სხვა რაიმე სისტემაში მიმდინარე სწორედ ასეთ ფუნდამენტურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა სამართლით განსხვავებული სამართლებრივი სტატუსია განსაზღვრული. აღნიშნული უღევს საფუძვლად ასევე ხანდაზმულობის არსებობას.

სამართალში მოქმედ ქმნადობით საფუძველდებულ ფუნქციონალურ დროს საფუძვლად უღევს რეალური ქმნადობით საფუძველდებული დრო, თუმცა სამართლის სპეციფიკის გამოყენებით სახეშეცვლილი. აღნიშნული შეეხება საპროცესო მოქმედებების ვადებსა და ხანდაზმულობის დროსაც, ვინაიდან ისინი სამართალში განსაზღვრული მიზნით არის შექმნილი და, თავის მხრივ, წარმოადგენს გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებას. ამდენად, დრო სამართალშიც ვლინდება, როგორც ობიექტურ სამყაროში მიმდინარე პროცესების გარკვეული მიზნით სპეციფიკურად ამსახველი მოვლენა. სწორედ ასეთი დროის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა ხანდაზმულობა.

ხანდაზმულობის, როგორც დროის სპეციფიკური გამოვლენის უკეთ გასაგებად შეიძლება მოვიყვანოთ კანონის მოქმედების დროის ანალოგია. კანონი არეგულირებს მისი შექმნის დროს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამიტომაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებები იწვევს კანონმდებლობის ცვლილებებს. ყოველი კანონი ეფუძნება განსაზღვრულ ობიექტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელსაც მიემართება ის. იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთობა ობიექტურად არსებობს, ის არსებობს დროში. ამასთან, ვინაიდან დრო ცვლილებას, მოძრაობას ასახავს, სხვადასხვა დროს ეს ურთიერთობები სხვადასხვა სახეს იძენს. ობიექტური რეალობის ჯერარსულ სამყაროში სრულყოფილად ასახვისათვის შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმაც განიცდის ცვლილებას. ამასთან, პირველ შემთხვევაში მოქმედი დრო პირდაპირ არ გადადის სამართალში, არამედ, ფიზიკის ტერმინს თუ მოვიშველიებთ, „გარდატყდება“, როგორც სინათლე პრიზმაში. ამას თვითონ სამართლის კანონზომიერებები, მისი ინტერესები, მისი მოქმედების სფერო, მიზნები განაპირობებს.

ა. არნდტი ამბობს, რომ თუ დროს შევხედავთ ფიზიკო-მექანიკური კუთხით, როგორც არისტოტელე და ჰეგელი, ის სამართლისთვის გამოსადეგი ვერ იქნება, მაგრამ თუ მას გავიგებთ, როგორც არსებობის ფორმას და მომავლიდან შევხედავთ, ის გახდება არსისა და ჯერარსის დამაკავშირებელი. ამით დრო მნიშვნელობას იძენს სამართალში. დროის გავლენა სამართალში იმაშიც ვლინდება, რომ ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოთხოვნები თანადროულად უნდა არსებობდეს. სწორედ ასეა შესაძლებელი პასუხისმგებლობის გამართლება.¹²³ აქედან გამომდინარე, რეალური დრო სამართალშიც აღწევს, მაგრამ სახეცვლილი ფორმით, რის გამოც ის ხდება სამართლებრივი დრო, რაც იმაში გამოიხატება, რომ იძენს აბსტრაქციის განსაზღვრულ დონეს და მიზანს.

ხანდაზმულობა, როგორც სამართლის ცნება, გარკვეულ ობიექტურ რეალობას ასახავს. აქ იგულისხმება ქმედების სუბიექტის პიროვნებაში მიმდინარე ცვლილებები და თვით საზოგადოებრივ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებები. ისევე, როგორც სახეცვლილი საზოგადოებრივი ურთიერთობები

¹²³ იხ. Arndt A., *Umwelt und recht: Die Zeit im Recht (zum Streit und die "Rückwirkung" von Gesetzen)*. 2. Die Verfassungsrechtliche Bedeutung der strafrechtlichen Verjährung, in: NJW 1961, Heft 1, 14-16

მოითხოვს სახეცვლილ სამართლებრივ ნორმას, სახეცვლილი პიროვნება მოითხოვს სახეცვლილ სამართლებრივ მიდგომას.

პასუხისმგებლობა და სასჯელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გარკვეული მიზნით წესდება. ადამიანის პიროვნების განსაზღვრული მდგომარეობა პასუხისმგებლობის (და სასჯელის) კონკრეტულ სახესა და ზომას მიესადაგება. თუ პიროვნება შეიცვალა, პირვანდელი მიზნის მისაღწევად უკვე შეცვლილი საშუალებაა აუცილებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ცნებაში ვლინდება საფუძვლისა და მიზნის კავშირი, არსისა და ჯერარსის კავშირი. კონკრეტული პასუხისმგებლობისა და სასჯელის დამწესებელი განაჩენი შექმნილია განსაზღვრული მიზნით და თუ ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ეჭვქვეშ დადგა, საჭიროა ცვლილებების შეტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დაირღვა ქმედებისა და პასუხისმგებლობის ან სასჯელის თანადროულობა, რაზეც ა. არნდტი საუბრობდა, შეცვლილი ობიექტური მდგომარეობის გამო ეჭვქვეშ დგება სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა თუ სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის სამართლიანობა. სწორედ შეუსაბამო პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად არის შემოღებული ხანდაზმულობა, რომელიც დგას ქმედებისა და პასუხისმგებლობის (სასჯელის) თანადროულობის პრინციპის სადარაჯოზე.

სამართლის სპეციფიკა ვლინდება იმაშიც, რომ ხანდაზმულობის ვადა ერთიანია და მთლიანი, ამიტომ ის სრულად უნდა გავიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყვება მას განსაზღვრული შედეგი. მხოლოდ სამართალშია შესაძლებელი, ერთმა დღემ ან თუნდაც ერთმა წამმა რადიკალურად შეცვალოს პირის სამართლებრივი სტატუსი. რა თქმა უნდა, რეალურად ერთი დღე არაფერს ცვლის. ეს ცვლილებები ერთ დღეში კი არ ხდება, არამედ პერმანენტულად მიმდინარეობს, მაგრამ სამართალს, რომელმაც უნდა დაარეგულიროს უამრავი განსხვავებული შემთხვევა, სჭირდება ერთიანი ვადა, რომელიც საკმარისად ზოგადი იქნება, რათა მიესადაგოს განსაზღვრულ შემთხვევებს და ამასთან, საკმარისად კონკრეტული, რათა მოხდეს სხვა შემთხვევებისაგან აღნიშნული ჯგუფის განსხვავება. სამართალი, რომელმაც ეს რთული მისია უნდა შეასრულოს, ამავე დროს უნდა იყოს მარტივი და მოქნილი. ამიტომაც მას ვადების სწორედ მოცემული სახით დარეგულირება შეუძლია. ის, რომ ხანდაზმულობის ვადა ერთიანია, იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებლის პოზიციით, ამ ვადის გასვლა არის საჭირო თვისობრივად ახალი მოვლენის წარმოშობისათვის, რომლის ახლებური რეგულირება მან შეძლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგი მდგომარეობის განსხვავებული სამართლებრივი რეგულირებით.

ზოგი კრიმინალისტი, აცნობიერებდა რა, რომ ცვლილებები ერთბაშად არ ხდება და ის გრძელვადიანია, შემოდოდა წინადადებით, ვადის ნაწილის გასვლა შემამსუბუქებელ გარემოებად მიეჩნიათ, რაც სამართლიანად არის უარყოფილი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხელიდან გამოგვეცლებოდა ხანდაზმულობა, როგორც ქმნადობის სამართლებრივი გამოვლინება. ქმნადობა ხომ არ შეიძლება დავანაწევროთ? ის ერთიანია და მოიცავს მოვლენის გარკვეული თვისობრივობით დახასიათების მთელ პერიოდს. ერთი დღით ადრე ან გვიან მოვლენები არ იცვლება, მაგრამ ეს კანონით დადგენილი ზოგადი წესის აღმნიშვნელი ვადებია, რომელიც მკაცრად უნდა დავიცვათ. ამას მოითხოვს სამართლის მოქნილობა.

გ. ლოხვიციკი მომხრეა გარდამავალი საფეხურების დაწესების და სასჯელის შესაბამისად შემსუბუქების,¹²⁴ რასაც ეწინააღმდეგება ბევრი კრიმინალისტი

¹²⁴ იხ. *Курс советского уголовного права*, С-II, 1971, 287

ამბობს რა, რომ სასჯელის შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას, დროის ნახევრად გასვლას კი ამასთან საერთო არაფერი აქვს. ესეც რომ არ იყოს, თუ ხანდაზმულობას დაეყოფთ და ყოველ ვადას განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს შეეუხამებთ (სასჯელის შემსუბუქებას სხვადასხვა ზომით), მაშინ ხანდაზმულობამ შინაარსი უნდა შეიცვალოს და უნდა გახდეს არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი, არამედ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ასეთ სიტუაციაში სულ სხვა შინაარსის სამართლებრივ ცნებასთან გვექნებოდა საქმე და მისი კვლევაც სხვა მიმართულებით წარიმართებოდა. ამასთან, ხანდაზმულობა არ იქნებოდა ფუნქციონალური დროის, როგორც თვისობრივად ახლის ქმნადობის სამართლებრივი გამოვლინება, არამედ იქნებოდა რაღაცა სხვა.

ხანდაზმულობა არის ფიქცია და ეს სწორედ დროსთან დაკავშირებით ვლინდება. კერძოდ, როგორც ცნობილია, ფიქცია არის ისეთი მოვლენა, რომელიც არაზუსტად ასახავს მოვლენას, გარკვეულწილად ცვლის მას, თუმცა აღნიშნულს თავისი მიზანი აქვს და ის უმიზნო, შეცდომითი მოვლენა არ არის. თუ ობიექტურ სამყაროში დრო აბსტრაქციის შედეგია და ეს გამოიხატება სამყაროში, ადამიანში თუ რაიმე მოვლენაში მიმდინარე ცვლილებების განზოგადებით ამ ცვლილებების მნიშვნელობის მიხედვით, სამართალში დრო ამ თვისებას ინარჩუნებს და იძენს ახალ, სამართლისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებასაც. კერძოდ, სამართლებრივი დროის ზოგადობა ცვლილებების ხასიათის განზოგადებასთან ერთად გულისხმობს იმ პირთა წრის მონაცემების განზოგადებას, რომლებსაც მიემართება ის.

მოვლენათა უკეთესად რეგულირებისათვის სამართალი უშვებს სამართლებრივ დროსა და ობიექტურ სამყაროში არსებული დროს შორის სხვაობას. ეს ეხება ხანდაზმულობასაც. ხანდაზმულობის ვადები ზუსტად განსაზღვრულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ერთი და იგივე ვადები მიესადაგება (იგულისხმება ერთი და იგივე კატეგორიის დანაშაული). ეს, ბუნებრივია, არ შეესაბამება ობიექტურ სამყაროში მოვლენათა განვითარების ბუნებრივ წესს, ვინაიდან ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია და შეუძლებელია ყველას ერთი და იგივე ვადები მიესადაგოს, თუმცა ეს ვითარება სრულიად მისაღებია სამართლისათვის. მეორე მომენტი არის ის, რომ ადამიანმა განიცადა ცვლილება. სრულიად შესაძლებელია, რომ ცვლილებას ადგილი არ ჰქონდეს, თუმცა ხანდაზმულობის ძალით ცვლილება ივარაუდება.

ხანდაზმულობის მეშვეობით ხდება იმ შემთხვევების დარეგულირება, როცა ობიექტურ სამყაროში მიმდინარე პროცესები შეუცნობადია, რის გამოც შეუძლებელია მათი სწორი სამართლებრივი რეგულირება. თუ არ ვიცით პიროვნებაში მიმდინარე ცვლილებების არსი, მიმართულება, შედეგები, მაშინ შეუძლებელია პასუხისმგებლობისა და სასჯელის კონკრეტულ ღონისძიებაზე საუბარი, რის გამოც სამართალს სჭირდება სხვა ღონისძიების გამოყენება აღნიშნული შემთხვევების დასარეგულირებლად.

ამდენად, ნათელია, რომ ხანდაზმულობა უკავშირდება პიროვნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებების სამართალში ასახვას აბსტრაქციების გზით.

1.2.3. ხანდაზმულობა და იურიდიული აზროვნების წესი

1.2.3.1. დანაშაულის სოციოლოგიური და იურიდიული გაგება, როგორც ხანდაზმულობის მეთოდოლოგიური საფუძველი

ხანდაზმულობის პრობლემა უკავშირდება უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ საკითხებს. ერთ-ერთი ძირითადი მათ შორის არის სოციოლოგიური და იურიდიული აზროვნების წესის გავლენა ხანდაზმულობის შესახებ მოძღვრებაზე. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ადგას სისხლის სამართალში სოციოლოგიური აზროვნების წესიდან იურიდიული აზროვნების წესზე გადასვლის გზას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დღეს საქართველოში იურიდიული აზროვნების წესის დამკვიდრებას. აღნიშნული აქტუალურია ხანდაზმულობის საწყისი ეტაპის დადგენასთან მიმართებით.

სისხლის სამართალში სოციოლოგიური აზროვნების წესის გავლენა იგრძნობა მრავალ ცნებასა თუ ინსტიტუტთან მიმართებით. მათ შორის შეიძლება ხანდაზმულობის დასახელება. ამასთან, ვინაიდან სოციოლოგიური აზროვნების სისხლის სამართალში ფართოდ გავრცელების წინაპირობა თვით დანაშაულის სოციოლოგიური გაგება გახდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მსჯელობის დაწყება დანაშაულის ცნებით. ამ მხრივ აქტუალურია დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის მიმართების საკითხის გარკვევა, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ხანდაზმულობის ვადის ათვლის პრობლემის გადაჭრა ისევე, როგორც ხანდაზმულობის ბუნებისა და სამართლის სისტემაში მისი ადგილის დადგენა.

საბჭოთა და თანამედროვე რუსი იურისტების მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი კი არ არის, არამედ დანაშაულის სინონიმი, მისი განხორციელება უკვე ნიშნავს საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენას (მცირემნიშვნელოვანი ქმედებების იშვიათი გამონაკლისის გარდა) ბრალეულად, ვინაიდან საზოგადოებრივი საშიშროება შემადგენლობის ელემენტი ისევე, როგორც ბრალი, რომელიც ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით არის გაგებულ. ამიტომაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება უკვე დანაშაულის არსებობის დადასტურებად იქნა მიჩნეული და პასუხისმგებლობის ერთადერთ, საკმარის საფუძვლად გამოცხადდა.

სწორედ სოციოლოგიური აზროვნების წესის გამომხატველ შემთხვევას წარმოადგენს ვ. სავიციკის აზრი, რომ ხანდაზმულობით საქმის შეწყვეტის შემთხვევაში იქნება არა არაბრალეულობის ვარაუდი, არამედ სწორედაც რომ ბრალეულობა.¹²⁵

სისხლის სამართალში სოციოლოგიის შემოჭრის შედეგად სოციოლოგიური ცნებები სისხლისსამართლებრივ ცნებებად გასაღდა. დამკვიდრდა „სოციოლოგიზმი“, მაგრამ სოციოლოგიზმი სისხლის სამართლისათვის არაორგანული, არაბუნებრივი გამოდგა. სოციოლოგიური ცნებების სისხლისსამართლებრივ ცნებებთან შეერთებამ ბევრი წინააღმდეგობა გამოიწვია. კერძოდ, დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობა თუ ერთსა და იმავეს აღნიშნავს, მაშინ გაუგებარია, რა საჭიროა ერთი არსის აღმნიშვნელი ორი ცნების არსებობა? დანაშაული შეფასებითი ცნებაა, თუ აღწერილობითი?

¹²⁵ აღნიშნული აზრი მოყვანილია წიგნში: Смольников В. Е., *Давность в уголовном праве*, М, 1973, 9

შეფასებითი ნიშნები თუ დანაშაულის შემადგენლობაში შედის და დანაშაულის შემადგენლობის არსებობას წინასწარი გამოძიება ადგენს, მაშინ რა როლს ასრულებს სასამართლო, რა საჭიროა სისხლის სამართლის პროცესი? არ არის აუცილებელი დანაშაულის ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშნების განსხვავება? როგორ ხდება რეალურად დანაშაულის ჩადენა?.. აღნიშნული წინააღმდეგობები შეამჩნია პროფ. თინათინ წერეთელმა და გაილაშქრა კიდევ დანაშაულის შემადგენლობისა და დანაშაულის გაიგივების წინააღმდეგ.¹²⁶ თუმცა, მიუხედავად ამისა, ტრადიციული კონცეფციის შეცვლა ათწლეულების განმავლობაში ვერ მოხერხდა.

იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დევნის შეწყვეტისას არაბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს და არა ბრალეულობის, რადგან ბრალი ჯერ კატეგორიულად დადგენილი არ არის სასამართლოს მიერ. სოციოლოგიური აზროვნების წესის თანახმად, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტში დანაშაულიც და დამნაშავეც უკვე აღმოჩენილად ითვლება. ეს კი მოითხოვს პასუხისმგებლობის დაკისრებასაც. ამიტომაც პასუხისგებაში მიცემა პასუხისმგებლობის დასაწყისად აღიქმება. სწორედ ამ ლოგიკის გაგრძელებაა, რომ პასუხისგებაში მიცემული (ანუ პასუხისმგებლობადაკისრებული) სასამართლო ეტაპზე თუ აღმოაჩენს, რომ მის მიმართ ხანდაზმულობის ვადები გასული ყოფილა და ის არასწორად მიეცა პასუხისგებაში, მაშინ ერთადერთი, რაც მას შეუძლია მოითხოვოს, არის უკვე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ამ ლოგიკით არის გამოწვეული პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის განხილვა პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელ გარემოებად, რადგან სასამართლო პასუხისმგებლობას ვერ გამორიცხავს. ის ხომ პირს უკვე დაეკისრა. იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით, ხანდაზმულობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას გამორიცხავს, რის გამოც ის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.

დღეს საქართველოში მიდებულად ითვლება, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება დანაშაულის საწყისი ეტაპია. აღნიშნული მოდელი გერმანელი მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხანია ტრადიციულია. ე. ბელინგმა შემადგენლობა წმინდა აღწერილობით ფაქტად წარმოაჩინა და მისგან გამოაცალკევა მართლწინააღმდეგობა და ბრალი, როგორც დანაშაულის მომდევნო ელემენტები.

საქართველოში ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“ აღნიშნავს არა დანაშაულის სტრუქტურულ შემადგენლობას, არამედ დანაშაულის ფაქტობრივი, აღწერილობითი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც შემდგომში შეფასებას მოითხოვს. აქ შემადგენლობა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გარეშეა გაგებულნი. ამიტომაც შემადგენლობის განხორციელება ჯერ დანაშაულად არ მიიჩნევა, სანამ არ დადგინდება მართლწინააღმდეგობა და ბრალი.¹²⁷ დანაშაულის სამწვეროვანი სისტემა შეესაბამება იურიდიული აზროვნების წესს, ვინაიდან აქ ქმედება იმთავითვე კი არ არის დანაშაულად აღიარებული, არამედ

¹²⁶ იხ. Церетели Т. В., Макашвили В. Г., *Состав преступления как основание уголовной ответственности*, "Советское государство и право", 1954, №5, 71-73; Т. В. Церетели, *Основание уголовной ответственности и понятие преступления*, "Правоведение", 1980, №2, 85

¹²⁷ დანაშაულის სამედიცინო-სამართლო ცნების შესახებ იხილეთ მ. ტურავა, *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2008, 62-63; ო. გამყრელიძე, *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება*, თბ., 2005, 74-90. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ავტორები დანაშაულის პირველ ელემენტს უწოდებენ ქმედების შემადგენლობას, თუმცა მასში გულისხმობენ იგივეს, რა აზრითაც ჩვენ ვიყენებთ ტერმინ დანაშაულის შემადგენლობას.

მხოლოდ სათანადო პროცედურების დაცვის შემდეგ შეიძლება შეფასდეს დანაშაულად. საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდგომა ამართლებს სისხლის სამართლის პროცესის არსებობას, ანიჭებს მას მნიშვნელოვან ფუნქციას დანაშაულის გამოვლენის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არაა სადავო დანაშაულის სამწვეროვანი დაყოფა, ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმის გარკვევა, რის გამოც ტერმინი „დანაშაულის ჩადენა“ ჯერაც აქტიურად გამოიყენება როგორც მეცნიერებაში, ასევე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. სინამდვილეში პირი ჩადის არა უშუალოდ დანაშაულს, არამედ განსაზღვრულ ქმედებას, რომელიც შეფასებას მოითხოვს და მხოლოდ განსაზღვრული შეფასების შემდეგ დგინდება მისი უარყოფითი ბუნება – დანაშაულებრიობა. დანაშაულის შემადგენლობა დესკრიფციულია, ფაქტის მსჯელობაა. ამიტომაც ქმედებისა და დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისობის დადგენა „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის. მით უმეტეს, რომ აღნიშნული შესაბამისობის დადგენა – ეს არის ფაქტის დადგენა. ამ ფაქტში თავისთავად შეფასებითი არაფერია. ამიტომაც, რომ დანაშაულის შემადგენლობა... „ფაქტის“ მსჯელობაა“¹²⁸ საიდანაც შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია.

საბჭოთა სისხლის სამართალში მიიჩნეოდა, რომ დანაშაული არის ქცევა. ამიტომაც ტერმინი დანაშაულის ჩადენა ლოგიკურად გამოიყურებოდა. ვფიქრობთ, სისხლის სამართალში სოციოლოგიური აზროვნების წესის კრიზისის დაწყება უკავშირდება ჯერ კიდევ ბეჟან ხარაზიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებას, რომ დანაშაული არ არის ფსიქოლოგიური ქცევა, არამედ ქცევის დასაგმობი ხერხი.

ადამიანი ჩადის ფსიქოლოგიურ ქცევას და თუ დანაშაული ქცევაა, გამოდის, რომ გამართლებულია ტერმინი „დანაშაულის ჩადენა“. მაგრამ ქცევას იკვლევს ფსიქოლოგია, სადაც ის მოტივებისა და მიზნების მიხედვით განისაზღვრება. ამიტომაც იმდენი ქცევა არსებობს, რამდენი მოტივი და მიზანიც არის. ამასთან, მოტივები და მიზნები ფსიქოლოგიაში შეფასებისაგან თავისუფალია, რის გამოც არ არსებობს ცუდი და კარგი მიზანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების დანაშაულებრიობას განსაზღვრავს არა მოტივი და მიზანი, არამედ რაღაც სხვა. ამიტომაც მართებულია მოსაზრება, რომ სხვადასხვა დანაშაული არა სხვადასხვა ქცევას, არამედ ქცევის სხვადასხვა ხერხებს წარმოადგენს.¹²⁹

დანაშაული ქცევის ანტისაზოგადოებრივი, სამართლებრივად დასაგმობი ხერხია. აღნიშნული დებულება კიდევ ერთხელ აყენებს ეჭვქვეშ დანაშაულის ჩადენის სოციოლოგიურ მექანიზმს, რომლის გაგებითაც დანაშაული სოციალური სინამდვილის ფაქტია და არა შეფასებითი ცნება.

პროფ. გ. ტყეშელიაძე აღნიშნავს: „შეფასების საგანია ქმედება, მაგრამ შეფასება, რასაკვირველია, არაა თვითონ ქმედება.“¹³⁰ პირის მიერ ჩადენილი ქმედება გარედან უნდა შეფასდეს სამართლის ნორმასთან მიმართებით, როგორც მართლსაწინააღმდეგო ან მართლზომიერი. აქედან გამოდის, რომ ადამიანი ჩადის ქმედებას, ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, რომელიც შეიძლება შეფასდეს დანაშაულებრივად. ეს დებულება თავისთავად ეჭვქვეშ

¹²⁸ ნაჭყებია ვ., *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი*, თბ., 2000, 29

¹²⁹ ხარაზიშვილი ბ., *სიცრუის ფსიქოლოგია*, თბ., 1975., 176

¹³⁰ Ткешелиадзе Г. Т., *Судебная практика и уголовный закон*, Тб., 1975, 51

აყენებს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას და ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად დანაშაულის ჩადენის მიჩნევას.

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩადენის მექანიზმის მსოფლმხედველობრივი კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა პროფ. გ. ნაჭყებიას მიერ შემოთავაზებული გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ფორმების დაკავშირება დანაშაულის ჩადენის მექანიზმთან. ავტორის აზრით, მეცნიერება, თეორიული შემეცნება, რომელიც ვლინდება აზრის ლოგიკურ ფორმებში – ცნებებსა და კატეგორიებში, და რომლის წიაღშიც არის შესაძლებელი დანაშაულის ცნება, წარმოადგენს ადამიანის გარესინამდვილისადმი თეორიული დამოკიდებულების შედეგს, ხოლო ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა გარესინამდვილისადმი პრაქტიკულ-ღირებულებითი დამოკიდებულების შედეგია: „ცნების, როგორც აზრის ლოგიკური ფორმის უშუალო პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია. ცხადია, იგივე ითქმის დანაშაულის ცნებაზეც“.¹³¹

დანაშაულის სოციოლოგიურ და იურიდიულ გაგებას შორის არსებული განსხვავების გააზრება არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ცნების იურიდიული აზროვნების წესის შესაბამისად აგების საწინდარი, რამაც, თავის მხრივ, ნათელი უნდა მოჰფინოს ხანდაზმულობის ადგილს სამართლის სისტემაში. კერძოდ, ეს უკანასკნელი განეკუთვნება მატერიალურ თუ საპროცესო სამართალს, რა დამოკიდებულება არსებობს ერთი მხრივ ხანდაზმულობას, მეორე მხრივ სისხლისსამართლებრივ და საპროცესო ურთიერთობას შორის, როდესაც იწყება ხანდაზმულობის ვადის ათვლა...

1.2.3.2. დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის კრიტიკა ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის მომენტთან მიმართებით

სოციოლოგიური აზროვნების წესი გავლენას ახდენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისი მომენტის განსაზღვრაზე დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეის მეშვეობით. ხანდაზმულობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იწყება დანაშაულის ჩადენიდან. ამტკიცებდნენ, რომ ხანდაზმულობა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში არსებობს. მას უკავშირდება დებულება, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისი ეტაპი მიანიშნებს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დასაწყისზე.

საბჭოთა მეცნიერები, საუბრობენ რა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობაზე, მას უკავშირებენ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და ჩადენილის გამო პასუხისგების მოვალეობის არსებობის იდეას, რაც ეყრდნობა საბჭოთა კავშირში გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ისევე, როგორც დანაშაულისათვის პასუხისგების მოვალეობა იწყება დანაშაულის ჩადენიდან.¹³² სინამდვილეში ეს იდეა ლოგიკური

¹³¹ ნაჭყებია გ., *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი*, 79-80

¹³² იხ. Пионтковский А. А., *Правоотношение в уголовном праве*, «Правоведение», №2, 1962, 87; Огурцов Н. А., *Правоотношения и ответственность в советском уголовном праве*, Рязань, 30; Наумов А. В., *Применение уголовно-правовых норм*, Волгоград, 1973, 11

წინააღმდეგობებით ხასიათდება, რაც დღის წესრიგში აყენებს დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საკითხის გარკვევას. ამდენად, ერთი შეხედვით ხანდაზმულობის პრობლემატიკისაგან შორს მდგარი ისეთი მეთოდოლოგიური საკითხები, როგორცაა სოციოლოგიურ და იურიდიულ აზროვნების წესებს შორის მიმართება, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, დანაშაულის ცნება, საპროცესო ურთიერთობა, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა და დანაშაულის არსებობის დადგენის მექანიზმი, სინამდვილეში ხანდაზმულობასთან მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა, რის გამოც, იურიდიული აზროვნების წესის დაცვა ხანდაზმულობასთან მიმართებითაც აქტუალურია.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის შემდეგ რომ არ არსებობს, ამას ადასტურებს პირის სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველი ნორმები. თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იწყება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ (ამ დროს უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის ათვლა(ც), მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენისას პირს სისხლისსამართლებრივი უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონდეს და ამის დადასტურება კოდექსის ნორმებში უნდა ვეძებოთ. ეს დასკვნა ლოგიკურია, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შემდეგ სუბიექტის უფლებებს არეგულირებს სამართლის სხვა დარგები და რომ ერთსა და იმავე რეგულირების სფეროს სხვადასხვა დარგი ვერ მოიცავს? მართლაც, ეჭვიმტანილიდან მსჯავრდებულის ჩათვლით პირის სამართლებრივი მდგომარეობა მოწესრიგებულია სისხლის საპროცესო სამართლით. ამასთან, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ პირის სამართლებრივი სტატუსი წესრიგდება სასჯელადსრულებითი სამართლით. მაშ სად არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა?¹³³

ერთი შეხედვით, თითქოს, ის ნორმები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე პირის ქცევის სტიმულირებისთვის არის შექმნილი, ადასტურებენ დანაშაულის შემდეგ, ხანდაზმულობის ვადის დენის პირობებში სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას. სინამდვილეში ეს ასე არაა, ვინაიდან აღნიშნული ნორმები იურიდიული უფლების დამადასტურებელი ნორმები კი არ არის, არამედ წამახალისებელი ნორმებია. ისინი პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ფაქტობრივ შესაძლებლობაზე მიანიშნებს მხოლოდ.¹³⁴ ფაქტობრივი შესაძლებლობა კი იურიდიული უფლება არ არის, რადგან სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უფლებას ამავე ურთიერთობის მეორე სუბიექტის მოვალეობა შეესაბამება. როგორც ნ. მატუზოვი შენიშნავს, არავის ეკრძალება სასმელი დალიოს, მაგრამ ეს შესაძლებლობა უფლებას როდი ნიშნავს. ის იმიტომ არაა უფლება, რომ არავის ეკისრება მოვალეობა მათი უზრუნველყოფისა.¹³⁵ უფლებას ყოველთვის უპირისპირდება განსაზღვრული მოვალეობა, რომლის მეშვეობით ის იურიდიულად უზრუნველყოფა. ეს არის ორმხრივი ურთიერთკავშირი უფლებისა და მოვალეობის მატარებლებს შორის, რაც ქმნის სამართალურ ურთიერთობას.¹³⁶

„უფლება არის ფიზიკური და იურიდიული პირისთვის კანონითა და სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული და გარანტირებული გარკვეული ქცევის

¹³³ აღნიშნულის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის საკანონი*, თბ., 1997, 54-55

¹³⁴ იქვე, 70-77

¹³⁵ იხ. Матузов Н.И. *Личность, права, демократия, теоретические проблемы субъективного права* 1972,

102

¹³⁶ იქვე, 178

შესაძლებლობა, უფლებამოსილება, რომელსაც შეესაბამება სხვათა ქცევის მოვალეობა.¹³⁷

პოსტდანაშაულებრივი ქმედებების მარეგულირებელი სისხლისსამართლებრივი ნორმები რომ უფლების გამომხატველი იყოს, მაშინ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მოვალეობა ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისა, რასაც სინამდვილეში არა აქვს ადგილი.

მეცნიერები დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დასასაბუთებლად იშველიებენ პირის სისხლისსამართლებრივ მოვალეობას, პასუხი აგოს დანაშაულისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ, საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე ხანდაზმულობის ვადის დენის პირობებში, პირი ვალდებულია, გამოცხადდეს შესაბამის ორგანოში. სინამდვილეში ეს დებულება ყალბია, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიხედვით სუბიექტი მოვალე კი არ არის პასუხი აგოს (ანუ მას კი არ აკისრია მოვალეობა, დასაჯოს საკუთარი თავი), არამედ სახელმწიფოა მოვალე, პასუხი აგებინოს პირს.¹³⁸ სწორედ ამიტომაა შესაძლებელი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის არსებობა. პასუხისგების მოვალეობა ქმედების სუბიექტს რომ ეკისრებოდეს, მაშინ ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი კი არ იქნებოდა, არამედ – აღნიშნული მოვალეობის დარღვევის გამო დამატებითი პასუხისმგებლობის საფუძველი.

შესაბამის ორგანოში გამოცხადების მოვალეობას უკავშირდება ფაქტობრივი და იურიდიული მიმალვის ცნებები. ფაქტობრივი მიმალვა გულისხმობს საგამოძიებო ორგანოებში გამოუცხადებლობას იმ ეტაპზე, როცა აღნიშნულ პირს არანაირი საპროცესო სტატუსი არ აქვს მინიჭებული და მისი არსებობა გამოძიებისთვის უცნობია. ამ შემთხვევაში პირი არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში ბრალის აღიარებით.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის, მე-18 მუხლის პირველი ნაწილის, 22-ე მუხლის, 24-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრალდების მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს ეკისრება და არა ქმედების სუბიექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ბრალის აღიარებით გამოცხადების მოვალეობა, ე.ი. ფაქტობრივი მიმალვა აკრძალული არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით არაფერი იცვლება ახალი საპროცესო კოდექსის მიღებით. კერძოდ, იგივე დასტურდება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის II ნაწილით, 33-ე მუხლის I ნაწილით, მე-100 მუხლით, 166-ე მუხლით.¹³⁹ ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ ფაქტობრივი მიმალვა დამოუკიდებლად უნდა ისჯებოდეს და ხანდაზმულობის ვადის გასვლის მერე პირი კი არ უნდა პასუხისმგებლობა კი არ უნდა გამოირიცხოს, პირიქით, მიმალვისათვის დამატებითი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 95-ე მუხლის I ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი არათუ არ ისჯება, არამედ არ არის ვალდებული, გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში ბრალის აღიარებით. არსებითად იგივე პოზიცია უჭირავს ამ მიმართებით საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლს, 38-ე მუხლის IV ნაწილს. სახელმწიფო

¹³⁷ შუშანაშვილი ა., *იურიდიული ლექსიკონი*, თბ., 2000

¹³⁸ იხ. ნაჭყებია გ., *დასახ. ნაშრ.*, 67-70

¹³⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი

ორგანოების მოვალეობა, პასუხი აგებინონ პირს, ამასთანავე იმას ნიშნავს, რომ პირს არა აქვს ფაქტობრივი მიმალვის უფლება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს უფლება სახელმწიფო ორგანოების მოვალეობით უნდა იყოს გამყარებული, არ შეუშალონ უფლების განხორციელებას ხელი. ზემოთ ჩამოთვლილი ნორმებით კი დასტურდება, რომ შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ დანაშაულებრივი შემთხვევები და ამხილონ დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირი.

ამდენად, სოციოლოგიური აზროვნების წესის მიხედვით გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე პირი თუ არ გამოცხადდება შესაბამის ორგანოში, ე.ი. თავს არიდებს პასუხისმგებლობას და არღვევს მოვალეობას, პასუხი აგოს ჩადენილისთვის. აღნიშნულისათვის კი საქართველოს სისხლის სამართლისა და საპროცესო კანონმდებლობით პასუხისმგებლობა დაწესებული არ არის, რაც ქმედების სუბიექტის პასუხისმგებლის მოვალეობის არსებობას უარყოფს.

რაც შეეხება მიმალვის მეორე სახეს, იურიდიული მიმალვის ქვეშ იგულისხმება პირის მიერ გამოძიების ორგანოების მხრიდან გამოძახების მიუხედავად საგამოძიებო ორგანოში გამოუცხადებლობა, გამოძიებისთვის თავის არიდება, რაც აღნიშნული პირისათვის ძებნილის სტატუსის მინიჭებაში გამოიხატება და იძულებითი ღონისძიების გამკაცრების ფაქტობრივი საფუძველია. იურიდიული მიმალვა პროცესუალურ მოქმედებებს გულისხმობს: ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილების, ბინაზე შემოწმების ოქმების საფუძველზე ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილების გამოტანას. პირისათვის ძებნილის სტატუსის მინიჭება იძულების ღონისძიების გამკაცრებასთან ერთად სუბიექტის უფლებრივ შეზღუდვასთანაა დაკავშირებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი დაკავებამდე ვერ ღებულობს მონაწილეობას პროცესში, ვერ ასაჩივრებს გადაწყვეტილებებს... ამასთან, სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის, 133-ე მუხლის, 134-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 141-ე მუხლის, 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 151-ე მუხლის პირველი ნაწილის, 152-ე მუხლის მიხედვით, ეჭვიმტანილი, ბრალდებული ვალდებული არიან გამოცხადდნენ შესაბამის ორგანოში გამოძახებისთანავე, ხოლო სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილი არიან, მიმალვის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენონ იძულების ღონისძიებანი. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ სუბიექტს იურიდიული მიმალვის უფლება კი არა აქვს, არამედ ეს ფაქტობრივი შესაძლებლობაა მხოლოდ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის პირობებში დანაშაულის სუბიექტს არ ეკისრება მოვალეობა, პასუხი აგოს ჩადენილისათვის. მით უმეტეს არ ეკისრება ის ვადის გასვლის შემდეგ, რადგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრება გამორიცხულია. გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ პირს არანაირი სისხლისსამართლებრივი მოვალეობა არ ეკისრება. როგორც ვხედავთ, დანაშაულის ჩადენის შემდეგ არსებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, ასევე ხანდაზმულობის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში არსებობის დებულება ყალბია, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობა უფლებებისა და მოვალეობების გარეშე შეუძლებელია, ხანდაზმულობის ვადის დენის პირობებში კი პირს სისხლისსამართლებრივი უფლება-მოვალეობები არ ეკისრება.

პირის სტატუსს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მერე სისხლის სამართალი რომ არ ადგენს, ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, ის, რომ დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელ პირს შეუძლებელია ჰქონდეს

მოვალეობა, პასუხი ავოს, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი ქმედება შესაძლებელია დანაშაულებრივი არც აღმოჩნდეს.

ამდენად, გამოდის, რომ დანაშაულის შემდეგ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დგას სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დასაბუთების პრობლემა, რის შემდეგაც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ადგილი უჭირავს ხანდაზმულობას სამართლის სისტემაში – ის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში არსებობს თუ მის გარეთ?

1.2.3.3. დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და ხანდაზმულობა

ამჯერად დგას საკითხი: არსებობს კი საერთოდ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც ღირებულებითი, იდეოლოგიური ურთიერთობა. სწორედ აღნიშნულია სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გაგების საფუძველი. სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებლობას განაპირობებს არსისა და ჯერარსის მიმართების საკითხი.

სამწუხაროდ, ზოგიერთ მეცნიერს არსი ჯერარსზე დაჰყავს (სოციოლოგიზმი) ან ჯერარსი არსისგან სრულიად მოწყვეტით განიხილება (ნორმატივიზმი). სინამდვილეში ჯერარსს მაშინ აქვს აზრი, როცა ის არსში გადადის. თუ ასეა, მაშინ საჭიროა მათი დამაკავშირებელი ხიდი. სწორედ ასეთი ხილია სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც იურიდიული აზროვნების წესისათვის აუცილებელ ცნებად გვეჩვენება.¹⁴⁰ ამდენად, გასაგები უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის ურთიერთობაც სისხლის სამართლის ნორმის¹⁴¹ მოთხოვნის მართლწესრიგში გადასვლას ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმა მართლწესრიგში არ გადავა და ასეთი ნორმის არსებობას აზრი ეკარგება.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა თუ დანაშაულის ჩადენით არა, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებით უნდა იწყებოდეს. თუ ასეა, მაშინ რა ვუყოთ იმას, რომ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს? ეს კი, როგორც პროფ. გ. ნაჭყებია აღნიშნავს, საპროცესო ურთიერთობაზე მიანიშნებს? სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ხომ არც საპროცესო ურთიერთობაზე დაიყვანება, ვინაიდან სამართლის ყოველ ფუნდამენტურ დარგს თავისი სამართლებრივი ურთიერთობა შეესაბამება? გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდგომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია, რადგან ამ დროს პირის

¹⁴⁰ აღნიშნული იდეა იხილეთ ნაშრომში: ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, 224-236

¹⁴¹ როცა სისხლის სამართლის ნორმაზე ვსაუბრობთ, იმის თქმა გვინდა, რომ სისხლის სამართლის აკრძალული ქმედებების გარკვეული ჯგუფი. ამაში გამოიხატება სისხლის სამართლის ნორმის ღირებულებითი მნიშვნელობა. ამიტომაც ვერ გავიზიარებთ პოზიციას, რომ სისხლის სამართლის ნორმა არაფერს კრძალავს, არამედ მხოლოდ სასჯელს ითვალისწინებს მანამდე აკრძალული ქმედებისთვის. ამასთან, მართალია, ეს ქმედებები სისხლის სამართლის ნორმამდე შეიძლება აკრძალული იყოს, თუმცა ეს არ უშლის ხელს სისხლის სამართალს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს, ქმედებათა განსაზღვრული რაოდენობა საკუთარი გავლენის სფეროში მოაქციოს და ამით მათ განსაკუთრებული ბუნება შექმნოს – აქციოს ისინი სისხლისსამართლებრივ ნორმებად.

სტატუსს სამართლის სხვა, დამოუკიდებელი დარგები აწესრიგებენ: ჯერ სისხლის საპროცესო სამართალი, მერე – სასჯელადსრულებითი სამართალი.

იმის კითხვა: რა სახის ურთიერთობა არსებობს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე? ვფიქრობთ, სწორია მოსაზრება, რომელიც სწორედ აქ ხელდასისხლისსამართლებრივი ურთიერთობის აღვიღს. მართლაც, იურიდიული აზროვნების წესის თანახმად, პასუხისმგებლობა მოვალეობის ბრალეულ დარღვევას უნდა მოჰყვეს. თუ ეს ასეა, მაშ რაღაა კონკრეტული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი, თუ არა პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ქმედებისაგან თავის შეკავების მოვალეობის დარღვევისათვის? იმის მითითება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, თუ რომელი დანაშაული როგორ ისჯება, სხვა რაღაა თუ არა სასჯელით მუქარა დანაშაულებრივი ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში? არ გამოიხატება ამაში სისხლისსამართლებრივი ნორმის ღირებულებითი მნიშვნელობა, რომელიც მიმართულია მოქალაქეებზე? არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში კოდექსში ნორმის გადმოცემის ფორმამ, რაც საკანონმდებლო ტექნიკის საქმეა. ამ ნორმების ღირებულებითი მნიშვნელობის აღიარების გარეშე მივიღებდით პასუხისმგებლობას მოვალეობის დარღვევის გარეშე, რაც არ შეესაბამება იურიდიული აზროვნების წესს, ვინაიდან პასუხისმგებლობა მხოლოდ მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება, როგორც პირის უარყოფითი შეფასებისა და გაკიცხვის გამოვლინება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა წინ უსწრებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, მოწოდებულია დანაშაულთა თავიდან აცილებისკენ და არის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა. დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელი პირი სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ გადის. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ გასაზიარებელია პროფ. გ. ნაჭყებიას თეორია: „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა თავისი ბუნებით ზოგადრეგულატური, ზოგადპრევენციულია, რომელიც მოწოდებულია სისხლის სამართლის სუბიექტში მართლზომიერი ქცევა გამოიწვიოს.“¹⁴² სისხლის სამართლის სუბიექტში იგულისხმება შერაცხადი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება.

მოვალეობა დანაშაულამდე არსებობს და დანაშაულის თავიდან აცილების მოთხოვნაში გამოიხატება. თუ ეს ასეა, მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, ვადიაროთ დანაშაულის თავიდან აცილების გამო არსებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, სადაც პირს ეკისრება მოვალეობა, თავი შეიკავოს დანაშაულებრივი ქმედებისაგან, ხოლო სახელმწიფოს აქვს უფლება, მოსთხოვოს პირს შესაბამისი ქმედებისგან თავის შეკავება.

თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულამდე არსებობს, მაშინ გასარკვევია მისი შინაარსი. ასევე დასადგენია, რა დამოკიდებულება არსებობს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასა და ხანდაზმულობას შორის: ის ამ ურთიერთობის ფარგლებში არსებობს თუ მის გარეთ?

¹⁴² ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის სავანი*, 179

12.3.4. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, როგორც ხანდაზმულობის ბუნების გაგების მეთოდოლოგიური საფუძველი

დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის აღიარებით აღნიშნული საკითხი ამოწურულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან დასადგენია ამ ურთიერთობის შინაარსი. ეს უნდა მოხდეს იმის დადგენით, რა ვითარებაში ხდება პირის მიერ ნორმის მოთხოვნის შესრულება. ამისათვის გვჭირდება ნორმის მოთხოვნისადმი პირის დამოკიდებულების მოშველიება.

დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეიდან გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სუბიექტი დანაშაულებრივ ქმედებას არ ჩადის. ადამიანს ახასიათებს ნება, რომელიც წარმართავს მის ქცევას, ასევე თავისუფლება, რომლის გარეშეც პასუხისმგებლობის დაკისრებას აზრი დაეკარგებოდა. იგულისხმება, რომ აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში სუბიექტები თავისუფალი არჩევანის ვითარებაში ამბობენ უარს განსაზღვრული ქმედების ჩადენაზე, რაც პასუხისმგებლობის გრძნობაზე მიუთითებს. აღნიშნულიდან ერთი ნაბიჯია იმის აღიარებისაგან, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი პასუხისმგებლობის გრძნობაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატება მართლზომიერ ქმედებაში, რაც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობის ვითარებაში არსებობს. აქვე უნდა განიმარტოს, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გულისხმობს პირის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას მოვალეობისადმი. თუ ასეა, მაშინ გასაგებია, რომ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის დარღვევას სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა კი არ მოჰყვება, პირიქით - ამ ურთიერთობის შეწყვეტა, რაც, იმავე დროს, არის პასუხისმგებლობის გრძნობის წყვეტაც.¹⁴³

აღნიშნული პრობლემატიკა აისახა პროფ. გ. ნაჭყებიას შეხედულებებში. ავტორი ამტკიცებს, რომ არსებობს ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. უფრო მეტიც, პასუხისმგებლობას ახასიათებს ორი ასპექტი - პოზიტიური და ნეგატიური, რომელთა კავშირის ფორმასაც წარმოადგენს უპასუხისმგებლობა.¹⁴⁴ ნეგატიური პასუხისმგებლობა სისხლის სამართლისთვის ცნობილია და მას გამოხატავენ ტერმინით „პასუხისმგებლობის დაკისრება“ მაშინ, როცა პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილება სისხლის სამართლის ფარგლებში სათანადოდ არ ხდებოდა. პოზიტიური პასუხისმგებლობა ნიშნავს ნორმის მოთხოვნის შეგნებას, მისი აუცილებლობის გაცნობიერებას და აღნიშნულის საფუძველზე მის შესრულებას.

სანამ უშუალოდ პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტზე გადავიდოდეთ, აუცილებელია მოკლედ მაინც შევეხოთ ზოგადად პასუხისმგებლობის ცნებას. პირველ რიგში უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რა სახის ცნებასთან გვაქვს საქმე. განასხვავებენ ცნებებსა და კატეგორიებს. „ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ“¹⁴⁵, ხოლო კატეგორიები უზოგადესი ცნებებია. „კატეგორია

¹⁴³ იხ. ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, 32-33

¹⁴⁴ იქვე, 153-160

¹⁴⁵ წერეთელი ს., *დიალექტიკური ლოგიკა*, თბ., 1965, 385

არის აზრი სინამდვილის უზოგადესი მხარის შესახებ.¹⁴⁶ „კატეგორიები სამყაროს შემეცნების კვანძობრივი წერტილებია, რომლებიც გვეხმარებიან მის შემეცნებაში. აქედან ცხადია, რომ კატეგორიები უნდა მივიჩნიოთ შემეცნების, სახელდობრ, ცნებით-ლოგიკური შემეცნების ფორმებად, რომლებიც გვეხმარებიან სამყაროს შემეცნებაში.“¹⁴⁷ თუ ცნების განსაზღვრებად ითვლება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენა, კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის პოვნა სხვა კატეგორიათა შორის.¹⁴⁸

პასუხისმგებლობა მეტად რთული, მრავალმხრივი ცნებაა. ის მრავალი დარგის გამაერთიანებელ უზოგადეს ცნებასაც წარმოადგენს და ნორმატიული აზროვნების აუცილებელ კომპონენტსაც, იგი არც ერთი მასზე ზოგადი ცნების სახე არ არის, აზრის უზოგადესი ლოგიკური ფორმაცაა და განსაზღვრული შემეცნების წესის გამომხატველიც, რის გამოც ის უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ცნება. ის არის კატეგორია. ამიტომაცაა, რომ პასუხისმგებლობა მრავალ სფეროში ვლინდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ერთი – სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა, რადგან ადამიანთა ურთიერთობებს აწესრიგებს.

„პასუხისმგებლობა არის სუბიექტის მიერ თავისი ქმედების გამო ინსტანციის წინაშე ანგარიშის მიცემისა და მისდამი დამოკიდებულების შედეგების თავის თავზე აღების გარდაუვალობა.“¹⁴⁹ ამ განსაზღვრებაში მოცემულია პასუხისმგებლობის როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ასპექტის ნიშნები, რის გამოც ის სხვა განმარტებებთან შედარებით სრულად ასახავს პასუხისმგებლობის არსს. იმისათვის, რომ ზოგადად პასუხისმგებლობა სწორად გავიგოთ, უნდა განვმარტოთ მისი ასპექტების შინაარსი.

გამოყოფენ პასუხისმგებლობის პერსპექტიულ და რეტროსპექტიულ, ანუ პოზიტიურ და ნეგატიურ, იგივე - მომავლისა და წარსულისკენ მიმართულ ასპექტებს. პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი არის ვალდებულებისადმი შეგნებული, პოზიტიური დამოკიდებულება.¹⁵⁰ აქ პასუხისმგებლობა არის სუბიექტური ფაქტორი, შინაგანი სტიმული, აუცილებელი ქმედებისა და მისი შედეგის გაცნობიერება, სუბიექტის მიერ მათი შეფასება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან, სწორად მიუთითებს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ვლინდება.¹⁵¹

ამდენად, პოზიტიური პასუხისმგებლობის სათანადო გაგების გარეშე დანაშაულამდე სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ეს ასეა იმიტომაც, რომ სწორედ პოზიტიური პასუხისმგებლობა არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსობრივი მხარე, ვინაიდან ის არის ნორმის მოთხოვნის განუხრელი დაცვის გარანტი. ვინაიდან დანაშაული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების გზითაა შესაძლებელი (მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არსებობის პირობებში), ამდენად დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება უკვე არ შეიძლება განიხილებოდეს პოზიტიური პასუხისმგებლობის აქტად, თუმცა რადგან დანაშაული ჯერ დადგენილი არ არის, ამიტომ ის არც უპასუხისმგებლო აქტია.

¹⁴⁶ იქვე, 391

¹⁴⁷ ბაჩულაშვილი გ., *კატეგორიების დიალექტიკა, როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა*, თბ, 1979, 76

¹⁴⁸ იხ. ს. წერეთლის დასახ. ნაშრ., 386-387

¹⁴⁹ ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, 124

¹⁵⁰ იხ. ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, 117

¹⁵¹ იქვე, 13-14

ამიტომაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას პირი გაჰყავს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან. ფუნქციონალურად ამას უნდა მოჰყვეს საპროცესო ურთიერთობა, თუმცა საეჭვოა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივ და საპროცესო ურთიერთობას შორის პერიოდის არსებობა, რომელიც სამართლის არც ერთი დარგით არ წესრიგდება. სწორედ აქ არის სამართლებრივად თავისუფალი სივრცე, ვინაიდან პირს ამ დროს უფლება-მოვალეობები არ ეკისრება.¹⁵²

პასუხისმგებლობის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს შორის კავშირის ფორმა არის უპასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენა არის საფუძველი ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართლზომიერი ქმედება პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლინებად ითვლება, დანაშაული – უპასუხისმგებლობის გამოვლინებად, დანაშაულის სამართლებრივი შედეგი – გაიციხვა, სასჯელი, ნასამართლობა – ნეგატიური პასუხისმგებლობის გამოვლინებად.

ამდენად, „[პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა] საშუალებას იძლევა, სწორად იქნეს გაგებული თვით ნეგატიური პასუხისმგებლობის არსი და დანიშნულება. მეორეს მხრივ, ეს იდეა ლოგიკურად მოითხოვს ზოგადრეგულატურ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის იურიდიულ ფორმას. ეს კი დანაშაულთა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კანონმდებლის საქმიანობის საზრისიც ამაში მდგომარეობს.“¹⁵³

ვინაიდან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მხოლოდ მართლზომიერი ქმედებაა შესაძლებელი, ე.ი. ხანდაზმულობის ვადის დენა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. აღნიშნულის შემდეგ აუცილებელია საპროცესო ურთიერთობის საკითხის მიმოხილვა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია იმის დადგენა, ხანდაზმულობა მატერიალური სამართლის ცნებაა, თუ – პროცესუალური სამართლის.

1.2.3.5. სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა და ხანდაზმულობა

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა თუ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე არსებობს, მაშინ უნდა გაირკვეს, რა ხდება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ. ეს საკითხი უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის ათვლასაც და ხანდაზმულობის ადგილსაც სამართლის სისტემაში. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას ფუნქციონალურად მოჰყვება საპროცესო ურთიერთობა. საპროცესო სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებს საპროცესო სამართლის სუბიექტთა ურთიერთდამოკიდებულებას, ხოლო სისხლის სამართლის პროცესი არის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოქმედებათა სისტემა, მათი დამოკიდებულება ერთმანეთთან და მოქალაქეებთან, რაც წესრიგდება სწორედ საპროცესო ნორმებით.¹⁵⁴ აქ სიტყვა „დამოკიდებულების“ ქვეშ, რა თქმა უნდა,

¹⁵² სამართლებრივად თავისუფალი სივრცის იდეის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის საგანი*, თბ., 1997, 184

¹⁵³ ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, 46-47

¹⁵⁴ იხ. *საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი*, რედაქტორები: ფალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988, 14

იგულისხმება სუბიექტებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმები და არა პირადული დამოკიდებულება. აქიდან კი ერთი ნაბიჯია დარჩენილი, რომ ვაღიაროთ: აქ საუბარია პროცესუალურსამართლებრივ ურთიერთობაზე. ამ აზრს აძლიერებს შემდეგი ციტატა: „სისხლის სამართლის პროცესი იწყება სათანადო უფლებამოსილი ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით“.¹⁵⁵

მართლაც, წინასწარი გამოძიების დაწყება არის ის პირველი ეტაპი, რომლის შემდეგაც არის შესაძლებელი საპროცესო ურთიერთობაში შესაბამისი სუბიექტების ჩართვა: გამოძიებლის, მოწმის, ეჭვიმტანილის, დაზარალებულის, დამსწრის... აღნიშნული სამართლებრივი სტატუსის მქონე პირებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს სისხლის საპროცესო სამართალი, რის გამოც მათ შორის პროცესის მიზნების მისაღწევად დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს საპროცესო ურთიერთობას. ე.ი. პირი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ ფუნქციონალურად გადადის საპროცესო ურთიერთობაში, სადაც ხდება მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება. ცნობილია, რომ საპროცესო ურთიერთობის ბოლო სტადიად მიიხნევენ განაჩენის აღსრულებას (მხედველობაში არა გვაქვს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო არსებული საპროცესო ურთიერთობები, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენს).¹⁵⁶ ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით შეიძლება აღნიშნულ დებულებაში შესწორება შევიტანოთ და ვთქვათ, რომ საპროცესო ურთიერთობა მთავრდება საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით და აღსასრულებლად მიქცევით.*

ხანდაზმულობასთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ სისხლისსამართლებრივი და საპროცესო ურთიერთობების საკითხის გარკვევა, რადგან ამან გადაიწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ხანდაზმულობის ბუნების და მისი ადგილის გარკვევის საქმეში. ამ საკითხის დადგენა უნდა დაგვეხმაროს, პასუხი გავცეთ კითხვას: ხანდაზმულობა მატერიალური სამართლის ცნებაა თუ პროცესუალური? ხანდაზმულობა საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში არსებობს თუ არა?

საპროცესო ურთიერთობა, რომელიც არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენის, კანონის სწორად გამოყენების, უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების, საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორების, სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემის დამკვიდრებისათვის, იწყება შესაბამისი ორგანოს მიერ დანაშაულის შესახებ ცნობების მიღებაზე სამართლებრივი რეაქციით და ამ მომენტამდე არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს,

¹⁵⁵ იქვე, 21. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ვინაიდან დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს საქმის აღძვრის ცნებას, მისი შეცვლა უნდა მოხდეს შესაბამისი ცნებით. ალბათ, ყველაზე მეტად მას შეესაბამება წინასწარი გამოძიების დაწყება, თუმცა ეს უკანასკნელიც შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გარემოება არ ცვლის საქმის არსს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესი ყოველთვის დაიწყება შესაბამისი ორგანოს მიერ სამართლებრივი, პროცესუალური მოქმედებების დაწყებით (რაც არ უნდა ეწოდოს მას).

¹⁵⁶ იხ. ფალიაშვილი ა., *დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება*, თბ., 1976, 21

* სადაოა განაჩენის აღსრულების მთლიანად საპროცესო ურთიერთობისათვის მიკუთვნება, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ ეტაპზე უკვე მიღწეულია საპროცესო კოდექსის პირველ მუხლში მითითებული პროცესის ამოცანები; მეორე – იგი ადგილს არ ტოვებს სასჯელაღსრულებითი ურთიერთობისათვის, რაშიც პირი იმყოფება სასჯელის მოხდის პერიოდში.

რომ აღნიშნული ცნობების საფუძველზე დაწეული წინასწარი გამოძიების წარმოების პროცესში და შემდეგ სასამართლო განხილვის განმავლობაში (იგულისხმება ყველა ინსტანცია) პროცესუალური ურთიერთობის სხვადასხვა სუბიექტი ერთვება ამ ურთიერთობაში სხვადასხვა ეტაპზე.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ქმედების სუბიექტის პროცესუალური სტატუსი, ვინაიდან სწორედ ის არის პირი, რომელიც იმყოფებოდა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფოსთან და ეკისრებოდა მოვალეობა, თავიდან აეცილებინა დანაშაული, თუმცა გამოძიების მიერ დადგენილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების საფუძველზე წარმოიშვა ეჭვი, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის დანაშაული. საუბარია ეჭვიანილობის სტატუსზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ეტაპზე საქმე გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენის საფუძველზე მხოლოდ ვარაუდთან, რომ ქმედება დანაშაულებრივია. აღნიშნული ეჭვი გამოძიების მასალების მიხედვით უფრო უნდა განმტკიცდეს, რის შემდეგაც პირი იქნეს ბრალდებულის სტატუსს. მოცემული სტატუსი სრულდება საქმის სასამართლოსათვის საბრალდებო დასკვნით გადაცემით, სადაც აღნიშნული ვარაუდი უნდა იყოს საკმარისად დასაბუთებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკვე კატეგორიული მტკიცება მივიღეთ. მხოლოდ სასამართლო ადგენს დანაშაულის არსებობა-არარსებობას, რითაც იწყება პირის ნეგატიური პასუხისმგებლობა და ის ხდება მსჯავრდებული.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ამჟამად მოქმედ საპროცესო კოდექსთან შედარებით პროგრესული ნაბიჯია გადადგმული ახალ საპროცესო კოდექსში, რომელიც არ იცნობს ეჭვიანილობას და განსასჯელის ცნებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი საპროცესო ურთიერთობაში ერთვება ბრალდებულის სტატუსით და აღნიშნულ სტატუსს ატარებს განაჩენის გამოტანამდე. აღნიშნული ცვლილება სრულ თანხმობაშია დებულებასთან, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქცია ამ მიმართებით განსხვავებულ პოზიციაზე დგას. სსსკ-ის 44-ე მუხლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ეჭვიანილიად ცნობის მომენტიდან, რაც ეწინააღმდეგება თეორიაში მიღებულ აზრს, რომ დევნის დასაწყისი ბრალდებულად ცნობაა.¹⁵⁷ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება ამ მხრივ არსებულ გაუგებრობას ბოლოს მოუღებს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას უკავშირდება. მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით გაუგებარია, რატომ უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტი პასუხისგებაში მიცემას. საპროცესო ურთიერთობა ხომ ეჭვიანილიად ცნობიდან იწყება? სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაც მოქმედი საპროცესო კოდექსით ხომ ეჭვიანილობის სტატუსს უკავშირდება?

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტი უკავშირდება არა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას, არამედ გამამტუნებელი განაჩენის გამოტანას. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს სსსკ-ის 103-ე მუხლის შინაარსი: „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის

¹⁵⁷ აღნიშნულის შესახებ იხ. იხ. ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა., *მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის ადრერა*, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2002, 99-101

ვადისა.“ ზემოთ გამოთქმულ აზრს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ახალ კოდექსში არ არის ზუსტად დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ვადა (როცა არ არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება); ასევე ის ფაქტიც, რომ ანალოგიური შინაარსის არის მოქმედი საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლიც, რომელმაც საბოლოო სახე მიიღო 2005 წლის 25 მარტის ცვლილებით და რომელიც პირველადი სახით არეგულირებდა წინასწარი გამოძიების ვადას გამოძიების დაწყებიდან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შემდეგაც. ხანდაზმულობის ვადის განაჩენამდე დენის იდენის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს.“

იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის ვადა აითვლება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, ხანდაზმულობის ვადა გაივლის მანამდე, სანამ ქმედების სუბიექტი ჩაერთვება საპროცესო ურთიერთობაში. საქმის გამოძიება და იურიდიული მიმალვა კი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, საპროცესო ურთიერთობის შიგნით არის შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული მიმალვა შეუძლებელია ხანდაზმულობის ვადის დენის პირობებში. ამიტომაც, ნათელია, რომ სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება ... პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე“, ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მე-3 ნაწილს: ერთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება პასუხისგებაში მიცემამდე, მეორე შემთხვევაში – საუბარია პასუხისგებაში მიცემის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენაზე. ამდენად, დგას საკითხი, როდემდე გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დინება: განაჩენამდე თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.

აღნიშნული საკითხის გარკვევის გარეშე გაუგებარია, რა დამოკიდებულება არსებობს ხანდაზმულობასა და საპროცესო ურთიერთობას შორის, რა გავლენას ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენაზე სხვადასხვა პროცესუალური აქტები: სისხლისსამართლებრივი დენის დაწყება, განაჩენის დადგენა, ძეგნის გამოცხადება.

თავისი დანიშნულებით ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებასთან ერთად არის პასუხისგებაში მიცემის გამომრიცხველი გარემოება, რასაც ადასტურებს სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, ასევე ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სახის ხანდაზმულობას ეწოდება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ან სისხლისსამართლებრივი დენის ხანდაზმულობა (სწორედ ამ სახელითაა ის მოხსენიებული სსსკ-ის 28-ე მუხლში). ამიტომ შეიძლება, ერთი შეხედვით, ლოგიკურად გამოიყურება ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა პასუხისგებაში მიცემამდე, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა გაგრძელდეს განაჩენის დადგენამდე. აღნიშნული პოზიცია გამართლებულია და უფრო სრულად ასახავს ხანდაზმულობის არსს, ვიდრე ის აზრი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა აითვლება მხოლოდ პასუხისგებაში მიცემამდე. ვინაიდან ხანდაზმულობა ქმედების სუბიექტის სასარგებლოდ ვარაუდს გულისხმობს, მაშინ ეს ვარაუდი რატომ უნდა შეწყდეს პასუხისგებაში მიცემით და არ გაგრძელდეს განაჩენის დადგენამდე? მით უმეტეს, რომ პასუხისგებაში მიცემა არც დანაშაულის დადასტურებას ნიშნავს, არც არაბრალეულობის პრეზუმფციის უარყოფას, რასაც ამტკიცებდნენ საბჭოთა კავშირში. ამიტომაც ქმედების სუბიექტის სასარგებლოდ პრეზუმფცია

გრძელდება განაჩენის დადგენამდე. ამას ადასტურებს არაბრალეულობის პრეზუმფციის მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენით გაქარწყლების ფაქტიც. ამასთან, განაჩენის დადგენის მომენტში ხდება სწორედ პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, განაჩენის დადგენის დროს იყოს შესაძლებელი სუბიექტის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ ამ მომენტისათვის დროის ისეთი მონაკვეთი გავა, რომ ქმედების სუბიექტის პიროვნების და განსასჯელის პიროვნების იდენტიფიცირება სადაო გახდება. აღნიშნული მოტივით, ვფიქრობთ, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა მიმდინარეობდეს განაჩენის დადგენამდე.

ასეთ ვითარებაში უკვე გასარკვევი ხდება, რა ფუნქციას ასრულებს პასუხისგებაში მიცემა, ხომ არ კარგავს ის იმ დანიშნულებას, რაც ჰქონდა მინიჭებული ხანდაზმულობის ვადის დენისათვის. ამასთან, რამდენად არის ზემოთ მიღებული დასკვნა თავსებადი იმ ფაქტთან, რომ ხანდაზმულობის ფუნქციაა საპროცესო ურთიერთობის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამორიცხვა? საქმე ისაა, რომ ხანდაზმულობა პასუხისგებაში მიცემამდე მატერიალურ ხაისიათს ამჟღავნებს, მაგრამ პასუხისგებაში მიცემის შემდეგ ის პროცესუალურ ბუნებას იძენს. ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისგებაში მიცემით ხანდაზმულობის ვადა კი არ წყდება, ან კი არ მთავრდება, არამედ განაგრძობს დენას განაჩენის დადგენამდე იმ პირობით, რომ ის უკვე საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში მიედინება. ე.ი. პასუხისგებაში მიცემა ხანდაზმულობას უცვლის ხასიათს: ის გადაჰყავს საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში. მართალია, ხანდაზმულობის დანიშნულებაა, გამორიცხოს დევნის დაწყება და საპროცესო ურთიერთობაში პირის ჩაბმა, თუმცა ამ ზოგად წესთან ერთად კანონმდებლის მიერ გაკეთებულია სპეციალური დათქმაც. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როცა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირი მიეცა პასუხისგებაში, კიდევ ერთხელ ქმედების სუბიექტის ინტერესების უპირატესი დაცვის და ამით სამართლიანობის პრინციპის გატარების მოსაზრებით, კანონმდებელი აგრძელებს ხანდაზმულობის ვადის დენას მის სრულ ამოწურვამდე ან გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე.

მართალია, ხანდაზმულობის ვადის დენა პასუხისგებაში მიცემამდეც შესაძლებელია პროცესუალურ მოქმედებებზე გავრცელდეს, მაგალითად, როცა გამოძიება მიდის ფაქტზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხანდაზმულობა ქმედების სუბიექტის ინტერესების გადმოსახელიდან არ იცვლის ბუნებას. კერძოდ, გამოძიების დაწყებამდე და დაწყების შემდეგაც ხანდაზმულობა პირის საპროცესო ურთიერთობაში ჩართვის გამომრიცხველ გარემოებად რჩება. მართალია, ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის განმავლობაში ხანდაზმულობის ვადა მნიშვნელობას იძენს გამომძიებლისათვის, რომელიც უნდა ჩაეტიოს აღნიშნულ ვადაში, ასევე მოწმისთვის ან პროცესის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ვერ დაიკითხება ან სხვაგვარად ვერ ჩაერთვება საპროცესო ურთიერთობაში, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის დენის ძირითადი დანიშნულებაა ბრალდებულის დროულად გამოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში - სუბიექტის ხელშეუხებლობა, და ამ თვალსაზრისით დიდ როლს ასრულებს სწორედ ბრალდებულის ჩართვა საპროცესო ურთიერთობაში. ამიტომაც ბრალდების წყენების შემდეგ უკვე ხანდაზმულობის ვადა ხასიათს იცვლის და დენას აგრძელებს ბრალდებულის საპროცესო ურთიერთობაში ყოფნის პერიოდში. აქ უკვე ის სუბიექტის მიერ ბრალდებულის სტატუსის ტარების ხანგრძლივობის შემცირების ფუნქციას იძენს და სუბიექტის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე დგას საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე. ამიტომ ბრალდებულისთვის სწორედ პასუხისგებაში მიცემა არის ის აქტი, რომელიც

ცვლის ხანდაზმულობის ხასიათს და იცავს მას უკვე საპროცესო ურთიერთობის შიგნით პროცესის გაჭიანურებისაგან.

სწორედ ამ სპეციალური დათქმის შედეგად გახდა შესაძლებელი, იურიდიული მიმალვა განიხილებოდეს, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში სისხლისამართლებრივი დევნის შემაჩერებელ ერთ-ერთ გარემოებად გათვალისწინებული იყო ბრალდებულის მიმალვა. დღეს მოქმედი რედაქციით ეს ქვეპუნქტი აღნიშნული მუხლიდან ამოღებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის მიმალვა არ აჩერებს სისხლისამართლებრივ დევნას. აღნიშნულს ადასტურებს ასევე განსახილველ დაუსწრებლად განაჩენის დადგენის შესაძლებლობაც. ამ ფონზე საინტერესოა, რამდენად აუცილებელია, მატერიალურ კოდექსში იურიდიული მიმალვა იყოს ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება.

იურიდიული მიმალვა განსხვავდება ფაქტობრივი მიმალვისაგან თავისი სამართლებრივი შედეგებით და ეს საპროცესო კოდექსშიც ასეა ასახული. კერძოდ, მიმალვის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება იძულების ღონისძიებები, ქებნაში მყოფს აქვს შეზღუდული პროცესუალური უფლებები პროცესში მონაწილეობის, გადაწყვეტილებების გასაჩივრების თვალსაზრისით. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ პრაქტიკაში დამკვიდრებული პოზიციის მიხედვით, იურიდიული მიმალვა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილება. ეს ყველაფერი იურიდიულ მიმალვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ხოლო თუ ჩვენ სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილს (მატერიალური კოდექსის ერთადერთ მუხლს, სადაც საუბარია იურიდიული მიმალვის სამართლებრივ შედეგებზე) ამოვიღებთ, ამით იურიდიული მიმალვის ცნება კოდექსისთვის უცხო გახდება. ეს იმის საფრთხეს ქმნის, იურიდიული მიმალვა გაუთანაბრდეს ფაქტობრივ მიმალვას, რის შედეგადაც ის დაკარგავს სამართლებრივ ძალას.

თუ პირის მიმალვა არ განიხილება, როგორც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხელისშემშლელი გარემოება, და, ამასთან, ის არც მატერიალური სამართლით იქნება დარეგულირებული, მაშინ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა გაქრება. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ მიმართებით საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა. პირიქით, მიგვაჩნია, რომ ბრალდებულის მიმალვა არ უნდა იყოს გამოძიების ხელისშემშლელი გარემოება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის გარეშე შესაძლებელია საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება საქმის სასამართლოსათვის გადასაცემად. მაგრამ, არც იურიდიული მიმალვის ცნების სრული იგნორირება ივარგებს. მისი შენარჩუნება მატერიალურ კოდექსში აუცილებელია თუნდაც იმ მოტივით, რომ სასამართლოს ჰქონდეს ბერკეტი, ის გამოიყენოს პიროვნების მახასიათებელ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

ამასთან, სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი ახალი საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის რედაქციასთან ერთად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ბრალდებულისათვის, რათა არ მიიმალოს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორი იქნება ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის ბოლო მომენტად განაჩენის დადგენის მიჩნევა. ამ გზით შეიძენს ის ქმედების შემადგენლობის განხორციელების შემდეგ საგამოძიებო მოქმედებების სწრაფად დაწყების წახალისების ფუნქციას, რითაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ამასთან, იქნება საგამოძიებო ორგანოების ეფექტური მუშაობის საწინდარიც.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების დენა საპროცესო ურთიერთობაში სავსებით შესაძლებელია. ამიტომ, მართალია, ხანდაზმულობის ვადის გასვლა თავისი ფუნქციით საპროცესო ურთიერთობაში პირის გადასვლას გამორიცხავს, თუმცა შესაძლებელია ისეთი შემთხვევის არსებობა, როცა ის საპროცესო ურთიერთობას წყვეტს.

დანაშაულის არსებობის დადგენა საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში ხდება, რის გამოც ამ პარაგრაფის ლოგიკური გაგრძელება იქნება დანაშაულის დადგენის მექანიზმის გარკვევა. მით უმეტეს, რომ აღნიშნული მჭიდრო კავშირშია ხანდაზმულობის ბუნების კვლევასთან, ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხის სწორ რეგულირებასთან. ამასთან, შემდეგი პარაგრაფი დაგვეხმარება ხანდაზმულობის დენის პირობების გარკვევაში.

1.2.3.6. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა და დანაშაულის დადგენის მექანიზმი, როგორც ხანდაზმულობის ვადის ათვლის მეთოდოლოგიური საფუძველი

ამ პარაგრაფში შევეხებით იმას, თუ როგორ ხდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და დანაშაულის არსებობის დადგენა. ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ, ჯერ ერთი, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაკავშირებულია ქმედების შემადგენლობის განხორციელებასთან და არა დანაშაულის ჩადენასთან, მეორე – ხანდაზმულობა ავლენს როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ბუნებას.

აღნიშნული საკითხი რომ გავარკვიოთ, საჭიროა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გენეზისს მივყვეთ თავიდან. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმზე საუბრობდა ვ. კუდრიაცევი, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა სუბიექტის ინტერესებზე, მოთხოვნილებებზე, მოტივებზე, მიზნებზე, მისწრაფებებზე, რომელთა დეფორმაციაც, ავტორის აზრით, იწვევს პიროვნების ანტისაზოგადოებრივ ორიენტაციას, რაც განაპირობებს გარკვეულწილად დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმი ესმის, როგორც იმ ობიექტური გარეგანი ფაქტორების, ასევე შინაგანი, ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობების კავშირი, რომლებიც იწვევს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გადაწყვეტილების მიღებას, აძლევს მას მიმართულებას და აკონტროლებს მის შესრულებას. აღნიშნულის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „ადამიანის დანაშაულებრივი ქცევა არის პროცესი, რომელიც არსებობს როგორც სივრცეში, ასევე დროში და შეიცავს არამარტო თვითონ გარეგან, ობიექტურ სფეროში ცვლილებების შემტან ქმედებებს, არამედ მათ წინამორბედ ფსიქოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ კიდევ მართლსაწინააღმდეგო ქმედების გენეზისს.“¹⁵⁸ მართალია, ავტორმა მოგვცა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური ანალიზი, თუმცა აღნიშნულ ნაშრომში მოცემული არაა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმის ახსნა დანაშაულის სამელემენტო ცნებასთან მიმართებაში. ასევე მასში არ არის მოცემული დანაშაულის დადგენის იურიდიული მექანიზმი.

აღნიშნულ საკითხებს ეხება პროფ. გ. ნაჭყებიას მეთოდოლოგიური ნაშრომები, რომელთა მიხედვითაც ამოსავალი წერტილია დანაშაულის

¹⁵⁸ *Механизм преступного поведения*, редактор В. Н. Кудрявцев, М., 1981, 31

თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ცნება. საწყის ეტაპად მიჩნეულ უნდა იქნეს შერაცხადი პირის სამართალსუბიექტობა ანუ პირმა დანაშაულებრივი ქმედება რომ განახორციელოს, აუცილებელია, ის იყოს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, მას უნდა ეკისრებოდეს მოვალეობა, თავი შეიკავოს დანაშაულებრივი ქმედებისგან. შემდეგი ეტაპი არის შერაცხად სუბიექტში აღნიშნული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ეს ასეა, ვინაიდან მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ვლინდება მართლზომიერ ქმედებაში. მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი გამოიხატება ნორმის მოთხოვნის დარღვევაში. ეს უკანასკნელი შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით.¹⁵⁹

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს პირის მოვალეობა, იმოქმედოს მართლზომიერად. სწორედ ამ მოვალეობის არსებობის აღიარებაა ერთადერთი გზა მართლწინააღმდეგობის გაგებისა, რადგან აღნიშნული მოვალეობის დარღვევის შედეგია მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სისხლის სამართლის ნორმის დარღვევა კი გამოიხატება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

მას შემდეგ, რაც დანაშაულის შემადგენლობა განხორციელდება, ფუნქციონალურად უნდა დაიწყოს საპროცესო ურთიერთობა. ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების საფუძველზე იწყება გამოძიება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამომძიებელი საქმის გარემოებების კვლევას იწყებს ბოლოდან - დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური ნიშნებიდან და სწორედ აქედან უნდა მივიდეს ის სისხლის სამართლის ნორმით დაკისრებული მოვალეობის ბრალეული დარღვევის დადგენამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ქმედების ჩადენის მექანიზმის აღდგენა უკუსვლით - ბოლოდან საწყისისაკენ. აქ უკვე საკითხი დგას ასე: რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული გზით კატეგორიული დასკვნის მიღება? თუ ქმედების ჩადენის მექანიზმის გაგებისას შინაარსიდან ფორმაზე ხდება გადასვლა, საქმის გამოძიების პროცესში პირიქით არის: მიმდინარეობს უკუსვლა ფორმიდან შინაარსზე. უნდა გავისხენოთ, რომ შინაარსიდან ფორმაზე დასკვნა დედუქციურია - კატეგორიული, ხოლო ფორმიდან შინაარსზე უკუდასკვნა - ინდუქციური - სააღბათო, სავარაუდო. ამიტომაც არის, რომ გამომძიებელი დანაშაულის შესახებ კატეგორიულ დასკვნას ვერ გამოიტანს. ამის შედეგად, საბრალდებო დასკვნა მხოლოდ ვარაუდია დანაშაულის შესახებ.¹⁶⁰ მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეყრდნობოდეს ვარაუდებს და რომ გამამტყუნებელ განაჩენში დანაშაული უტყუარად უნდა იქნეს დადგენილი?

აღნიშნულ შედეგს საქმის განხილვისას სასამართლო აღწევს ქმედების ჩადენის მექანიზმის მოდელის აღდგენის გზით, რაც დედუქციური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ეს შემდეგნაირად ხდება: წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებელი, პროკურორი აღგენენ ფაქტობრივ გარემოებებს, რის შემდეგაც ცალკეული დანაშაულის რომელიმე შემადგენლობიდან ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე აკეთებენ ინდუქციურ დასკვნას. სწორედ აღნიშნულით არის გამართლებული საგამომძიებო ვერსიის ცნება, ვინაიდან

¹⁵⁹ იხ. ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა*, წიგნში: „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, თბ., 2006, 150

¹⁶⁰ იქვე, 148

გამომძიებელმა რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან, მტკიცებულებების მეშვეობით, გამოირიცხვის მეთოდით, უნდა დატოვოს მხოლოდ ერთი ვერსია.

მას შემდეგ, რაც დანაშაულის შემადგენლობა სავარაუდოდ, მაგრამ მაინც დადგენილად ჩაითვლება, ხდება გადასვლა მართლწინააღმდეგობაზე. ამასთან, დანაშაულის შემადგენლობიდან მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ქმედების უარყოფით შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია. ამიტომაც გამოძიების ორგანოს აქვს ერთადერთი საშუალება, დაადგინოს მართლწინააღმდეგობა. ეს არის ნეგატიური გზით მართლწინააღმდეგობის დადგენა. კერძოდ, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, მაშინ ქმედების მართლწინააღმდეგობა ივარაუდება.¹⁶¹ იგივე ითქმის ბრალზეც. აღნიშნული ადასტურებს, რომ დანაშაულის შემადგენლობიდან დანაშაულზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა არ ხდება, არამედ ინდუქციური დასკვნის საშუალებით დანაშაული მხოლოდ სავარაუდოა.

კატეგორიული დასკვნა დანაშაულის არსებობის შესახებ შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, რომელიც შინაარსიდან დედუქციის გამოყენებით აკეთებს დასკვნას ფორმაზე. კერძოდ, მას მერე, რაც წინასწარი გამოძიება ადადგენს შედეგიდან საფუძველზე ინდუქციური უკუდასკვნით ქმედების ჩადენის სრულ მოდელს, სასამართლოს ხელთ აქვს სრული სავარაუდო სურათი თავისი დასაწყისით, დასასრულით (აქ არ იგულისხმება მხოლოდ დამთავრებული დანაშაულები, არამედ მომზადება და მცდელობაც) და შუალედური რგოლებით. ეს აძლევს მას საშუალებას, გამოძიების მიერ შემოთავაზებული სრული სურათის ფარგლებში მოახდინოს კონკრეტული ქმედების ჩადენის მექანიზმის მოდელირება, დრო უკან დააბრუნოს და გამოიყენოს დედუქციური დასკვნები, მიმართული დასაწყისიდან დასასრულისაკენ, საფუძველიდან შედეგისაკენ, შინაარსიდან ფორმისაკენ. ამისათვის ის ადგენს პირის სისხლის სამართალსუბიექტობას, რის საფუძველზეც არკვევს, ეკისრებოდა თუ არა მას მართლზომიერი ქმედების მოვალეობა. აღნიშნულის დადგენის შემდეგ ხდება გარკვევა, ხომ არ აქვს ადგილი ამ მოვალეობისადმი პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და ნორმის დარღვევას დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების გზით. ყველა კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში დანაშაული კატეგორიულად დადგენილია და სასამართლო გადადის სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის შეფარდებაზე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დგას პრობლემა: ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, როდიდან უნდა მოხდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთი მხრივ აღიარებს, რომ დანაშაული შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ერთობლიობაა, მეორე მხრივ, ხანდაზმულობის ვადის დენას იწყებს დანაშაულის ჩადენიდან. ამასთან, რაც მეტად საინტერესოა, იმავე ვადის დენას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე პერიოდს უკავშირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის პროცესის საწყის სტადიასთან. მაგრამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე და მიცემის მომენტში, ისევე, როგორც მის შემდეგ კიდევ გარკვეული ხნის განმავლობაში, ჯერაც ვერ ვიტყვით კატეგორიულად, რომ ქმედება არის დანაშაული. ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ ვარაუდი, რომ ქმედება საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დანაშაულად შეიძლება მივიჩნიოთ. პროცესუალურად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას არ შეიძლება წინ უსწრებდეს

¹⁶¹ იხ. ნაჭყებია გ., *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის აქსიოლოგიური ბუნება*, „მართლმსაჯულება“, 2007, №1, 43

ბრალის დადგენა, ვინაიდან აღნიშნულს პირის გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა უნდა მოჰყვეს. ბრალდებული კი შეიძლება გამართლებულიც აღმოჩნდეს. ბრალის გარეშე დანაშაული იურიდიულად არ არსებობს. სწორედ აქ დგას ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისი მომენტის პრობლემა.

დანაშაული იურიდიულად ჩადენილად ითვლება მხოლოდ ბრალის დადგენის შემდეგ. მანამდე მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია. ამიტომაც, თუ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება დანაშაულიდან იურიდიული გაგებით, მაშინ გამოდის, რომ ვერანაირ ხანდაზმულობაზე ვერ იქნება საუბარი განაჩენის დადგენამდე. აღნიშნული პრობლემიდან ერთი გამოსავალი არსებობს: რადგან დანაშაულის არსებობა დადასტურებული არ არის განაჩენამდე, ხოლო ხანდაზმულობა, როგორც პასუხისგებლობის გამომრიცხველი გარემოება ამ ეტაპამდე არსებობს, უნდა დაზუსტდეს მისი საწყისი მომენტი. ძნელი მისახვედრი არაა, რომ აქ იგულისხმება არა დანაშაული, არამედ ქმედების შემადგენლობა, ვინაიდან გამოძიება იწყება ქმედების შემადგენლობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენით. ვინაიდან პირის პასუხისგებაში მიცემის გამომრიცხველი ხანდაზმულობა შეიძლება არსებობდეს სისხლის სამართლის პროცესის მხოლოდ საწყის სტადიაზე, კერძოდ, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, ერთადერთი სწორი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან არის, ვაღიაროთ, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან.

დანაშაულის თავიდან აცილების გამო არსებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა საშუალებას იძლევა, ფუნქციონალურად წარმოვიდგინოთ სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილების მიმართულება. თავიდან შერაცხადი პირი იმყოფება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფოსთან. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით პირი ვადის ამ ურთიერთობის გარეთ კონკრეტული შემადგენლობის ფარგლებში და არა საერთოდ, რადგან შემადგენლობა არც პასუხისმგებლური ქმედებაა, არც უპასუხისმგებლო, სანამ არ მოხდება მისი შეფასება. ხოლო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტური მხარე პოზიტიურ პასუხისმგებლობაში გამოიხატება. ამდენად, რადგან შემადგენლობა არ არის პასუხისმგებლური აქტი, ის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომაც მის გარეთაა. ამასთან, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლას ფუნქციონალურად საპროცესო ურთიერთობა მოხდევს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (ან პირის გამართლება) და ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება (ან მისი გამორიცხვა). აღნიშნული არის საფუძველი სასჯელადსრულებითი ურთიერთობისა (როცა ინიშნება სასჯელი), ხოლო პირის მიერ ნეგატიური პასუხისმგებლობის სრულად მოხდის შემდგომ აღსდგება პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც იყო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე და სუბიექტი უბრუნდება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ივარაუდება, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა აღდგენილია.

აღნიშნული მოდელის ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში ერთვება საქმეში ხანდაზმულობა. კერძოდ, შერაცხადი პირი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით ვადის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან, თუმცა ავტომატურად არ გადადის საპროცესო ურთიერთობაში, არამედ იმყოფება შუალედურ პერიოდში, სადაც მიმდინარეობს ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ პირი საპროცესო ურთიერთობაში კი არ გადადის, არამედ უბრუნდება

სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას კეთილსინდისიერების პრეზუმფციის ძალით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე დაიწყო საპროცესო მოქმედებები პირის მიმართ, ხანდაზმულობა უკვე საპროცესო ურთიერთობის დაწყებას კი არ გამორიცხავს, არამედ წყვეტს ამ ურთიერთობას და ხდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის გამომრიცხველი გარემოება.

1.2.3.7. ხანდაზმულობის ვადის დენის პირობები

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხანდაზმულობის საწყისი მომენტი დანაშაულის ცნებას კი არ უკავშირდება, არამედ დანაშაულის შემადგენლობის ცნებას. ამასთან, როგორც უკვე შევნიშნეთ, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში კი არ ხდება ან მისი საწყისი მომენტი კი არ არის, არამედ ამ ურთიერთობიდან გასვლის საფუძველია,¹⁶² რის გამოც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის არც საწყის ეტაპს შეესაბამება და არც რომელიმე სხვას. ის მთლიანად მის გარეთაა. მაშინ დგება საკითხი ხანდაზმულობის საპროცესო ურთიერთობასთან მიმართებისა, მაგრამ ირკვევა, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის დასაწყისი არ ემთხვევა საპროცესო მოქმედებების საწყის ეტაპს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ის უნდა იწყებოდეს საქმის გამოძიების დაწყებიდან. ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთანავე კი გამოძიება ყოველთვის არ იწყება. სწორედ აქ მდგომარეობს ხანდაზმულობის ადგილის დადგენის პრობლემატურობა.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირი შესაძლებელია, იმყოფებოდეს სამართლებრივად ნეიტრალურ ვითარებაში, როცა არც პოზიტიური პასუხისმგებლობაა და არც ნეგატიური. ეს კი მოუთმენელია, სერიოზული ხარვეზია. მატერიალურ და პროცესუალურ სამართალს შორის ფუნქციონალური კავშირის გაწყვეტა ნიშნავს, რომ შესაძლებელია, პირმა განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, გავიდეს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან და დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს სამართლებრივად ნეიტრალურ სივრცეში. ასეთ ვითარებაში პირი სამართლებრივი სტატუსის გარეშეა დარჩენილი, რაც დაუშვებელია. ამიტომაც აუცილებელია ამ საკითხის სამართლებრივი დარეგულირება. სწორედ ამ პრინციპის განხორციელების მექანიზმია პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, რომელიც მატერიალურ და საპროცესო ურთიერთობათა შორის ფუნქციონალური კავშირის დროში წყვეტის შედეგად პირის სამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნებას ემსახურება ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ქმედების სუბიექტის კანონიერი ინტერესები.

ხანდაზმულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიშობა ისეთ ვითარებაში, როცა გამოძიების ორგანოებმა კონკრეტული ქმედების შესახებ არაფერი იციან ან არ არის დადგენილი ქმედების სუბიექტი. სწორედ აქ იწინს თავს ლატენტური დანაშაულების პრობლემა.

¹⁶² იხ. ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება*, თბ. 2000, 55

პროცესუალური ასპექტით ლატენტური დანაშაულობა განისაზღვრება „როგორც დანაშაულების ერთობლიობა, რომელთა ჩადენას თავის დროზე არ მოჰყოლია იურიდიული შედეგები“.¹⁶³ აქ არის სამართლებრივად თავისუფალი სივრცე, სადაც მხოლოდ წამახალისებელი ნორმები მოქმედებს. ანუ პირის სამართლებრივი სტატუსი არც ერთი ნორმით დადგენილი არ არის, მას არანაირი მოვალეობა ამ დროს არ ეკისრება, მოქმედებს მხოლოდ ფაქტობრივი შესაძლებლობის სფერო. სწორედ ამ ვითარებაში მიედინება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

ამდენად, ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, პასუხისგებაში მიცემა ხანდაზმულობის ვადის დენას კი არ ასრულებს, არამედ ვადა განაგრძობს დენას. ეს არის კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული დამატებითი გარანტია ქმედების სუბიექტის ინტერესების დაცვისა, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესის დაწყების შემთხვევაშიც კი ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელებას მის ამოწურვამდე ან განაჩენის დადგენამდე. აღნიშნული ბერკეტი იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ქმედების სუბიექტის ინტერესები და თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს მიერ უსამართლო გადაწყვეტილების მიღება იმ პირობებში, როცა მსჯავრდებულის პიროვნება ქმედების სუბიექტის პიროვნებისაგან დროში საკმაოდ დაცილებული იქნება და ქმედების გავლენაც მის ჩამდენსა თუ გარესამყაროზე დროთა განმავლობაში საეჭვო გახდება.

ამიტომ აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლში შესაბამისი მინიშნების გაკეთება იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე გამოძიების დაწყების შემთხვევაში ვადა დენას განაგრძობს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ამდენად, ვფიქრობთ, ხანდაზმულობის ადგილი სამართლის სისტემაში შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს: როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან პირის გასვლისთანავე და გრძელდება საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე. ანუ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, რომელიც ხანდაზმულობის ვადის ამოწურვისას დგება, ზემოთ დასახელებული ორივე ურთიერთობის გარეთ არსებობს, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის არ არის მატერიალური ან პროცესუალური ცნება, პირიქით, ხანდაზმულობა გავლენას ახდენს საპროცესო ურთიერთობაზე იმ გაგებით, რომ ის გამორიცხავს საპროცესო ურთიერთობის დაწყებას. ასევე იგი გავლენას ახდენს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე. კერძოდ, არის საფუძველი პირის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნებისა. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას ორმაგი ბუნება აქვს. თუმცა ამის გარდა ხანდაზმულობის პროცესუალურ ბუნებას ასევე განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის გავრცელება საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით ხანდაზმულობა პროცესუალურ ფორმაში განაგრძობს არსებობას.

ამ მხრივაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეშვეობით შედარებით მარტივად არის საქმე, ვინაიდან, სსსკ-ის 602-ე მუხლის მიხედვით, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მიღებისთანავე. ამიტომაც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა გავრძელდება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დღემდე. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენა განაჩენის დადგენამდე

¹⁶³ წულაია ზ., *კრიმინოლოგია*, თბ., 2003, 97

მატერიალურ ბუნებაზეც მიუთითებს, ვინაიდან ვადის ბოლო მომენტი დაუკავშირდა ნეგატიური პასუხისმგებლობის მატერიალურ ცნებას.

საბოლოოდ შეიძლება ხანდაზმულობის ვადის დენის სამი ვარიანტის არსებობა: 1. ხანდაზმულობის ვადა მიედინება მთლიანად სამართლებრივად ნეიტრალურ ვითარებაში, სადაც ის მატერიალურ ბუნებას ავლენს და ამასთან ის პროცესუალური ურთიერთობის გამომრიცხველიცაა, 2. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება სამართლებრივად ნეიტრალურ ვითარებაში, თუმცა გრძელდება და სრულდება საპროცესო ურთიერთობაში, სადაც ვლინდება ხანდაზმულობის როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ბუნება, 3. ხანდაზმულობის ვადის დენა მიმდინარეობს მთლიანად საპროცესო ურთიერთობაში, რაც არ აკნინებს ხანდაზმულობის მატერიალურ ბუნებას, ვინაიდან ვადის დენის დასაწყისი და დასასრული კვლავ მატერიალური ცნებებია: დანაშაულის შემადგენლობა და ნეგატიური პასუხისმგებლობა. ყველა შემთხვევაში უდაო უნდა იყოს ხანდაზმულობის ორმაგი - მატერიალურ-პროცესუალური ბუნება.

1.2.4. ხანდაზმულობა მომიჯნავე კატეგორიებთან, ცნებებთან, პრინციპებთან მიმართებაში

1.2.4.1. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება

წინა თავში საუბარი იყო იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან ფუნქციონალურად პირი საპროცესო ურთიერთობაში უნდა გადავიდეს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებით, თუმცა ლატენტური დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ ორ ურთიერთობას შორის დროითი მანძილის არსებობა. ლატენტური შეიძლება გახდეს დანაშაული იმ მიზეზით, რომ შესაბამის ორგანოებს დაზარალებული და მოწმეები ქმედების სუბიექტის, გარშემომყოფთა შიშით, არასწორი ღირებულებითი მსოფლმხედველობის, საკუთარი პატივის დაცვის სურვილით... არ მიაწვდიან ინფორმაციას; ან ინფორმაციის მიწოდების შემდეგ შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ ხდება ქმედების არასწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც ქმედების შემადგენლობა არ განიხილება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად; ან კიდევ, მიუხედავად ინფორმაციის სწორად გაგებისა, პირადი მოტივებით არ ხდება გამოძიების დაწყება... ეს ის გარემოებებია, რომლებიც აქტუალურს ხდიან პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის საკითხს. ამდენად, დგას საკითხი: რა სამართლებრივი შედეგები მოსდევს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქმედების სუბიექტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებას? რას ნიშნავს, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება? რა დამოკიდებულება არსებობს პასუხისგებაში მიცემასა და ნეგატიურ პასუხისმგებლობას შორის?

სისხლის სამართლის ცნებათა სისტემაში ხანდაზმულობის ადგილის გარკვევა დაკავშირებულია ორ ცნებასთან. პირველი არის სისხლისსამართლებრივი ნეგატიური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე - პასუხისგებაში მიცემის პროცესუალური ცნება.

სისტემური კვლევის მეთოდის გამოყენებით უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის ადგილი და როლი სისხლის სამართალში, რაც გააადვილებს მისი ცნების განსაზღვრას.

1.2.4.1.1. პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი

ზემოთ ვისაუბრეთ პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტზე, რომლის გარდა არსებობს პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი. ის გულისხმობს ჩადენილი ქმედებისთვის საპასუხო ზომების მიღებას. მიუხედავად ასეთი განსხვავებული შინაარსისა, ეს ორი ასპექტი მაინც საერთო ნიშნის ქვეშ ერთიანდება. ესაა ადამიანთა ქცევის რეგულირება. აღნიშნულ ასპექტებს შინაგანი ლოგიკური წყობა აქვთ. ერთი განამტკიცებს მეორეს, ქმნის მის საფუძველს. შინაგანი განსაზღვრულობა იქმნება დარწმუნებით ან გარეგანი იძულებით. აქ საქმე გვაქვს ადამიანთა ქცევის რეგულირების განსხვავებულ მეთოდებთან, რომლებსაც ერთ შედეგამდე მივყავართ.¹⁶⁴

ნეგატიური პასუხისმგებლობის გაგება შეუძლებელია ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნის განსაზღვრის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის ამ ორი ასპექტის ერთმანეთთან დაკავშირება და ამ გზით მათი განსაზღვრება არ არის ტრადიციული, ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნად იურისტები, როგორც წესი, ასახელებდნენ სწორედ პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენას.¹⁶⁵

აღნიშნულთან ერთად არის შემთხვევებიც, როცა ჩადენილი ქმედებისა და პიროვნული ნიშნებიდან სასამართლო ასკენის, რომ აუცილებელია უვადო ან ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაში ნეგატიური პასუხისმგებლობა პოზიტიური პასუხისმგებლობის გაშუალებით კი არა, თვითონ აღწევს გარკვეული ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზანს, ბრალეულის იზოლაციის გზით. ნეგატიური და პოზიტიური პასუხისმგებლობა ერთი მიზნისკენ მიმართულ ორ მეთოდს წარმოადგენს, მაგრამ ნეგატიური პასუხისმგებლობა ზოგჯერ (იშვიათად) უშუალოდ ასრულებს ამ მიზანს, ზოგჯერ (უმეტესად) ამას ახერხებს პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენით.

ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხანდაზმულობის არსის დადგენის საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნის ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეშე მიღწევას უნდა გულისხმობდეს.

უნდა ითქვას, რომ, გარანტი. პოზიტიური პასუხისმგებლობა პირის შინაგან პროცესებს, ცვლილებებს გულისხმობს, რაც გარკვეულად ობიექტურ

¹⁶⁴ იხ. Санталов А. И., *Теоретические вопросы уголовной ответственности*, Л., 1982, 6

¹⁶⁵ მაგალითად, ი. ბრაინინი ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნად ასახელებს კანონისადმი პატივისცემას - იხ. Браинин Я. М., *Уголовная ответственность и ее основание в уголовном праве*, М. 1963, 11; ლ. ბაგრი-შახმატოვი - მართლწესრიგის დაცვას, გამოსწორებას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას...: იხ. Багрий-Шахматов Л. В., *Уголовная ответственность и наказание*, Минск, 1976, 28; ვ. კუდრიავცევი - გამოსწორებას: იხ. Кудрявцев В. Н., *Право и поведение*, М., 1978, 110

რეალობაშიც ვლინდება, კერძოდ, ქმედებებში, ქმედებებისაგან თავის შეკავებაში. სამართალს სჭირდება ობიექტური ნიშნები, რომლითაც ის შეაფასებს პიროვნებაში მიმდინარე პროცესებს.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა საქმე გვაქვს ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებებთან, ეს მეტად ფაქიზი სფეროა. ჯერ ერთი, მასში ცვლილებები გამუდმებით მიმდინარეობს გარკვეული მიმართულებით, ვინაიდან პირი ვითარდება, იზრდება. ამასთან, მეორე მხრივ, ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ყოველთვის ერთნაირად არ ვლინდება გარეგან სამყაროში. „გარეგნული ნიშნებით შეუძლებლად თვლიან ადამიანის შინაგანი სამყაროს გაგებას.“¹⁶⁶ ამიტომ ქმედებით, როგორც ფორმით ძნელია გააკეთო კატეგორიული უკუდასკვნა ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე, შინაგან სამყაროზე, ღირებულებებზე... აქ საჭიროა ვარაუდების დაშვება, ინდუქციური დასკვნების გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ პოსტკრიმინალური ქცევა არის მხოლოდ ვარაუდის საფუძველი, რომ ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება აღდგენილია, რის გამოც ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრებას საფუძველი ეცლება.

ნეგატიური პასუხისმგებლობის ცნების დადგენა აუცილებელია ხანდაზმულობის ცნებისათვის, ვინაიდან პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა სწორედ ნეგატიური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.

ა. სანტალოვს და ა. მარცევს პასუხისმგებლობა ესმით, როგორც იძულების ზომა,¹⁶⁷ რაც მიუღებელია, ვინაიდან აქ შეფასებითი მომენტი ცნების გარეთაა გატანილი. არადა პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი თუ პირის მოვალეობისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს, ნეგატიური – სახელმწიფოს დამოკიდებულებას ქმედების ჩამდენი პირისადმი. ეს დამოკიდებულება შეფასებას შეიცავს, უარყოფით შეფასებას. აღნიშნული მომენტის გარეშე ის იქნებოდა სასჯელი. ამის გამო, ეს განსაზღვრება სასჯელის ცნებად უფრო გამოდგება, ვიდრე პასუხისმგებლობის.

ზოგი მეცნიერის აზრით, ნეგატიური სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სახელმწიფო იძულების ღონისძიებების თმენა ან თმენის ვალდებულება.¹⁶⁸ ეს განსაზღვრება ახლოსაა პასუხისმგებლობის არსთან, თუმცა არასრულად გადმოსცემს მას, რადგან გამორჩენილია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, მათ შორის შეფასების მომენტი.

არის მოსაზრებები, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობაა სახელმწიფოსა და მოვალეობის დამრღვევს შორის,¹⁶⁹ რაც მიუღებელია იმ მოსაზრებით, რომ აქ ფორმა გასაღებელია შინაარსად. სინამდვილეში სამართლებრივი ურთიერთობა პასუხისმგებლობის

¹⁶⁶ ბ. ხარაზიშვილი, *სიცრუის ფსიქოლოგია*, თბ., 1975, 96

¹⁶⁷ ახ. Марцев А. И., *Уголовная ответственность и общее предупреждение преступлений*, Омск, 1973, 23;

ა. სანტალოვის დასახ. ნაშრ., 9

¹⁶⁸ ახ. ი. ბრაინინის დასახ. ნაშრ., 25-26, Лейкина Н. С. *Личность преступника и уголовная ответственность*, 28-30; Пионтковский А. А. *О понятии уголовной ответственности*, “Советское государство и право”, 1967, №12, 40; Курляндский В. И. *Уголовная ответственность и теры общественного воздействия*, М., 1965, 20; Явич Л. С. *Общая теория права*, Л., 1976, 233; Карпушин М. П., Курляндский В. И. *Уголовная ответственность и состав преступления*, М., 1974, 21; Пионтковский А. А. *Общее учение о наказании* – в кн.: *Курс советского уголовного права*, т. 3, М., 1970, 9; Шаргородский М. Д. *Основание уголовной ответственности* – в кн.: *Курс советского уголовного права*, Л., 1968, т. 1, 31

¹⁶⁹ ახ. ა. სანტალოვის დასახ. ნაშრ. გვ. 12; Стручков Н. А., *Уголовная ответственность и ее реализация в борьбе с преступностью*, Саратов, 1977, 50.

მხოლოდ ფორმა შეიძლება იყოს, მაგრამ ცნების განსაზღვრება შინაარსის გარეშე შეუძლებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ესმოდათ ასევე როგორც დამნაშავეს ქმედების შეფასება, გააციცხვა,¹⁷⁰ რის მიღმაც რჩება სასჯელი და ნასამართლობა. ამიტომ აღნიშნული განმარტება მიუღებელია.

ზოგი მეცნიერი საუბრობს სასჯელის დანიშვნის ეტაპადე პასუხისმგებლობის არსებობის შესახებ.¹⁷¹ პასუხისმგებლობის ცნების არასწორი გაგების შედეგი იყო, რომ ლ. ბაგრი-შახმატოვის მიხედვით, პასუხისმგებლობას ხუთი სტადია ჰქონდა: დამნაშავეს დადგენა და დევნის რეალური მუქარა, პასუხისგებაში მიცემა, სასამართლო წარმოება, სასჯელის აღსრულება, ნასამართლობის პერიოდი.¹⁷² აღნიშნული სწორად იქნა უარყოფილი, რადგან რეალურად ნეგატიური პასუხისმგებლობა განაჩენის დადგენას უკავშირდება და არა მანამდე არსებულ პროცესუალურ სტადიებს საქმის გამოძიებისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ნეგატიური პასუხისმგებლობის საზღვრების, მოცულობის დადგენა არის წინაპირობა ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრისა. ასევე მასზეა დამოკიდებული ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები, მისი მიმართება ნასამართლობასთან.

საინტერესოა ნ. ზაგოროდნიკოვის აზრი: პასუხისმგებლობა გამოიხატება სასამართლოს მიერ პირის ქმედების უარყოფით შეფასებაში. ავტორის მიხედვით, პასუხისმგებლობის შინაარსში შედის სასჯელის დანიშვნა და მისი აღსრულება.¹⁷³ აღნიშნული შეხედულება საინტერესოა, თუმცა უგულებელყოფს ნასამართლობას, ასევე უგულებელყოფილია ნეგატიური პასუხისმგებლობის სუბიექტური მომენტი.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით* აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა პასუხისმგებლობის სტადიების, საწყისი მომენტისა და სხვა საკითხების თაობაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან იწყება. ზოგის აზრით, პასუხისგებაში მიცემიდან, სხვების მტკიცებით, განაჩენის დადგენიდან.¹⁷⁴ საბჭოთა სისხლის სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმად მიჩნეული იყო დამნაშავედ ცნობა, სასჯელის დანიშვნა და მისი მოხდა.¹⁷⁵

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ არ იყო იშვიათი მტკიცება, თითქოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ნაწილი ან მთლიანად სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია, რადგან ემყარება დანაშაულის ჩადენის გამო

¹⁷⁰ იხ. Тихонов К. Ф. *О сущности уголовной ответственности*, - в кн.: Вопросы предупреждения преступности, Томск, 1967, 4-5; Ретюнских И. С., *Уголовная ответственность и ее реализация по советскому законодательству*, - в кн.: Уголовная ответственность: Проблема содержания, установления, реализации, Воронеж, 1989, 116.

¹⁷¹ იხ. Ной И. С., *Вопросы теории наказания в советском уголовном праве*, Саратов, 1962, 121; ლ. ბაგრი-შახმატოვის დასახ. ნაშრ., 27

¹⁷² იქვე, 84-85.

¹⁷³ იხ. Загородников Н. И., *О пределах уголовной ответственности*, - «Советское государство и право», 1967, №7, 39-40

* რაშიც საბჭოთა სამართალში მოიაზრებდნენ, როგორც წესი, ნეგატიურ პასუხისმგებლობას.

¹⁷⁴ იხ. Карнеева Л. М. *Привлечение к уголовной ответственности*, М., 1971, 15; Братусь С. Н., *Юридическая ответственность и законность*, 113

¹⁷⁵ აღნიშნულის შესახებ იხილეთ Огурцов Н. А. *Правоотношения и ответственность в советском уголовном праве*, Рязань, 1976, 171

სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომლის შეუძლებლობაშიც ზემოთ დავრწმუნდით.

სინამდვილეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ნეგატიური ასპექტით) სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია, რადგან აქ მოქმედებს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი. ეს ორი ასპექტი კი ერთად წარმოუდგენელია.

პასუხისმგებლობისა და პასუხისგებაში მიცემის გაიგივების შედეგად მიგვაჩნია სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა აითვლება პასუხისგებაში მიცემამდე და არა პასუხისმგებლობის განაჩენით დაკისრებამდე. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, თავისთავად ნიშნავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შეუძლებლობას. თუმცა ეს არ გვაძლევს უფლებას, გავაიგივოთ პასუხისგებაში მიცემა და პასუხისმგებლობა (ნეგატიური ასპექტით).

მ. კარპუშინისა და ვ. კურლიანდსკის აზრით, ნეგატიური პასუხისმგებლობის რეალიზაცია იწყება პირის ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემიდან, ვინაიდან ამ მომენტიდან პირი აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისათვის.¹⁷⁶ ამ პოზიციასზე დგას ი. ბრაინინიც.¹⁷⁷

აღნიშნულის უარყოფად უნდა ჩაითვალოს ლ. ბაგრი-სახმატოვის აზრი, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეალური მოქმედებები პასუხისმგებლობის რეალიზაციის მიზნით იწყება პირის პასუხისგებაში მიცემამდე, რის გამოც პასუხისგებაში მიცემა არის მხოლოდ ერთი ეტაპი პასუხისმგებლობის რეალიზაციის და არა მისი დასაწყისი.¹⁷⁸ სინამდვილეში ნეგატიური პასუხისმგებლობა დანაშაულის იურიდიულად დადგენით იწყება, გულისხმობს ქმედების უარყოფით შეფასებას, სასჯელსა და ნასამართლობას, როგორც სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენას.

ამდენად, პრობლემატურია პასუხისმგებლობისა და პასუხისგებაში მიცემის მიმართება. ეს საკითხი ორმაგად საინტერესოა ხანდაზმულობასთან მიმართებაში, ვინაიდან აქ ეს ორი ცნება ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. საუბარია პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობაზე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებაზე.

ამ პარაგრაფში განხილული განმარტებების შემდეგ, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი გულისხმობს საკუთარ თავზე განცდას სახელმწიფოს მიერ გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელიც გამოწვეულია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით და რომელიც თავისი ხარისხით შეესაბამება სუბიექტში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენის მიზანს.

იგი შესაძლებელი (და არა აუცილებელი) ელემენტების სახით აერთიანებს სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი შეფასებას (რაც პროცესუალურად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენაში გამოიხატება, ხოლო მატერიალურად პირის ბრალეულობის დადგენას ნიშნავს), იძულების ზომებს (იგულისხმება სასჯელი) და იძულების ღონისძიების შემდგომ სამართლებრივი შეზღუდვას (იგულისხმება ნასამართლობა).

¹⁷⁶ იხ. მ. კარპუშინისა და ვ. კურლიანდსკის დასახ. ნაშრ., 30

¹⁷⁷ იხ. ი. ბრაინინის დასახ. ნაშრ., 3, 26-28

¹⁷⁸ იხ. ლ. ბაგრი-სახმატოვის დასახ. ნაშრ., 76

1.2.4.12. პასუხისგებაში მიცემის არსი

ამ პარაგრაფში უნდა გაირკვეს, როგორ არის შესაძლებელი პასუხისგებაში მიცემის გამორიცხვით ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა ისე, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთის იდენტურად არ განიხილებოდეს.

პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, რაც ამავე დროს მიანიშნებს იმაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გამორიცხულია ქმედების სუბიექტის მიმართ პროცესუალური მოქმედებების ჩატარება და ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება. ამდენად, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, ნიშნავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შეუძლებლობას. პასუხისგებაში მიცემა არის წინაპირობა პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობისა. პასუხისგებაში მიცემის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია.¹⁷⁹ ამასთან, პასუხისგებაში მიცემა ჯერაც არ ნიშნავს, რომ პირს დაეკისრება ნეგატიური პასუხისმგებლობა, ვინაიდან ბრალდებული შეიძლება გამართლდეს.

6. სტრუქტურის პასუხისგებაში მიცემა ესმის, როგორც საპროცესო ურთიერთობის დასაწყისი.¹⁸⁰ მ. სტროგოვიჩის აზრით, ის უკავშირდება წინასწარი გამოძიების სპეციალურ მომენტს, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას.¹⁸¹

აღნიშნულ საკითხზე პროფ. შ. ფაფიაშვილი აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისათვის დამახასიათებელია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება უშუალოდ კონკრეტულ პირთან და არა ფაქტთან დაკავშირებით.¹⁸² აღნიშნულის გამო დევნის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ ის ეტაპი, როცა ცნობილი ხდება შესაბამისი ორგანოსათვის სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის ვინაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ჯერ კიდევ არა გვაქვს საქმე დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტთან, არამედ მხოლოდ სავარაუდო სუბიექტთან, რაც კატეგორიულ მტკიცებაში მხოლოდ შემდგომი გამოძიების შედეგად შეიძლება გადაიზარდოს. ესე იგი დევნის დასაწყისისათვის გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა უკვე გამოძიება იკვლევს მტკიცებულებებს კონკრეტული პირის მიმართ. თუ იმასაც დაუმატებთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყისს პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანას უკავშირებენ, ნათელი გახდება, რომ პასუხისგებაში მიცემა ჯერ კიდევ არ არის ნეგატიური პასუხისმგებლობა, არამედ აღნიშნავს სისხლის სამართლის პროცესის ცალკე ეტაპს, როცა კონკრეტული პირი ერთვება საპროცესო ურთიერთობაში, როგორც დანაშაულებრივი ქმედების სავარაუდო სუბიექტი. აღნიშნულ ეტაპს პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ ხდება გამოძიების მიმართულების შეცვლა ქმედების სუბიექტის ძიებიდან კონკრეტულ სუბიექტთან მიმართებით მტკიცებულებების

¹⁷⁹ აქ ვგულისხმობთ ნეგატიურ პასუხისმგებლობას, რომელშიც პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის საპირისპირო ასპექტი იგულისხმება. პასუხისმგებლობის ასპექტების შესახებ იხ. ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, 88-124

¹⁸⁰ იხ. ნ. სტროგოვიჩის დასახ. ნაშრ., 51

¹⁸¹ იხ. Строгович М. С., *Уголовный процесс*, М., 1946, 253-254

¹⁸² იხ. ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა., *მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა*, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2002, 94

მოპოვებისკენ. სწორედ ამ ეტაპიდან ფაქტით დაინტერესება იცვლება სუბიექტით დაინტერესებით. აქ არ იგულისხმება სუბიექტი ფაქტისაგან მოწყვეტით, არამედ - სუბიექტი, როგორც სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი.

ბრალდებულის სახით პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი სტადია, რომელიც გულისხმობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ეჭვიმტანილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენის ვარაუდს. სისხლის სამართლის პროცესის ამ ეტაპზე დადგენილია ქმედების სუბიექტი, ობიექტი, სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა - დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. ამასთან, ვინაიდან უცნობია მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ივარაუდება მართლწინააღმდეგობა და ბრალიც. ამდენად, მართალია, გარკვეული ხარისხის ვარაუდის სახით, მაგრამ დანაშაულის ყველა ნიშანი სწორედ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან ჩნდება და ამ ნიშნების დაზუსტებას ემსახურება შემდეგ მთელი გამოძიება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდების წარდგენის შემდეგ უკვე გამოძიება მიმდინარეობს კონკრეტული პირის მიმართ, თუმცა ეს არ გამორიცხავს ისეთ შედეგს, როცა ბრალდებულის მიმართ დევნა წყდება და ბრალდება წარედგინება სრულიად განსხვავებულ სუბიექტს. როგორც ვხედავთ, დანაშაულის მოდელი უკვე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისთანავე ჩნდება, რაც აისახება კიდევ დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ჯერაც არაა დანაშაულის კატეგორიული დადგენა და პირი ჯერაც არაბრალეულად ითვლება. ამიტომაც ნეგატიური პასუხისმგებლობა ჯერ ვერ ამოქმედდება.

იქმნება ვითარება, როცა უპასუხისმგებლობა ივარაუდება, თუმცა ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება ჯერ ვერ ხერხდება. ამიტომაც საჭიროა ისეთი ღონისძიება, რომელიც დაგვეხმარება უპასუხისმგებლო ვითარების თავიდან აცილებაში. სწორედ ასეთ პროცესუალურ ხერხს წარმოადგენს პასუხისგებაში მიცემა. კერძოდ, პასუხისგებაში მიცემა არის რეაქცია სავარაუდო უპასუხისმგებლობის დადგენაზე. პასუხისგებაში მიცემა, როგორც სავარაუდო უპასუხისმგებლობაზე რეაქცია, წინ უსწრებს ნეგატიურ პასუხისმგებლობას, როგორც ბრალის გარდუვალ შედეგს. აღნიშნულ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. გ. ნაჭყებია, რომელიც გვთავაზობს ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის განმარტებას. კერძოდ, „ესაა სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელების შედეგად შექმნილი ობიექტური უპასუხისმგებლობის აღკვეთის პროცესუალური ხერხი, რომელიც ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობის გამომხატველია.“¹⁸³

როგორც ვხედავთ, პასუხისგებაში მიცემასა და ნეგატიურ პასუხისმგებლობას საერთო ნიშნები აქვთ. კერძოდ, ორივე (თუმცა სხვადასხვა ფორმით) არის უპასუხისმგებლობის აღმოფხვრისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობის განხორციელების მექანიზმი. თუმცა ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ნეგატიურ პასუხისმგებლობასთან, არამედ მხოლოდ მის წინმსწრებ პროცესუალურ ინსტიტუტთან.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ თუ პასუხისგებაში მიცემა ნეგატიური პასუხისმგებლობას აუცილებლად წინ უსწრებს, მაშინ პასუხისგებაში მიცემის შეუძლებლობა ავტომატურად გულისხმობს ნეგატიური პასუხისმგებლობის

¹⁸³ ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების საკითხისთვის*, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, 364

დაკისრების შეუძლებლობას. ასეთ ვითარებაში კი სავსებით გასაგებია პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის მოქმედება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებისა. ამასთან, გარდა აღნიშნულისა, პასუხისმგებლობის გამორიცხვა შესაძლებელია პასუხისმგებლობაში მიცემის შემდეგაც ნებისმიერ მომენტში უშუალოდ პასუხისმგებლობის დაკისრებამდე (მათ შორის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სტადიაზეც). ამას ადასტურებს პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის მეორე სახელიც – სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა (სწორედ ასე მოიხსენიება ის სსსკ-ის 28-ე მუხლში), რაც იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობა ასევე უკვე დაწყებული დევნის შემწყვეტი გარემოებაა. ამიტომაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადა დენას განაგრძობს პასუხისმგებლობაში მიცემის შემდეგაც განაჩენის დადგენამდე.

12.4.13. ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხოთ ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ცნებას და მის მიმართებას ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვასთან, ვინაიდან ის უკავშირდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის სამართლებრივ შედეგს. ამდენად, აღნიშნულის გარეშე ხანდაზმულობის გაგება არასრული იქნება.

ს. ზელდოვის აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის „აქარწყლებს დანაშაულის ჩადენის ფაქტის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.“¹⁸⁴ ავტორის აზრით, ამ დროს არ ხდება ქმედების გამო პირის სისხლისსამართლებრივად გაკიცხვა მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი არსებობს, ვინაიდან დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების გარეშე. ავტორი სწორად ასკვნის, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ამტკიცებს, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაულის შემადგენლობა და საზოგადოებრივი საშიშროება ამ დროს დადგენილია.¹⁸⁵ მოცემული მსჯელობა სავსებით გასაგებია საბჭოთა კავშირში გავრცელებული სოციოლოგიური აზროვნების წესის გადმოსახედიდან, თუმცა მიუღებელია დღევანდელი გადასახედიდან, როცა მიიჩნევა, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულის შემადგენლობა კი არ არის, არამედ დანაშაული და მას წინასწარი გამოძიება კი არ ადგენს, არამედ სასამართლო.

ამდენად, იურიდიული აზროვნებისათვის მიუღებელია პასუხისმგებლობის საფუძვლის არსებობის აღიარება დანაშაულის იურიდიულად დადგენის გარეშე. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეიძლება მაშინ, როცა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი არსებობს, მაგრამ გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, არ ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება. იმ

¹⁸⁴ Зельдов С. И., *Освобождение от наказания и от его отбывания*, М, 1982, 7

¹⁸⁵ იქვე, 7-9

შემთხვევაში კი, როცა პასუხისმგებლობის საფუძველი არა გვაქვს, მაშინ უნდა ვისაუბროთ არა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე, არამედ პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები გამორიცხავენ პასუხისმგებლობას, ვინაიდან არ არსებობს პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული, ასევე პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამორიცხავს პასუხისმგებლობის დაკისრებას, ვინაიდან არ დგინდება დანაშაული იურიდიულად.

ს. კელინას განმარტებით, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არის დანაშაულის ჩამდენი პირის გათავისუფლება ამ დანაშაულის სამართლებრივი შედეგებისაგან,¹⁸⁶ რაც გულისხმობს გამამტყუნებელ განაჩენში გამოხატული, სახელმწიფოს მიერ ქმედების უარყოფითი შეფასებისაგან პირის გათავისუფლებას.¹⁸⁷ ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოება სრულდება და პროცესის მონაწილენი ამის შემდეგ კარგავენ იმ პროცესუალურ სტატუსს, რაც მათ ჰქონდათ გამოძიების წარმოებისას. ავტორი ხაზს უსვამს განსხვავებას გამამართლებელ გარემოებებსა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას შორის არსებულ განსხვავებას. კერძოდ, ერთ შემთხვევაში არა გვაქვს დანაშაული, მეორე შემთხვევაში – პირიქით.

შესაძლოა სასჯელისაგან გათავისუფლების ქვეშ იგულისხმო ისეთი ვითარება, როცა მოსამართლე დარწმუნდება დანაშაულის არსებობაში, მაგრამ ამის მიუხედავად მას არ გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი. მაგალითად, დაზარალებულთან შერიგების ან ქმედითი მონანიების გამო პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად აუცილებელია იმის გარკვევა, ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული არის თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში დევნა შეწყდება უფრო ადრეულ სტადიაზე მარეაბილიტირებელი საფუძველით და საქმე არ მივა ქმედითი მონანიების თუ დაზარალებულთან შერიგების გარკვევამდე. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ქმედების დანაშაულებრიობაში დარწმუნდება, ვინაიდან ქმედითი მონანიება პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებაა, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს ვერ გამოტანს. მართალია, ამ შემთხვევაშიც პირს არ ეკისრება ნეგატიური პასუხისმგებლობა, მაგრამ დასახელებული გარემოებები პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებებია და არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, ვინაიდან გულისხმობენ დანაშაულს (მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო საბოლოოდ უარს ამბობს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე, რადგან ამ უარს თავისი გამართლება აქვს).

მათგან განსხვავებით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლისას ქმედების დანაშაულებრიობის გარკვევის ყველანაირი პროცედურა წყდება, რის გამოც შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, ქმედება დანაშაულებრივია თუ არა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველ გარემოებაა არა იმიტომ, რომ დანაშაულის არსებობას უარყოფს კატეგორიულად, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოებები, არამედ იმიტომ, რომ ხელს უშლის პასუხისმგებლობის საფუძველის – დანაშაულის დადგენას. სხვა

¹⁸⁶ ს. კელინას დასახ. ნაშრ., 25

¹⁸⁷ იქვე, 28

სიტუაციაა, როცა ბრალდებული უარს ამბობს ხანდაზმულობის გამო დევნის შეწყვეტაზე. ასეთ ვითარებაში ხანდაზმულობის წესი უკვე არ მოქმედებს და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია შესაძლებელი ხდება, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ხანდაზმულობაზე უარის თქმის შემთხვევაში ქმედება ყოველთვის დანაშაულებრივი აღმოჩნდება. ეს ასე რომ იყოს, მაშინ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა მართლაც პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოება იქნებოდა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია პირი გამართლდეს. თუ დაუშვებთ, რომ გამოძიების გაგრძელების შემთხვევაში პირის გამართლება შესაძლებელია, მაშინ როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ხანდაზმულობა პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებაა რადგან ამ დროს პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული უკვე მოცემულია? თუ გამოძიების გაგრძელებისას პირი გამართლდა, ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული არც არასოდეს ყოფილა. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით პოზიციას, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ვ. სკიბიციცი: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება არის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირისათვის პასუხისმგებლობის ან სასჯელის მოხდის გაუქმება, თუ სასჯელის მიზნები და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები შეიძლება მიღწეულ იქნეს (ან უკვე მიღწეულ იქნა) სისხლისსამართლებრივი იძულების გამოყენების გარეშე“.¹⁸⁸ ავტორი იზიარებს საბჭოთა სისხლის სამართალში მიღებულ პოზიციას, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მას მერე, რაც პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი – დანაშაულის შემადგენლობა დადგინდება.

მართალია, საბჭოთა კავშირის წიაღშიც გაჩნდა არაბრალეულობისა და დანაშაულის არსებობის მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენის პრინციპთან შეთანხმებული პროგრესული შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეიძლება იმ ქმედების ჩადენისას, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (და არა დანაშაულის ჩადენისას), თუმცა აღნიშნული პოზიცია ბევრი მეცნიერის მიერ ვერ იქნა სწორად აღქმული. ეს იდეა მხოლოდ პროცესუალურ ტერმინოლოგიურ საკითხად იქნა აღიარებული, მიიჩნიეს, რომ ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, სასამართლოს მიერ აუცილებლად დანაშაულად იქნება ცნობილი და ეს მხოლოდ პროცედურული საკითხია.¹⁸⁹ სინამდვილეში მათ უნდა გაეცნობიერებინათ, რომ ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, შესაძლოა დანაშაული არ აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ნათელი გახდებოდა, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი ვერ იქნებოდა, ვინაიდან ამ ეტაპზე პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია პასუხისმგებლობის საფუძვლის არარსებობის გამო.

ი. ბრაინინი გამოყოფს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ჯგუფებს. ერთ ჯგუფში შედის შემთხვევები, როცა არა გვაქვს დანაშაული. ესაა ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის და ბრალის

¹⁸⁸ ვ. სკიბიციკის დასახ. ნაშრ., 25

¹⁸⁹ იქვე, 15-19

გამომრიცხველი გარემოებების არსებობა.¹⁹⁰ მეორე ჯგუფში შედის ისეთი შემთხვევები, რომელთა დროს დანაშაული არის, თუმცა პირი მაინც თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.¹⁹¹ ამასთან, ვინაიდან ეს ორი შემთხვევა განსხვავდება ერთმანეთისაგან, ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პირველს უნდა ეწოდოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, მეორეს – პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებები. სამწუხაროდ, ავტორმა პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევა მეორე ჯგუფში მოაქცია, რაც სოციოლოგიური აზროვნების წესის შედეგია. ხანდაზმულობის შემთხვევაში სწორედაც რომ არა გვაქვს დანაშაული მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გვქონდეს დანაშაულის შემადგენლობა. აქ თავს იჩენს ფიქცია,¹⁹² რომლის წყალობითაც ხანდაზმულობა ხდება არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპთან შეთანხმებული.

საიტერესოა მოსაზრება, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ ბრალეული პირისა. ამასთან დაკავშირებით ტ. დუბინინი აღნიშნავს, რომ პირის ბრალეულად ცნობა ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით, ხოლო სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, რომლებიც არეგულირებენ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, ითვალისწინებენ პირის ბრალეულად ცნობას სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის გარეშე, ასევე გამოძიების ორგანოების მიერ. ეს აზრი ეფუძნება შეხედულებას, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ ბრალეული პირისა. ამ ნორმებს შორის წინააღმდეგობას ხედავს მეცნიერთა ერთი ნაწილი და პრობლემის გადასაჭრელად შემოაქვს წინადადება, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უფლებამოსილება დაეკისროს მხოლოდ სასამართლოს.¹⁹³ ეს შეესაბამება დანაშაულის არსებობის დადგენის სტადიას. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისათვის უცნაური და ამავე დროს მეტად პროგრესული შეხედულება ჩამოაყალიბა მ. სტროგოვიჩმა, რომლის მიხედვითაც სასამართლომდე დევნის შეწყვეტა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით არ ნიშნავს დანაშაულის არსებობას, რადგან ეს ეწინააღმდეგება არაბრალეულობის კონსტიტუციურ პრინციპს.¹⁹⁴ აქედან გამომდინარეობს, რომ ვინაიდან პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა წყვეტს ყველანაირ პროცესუალურ ქმედებას, ამდენად დანაშაულის დადგენამდე საქმე არ მიდის,

¹⁹⁰ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფს ავტორი უწოდებს დანაშაულის შემადგენლობის არარსებობას. ეს გასაგებია დანაშაულის შემადგენლობის იმ გაგებიდან გამომდინარე, რაც სისხლის სამართლისათვის იყო დამახასიათებელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ის დღეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

¹⁹¹ ავტორი მას უწოდებს საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის ან სიმცირის შემთხვევებს და მასში შეჰყავს ხანდაზმულობის ორივე სახე, პირისა და ქმედების საშიშროების სიმცირე, საქმის გადაცემა ამხანაგური სასამართლოსთვის, ბრალდებულის თავდებად გადაცემა, ამნისტია, შეწყველება. იხ. ი. ბრაინინის დასახ. ნაშრ., 247-249

¹⁹² სისხლის სამართალში ბევრი ასეთი ფიქციაა: ნასამართლობის გაქარწყლება, არაერთგზისი დანაშაული 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებებამდე აღნიშნულის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომი „არაერთგზისი დანაშაული“ კურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007 წ., №2/3, 173-180

¹⁹³ იხ. Колбая Г. Н., *Соотношение предварительного следствия и судебного разбирательства*, М., 1975, 146; Либуре И. А., *Презумпция невиновности и прекращение уголовного дела (оправдание)*, - «Советское государство и право», 1981, №7, 69, Дубинин Т. Т., *Проблема освобождения от уголовной ответственности*, в кн.: Проблемы правового статуса личности в уголовном процессе, изд. Саратовского университета, 1981, 8; Дубинин Т. Т., *Конституционный принцип презумпции невиновности и проблемы освобождения от уголовной ответственности*, в кн.: Уголовная ответственность и ее реализация, Межвузовский сборник, Куйбышев, 1985, 50

¹⁹⁴ იხ. Конституционные основы правосудия в СССР, М., 1971, 329

რის გამოც ის არის არა პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი, არამედ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

სამწუხაროდ, ვინაიდან მეცნიერთა უმრავლესობისათვის საბჭოთა კავშირში ბრალი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება იყო და ქმედება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისთანავე დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა, ამიტომაც იძულებულნი გახდნენ, ელიარებინათ, რომ ბრალს ადგენს არა მარტო სასამართლო, არამედ გამოძიების ორგანოებიც. დღეს ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის უარყოფით ეს პრობლემა დაძლეულია და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალის უამრავი თეორია შეიქმნა, მათ შორის დავის საგანი არაა, რომ ბრალს მხოლოდ სასამართლო ადგენს გამამტყუნებელი განაჩენით.*

სწორად აღნიშნავს ი. სოლოვიოვი, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება უნდა გამოიხატოს ისეთ აქტში, რომელიც არ აღნიშნავს გამართლებას. ავტორს ასეთად მიაჩნია დადგენილება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ,¹⁹⁶ თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, ასეთი შეიძლება იყოს დადგენილება (განჩინება) დევნის შეწყვეტის შესახებ.¹⁹⁷ ამასთან, აღნიშნული დადგენილება (განჩინება) გამოტანილ უნდა იქნას როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი არამარეაბილიტირებელი გარემოების არსებობისას, ასევე პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოების დადგენისას, რადგან როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ იგულისხმება ნეგატიური პასუხისმგებლობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა.

პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი გულისხმობს საკუთარ თავზე განცდას სახელმწიფოს მიერ გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელიც გამოწვეულია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით და რომელიც თავისი ხარისხით შეესაბამება სუბიექტში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენის მიზანს. ამდენად, სისხლისსამართლებრივი ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაში უნდა მოვიაზროთ პირის გათავისუფლება სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულების საკუთარ თავზე განცდისაგან, ხოლო პასუხისმგებლობის გამომრიცხვაში – სახელმწიფოს მიერ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვის შეუძლებლობა აღნიშნული დამოკიდებულების საფუძვლის იურიდიულად დაუდგენლობის გამო.

პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ფუნქციონალურად არის შემაფერხებელი ფაქტორი საპროცესო ურთიერთობისა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა, თუმცა, ამასთან ერთად, ის არის

* აღნიშნული დებულება წამყვანია ნორმატივისტულ თეორიაში, სადაც ბრალი პირდაპირ გააკიცხვის სინონიმი გახდა ან გასაკიცხაობის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორმატივისტული თეორიის დებულებების თანმიმდევრული ანალიზით ფრიად საინტერესო მიგნება აღმოაჩინა პროფ. ო. გამყრელიძემ გაუფრთხილებლობის ბრალში შეტანასთან დაკავშირებით: გამყრელიძე ო., *შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, №4, 78-89. ამასთან, უნდა აღინიშნოს ბრალზე ქართველი მეცნიერის – ლაშა-გიორგი კუტალიას ყოველსმომცველი ნაშრომი, რომელშიც ნორმატივისტული თეორიის კრიტიკაა მოცემული. ლ-გ. კუტალია, *ბრალი სისხლის სამართალში*, თბ., 2000 წ. ვფიქრობთ, საინტერესოა პროფ. გ. ნაჭყებიას ნაშრომი, რომელშიც ბრალი ფსიქიკურ ელემენტებსაც ინარჩუნებს და შეფასებასაც იტევს. იხ. გ. ნაჭყებია, *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, თბ., 2001.

¹⁹⁶ იხ. Соловьев И. Ф., *Установление и реализация уголовной ответственности в приговоре суда*, в кн.: Уголовная ответственность: Основания и порядок реализации, Самара, 1991, 121

¹⁹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 28-ე მუხლი

ასევე სასამართლოს მიერ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის გამომრიცხველი გარემოება. ამდენად, აღნიშნულით ხდება აღიარება იმისა, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ განიხილება, როგორც დანაშაული. მართალია, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში არ ხდება პირის გამართლება, შესაბამისად, არ ხდება იმის დადგენა, რომ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული. მაგრამ არც ქმედების დანაშაულებრიობა დგინდება. სახელმწიფო ჩადენილ ქმედებას შეფასების გარეშე ტოვებს. აქ კიდევ ერთ სამართლებრივ ფიქციასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო ჰუმანური მოსაზრებებით უარს ამბობს განსაზღვრული სიტუაციის დარეგულირებაზე ზოგადი წესის შესაბამისად. აღნიშნულ ფიქციას აქვს გამართლება: უსამართლო, ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილებების თავიდან აცილება.

ამდენად, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი უპირობო და კატეგორიული გარემოებაა სანამ თვით ბრალდებული არ მოითხოვს თავისი ინტერესების უკეთ დასაცავად აღნიშნული წესის გამოყენებაზე უარის თქმას. ამიტომაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIII თავი და მასში მოთავსებული 71-ე მუხლის I ნაწილი არ ასახავს ზუსტად ხანდაზმულობის არსს როცა მას მოიხსენიებს პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელ გარემოებად.

1.2.4.2. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა, როგორც სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელი გარემოება

ხანდაზმულობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გვევლინება როგორც პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველ, ასევე სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელ გარემოებად. წინა პარაგრაფიდან როგორც ჩანს, პასუხისმგებლობის გამორიცხვა იმთავითვე სასჯელის დაკისრების გამორიცხვას ნიშნავს, მაგრამ კოდექსმა ცალკე გაითვალისწინა ხანდაზმულობა, როგორც სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელი გარემოება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხდება უკვე დაკისრებული სასჯელისაგან პირის გათავისუფლება. თუ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ხანდაზმულობას პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა წარმოადგენდა, სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელი ხანდაზმულობა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობაა.

მას მერე, რაც სახელმწიფო უარყოფითად შეაფასებს პირის ქმედებას და დააკისრებს მას პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, პირმა უნდა მოიხადოს პასუხისმგებლობა მხოლოდ მისდამი დაკისრებული ზომით. ამდენად, აქტუალურია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის საკითხი.

პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ხდება სასჯელის დანიშვნამდე ვითარებაზე, ვინაიდან ადრეულ ეტაპზევე ვლინდება ხანდაზმულობის ძალა, რომელიც სასჯელის გამორიცხვასაც გულისხმობს, ხოლო სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის შემთხვევაში პირის ქმედება უკვე უარყოფითადაა შეფასებული, განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ხარისხი, დანიშნულია სასჯელი, თუმცა არ ხდება დანიშნული სასჯელის აღსრულება. ნეგატიური პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიმართება რთული და მოცულობითი საკითხია. ჩვენთვის ის საინტერესოა მხოლოდ ორი სახის ხანდაზმულობის საფუძვლების განსხვავების

კუთხით, რის გამოც არ შეეცდებით ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას, არამედ აღნიშნულ თემას ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით გამოვიყენებთ.

„სასჯელი არის იძულებითი ზემოქმედების ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებულ წესრიგს დარღვევისგან.“¹⁹⁸ დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ა. პიონტოვსკის მიერ.¹⁹⁹ ზემოთ მოყვანილი ნიშნების ოპტიმალურად გამოყენებით მივიღებთ, რომ **სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების ღონისძიება, გამოყენებული სასამართლო ორგანოების მიერ ბრალეული პირისადმი, რაც გამოიხატება პრევენციული, სამართლიანობის აღდგენისა და რესოციალიზაციის მიზნებით მისთვის რაიმე სიკეთის ჩამორთმევაში, ტანჯვის მიყენებაში.**

პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიმართებასთან დაკავშირებით სწორად მიაჩნებდა ნ. ზაგოროდნიკოვი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როცა განაჩენის აღსრულება გადავადდება, პირობითი მსჯავრი ინიშნება.²⁰⁰ გამომდინარე იქიდან, რომ პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიმართების კვლევა ჩვენს მიზნებს სცილდება, აქ აღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ მოკლედ ვიტყვით: სისხლისსამართლებრივი ნეგატიური პასუხისმგებლობა შეიძლება გამოვლინდეს 1. უარყოფით შეფასებას (ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას), სასჯელსა და ნასამართლობაში; 2. უარყოფით შეფასებასა და ნასამართლობაში (სასჯელისგან გათავისუფლების შემთხვევაში); 3. მხოლოდ უარყოფით შეფასებაში (როცა ამნისტიით ან შეწყველებით პირი თავისუფლდება სასჯელისა და ნასამართლობისგან).

სასჯელი მხოლოდ ნეგატიური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეიძლება არსებობდეს. ამასთან, ნეგატიური პასუხისმგებლობა სასჯელით არ ამოიწურება. ის მოიცავს შეფასებასაც (სწორედ ეს იგულისხმება, როცა ვამბობთ, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმა არის პროცესუალური ურთიერთობა) და სასჯელის შემდგომ პირის მდგომარეობასაც, სანამ სრულად არ აღსდგება პირის პირვანდელი სტატუსი. თუმცა ნეგატიური პასუხისმგებლობა შესაძლებელია სასჯელის რეალური აღსრულების გარეშეც, მაგალითად, სასჯელის პირობით გამოუყენებლობით...

იმისათვის, რომ დასაბუთდეს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა, აუცილებელია ზოგადად სასჯელისაგან გამათავისუფლებელი გარემოებების არსებობის გამართლება. ეს კი შეუძლებელია, თუ სასჯელს თვითმიზნად მივიჩნევთ. ამის საწინააღმდეგო პოზიცია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ სასჯელს გარკვეული მიზნის მისაღწევად გამოვიყენებთ. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სასჯელზე უარის თქმა იმ დათქმით, თუ სასჯელი გარკვეული გარემოებების გამო უკვე მისი მიზნის მიღწევის აუცილებელ და საკმარის ღონისძიებად არ ჩაითვლება.

საქართველოს სსკ-ის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა, ხოლო 39-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სწორედ აღნიშნული მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა.

აქვე მოკლედ უნდა შევეხოთ განსხვავებას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასა და სასჯელისაგან გათავისუფლებას შორის. აღნიშნულთან

¹⁹⁸ Шаргородский М. Д., *Наказание, его цели и эффективность*, Л., 1973, 7

¹⁹⁹ იხ. *Курс советского уголовного права*, М. 1970, т. 3 – Наказание, 30

²⁰⁰ იხ. ნ. ზაგოროდნიკოვის დასახ. ნაშრ., 40

დაკავშირებით გასათვალისწინებელია ი. ბრაინინის მოსაზრება, რომ სასჯელისგან გათავისუფლება უნდა მოხდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით სასჯელის დანიშვნის გარეშე, ხოლო ზემდგომი სასამართლოს მიერ - განაჩენში ცვლილებების შეტანით, მაგრამ არა განაჩენის გაუქმებით და საქმის შეწყვეტით, რადგან ეს იქნებოდა განაჩენის არასწორად აღიარება არა მარტო სასჯელის, არამედ ბრალის ნაწილშიც,²⁰¹ რაც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შედეგია და არა სასჯელისაგან გათავისუფლების.

ამის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასჯელისგან გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისაგან განსხვავებით არის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ბრალეული პირის მიერ სახელმწიფო იძულების უმკაცრესი ღონისძიების საკუთარ თავზე მიღებისგან გათავისუფლება იმ მიზეზით, რომ სასჯელი მისი მიზნების მიღწევის აუცილებელ და საკმარის ღონისძიებად უცილობლად უკვე არ განიხილება.

აღნიშნულის მერე ნათელი უნდა იყოს განსხვავება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასა და სასჯელისგან გათავისუფლებას შორის, კერძოდ, პირველ შემთხვევაში სახელმწიფო უარყოფით დამოკიდებულებას პირის მიმართ არ გამოხატავს, რადგან სუბიექტის კეთილსინდისიერების ვარაუდი არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში სახელმწიფო არ იყენებს იძულების ღონისძიების ყველაზე მკაცრ სახეს, რადგან ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნის მიღწევა სასჯელის გამოყენებით საეჭვო ხდება. პროცესუალური თვალსაზრისით ეს ასე გამოიყურება: პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისას განაჩენი კი არ დგება, არამედ სასამართლოს ან გამოძიების ორგანოს განჩინება ან დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სასჯელისგან გათავისუფლებისას დგება გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად ან სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისგან გათავისუფლებით.

ფუნქციონალურად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემდეგ საპროცესო ურთიერთობას სასჯელადსრულებითი ურთიერთობა უნდა მოჰყვეს, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. არის შემთხვევები, როცა სასჯელი დიდი ხნის განმავლობაში არ აღსრულდება.

სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემდეგ, მოქმედი სსსკ-ის 602-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და ექვემდებარება აღსრულებას მიღებისთანავე, ხოლო 604-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების, ასევე ახალი საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის, 285-ე მუხლის პირველი, მე-4 ნაწილების თანახმად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ევალება განაჩენის გამომტან სასამართლოს, რომელიც განკარგულებას ან სააღსრულებო ფურცელს განაჩენის ასლებთან ერთად უგზავნის განაჩენის აღმასრულებელ ორგანოს.

უნდა განვასხვავოთ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა განაჩენის აღსრულებისაგან. პირველი გულისხმობს სასამართლოს მიერ შესაბამისი ორგანოსათვის ოფიციალურად იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან ერთად, იმავდროულად სასამართლო ავალებს აღნიშნულ ორგანოს განაჩენის აღსრულებას. **სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების დავალების მიცემა შესაბამისი ორგანოსათვის არის განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა, ხოლო აღნიშნული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება განაჩენის აღსასრულებლად არის განაჩენის აღსრულება.** განაჩენის აღსრულებას წინ

²⁰¹ იხ. ი. ბრაინინის დასახ. ნაშრ, 264

უსწრებს მისი აღსასრულებლად მიქცევა, რომლის საფუძველზედაც ხდება აღსრულება.

მაგალითად, როცა პირს განაჩენით სასჯელის სახედ განესაზღვრება თავისუფლების აღკვეთა, სასამართლო განკარგულებას განაჩენის ასლებთან ერთად აგზავნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რაშიც გამოიხატება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა. აღნიშნულის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულება ამ განკარგულებისა და განაჩენის საფუძველზე უზრუნველყოფს სუბიექტის თავისუფლების აღკვეთას განაჩენში მითითებული ვადით, რაშიც ვლინდება განაჩენის აღსრულება.

იმ შემთხვევაში, როცა პირს ენიშნება სასჯელი, რომელიც, განაჩენის მიხედვით, პირობით არ უნდა აღსრულდეს, იგივე პროცედურები ტარდება პრობაციის ბიუროს მისამართით.

თუ სასჯელის სახედ დანიშნულია ჯარიმა, იგზავნება სააღსრულებო ფურცელი განაჩენის ასლებთან ერთად სააღსრულებო ბიუროში.

ამასთან, პირობითი მსჯავრისა და ჯარიმის შემთხვევაში პრაქტიკაში შეხვედებით არაერთგვაროვან დამოკიდებულებას განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის მომენტთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტების გაგზავნა ხდება განაჩენის გამოტანისთანავე, ხოლო მეორე შემთხვევაში - საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ან გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. თუ ამ უკანასკნელ პრაქტიკას მივყვებით, მაშინ შესაძლებელია განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა განაჩენის მიღებას დაშორდეს ერთი წლითაც კი (თუ გავითვალისწინებთ საქმის განხილვის ვადებსა და განაჩენის გასაჩივრების ვადებს ყველა ინსტანციაში). ეს კი, თუ ზუსტად არ განისაზღვრა ყოველ კონკრეტულ სასჯელზე განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი, შეიძლება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გაშვების საფუძველი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ კანონში მითითებული იქნება, რომ განაჩენი ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შედის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაშინ ამ მხრივ პრობლემა აღარ იარსებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განაჩენის აღსრულებას თავისი დადებითი მხარეები აქვს. კერძოდ, ზემდგომი ინსტანციის მიერ სასჯელის შემსუბუქების ან საერთოდ მოხსნის შემთხვევაში მის აღსრულებასთან დაკავშირებით დამატებითი პრობლემები არ წარმოიშობა, ვინაიდან განაჩენის აღსრულება ჯერ დაწყებული არ იქნება.

ამასთან, განაჩენის მიღებისთანავე მისი კანონიერ ძალაში შესვლა საშუალებას იძლევა, სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებას მაქსიმალურად სწრაფად მოჰყვეს. ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსჯავრდებულისა და საზოგადოების წევრების მიერ სასჯელის სწორად აღქმის საქმეში. განსაკუთრებით ეს ითქმის თავისუფლების აღკვეთაზე, თუმცა ვრცელდება სხვა სახის სასჯელებზეც. ამდენად, დგას განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის თარიღის პრობლემა, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობაზე საუბარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მიღებისთანავე. აღნიშნულის საფუძველზე მეორე და მესამე ინსტანციებში უკვე არ არსებობს პატიმრობის ვადები, რაც აადვილებს სასამართლო საქმიანობას და ამცირებს საბედისწერო შეცდომების შესაძლებლობას უკანონო პატიმრობის თვალსაზრისით. მაგრამ არსებობს საკითხის მეორე მხარე: სრულიად შესაძლებელია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება დადგეს მას მერე, რაც სასჯელი აღსრულებული იქნება. ასეთ ვითარებაში პრობლემატურია

სასჯელის შემსუბუქება ან მოხსნა ზემდგომი სასამართლოს მიერ, ვინაიდან წარმოიშობა ნაწილობრივი რეაბილიტაციის აუცილებლობა. ეს მაშინ, როცა აღსრულებული სასჯელი მეტი აღმოჩნდება, ვიდრე საბოლოოდ დანიშნული. ეს ეხება როგორც ჯარიმასა და ქონების ჩამორთმევას, ასევე ყველა სხვა სასჯელს, რომლებიც დანიშნულია მცირე - ერთ წლამდე ვადით. ამდენად დგას საკითხი: განაჩენი აღსასრულებლად უნდა მიექცეს მიღებისთანავე, თუ - საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ?

აქვე უნდა ითქვას, რომ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასჯელის აღსრულების წესს არ უკავშირდება, არამედ ასევე არაბრალეულობის პრეზუმფციას და პირის ბრალეულად ცნობის საკითხს. კერძოდ, თუ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შევა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მაშინ იგულისხმება, რომ ამ დრომდე მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს პირის ბრალეულობა. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი კანონიერ ძალაში შევა მიღებისთანავე, მაშინ პირი ბრალეულად უნდა ვცნოთ ამ მომენტიდან და ზემდგომ ინსტანციებში უკვე დაცვის მხარეს უნდა დაეკისროს მოვალეობა, დაამტკიცოს არაბრალეულობა. აღნიშნული საკითხი უკავშირდება მხარეების მიერ მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობასა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს. კერძოდ, თუ პირი არაბრალეულად ითვლება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მაშინ ყველა ინსტანციის სასამართლოს უნდა შეეძლოს ერთი და იგივე მტკიცებულების გამოკვლევა-გადამოწმება, რათა თავიდან გამოიყენოს იგივე მტკიცებულებები განაჩენის დასასაბუთებლად. მეორე შემთხვევაში კი უკვე გამოკვლეული მტკიცებულებები ხელახლა არ უნდა იქნეს გამოკვლეული (თუ მხარე არ დაობს ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროცესუალურ დარღვევებზე) და მხარეს უნდა დაეკისროს ახალი მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობა, ვინაიდან ერთხელ გამოკვლეული მტკიცებულებები ბრალის დასადგენად უკვე გამოყენებული ან უარყოფილი იქნა. ამდენად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა უკავშირდება მნიშვნელოვან პროცესუალურ პრინციპებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა აირჩია გზა, რომლის მიხედვითაც განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მიღებისთანავე. ამიტომაც სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის საკითხის კვლევისას სწორედ ამ პოზიციით უნდა ვიხელმძღვანელოთ. აქვე ვიტყვით, რომ მეორე გზის არჩევის შემთხვევაში ეს გავლენას მოახდენდა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობაზეც, რომლიც ვადის დენა გაგრძელდებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამდენად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და ამავე დროიდან მიექცევა აღსასრულებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და მისი აღსასრულებლად მიქცევა დროში ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს ორი ცნება ერთსა და იმავეს ნიშნავს. სინამდვილეში ისინი სხვადასხვა მოქმედებებს გულისხმობს. კერძოდ, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა მის მიღებას ავტომატურად მოყვება მაშინ, როცა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა თვითონ სასამართლოს შემდგომ მოქმედებას გულისხმობს: განაჩენის ასლების, განკარგულების, სააღსრულებო ფურცლის გაგზავნას შესაბამის ორგანოში.

როგორც ჩანს, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა შესაბამის თანამდებობის პირთა მოქმედებებზეა დამოკიდებული ისევე, როგორც განაჩენის აღსრულება, იმ განსხვავებით, რომ პირველი უკავშირდება სასამართლოს საქმიანობას მაშინ, როცა მეორე დაკავშირებულია განაჩენის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენის აღსასრულებლად

მიქცევა ისევე, როგორც მისი აღსრულება, შესაძლებელია დროში არ დაემთხვეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას. სწორედ აქ იწყებს მოქმედებას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მის საბოლოო აღსრულებამდე იმდენი მოხელეა ჩართული საქმეში, რომ სავსებით შესაძლებელია განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას არ მოჰყვეს დროულად მისი აღსასრულებლად მიქცევა ან აღსრულება. კერძოდ, შესაძლებელია, განაჩენის მიმდებმა მოსამართლემ, იმის გამო, რომ გამორჩა, დაავიწყდა ან რაიმე ობიექტური მიზეზით არ გამოწეროს განკარგულება; შესაძლებელია უკვე ხელმოწერილი განკარგულება არ გაიგზავნოს დროულად შესაბამის ორგანოში სასამართლოს იმ თანამშრომლის დაუდევრობით, რომელსაც ევალება მისი გაგზავნა; ასევე შესაძლებელია სასამართლოდან დოკუმენტების გასვლის შემდეგ გზაში დაიკარგოს ისინი ისე, რომ არ მიუვიდეს შესაბამის ორგანოს; შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტები მიუვიდეს განაჩენის აღმასრულებელ ორგანოს, რითაც განაჩენი აღსასრულებლად მიქცეულია, თუმცა ამის შემდეგ არ მოხდეს მისი დროული აღსრულება. მაგალითად, განაჩენის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ არ მოხდა აღსრულების დაწყება აუცილებელი მოქმედებების განხორციელების გზით. აღნიშნული პირების უმოქმედობა შეიძლება გამოწვეული იყოს მათ წარმოებაში არსებული საქმეების სიმრავლით, უყურადღებობით, დაუდევრობით ან რაიმე ობიექტური მიზეზით. უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის აღსრულებლობა ყოველთვის როდი მიაწინებს თანამდებობის პირის შეცდომაზე, შესაძლებელია აღნიშნული გამოიწვიოს ობიექტურმა ფაქტორებმა: საომარი მდგომარეობა, ბუნებრივი სტიქია... რომელმაც შესაბამისი ორგანოს საქმიანობის ორგანიზება შეუძლებელი გახადა განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ნათელია, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის არსებობის საფუძველია უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შეუსრულებლობა ან აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა. ამ კუთხით ხანდაზმულობის ეს სახე ჰგავს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას.

ამდენად, დგას საკითხი: რამდენად მართებულია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასჯელის აღსრულებლობის შემთხვევაში მსჯავრდებულმა მოიხადოს დანიშნული სასჯელი? ხომ არ ეწინააღმდეგება ეს სასჯელის მიზნებს, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან პრინციპებს? რამდენად არის დამოკიდებული სასჯელის აღსრულებლობა თვით მსჯავრდებულის ქმედებასთან და უნდა აგოს თუ არა პასუხი მან სასჯელის აღსრულებლობისთვის?

ვინაიდან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა და მისი აღსრულება თვით მსჯავრდებულის კი არა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა, ამდენად ობიექტური გარემოებებით თუ რომელიმე საჯარო მოხელის შეცდომით სასჯელის აღსრულებლობა შეიძლება თუ არა ტვირთად დააწვეს მსჯავრდებულს? ამისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ: უარესდება თუ არა მსჯავრდებულის მდგომარეობა ხანგრძლივი დროის შემდეგ განაჩენის აღსრულებით? ამ კითხვის პასუხი შემდეგში მდგომარეობს: არიან ადამიანები, რომლებიც ნორმის დარღვევის შემდეგ სინდისის ქენჯნას განიცდიან, ზოგი კი დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ სასჯელის შიშის მიერ გამოწვეული დისკომფორტით ცხოვრობს... ამასთან, ეს დისკომფორტი შესაძლებელია სასჯელის რეალური მოხდისგან გამოწვეულ დისკომფორტზე ძლიერიც იყოს. ამდენად, თუ ამ ადამიანებს ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ სასჯელის მოხდასაც

ვაიძულდებოდა, გამოეცა, რომ მათ რეალურად იმაზე მეტი ტანჯვა აღგებათ, ვიდრე ეს განაჩენით იყო გათვალისწინებული.

მართალია, ჩვენ ვემიჯნებით იმ თეორიებს, რომლებიც კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ქმედების სუბიექტი განიცდის ტანჯვას სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე ან სასჯელის შიშს, რომელიც თვითონ სასჯელის ეკვივალენტურია ან კიდევ სინდისის ქენჯნას. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღნიშნულის შესაძლებლობაც გამორიცხებულია. ამდენად, ვინაიდან საპირისპიროს დამადასტურებელი გარემოებები არ არსებობს და ყოველგვარი ეჭვი ჰუმანური მოსაზრებებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი, ივარაუდება ის, რაც უკეთეს პირობებში აყენებს მსჯავრდებულს. სწორედ ამ მოსაზრებით არის ხანდაზმულობა ჰუმანურობის გამოვლინება.

სასამართლო, როცა განსაზღვრულ სასჯელს ნიშნავს, მოქმედებს სასჯელის მიზნების შესაბამისად. ამიტომაც სწორედ განსაზღვრული სახისა და ზომის ტანჯვას ირჩევს, „სასჯელის დანიშვნის ხელოვნების“ წესების გამოყენებით.* ამრიგად, უკვე დანიშნულზე მეტი ზომის ტანჯვის მიყენება არ იქნება ჩადენილი დანაშაულის, ბრალის ხარისხისა და სასჯელის მიზნების შესაბამისი. ამაში მდგომარეობს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ერთ-ერთი საფუძველი. ხანდაზმულობა გულისხმობს სასჯელის აღსრულების მიზანშეუწონლობას, რაც ეფუძნება იმას, რომ სასჯელის გამოყენება უკვე არ განიხილება სასჯელის მიზნების მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებად, რადგან არის საშიშროება, მსჯავრდებულს მიადგეს უსამართლოდ ხანგრძლივი ტანჯვა.

ამით საკითხი ამოწურული არ არის, ვინაიდან თუ სასჯელის აღსრულების შეუძლებლობაში მსჯავრდებულს რაიმე წვლილი მიუძღვის, მაშინ ხანგრძლივი დროის შემდეგ სასჯელის აღსრულება შეიძლება არც იქნეს აღქმული, როგორც ზედმეტად მკაცრი. ამდენად, დგას საკითხი: რამდენად არის სასჯელის აღსრულებლობა მსჯავრდებულის ბრალი? აქ არ არის საუბარი მსჯავრდებულის გაქცევაზე, რაც ცალკე დანაშაულია, არამედ მხოლოდ დანიშნული სასჯელის აღსრულებლობაზე. ამ შემთხვევაში მსჯავრდებული ხელს არ უშლის განაჩენის აღმასრულებელ ორგანოს, თუმცა, ამის მიუხედავად განაჩენის აღსრულება არ ხდება. ასეთ ვითარებაში მსჯავრდებულზე სხვისი ტვირთის აკიდება უსამართლობის, ზედმეტი სიმკაცრის გამოხატულება იქნებოდა და არა სასჯელის მიზნების განხორციელება.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ სასჯელი ზემოქმედებს ადამიანზე კოდექსში გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა სასჯელი არ აღსრულებულა, მოქმედებს იგივე საწყისები, რაც პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევაში, კერძოდ, ამ ხნის განმავლობაში მსჯავრდებულის პიროვნება შესაძლებელია იმდენად შეიცვალოს, რომ არ შეესაბამებოდეს განაჩენის დადგენის მომენტში იგივე პირის პიროვნებას, რის გამოც მის მიმართ სასჯელის იმავე ზომის გამოყენება მიზანშეუწონელია. მართალია, ზოგადი პრევენცია მოითხოვს პირის დასჯას ნებისმიერ დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში საზოგადოების ინტერესები იხევს უკანა პლანზე და

* აქ ვგულისხმობთ იმას, რომ სასამართლომ ეს, ერთი შეხედვით, დაპირისპირებული მიზნები: ზოგადი და კერძო პრევენცია, რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა უნდა შეუხამოს ერთმანეთს ისე, რომ დანიშნული სასჯელი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი აღმოჩნდეს ყველა ამ მიზნის მისაღწევად. აქ იგულისხმება ის, რომ, მართალია, სამართლიანობის აღდგენა და ზოგადი პრევენცია, შეიძლება საზოგადოების, დაზარალებულისა და სახელმწიფოს ინტერესებზე, სასჯელის სიმკაცრეზე უფრო იყოს ორიენტირებული, თუმცა, კერძო პრევენციამ და რესოციალიზაციამ, რომლებიც პიროვნების ინტერესებს აყენებს წინა პლანზე, თავიანთ მხარეს უნდა გადასწონონ სასწორის პინა. სწორედ ამ ინტერესთა ოპტიმალური შეხამებით მიიღება სამართლიანი და სასჯელის მიზნების განხორციელების შესაბამისი სასჯელი.

უპირატესობას უთმობს პიროვნების ინტერესებს. ამასთან, შესაძლებელია პირმა უკვე განიცადა სასჯელის ექვივალენტი დისკომფორტი, რის გამოც სასჯელის დამატებითი მოხდა იქნებოდა იმაზე მეტი ტანჯვის მიყენება, რაც სასამართლომ დაუდგინა. ეს კი დაუშვებელია.

აღნიშნული დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ სანამ არ მიმოვიხილავთ ხანდაზმულობის მიმართებას უმნიშვნელოვანეს სისხლისსამართლებრივ პრინციპებთან, როგორცაა სასჯელისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობა, სამართლიანობა, სასჯელის დაუყოვნებლობა... რომლებთან თანაარსებობის გარეშეც ხანდაზმულობა ვერ დაიმკვიდრებს თავის ადგილს სისხლის სამართლის ცნებათა სისტემაში.

1.2.4.3. სასჯელისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობა ხანდაზმულობასთან მიმართებით

1.2.4.3.1. ხანდაზმულობა და სასჯელის გარდუვალობა

საინტერესოა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის გარდუვალობის პრინციპის ურთიერთმიმართება: როგორ ხდება, რომ სისხლის სამართალი სასჯელის გარდუვალობის პრინციპსაც აღიარებს და სასჯელისაგან გათავისუფლების ინსტიტუტსაც იცნობს (მათ შორის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო)? ნუთუ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის? რა თქმა უნდა, არის! მაშ როგორ უნდა გადაიჭრას იგი? ამ პრობლემიდან სხვა გამოსავალი არ არსებობს, თუ არა წესისა და გამონაკლისის მიმართების გამოყენება.

მართლაც, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას უნდა მოჰყვეს სასჯელის დანიშვნა და მისი მოხდა. ეს არის ზოგადი წესი, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა შემთხვევა. მაგრამ რა ვქნათ იმ შემთხვევებში, როცა სასჯელის აღსრულება უკვე არ არის მისი მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი ღონისძიება? თუ ამოვალთ შეხედულებიდან, რომ სასჯელი კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაყენებელი აუცილებელი და საკმარისი ღონისძიება უნდა იყოს (და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფოს თვითნებობა), მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია ზოგადი წესისაგან გამონაკლისის დაშვება და პირის სასჯელისაგან გათავისუფლება.

თუ გადავავლებთ თვალს პრაქტიკაში სასჯელის გამოყენებისა და მისგან გათავისუფლების შემთხვევებს, მიღებული სურათი კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ საქმე გამონაკლისთან გვაქვს: დანაშაულთა უდიდეს ნაწილს მოსდევს სასჯელის დანიშვნა და მისი აღსრულება. მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა არის შემთხვევებისა, სადაც დანიშნული სასჯელი თავის დროზე ვერ აღსრულდა და პირი ამის გამო გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. ხანდაზმულობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება იმიტომაც არის სასჯელის გარდუვალობის პრინციპიდან გამონაკლისი, რომ ამ შემთხვევაში სასჯელის გამოყენება მისი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ და საკმარის ღონისძიებად არ განიხილება.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სამართალში სასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის გარდუვალობის მიმართების პრობლემა პროცესუალურ სფეროში გადაჰქონდათ. ამასთან, სასჯელის გარდუვალობას აიგივებდნენ საქმის

გამოძიების აუცილებლობასთან. ამ კუთხიდან კი მათ შორის არსებული დაპირისპირება ქრებოდა და სასჯელის გარდუვალობის პრინციპი სასჯელისაგან გათავისუფლებასთან ისე კომფორტულად თანაარსებობდა, რომ არავის დამატებითი კითხვა არ ებადებოდა. ამის მაგალითია ბ. ვიქტოროვის, ა. ბალაშოვის, კ. ნიკიენკოს ნაშრომები.²⁰² პ. ფეფელოვი აღნიშნულთან დაკავშირებით წერს: „სასჯელის გარდაუვალობა არის განუსრულებელი განხორციელება სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნისა დანაშაულის თანადროული და სრული გახსნის შესახებ, სამართლიანი სასჯელის დანიშვნა ახალი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით“.²⁰³ სასჯელის გარდუვალობა არ შეიძლება საქმის გამოძიებასთან გავაიგივოთ. სხვა საკითხია, რომ ის ამ უკანასკნელს წინამძღვრად გულისხმობს. სასჯელის გარდუვალობა სწორედაც რომ სასჯელის გარდუვალ დადგომაზე მიუთითებს და არა გამოძიების ჩატარების აუცილებლობაზე. ეს პრინციპი სწორედ აღნიშნული სახით მოქმედებს მატერიალურ სამართალში. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, როგორც წესი, სასჯელი უნდა მოჰყვეს. ამაში მდგომარეობს ზოგადი პრევენციის არსი.

ამ მხრივ საინტერესოა ჩეხარე ბეკარიას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სასჯელის არსი მდგომარეობს არა მის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში,²⁰⁴ თუმცა, ამავე დროს, როგორც ჰუმანისტი, ამბობს, რომ სასჯელის მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება და სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და საკმარისი ზომა.²⁰⁵ ამ დროს იქმნება პრობლემა, როგორ მოვიქცეთ, როცა სასჯელი არაა მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება? უარი ვთქვათ გარდუვალობაზე, როგორც სასჯელის ნიშანზე?

ამ ფონზე საყურადღებოდ მიგვაჩნია ვ. სკიბიციკის მოსაზრება, რომ სასჯელისგან გათავისუფლების შემთხვევებში კანონმდებლობა უარს ამბობს სასჯელის გარდაუვალობის პრინციპზე, თუმცა არა პასუხისმგებლობის გარდაუვალობაზე.²⁰⁶ ავტორი აღიარებს იმას, რისი დანახვაც საბჭოთა დოქტრინაში შეუძლებელი იყო (პასუხისმგებლობის იმდროინდელი გაგებიდან გამომდინარე). მან აღიარა სასჯელის გარდუვალობისა და სასჯელისგან გათავისუფლების დაპირისპირება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასჯელის გარდაუვალობა მოქმედებს სასჯელისაგან გათავისუფლების ინსტიტუტის გარეთ. ამასთან, ორივეს თავისი დანიშნულება აქვს და სრულიად შეუცვლელია სისხლის სამართალში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, სწორია პოზიცია, რომლის მიხედვითაც სასჯელისგან გათავისუფლების შემთხვევაში სახელმწიფო უარს არ ამბობს პასუხისმგებლობის გარდუვალობაზე. ანუ აქ დგას სასჯელის გარდუვალობისა და ზოგადად პასუხისმგებლობისა თუ ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობის მიმართების პრობლემა.

²⁰² იხ. Викторов Б., *Неотвратимость наказания*, М. 1972; Баляшов А. Н., *Неотвратимость наказания за совершенное преступление*, М. 1972; Никиенко К. И., *Неотвратимость наказания*, Кишинев, 1987. აღნიშნულ ნაშრომებში ვერ შეხვდებით სასჯელის გარდუვალობისა და სასჯელისგან გათავისუფლების დაპირისპირების განხილვას.

²⁰³ Фёфелов П. А., *Неотвратимость наказания – важнейший принцип советского уголовного права*, Свердловск, 1965, 6

²⁰⁴ ხუცურაული ი., დასახ. ნაშრ., 124

²⁰⁵ იქვე, 32

²⁰⁶ იხ. ვ. სკიბიციკის დასახ. ნაშრ., 34

ს. ნოი ამბობს: „სასჯელის გარდაუვალობის საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად პრინციპად აღიარების მომხრეები... მის არსს ხედავენ იმაში, რომ „ყოველი ჩადენილი დანაშაული აუცილებლად უნდა იწვევდეს უარყოფით შეფასებას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან სასჯელის ან სხვა ფორმით“²⁰⁷, მაგრამ საუბრობს რა სხვა ფორმით ამ პრინციპის განხორციელებაზე, ამით ავტორი აღიარებს არა სასჯელის გარდაუვალობას, არამედ პასუხისმგებლობის გარდაუვალობას. როგორც გამოჩნდა, ეტაპობრივად მოხდა სასჯელის გარდაუვალობის პრინციპის აბსოლუტურობის ეჭვქვეშ დაყენება, რის გამოც იგი შეიცვალა პასუხისმგებლობის გარდაუვალობით, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ ნაშრომებში იგულისხმება ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდაუვალობა. ამის მაგალითად, თამაზ დონჯაშვილი ამბობს: “სისხლის სამართალში მოქმედებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი, რომელიც არ უნდა აგუროთ სასჯელის გარდაუვალობაში, რადგან სასჯელი შეიძლება შეიცვალოს სხვა ღონისძიებით.”²⁰⁸

ამდენად, სასჯელის გარდაუვალობა არ არის აბსოლუტური პრინციპი და გამონაკლისებს შეიცავს. მათგან ერთ-ერთია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რატომ იგულისხმება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაში სწორედ ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, საჭიროა პასუხისმგებლობის ნიშნის - გარდაუვალობის განხილვა.

1.2.4.3.2. ხანდაზმულობა და პასუხისმგებლობის გარდაუვალობა

პასუხისმგებლობას გარდაუვალობა ბუნებრივად ახასიათებს. „თუ სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად არ მოეკიდება, მაშინ ის უპასუხისმგებლობის ვითარებაში აღმოჩნდება, ხოლო ამგვარ უპასუხისმგებლობას გარდაუვალად მოჰყვება ნეგატიური პასუხისმგებლობა, როგორც უპასუხისმგებლო ანუ ბრალეულ ქმედებაზე შესაბამისი ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს მხრივ) უარყოფითი რეაქცია. მაშასადამე, ადამიანი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა: ის ან პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტია ან, პირიქით, ნეგატიური პასუხისმგებლობის სუბიექტი.“²⁰⁹ ამასთან, პასუხისმგებლობის გარდაუვალობა არ უნდა გავუთანაბროთ სასჯელის გარდაუვალობას. სისხლის სამართალში მოქმედებს პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი.²¹⁰

მართალია, შესაძლებელია სასჯელის შიშით დანაშაულისგან თავის შეკავება, მაგრამ ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერების, და, აქედან გამომდინარე, პოზიტიური პასუხისმგებლობის პრეზუმფცია მოქმედებს. სანამ ადამიანი დანაშაულის შემადგენლობას არ განახორციელებს, რომელიც შემდეგ დანაშაულად დაკვალიფიცირდება, მანამ იგულისხმება, რომ ის

²⁰⁷ იხ. ი. ნოის დასახ. ნაშრ., გვ 177. ავტორს ციტირებული აქვს წიგნიდან: *Исправительно-трудовое право*, М., 1966, 75

²⁰⁸ დონჯაშვილი თ., *საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, თბ., 2002, 31

²⁰⁹ ნაჭყებია გ., პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი, წიგნი: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2007, 28

²¹⁰ იქვე, 29

კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, პოზიტიური პასუხისმგებლობით მოქმედებს. დანაშაულის დადგენით, როცა პოზიტიური პასუხისმგებლობის არარსებობა ვლინდება, გარდუვალად დგება ნეგატიური პასუხისმგებლობა. ხოლო სასჯელისა და ნასამართლობის ვადების გასვლის შემთხვევაში, თუ კვლავ არ განხორციელდა დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც შემდგომში დანაშაულად დაკვალიფიცირდა, ე.ი. ისევ მოქმედებს კეთილსინდისიერების ვარაუდი. ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება ზოგადად პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპს. პირიქით, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის გაგება სწორედ ამ პრინციპის საშუალებით არის შესაძლებელი. კერძოდ, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შედეგად არა გვაქვს იურიდიულად დანაშაული, რის გამოც უნდა ვაღიაროთ პირის კეთილსინდისიერება და, აქედან გამომდინარე, ნეგატიური პასუხისმგებლობის დაუშვებლობა.

თუ ნეგატიური პასუხისმგებლობა არის პოზიტიურის აღდგენის წინაპირობა, მაშინ რა ხდება პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევაში? ხომ არა გვაქვს აქ ისეთი ვითარება, როცა არც ნეგატიური პასუხისმგებლობა არის და არც პოზიტიური? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ნიშანი – გარდაუვალობა. ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა მუდამ არსებობს რაიმე ფორმით. შეუძლებელია ერთდროულად ორივე მათგანის არსებობა ისევე, როგორც შეუძლებელია, არც ერთი მათგანი არ იყოს. მართალია, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა პირი დანაშაულს არ ჩადის სასჯელის შიში გამო და ამ შემთხვევაში არ არსებობს არც პოზიტიური, არც ნეგატიური პასუხისმგებლობა, თუმცა ამ ვითარებიდან ერთადერთ სწორ გამოსავლად პოზიტიური პასუხისმგებლობის ვარაუდი გვეჩვენება. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპს.

როგორც ვხედავთ, ზოგადად პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია პოზიტიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, რადგან პოზიტიური პასუხისმგებლობის არსებობა აუცილებელია ადამიანის თავისუფლებისათვის. მის გარეშე იქნებოდა არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა. არადა თავისუფლება სწორედაც რომ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა ნიშნავს ადამიანობაზე უარის თქმას, ცხოველის დონეზე დასვლას, თავისუფლებაზე უარის თქმას, რაც დაუშვებელია. ამიტომაც ერთადერთი ასპექტი, რომელზეც შეიძლება უარი ვთქვათ (ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში), არის პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტი. ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვას ამართლებს ისიც, რომ ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ დანაშაულს შეიძლება მოსდევდეს, ხოლო დანაშაული სასამართლოს განაჩენით დგინდება მისი ყველა ნიშნის დადგენის გზით. ამდენად, დანაშაულის გარეშე ნეგატიური პასუხისმგებლობა არ არსებობს. სწორედ აქ ვლინდება ხანდაზმულობის მოქმედების მექანიზმი. საქმე ისაა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო უარს ამბობს ქმედების შეფასებაზე, რის გამოც დანაშაულის იურიდიული არსებობა შეუძლებელია. რჩება ქმედება, მაგრამ არ ხდება მისი სისხლისსამართლებრივი შეფასება. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობა ქმედებას არ აუქმებს ფაქტობრივად, თუმცა აუქმებს მას სისხლისსამართლებრივად იმ გაგებით, რომ შეუძლებელი ხდება ქმედების შეფასება დანაშაულად.

ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობა ნიშნავს, რომ დანაშაულს ნეგატიური პასუხისმგებლობა გარდუვალად უნდა მოჰყვეს. ამ შემთხვევაში ვდგებით შემდეგი დილემის წინაშე: რა ვუყოთ იმას, რომ დანაშაული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე არ არსებობს, გამამტყუნებელი განაჩენი კი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ნიშნავს; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, თავის მხრივ, ამ ქმედების უარყოფით შეფასებას მოიცავს; უარყოფითი შეფასება ისევ და ისევ ნეგატიური პასუხისმგებლობის ნიშანია? გამოდის, რომ დანაშაულის არსებობის დადგენით იწყება ნეგატიური პასუხისმგებლობა. ე.ი. დანაშაულს ნეგატიური პასუხისმგებლობა კი არ მოჰყვება, არამედ ქმედების დანაშაულებრიობის დადგენა უკვე ნეგატიური პასუხისმგებლობის დასაწყისზე მიუთითებს.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასა და ნეგატიურ პასუხისმგებლობას ერთმანეთთან დამაკავშირებელი ლოგიკური საშუალება არ სჭირდება. პირველი მეორეში უშუალოდ გადადის, რადგან მათ საერთო ნიშანი აკავშირებთ – უარყოფითი შეფასება. თუ უარყოფითი შეფასება არის, ესე იგი ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდა. ამასთან, ამ შეფასების არსებობა უკვე ნეგატიური პასუხისმგებლობის არსებობაზეც მიუთითებს.

ამდენად, ამ გაგებით ნეგატიური პასუხისმგებლობა დანაშაულისაგან მოუცილებელია, რის გამოც ის გარდუვალია. ამასთან, ვინაიდან დანაშაულის დადგენა ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეთ კი არ არსებობს, არამედ ეს უკანასკნელი მოიცავს მას (არა მთელ პროცესს, არამედ მის ბოლო სტადიას: ქმედების დანაშაულად შეფასებას), შეიძლება საკითხი დადგეს, ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობა ხომ არ ნიშნავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობას, რათა საბოლოოდ მოხდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ან პირის გამართლება? სხვანაირად რომ ვთქვათ: ხომ არ არის ეს იმის თქმა, რომ ყოველი ქმედება უნდა იქნეს სათანადოდ გამოკვლეული იმისათვის, რომ არც ერთი შესაძლო დანაშაული არ დარჩეს დანაშაულად მისი კვალიფიკაციის გარეშე? ვფიქრობთ, ამაში არის ლოგიკის მარცვალი, რადგან, მართლაც, ნეგატიური პასუხისმგებლობა მოითხოვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას. ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობა კი ვერ მოხერხდება, თუ არ იქნა განვლილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესუალური სტადიები. მართალია, აქ საუბარი საკითხის პროცესუალურ მხარეზეა, მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან ნეგატიური პასუხისმგებლობა პროცესუალურ ურთიერთობაში ვლინდება.

ამიტომაც გამოძიების აუცილებლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობის მოთხოვნად უნდა მივიჩნიოთ. ამდენად, გამონდა, რომ ის, რასაც მეცნიერთა ერთი ნაწილი სასჯელის გარდუვალობას არქმევდა, სინამდვილეში ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობა ყოფილა. ასეთ ვითარებაში კი გასაკვირი არ არის მისი თავსებადობა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობასთან, რადგან ამ უკანასკნელის პირობებში ნეგატიური პასუხისმგებლობა მაინც დგება.

აქ უკვე დგას საკითხი: რა ვუყოთ პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობას? როგორ ეგუება ის ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობას? თუ ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობაში ვიგულისხმებთ, რომ დანაშაულისა და ნეგატიური პასუხისმგებლობის შენაცვლება გარდუვალია, ეს გაგება სრულიად არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის გამორიცხვის ცნებას ზოგადად და პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობას - კერძოდ, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაული იურიდიულად არა გვაქვს. ამიტომაც პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა ვერ შეეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის გარდუვალობის ამ გაგებას. ხოლო რაც შეეხება

პასუხისმგებლობის გარდუვალობის მეორე, პროცესუალურ გაგებას, აქ სწორედაც რომ შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე. მართლაც, აღნიშნული პრინციპი ითხოვს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ყოველ განხორციელებას შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვეს, რათა დადგინდეს, არის თუ არა იგი დანაშაული. პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ კი დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება, ე.ი. ქმედების დანაშაულად შეფასება. ამდენად, ამ შემთხვევაში ისევე ზოგადი წესისა და გამონაკლისის მიმართებასთან გვაქვს საქმე.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას: 1. სასჯელის გარდუვალობა არის ზოგადი პრინციპი, რომლისგან გამონაკლის წესს ადგენს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა. 2. ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობის მატერიალურსამართლებრივი გაგება, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობა დანაშაულისაგან მოუცილებადია, არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობას. 3. ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობის პროცესუალური მხარე, როგორც ყოველი დანაშაულის შემადგენლობის სათანადო გამოკვლევის მოთხოვნა, არის ზოგადი პრინციპი, რომლისგან გამონაკლის წესს ადგენს პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა. 4. ზოგადად პასუხისმგებლობის გარდუვალობა არის ის პრინციპი, რომელიც კი არ ეწინააღმდეგება ხანდაზმულობას, პირიქით, იძლევა ხანდაზმულობის ახსნის საშუალებას.

დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის გარეშე პოზიტიური პასუხისმგებლობის არსებობა დიდი ხანია, ეჭვქვეშ დადგა, თუმცა არ მომხდარა მისი შეცვლა ნეგატიური პასუხისმგებლობით. ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა ხელს უშლის პასუხისმგებლობის გარდუვალობას. ამიტომაც, სწორედ ხანდაზმულობის მეშვეობით ხდება აღნიშნული სისხლისსამართლებრივად „უსტატუსო“ მდგომარეობის დასრულება და პასუხისმგებლობის გარდუვალობის ამოქმედება, კერძოდ, პოზიტიური პასუხისმგებლობის აღიარება.

1.2.4.4. ხანდაზმულობა, როგორც სამართლიანობის მოთხოვნა

სამართალი, როგორც ჯერარსული სამყარო, მოწოდებულია, იდეალური აქციოს რეალურად. ამისათვის ის ემყარება მთელ რიგ პრინციპებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სამართლიანობის პრინციპი. სასამართლოები ხშირად სწორედ სამართლიანობის პრინციპს უკავშირებენ ხანდაზმულობას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სამართალწარმოებისას იმის გარკვევის დროს, ხანდაზმულია თუ არა სარჩელი.²¹¹ სამართლიანობისა და ხანდაზმულობის კავშირზე ამახვილებს ყურადღებას ი. ლისტოკინი.²¹²

სწორად აღნიშნავს პროფ. ი. ნოი, რომ სამართლიანობა ყველას მიერ ერთმნიშვნელოვნად არ აღიქმება. „შურისძიება, სამაგიეროს მიზღვა შეიძლება აკმაყოფილებს ჩამორჩენილი ადამიანების გრძნობას, მაგრამ არ შეესაბამება

²¹¹ იხ. ე. რინარდსონის დასახ. სტატია, 1055-1057

²¹² იხ. ი. ლისტოკინის სტატია, გვ. 100-101

სოციალისტურ მორალისეულ ვაგებას სამართლიანობისა.²¹³ სამართლიანობა ნაცვალებების პრინციპს ექვემდებარება, სამაგიეროს მიზლად აღიქმება და აქედან გამომდინარე არის სასჯელი სამართლიან აქტად გამოყვანილი დრეერთან, მეცგერთან, ი. რენებერგთან, ოტო რეგელთან, ნ. ბელიაევთან.²¹⁴

თუ დანაშაულის პასუხად სასჯელის ან ზოგადად ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება სამართლიანობის მოთხოვნაა, მაშინ პრობლემატურია ხანდაზმულობის სამართლიანობა-უსამართლობის საკითხი. ცნობილია, რომ სამართალი ზოგადად და მისი ცალკეული დარგები, მათ შორის სისხლის სამართალიც სამართლიანობის პრინციპს ეყრდნობა. რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია სისხლის სამართალში უსამართლო ცნებებისა და ინსტიტუტების არსებობა.

ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობა სამართლიანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს მასზე უარის თქმა. მაგრამ როგორ არის ხანდაზმულობა სამართლიანი, თუ სამართლიანობა, როგორც ნაცვალებების მოთხოვნა, დანაშაულისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობისა და სასჯელის დაკისრებას მოითხოვს? ამის პასუხი შეიძლება ამოვიკითხოთ ნაწილობრივ ჩეზარე ბეკარიას აზრში: რაც უფრო სწრაფად მოსდევს სასჯელი დანაშაულს, „მით სამართლიანია და სასარგებლოა იგი. მეტად სამართლიანია, ვინაიდან ათავისუფლებს დამნაშავეს ზედმეტი ... ტანჯვისგან.“²¹⁵ სანამ ამ დებულების განხილვას შევუდგებოდეთ, ერთი დათქმა უნდა გავაკეთოთ. პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევაში დანაშაული არა გვაქვს, შესაბამისად, ვერ მოვითხოვთ მასზე რეაქციას, თუმცა ხანდაზმულობის მიმართება რომ გავარკვიოთ სამართლიანობის პრინციპთან, უნდა განვიხილოთ, რა მოხდებოდა, ხანდაზმულობა რომ არ არსებულყო, სამართლიანი იქნებოდა თუ არა აღნიშნულის შედეგი. აქ უნდა დავუშვათ, რომ ქმედება სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის არარსებობის ვითარებაში შეფასდებოდა დანაშაულად, შესაბამისად, ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ დადგებოდა გარკვეული ხარისხის ნეგატიური პასუხისმგებლობა. ანუ აქ საქმე გვაქვს ქმედებისა (რომელიც დანაშაულად შეფასდებოდა ხანდაზმულობის არარსებობის ვითარებაში) და ნეგატიური პასუხისმგებლობისგან გამოწვეული შეზღუდვების, შეწუხების, დისკომფორტის, ტანჯვის... ურთიერთშენაცვლებასთან (ნაცვალებასთან), როგორც სამართლიანობის მოთხოვნასთან. აქვე უნდა გავისხენოთ, რომ სამართლიანობა არსებობს გათანაბრებითი. ვგულისხმობთ იმას, რომ პასუხისმგებლობისა თუ სასჯელის ორი მსგავსი შემთხვევის შედარებისას მათ შორის არსებული განსხვავება იმდენად მასშტაბური არ უნდა იყოს, რომ უსამართლობის განცდას ბადებდეს.

წარმოვიდგინოთ, რომ ქურდობის შემადგენლობის განხორციელებიდან უმოკლეს დროში მოხდა მისი დანაშაულად კვალიფიკაცია და შესაძლებელი მინიმალური ხარისხის ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება. პარალელურად, იმავე დანაშაულზე (სხვა პირის ქმედებაზე) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა სამართლებრივი რეაგირება, რის გამოც გავიდა ხანდაზმულობის ვადა (მათ შორის ის ვადაც, რაც პირველ მაგალითში უნდა მოეხადა მსჯავრდებულს). ამ ხნის განმავლობაში დასჯილი პირი განიცდიდა ნეგატიური პასუხისმგებლობის შედეგებს: შეზღუდვებს, ტანჯვას... დაუსჯელი პირიც (მეორე მაგალითის სუბიექტი) განიცდიდა შინაგან

²¹³ Ной И. С., *Сушность и функции уголовного наказания в советском государстве*, изд. саратовского университета, 1973, 94

²¹⁴ იქვე, 98-100; Беляев Н. А., *Цели наказания и средства их достижения*, изд-во ЛГУ, 1963, 27

²¹⁵ ხუცურაული, 101

დისკომფორტს, სინდისის ქენჯნას, ან, თუნდაც სასჯელის შიშის ქვეშ იმყოფებოდა... პირველი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლდა ნეგატიური პასუხისმგებლობისგან. მეორე კი იმავე პერიოდის გასვლის შემდეგ დააკავეს სამართალდამცავებმა და მისცეს პასუხისგებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მან კიდევ უნდა განიცადოს, როგორც მინიმუმ იმ ზომის შეზღუდვები, რაც დაეკისრა თავის დროზე პირველს. სად არის აქ გათანაბრებითი თანასწორობა (მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება გვაქვს და მსგავსი პიროვნება)? ნუთუ სამართლიანობა არ მოითხოვს ქმედებისა და პიროვნების შესაბამის სანაცვლო შედეგს? რა თქმა უნდა, მოითხოვს. სხვაობა შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ არა იმდენად მასშტაბური, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში მივიღეთ: ორმაგი სიმკაცრე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სამართლიანობა, როგორც ნაცვალგების პრინციპზე აგებული მოთხოვნა, გულისხმობს იმ ზომისა და ხარისხის უარყოფით შედეგებს, რა ზომითა და ხარისხითაც დაიმსახურა სასჯელის მიზნების მისაღწევად ჩადენილმა ქმედებამ და ჩამდენის ამჟამინდელმა პიროვნებამ. არც მეტი, არც ნაკლები.

ხანდაზმულობა სწორედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადამიანის მიერ განცდილ დისკომფორტს უღებს ბოლოს და ამით გამოხატავს სამართლიანობას. მართალია, სრულიად შესაძლებელია მეორე მაგალითიც, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირი სრულებითაც არ განიცდის არავითარ დისკომფორტს ჩადენილი ქმედების გამო. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობით პასუხისმგებლობასა და სასჯელზე უარის თქმა უკვე უსამართლო აქტი ხდება. მაგრამ ცალკე მსჯელობას მოითხოვს ის, განიცდიდა თუ არა პირი ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში სასჯელის ან ნეგატიური პასუხისმგებლობის თანაზომიერ ტანჯვას, სინდისის ქენჯნას თუ მსგავს არასასიამოვნო შეგრძნებებს. აქ მხოლოდ იმას დავადასტურებთ, რომ ხანდაზმულობა, როგორც ზედმეტი ტანჯვისაგან გათავისუფლების ბერკეტი, არის სამართლიანობის პრინციპის გამოვლინება სისხლის სამართალში. იმდენად, რამდენადაც ის არის სამართლიანობისთვის დამახასიათებელი შემდეგი პრინციპის დაცვის საშუალება: არავის მიეზღოს იმაზე მეტი, ვიდრე იმსახურებს. იგივე შეიძლება ითქვას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობაზე. ამ დროსაც პირის მიერ განცდილი დისკომფორტი, როგორც დანიშნული სასჯელის ეკვივალენტი, არის ხანდაზმულობის საფუძველი. ხანდაზმულობა კი, როგორც ამ დისკომფორტის ერთგვარი საზომი, რათა არ დაუშვას იმაზე მეტი შეზღუდვების განცდა, ვიდრე მის მიერ ჩადენილი დანაშაული და მისი ამჟამინდელი პიროვნება იმსახურებს, თავის მხრივ, სამართლიანობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ზემოთ მოყვანილ დასკვნებს ამყარებს ასევე შემდეგი მოსაზრებები: ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ სამაგიეროს მიზღვა გათანაბრებითი სამართლიანობაა. მოსამართლე სასჯელით ადადგენს თანასწორობას.²¹⁶ სამართლიანობა გამოიხატება სამართლებრივ სიკეთეთა თანაბრობაში. სამართლის დარღვევით ეს თანასწორობა ირღვევა, სამაგიეროს მიზღვა კი გათანაბრება იქნება, რომლის მიღწევისთვის ზიანის გვარსა და სახეს (ზომას) აქვს დიდი მნიშვნელობა, თუმცა, წმინდა ტალიონი ეწინააღმდეგება სამართლიანობას. სენეკას მიხედვით, სამართლიანობა არის მოთხოვნა: ყველას დამსახურებისამებრ, რაც გულისხმობს გამოსწორებას დაშინების გზით.²¹⁷ მართლაც, ხანდაზმულობის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა დამნაშავეთა და სასჯელთა რაიმე თანაბრობაზე საუბარი: მსგავსი

²¹⁶ იხ. Шаргородски, *Наказание по уголовному праву эксплуататорских обществ*, 36-37

²¹⁷ იქვე, 39

დანაშაულებრივი შემთხვევების და მსგავსი შემამსუბუქებელ-დამამძიმებელი გარემოებების პირობებში მსგავსი სასჯელის დანიშვნა სრულებითაც არ ნიშნავს სამართლიანი თანასწორობის არსებობას, რადგანაც ერთ შემთხვევაში შესაძლებელია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებმა სასჯელის აუცილებლობა გადაწონოს, მისი მაგივრობა გასწიოს. მეორე შემთხვევაში – არა. ასეთ სიტუაციაში დანაშაულის სახესა და კატეგორიას უნდა შევეუსაბამოთ, გაუუთანაბროთ არა სასჯელი, არამედ ის ტანჯვა, შიში, გაურკვევლობის განცდა, სინდისის ქენჯნა და სხვა მსგავსი გრძნობები, რომლებიც ამ პირმა უნდა განიცადოს დანაშაულის სანაცვლოდ. თუ საკითხს ასე დავაყენებთ, მაშინ ხანდაზმულობის ცნების აუცილებლობას დავინახავთ, რადგან მის გარეშე ზემოთ აღნიშნული თანაბრობა, როგორც სამართლიანობის მოთხოვნა ვერ მიიღწევა.

თამაზ დონჯაშვილი ახმოვანებს კლასიკური სკოლისა და უფრო ადრინდელ ფილოსოფოსებში მიღებულ თეორიებს სამართლიანობის შესახებ: „დასჯა გამოიყენება იმისთვის და იმ ზომით, რომ მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულისთვის იძულებით მიყენებული განცდების ადეკვატურად შეეზღუდოს უფლებები და თავისუფლებები, მიაღგეს მორალური და ფიზიკური ტანჯვა და განცდები. სასჯელმა უნდა დაუბრუნოს როგორც საზოგადოებას, ისე დაზარალებულს სამართლიანობის ბატონობის გრძნობა და შეგნება.“²¹⁸ აქ ჩანს ჩადენილი ბოროტების თანაბარი ბოროტების განცდის მიჩნევა სამართლიანობად. კაპიტონ კვირკველიას მიხედვით კი სამართლიანობა გულისხმობს ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნას, რათა არ მოხდეს ისე, რომ რაიმე უგულვებელყოფილი იქნეს და პირი არ დაისაჯოს მაქსიმალური სიზუსტით მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რაც მან ჩაიდინა.²¹⁹

სამართლიანობა, როგორც ჯერარსული მოთხოვნა, იდეალი, არის სამართლის საფუძველთა საფუძველი. ამიტომ მისი დარღვევა უსამართლო აქტია და იმსახურებს შესაბამის პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანობა დაუცველი დარჩება და მისი დარღვევა, ანუ უსამართლობა მისაღები ხდება. ამიტომ სასჯელი დარღვეული სამართლიანობის აღდგენაა, მაგრამ თუ ნეაგტიური პასუხისმგებლობის ან სასჯელის ეკვივალენტური შეზღუდვები და ტანჯვა პირს უკვე მიაღება, მაშინ გამოდის, რომ ნეაგტიური პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამოყენებით ჩვენ იმაზე გაცილებით მეტ შეზღუდვას და სულიერ ტანჯვას ვაყენებთ პირს, ვიდრე მან სარგებელი ან სიამოვნება განიცადა დანაშაულის ჩადენისაგან, ან კიდევ – იმაზე მეტად ვსჯით, ვიდრე მან დაიმსახურა. ე.ი. ვსჯით არა მისი დანაშაულისთვის თანაზომიერი სასჯელით, არამედ უსამართლოდ.

ზემოთ ხანდაზმულობის სამართლიანობაზე საუბრისას აქცენტი გაკეთებული იყო სუბიექტში მიმდინარე პროცესებზე და ამ პოზიციიდან იქნა ხანდაზმულობა სამართლიანობის გამოვლინებად მიჩნეული, თუმცა ხანდაზმულობის სამართლიანობის მტკიცებას ობიექტური საფუძველიც აქვს. კერძოდ, ქმედება დროთა განმავლობაში კარგავს აქტუალობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე ჩადენილი ქმედება უკვე არ არის სამართლებრივი რეაგირების ღირსი, რადგან, ჯერ ერთი, ახალი დანაშაულის შემადგენლობის განუხორციელებლობის გამო ადრე ჩადენილი ქმედება შესაძლებელია არ ასახავდეს მისი სუბიექტის ამჟამინდელ პოზიციას, რის გამოც ის უკვე არ ასრულებს საზოგადოებაში პიროვნების როლის გამომხატველი მოვლენის ფუნქციას, იკარგება ქმედება-

²¹⁸ დონჯაშვილი თ., *დასახ. ნაშრ.*, 371

²¹⁹ იხ. კვირკველია კ., *სიხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, თბ., 2004, 16

სუბიექტის კავშირი. ამასთან, ქმედება დიდი ხნის შემდეგ საზოგადოებისათვისაც კარგავს ინტერესს. ასეთ ვითარებაში ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება საზოგადოების მოთხოვნას არ წარმოადგენს. პირიქით, ის დასჯილი პირის შეცოდების გრძნობას წარმოშობს.

აქ იმალება ხანდაზმულობის სამართლიანობის შესაბამის ცნებად განხილვის მნიშვნელოვანი საფუძველი: რადგან პირი კი არ არის ვალდებული, პასუხი აგოს ქმედებისთვის, არამედ სახელმწიფო ორგანოები არიან ვალდებული, პასუხი აგებინონ პირს, ამდენად დიდი ხნის განმავლობაში პასუხისმგებლობის დაუკისრებლობა არის არა ქმედების სუბიექტის ნაკლი, არამედ - შესაბამისი ორგანოების. ამდენად, დიდი ხნის გასვლის შემდეგ ქმედების სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მართლაც იწვევს უარყოფით განცდას: გამოდის, რომ სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობის სათანადოდ შესრულებას, სრული სიმკაცრით ეპყრობა ქმედების სუბიექტს, სახელმწიფო ორგანოების მიერ მოვალეობის სათანადოდ შეუსრულებლობის მთელ სიმძიმეს აკისრებს ქმედების სუბიექტს და ისე უწესებს პირს ნეგატიურ პასუხისმგებლობას.

კიდევ ერთი საფუძველი, რომელიც ამტკიცებს ხანდაზმულობის შესაბამისობას სამართლიანობის მოთხოვნისადმი, არის ის, რომ დროთა განმავლობაში საფიქრებელია, შეუძლებელი გახდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია დაკარგული მტკიცებულებების გამო. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს პირის გამართლება) არ იქნება საქმის რეალური ვითარების შესაბამისი, რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს სასამართლო გადაწყვეტილებაში ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ასახვის აუცილებლობის პრინციპის დარღვევას. ეს კი, თავის მხრივ, პირის მიმართ უსამართლო, რეალურად ქმედების შეუსაბამო გადაწყვეტილების გამოტანაში ვლინდება.

სუბიექტის პიროვნებაზე დროის ზემოქმედების შესაძლებლობასთან მიმართებით ხანდაზმულობა სამართლიანობის პრინციპის გამოვლინებად გვევლინება, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შესაძლებელია პიროვნებაში დადებითი ცვლილებები არც მომხდარიყო, სურათი შეიცვლება და ხანდაზმულობა დანაშაულის წამახალისებელ ცნებად იქცევა.

აქ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე, თუმცა ორივე საგნებით შესაძლებელია. ასეთ სიტუაციებში სამართალში უკვე ტრადიციული გახდა შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობა: ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ეს პრინციპი ემყარება შეხედულებას: სჯობს იმაზე ნაკლები პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს, ვიდრე იმსახურებს, ვიდრე ზედმეტი სიმკაცრე გამოვიჩინოთ მის მიმართ. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ხანდაზმულობა ქმედების ჩამდენისათვის დაწესებული შეღავათი კი არ არის, არამედ საზოგადოებისათვის გაღებული სიკეთე. სინამდვილეში საუკეთესო გამოსავალი მოცემულ სიტუაციაში არის საქმის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად დაკისრებული დაუყოვნებელი პასუხისმგებლობა. ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პირობებში ხდება ხანდაზმულობის გამართლება, რაშიც ვლინდება ჰუმანურობის პრინციპი.

ბოლოს, ვფიქრობთ, ახსნას მოითხოვს შეხედულება იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩადენამდე სუფევდა სამართლიანობა, ხოლო დანაშაულმა იგი დაარღვია, რის გამოც საჭიროა დარღვეული სამართლიანობის აღდგენა. ვფიქრობთ, რომ დანაშაულამდე არსებულ სამართლიანობაში არ უნდა გავიგოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებული ფაქტობრივი სამართლიანობა. სინამდვილეში ირღვევა სამართლიანობის იდეის მიერ შემუშავებული

ჯერარსული წყობა, რომელიც უნდა შესრულდეს მისი ფაქტობრივი განხორციელებისათვის. ამიტომაც, რომ სამართლიანობის იდეაზე დაფუძნებული სამართლის მოთხოვნის დარღვევა უსამართლო აქტია, მისი მოთხოვნის რეალიზება კი სამართლიანობის აღდგენა.

როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობა არის სამართლიანობის გამოვლინება.

1.2.4.5. ხანდაზმულობა და სასჯელის დაუყოვნებლობა (მართლმსაჯულების სისწრაფე)

ამ თავის ფარგლებში აუცილებელია განვიხილოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი: სასჯელის დაუყოვნებლობა (სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით), იგივე მართლმსაჯულების სისწრაფე (პროცესუალური მნიშვნელობით). სწორია მოსაზრება, რომ სასჯელი მით უფრო სამართლიანია, რაც მალე მოსდევს ის დანაშაულს. რატომ არის მართლმსაჯულების სისწრაფე ასე მნიშვნელოვანი?

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ხდება კონკრეტული ფაქტორების ურთიერთშეჯახების შედეგად. აქ მხედველობაში გვაქვს ობიექტური და დამნაშავის ფსიქიკაში მიმდინარე სუბიექტური ფაქტორები. აღნიშნულის შედეგად დანაშაული გამოხატავს პირის შინაგანი სამყაროს გარკვეულ მდგომარეობას. ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ დანაშაული არის ანთროპოლოგიური სკოლის მიერ აღიარებული სიმპტომი პირის თვისებებისა, თუმცა დანაშაული ნამდვილად არის სიმპტომი პირის გარკვეული შინაგანი მდგომარეობისა, სამართლებრივი ღირებულებებისადმი მისი დამოკიდებულებისა, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის მისი შინაგანი მზაობისა. დანაშაული შეიძლება იყოს სიმპტომი მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტში პირის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებისა.

დროის სვლას მოაქვს ცვლილებები, რის გამოც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შეუძლებელი ხდება ქმედების სუბიექტის ამჟამინდელი პიროვნებისა და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტში მისი პიროვნების იდენტიფიკაცია.²²⁰ არ არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ დროის სვლას გავლენა არ მოუხდენია მის პიროვნებაზე ისევე, როგორც დადასტურებით ვერ ვიტყვი, თუ კონკრეტულად რა ცვლილებები განიცადა ადამიანის შინაგანმა სამყარომ. აღნიშნულის საფუძველზე, შეუძლებელია სამართლიანი, აუცილებელი და საკმარისი სასჯელის განსაზღვრა. ასეთ ვითარებაში შეცდომის დაშვება იქნებოდა უსამართლობისადმი შეგუება, ვერ მიაღწევდა სასჯელის მიზნებს და, აქედან გამომდინარე, სასჯელის დანიშნავს გამოეცლებოდა საფუძველი. სწორედ აღნიშნულია ხანდაზმულობის არსებობის ერთ-ერთი საფუძველიც. აქედან გამომდინარე, სასჯელის დაუყოვნებლობა სასჯელის დანიშნვის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობის შედეგია სასჯელის დანიშნვის შეუძლებლობა. ამდენად არის გამართლებული ხანდაზმულობა, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველი და სასჯელის აღსრულებისაგან გამათავისუფლებელი გარემოება.

ნეგატიური პასუხისმგებლობისა და სასჯელის დანიშნულება არის პირზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა. აღნიშნული ზემოქმედება ხდება დროის

²²⁰ იხ. შტეფან ციმერმანის *დასახ. ნაშრ.*, 32-34.

განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული ღონისძიებების გამოყენებით. ამასთან, იგივე პერიოდში დროის ცვლილებების მომტანი თვისების გამო ადამიანიც იცვლება. ახალი დანაშაულის არარსებობა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ აღნიშნული ცვლილებები არ არის ნეგატიური. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს ზუსტად იმ თვისებებზე ზემოქმედებას, სწორედ მათ გამოსწორებას, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პირობათა შორის ერთ-ერთი იყო, მაგრამ არც საპირისპიროს მტკიცება შეგვიძლია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ეცლება საფუძველი, ჩაერიოს მოვლენათა განვითარებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა ობიექტური შერაცხვა – პირის გაკიცხვა ამჟამად ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების არარსებობის ვითარებაში. ამიტომაც სახელმწიფო მოვლენათა განვითარების დინამიკაში არ ერევა და ხანდაზმულობით გამოხატავს საკუთარ პოზიციას – უარს ამბობს პასუხისმგებლობის დაკისრებაზე დროის გასვლის გამო აწმყოში პირის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დადგენის შეუძლებლობის ან ქმედების ლატენტურობის პირობებში.

ყველაფერ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის დაყოვნება მასზე უარის თქმის საფუძველია. ამიტომაც დაუყოვნებელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ქმედებაზე რეაგირების სამართლებრივად მიზანშეწონილი გზა.

1.2.4.6. ხანდაზმულობა და სახელმწიფოს უფლებამოსილება სასჯელის გამოყენებაზე

დასჯის უფლება (როგორც ღირებულებითი და არა ფიზიკური შესაძლებლობა) გამომდინარეობს სამართლიანობისგან, რომლის მიხედვითაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება იმსახურებს შესაბამის რეაქციას.²²¹ ყველაზე დამაჯერებელი ამ მიმართულებით არის ჰუმანისტ-განმანათლებლების მიერ გაწეული შრომა სასჯელის უფლების გამართლების თაობაზე. ისინი სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე ასაბუთებენ საზოგადოებრივი ხელშეკრულებით. მათი აზრით, ადამიანებმა თავისუფლების ნაწილი დათმეს დარჩენილი ნაწილით სარგებლობის უზრუნველსაყოფად. დათმობილი თავისუფლებიდან ხელისუფლება შედგა. რადგან ადამიანებმა ნებაყოფლობით დათმეს თავისუფლების ნაწილი და მას დამცველად სუვერენიც დაუნიშნეს, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაზღვრულ შემთხვევებში დამრღვევის დასჯის უფლება მიანიჭეს. „დანაშაულისთვის დასჯის სუვერენული უფლება საერთო კეთილდღეობის საცავზე ცალკეულ ადამიანთა მხრიდან შემოტევებისაგან დაცვის აუცილებლობაზეა დაფუძნებული“.²²² ამ საკითხში ჩ. ბეკარია პობსის გზის გამგრძელებელია, რომელმაც პირველმა დააფუძნა სასჯელის უფლება საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე.²²³ ამავე გზას ადგას ჟ.

²²¹ იხ. *О праве наказания, Речь, произнесенная въ торжественномъ собраніи Демидовскаго Лицея, 29 ноября, 1859 года*, Испр. д. пр. А. Чебышевымъ-дмитриевымъ, ярославль, въ типографіи Германа Фалько, 1859, 29

²²² ი. ხუცურაულის დასახ. ნაშრ., გვ. 32

²²³ იხ. Шаргородский М. Д., *Наказание по уголовному праву эксплуататорского общества*, М. 1957, 76

ქ. რუსო,²²⁴ ლოკი, სპინოზა, თუმცა გაურკვეველია ამ „უფლების“ თუ „შესაძლებლობის“ ან „ხელისუფლების“ ბუნება.

სწორად აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ საბჭოთა კავშირში სასჯელზე უფლება დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი იყო, და მიუთითებს ამ თეორიის წინააღმდეგობრივ ხასიათზე. ის ასევე სწორად შენიშნავს, რომ ეს უფლება არაიურიდიულია და ფილოსოფიურ მიდგომას მოითხოვს.²²⁵ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს სასჯელი ან, ზოგადად, დააკისროს პირს ნეგატიური პასუხისმგებლობა, მაგრამ ამ შესაძლებლობის პარალელურად მეორე მხარეს, მოქალაქეს არა აქვს მოვალეობა, პასუხი აგოს თავის საქციელზე ან იწვნოს სასჯელი, ამასთან, სახელმწიფოს უფლება სასჯელზე რომ არაიურიდიულია, ისიც მეტყველებს, რომ ის არ გამომდინარეობს პოზიტიური სამართლიდან, არამედ მანამდე არსებობს. ეს ორი დებულებაც, ვფიქრობთ, კმარა იმისთვის, რომ აღნიშნული „უფლება“ განვასხვაოთ იურიდიული სუბიექტური უფლებისგან. მიუხედავად ამისა, დავას არ იწვევს, რომ სახელმწიფოს მინიჭებული აქვს ძალაუფლება, დაადგინოს აკრძალულ ქმედებათა სახეები, მათი თავიდან აცილებისთვის აუცილებელი ზომები, მათ შორის სასჯელები და უზრუნველყოს მართლწესრიგის დაცვა, მათ შორის, სასჯელთა რეალიზაციით.

ასეთ ვითარებაში დგას საკითხი: რა ვუყოთ იმას, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია პასუხი აგებინოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს? ეს მოვალეობაც ხომ სასჯელზე სახელმწიფოს ძალაუფლებიდან გამომდინარეობს? ხომ არა გვაქვს აქ საქმე სახელმწიფოს მხრიდან სასჯელის (ან პასუხისმგებლობის) გამოყენების ვალდებულებაზე? ანუ აღნიშნული საკითხი ჩვენ გვანტერესებს შემდეგი მიმართულებით: სასჯელზე სახელმწიფოს ძალაუფლების (თუ ხელისუფლების) საფუძვლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების წევრების ინტერესების დამცავს, შეუძლია თუ არა პასუხი არ აგებინოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს? პასუხად უნდა ითქვას, რომ სასჯელის გამოყენება არ არის სახელმწიფოს, ისევე, როგორც მისი ორგანოების იურიდიული მოვალეობა, ვინაიდან მათ სასჯელის გამოყენების ძალაუფლება იმ დოზით აქვთ მინიჭებული, რა დოზითაც ამას მოითხოვს კონკრეტული ვითარება. ამასთან, სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევების საკანონმდებლო რეგულირება ადასტურებს, რომ სახელმწიფო არ არის მოვალე, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენოს სასჯელი. ამაზე ნაწილობრივ სასჯელის გარდუვალობის პარაგრაფშიც იყო საუბარი.

სასჯელი მხოლოდ საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთვის დასახული მიზნის მიღწევის საშუალება უნდა იყოს და არა თვითმიზანი. აღნიშნული ეხება ზოგადად პასუხისმგებლობასაც. აქედან გამომდინარე, ყოველთვის, როცა სასჯელის (ან პასუხისმგებლობის) დაკისრება ზედმეტია და მისი მიზნები ისედაც მიღწეულია, სახელმწიფოს არა აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს სასჯელი (ან პასუხისმგებლობა), ვინაიდან თვითნებობის უფლება მისთვის საზოგადოებას არ მიუცია. რადგან გარკვეული დროის გასვლის მერე სასჯელის გამოყენების აუცილებლობა ეჭვქვეშ დგება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობა არის ზღვარგადაცილებული სიმკაცრისგან ხელისუფლების შეზღუდვის ბერკეტი. სამართლებრივად სწორედ ხანდაზმულობის ცნებით არის დარეგულირებული სახელმწიფოს ძალაუფლების დროითი შეზღუდვა.

²²⁴ იხ. Руссо Ж. Ж., *Об общественном договоре*, М. 1938, 29

²²⁵ იხ. ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის საგანი*, თბ., 1997, 78-83

ხანდაზმულობა არის იმავდროულად სახელმწიფოს თვითშეზღუდვის გამომხატველი. მართლაც, სახელმწიფოს მხოლოდ შეზღუდულ ვითარებაში შეუძლია გამოიყენოს სასჯელი. ხანდაზმულობის შემთხვევაში სახელმწიფო თავის უფლებამოსილებას ქმედების სუბიექტის ინტერესების სასარგებლოდ ზღუდავს დროის განსაზღვრული მონაკვეთით. ამდენად, ხანდაზმულობა გამოხატავს პიროვნების ინტერესების სახელმწიფოს მიერ გათვალისწინების და ამის საფუძველზე საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვის ჰუმანურ აქტს.

ხანდაზმულობით სახელმწიფოს უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველი უნდა ვეძებოთ ასევე ლატენტური დანაშაულების გამომწვევ მიზეზებში. აქ იგულისხმება როგორც ე.წ. „უღაოდ ლატენტური“ დანაშაულები, ასევე ე.წ. „ხელოვნურად ლატენტური“²²⁶ დანაშაულები, რასაც უკავშირდება სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტური საქმიანობა, კერძოდ დაუსაბუთებლად უარის თქმა დევნის აღძვრაზე, განცხადებებისა და შეტყობინებების დამალვა საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად.²²⁷ ზ. წულაია ე.წ. „ბუნებრივი ლატენტურობისაგან“ ასხვავებს „მოსაზღვრე სიტუაციებს“, როცა ქმედების შემადგენლობა ცნობილია, თუმცა ის არ აღიქმება, როგორც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.²²⁸ როგორც წინა პარაგრაფებში დავრწმუნდით,

ვინაიდან მართლწესრიგის დაცვა სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა, ამდენად, ლატენტური დანაშაულობის არსებობის უარყოფით სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობა ქმედების სუბიექტს ვერ დაეკისრება. ამდენად, სწორია ის მიდგომა, რომელსაც ხანდაზმულობის არსებობა გამოხატავს და რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში დანაშაულის დადგენის მოვალეობის განუხორციელებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

12.5. ხანდაზმულობის ფუნქციონალური დატვირთვა

ხანდაზმულობის ცნებისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელია ხანდაზმულობის მიზნის, მისი ფუნქციონალური მხარის გამოკვლევა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ხანდაზმულობა სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციას ემსახურება იმ აზრით, რომ ის ეწინააღმდეგება უსამართლო სასჯელის დანიშვნას. მართლაც, სასჯელი, როგორც ცნობილია, უნდა შეესაბამებოდეს პირის მიერ ჩადენილ ქმედებას და თვით მის პიროვნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის გარემოებები ყოველმხრივ დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი, რათა შესაძლებელი იყოს სამართლიანი სასჯელის დანიშვნა. აქ იგულისხმება არა მარტო ქმედების, არამედ აწმყოში პიროვნული ნიშნების შესწავლაც, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია პასუხისმგებლობის შესაბამისი ხარისხის განსაზღვრა.

ამდენად, სამართლიანი სასჯელის დაკისრება მხოლოდ საქმის ყოველმხრივი, ობიექტური შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი. იმ შემთხვევაში კი, როცა აღნიშნულის დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს, შეუძლებელია ზუსტად

²²⁶ იხ. Алексеев А. М., Роша А. Н., *Латентная преступность и эффективность деятельности правоохранительных органов*, “Вопросы борьбы с преступностью”, М., 1973, вып. 19, 31

²²⁷ იხ. წულაია ზ., *სოციალისტური ქონების დატაცებასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძველები მსუბუქ მრეწველობაში*, თბ., 1989, 135

²²⁸ იხ. წულაია ზ., *კრიმინოლოგია*, 92-95

განისაზღვროს პასუხისმგებლობის ხარისხი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია იმაზე მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ვიდრე ამას პირი იმსახურებს. სწორედ აქ ერთვება ხანდაზმულობის იურიდიული ძალა, რაც შეუძლებელს ხდის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ე.ი. ხანდაზმულობის ერთ-ერთი ფუნქციაა, არ დაუშვას უსამართლო პასუხისმგებლობის (სასჯელის) დაკისრება.

ტ. ტ. ონოა და ა. ჯ. ვისტრინი, განიხილავენ რა ხანდაზმულობის გამართლების შესახებ შეხედულებების განვითარებას კალიფორნიაში, ამტკიცებენ, რომ ერთი მოსაზრებით, „ხანდაზმულობა იწვევს შიშის განცდის თავიდან აცილებას ანიჭებს რა ადამიანის საქმიანობას უსაფრთხოების და სტაბილურობის ნიშანს... ის არის მოქმედების სტიმული...“²²⁹ ამასთან, ავტორები ამბობენ, რომ ხანდაზმულობას აქვს ქმედების სუბიექტის უკეთესისკენ შეცვლის ფუნქცია, რომლის მიხედვითაც ქმედების სუბიექტი, რომელიც მომავალში თავის საქმიანობას არ დაუკავშირებს დანაშაულს, რჩება ხელშეუხებელი და მას შეუძლია მშვიდად იყოს, გააგრძელოს საზოგადოების წევრად არსებობა და არ ეშინოდეს ძველი ცოდვების გახსენებისა.²³⁰ ჩვენ ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ აქ სწორედ ხანდაზმულობის ერთ-ერთი ფუნქციაა გამოხატული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ, არის ინტერესთა კონფლიქტი სისხლის სამართალში. იგულისხმება კერძო (ქმედების სუბიექტის) და საჯარო ინტერესთა დაპირისპირება. ინტერესთა ეს კონფლიქტი სასჯელის მიზნებშიც იგრძნობა. კერძოდ, გარკვეულწილად სამართლიანობის აღდგენისა და რესოციალიზაციის მიზნებს შორის არის დაპირისპირება. პირველი სამაგიეროს მიზღვას მოითხოვს, მეორე – პირის დაბრუნებას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ეს დაპირისპირება ასევე ჩანს ზოგადი და კერძო პრევენციის მიღწევის საშუალებებს შორის განსხვავებაშიც. კერძოდ, ცნობილია, რომ ზოგადი პრევენცია უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას მოითხოვს მაშინ, როცა კერძო პრევენცია პიროვნების ინდივიდუალობაზე დამოკიდებულ სასჯელს ანიჭებს უპირატესობას.

აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი ხანდაზმულობის პრობლემისგანაც არ დგას შორს. კერძოდ, ხანდაზმულობის შემთხვევაში პიროვნების ინტერესების სასარგებლოდ საჯარო ინტერესი უკან იხევს. ამის დასტურია ის, რომ ხანდაზმულობის საფუძველია პირის პოზიტიური პასუხისმგებლობის შესაძლებელი აღდგენა. პოზიტიური პასუხისმგებლობა დადასტურებული არ არის, ე.ი. შესაძლებელია ის არც არსებობდეს. ასეთ ვითარებაში ხდება არჩევანი კერძო ინტერესსა და საჯარო ინტერესს შორის. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ სწორი იქნება პირის დასჯა, თუ არ დადასტურდა პოზიტიური პასუხისმგებლობის არსებობა და ეს შეიძლება გამართლდეს იმით, რომ დანაშაულის პრევენციისთვის აღნიშნული მეთოდი უფრო მისაღებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის საშუალებით სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღება. კერძოდ, ვარაუდი ხდება იმის, რაც სუბიექტისთვის უკეთესია.

ასევე ხანდაზმულობის ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა. ხანდაზმულობის გარეშე სახელმწიფოს დამსჯელ ძალაუფლებას დროითი საზღვარი არ ექნებოდა, რაც შესაძლებელს გახდიდა ნებისმიერ დროს პირი დასჯილიყო წარსულის ნებისმიერ მონაკვეთში ჩადენილი ქმედებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა ზედმეტ სიმკაცრეს და აღშფოთებაც არ იქნებოდა გასაკვირი საზოგადოების მხრიდან. სახელმწიფოს

²²⁹ ტ. ონოასა და ა. ვისტრინის დასახ. ნაშრ., 457

²³⁰ იქვე, 462

დასჯის უფლება საზოგადოებამ იმისათვის მიანიჭა, რომ ის ისევე საზოგადოების კეთილდღეობისთვის იქნეს გამოყენებული. ამიტომ საჭიროა ზედმეტი სიმკაცრისაგან დამცავი მექანიზმის ამოქმედება. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია სწორედ ხანდაზმულობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობას ასევე აქვს სახელმწიფო ორგანოების მუშაობის მასტიმულირებელი ფუნქცია. ეს იმაში გამოიხატება, რომ დროითი შეზღუდვის დაწესებით შესაბამისი ორგანოები იძულებულნი გახდნენ, დროული სამართლებრივი რეაგირება მოახდინონ თითოეულ საეჭვო ქმედებაზე. ამის საფუძველზე მოხდა სწრაფი საქმისწარმოების სტიმულირება, რაც, საბოლოო ჯამში უკეთეს შედეგს იძლევა სამართლიანი სასჯელის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ერთხელ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვება უბიძგებს პირს, შემდგომში გაიმეოროს აღნიშნული ან ჩაიდინოს უფრო მძიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება. „ამდენად, დანაშაულის მაღალი ლატენცურობა და, ბუნებრივია, სასჯელის მოხდის ნაკლები მოსალოდნელობა საკმაოდ ძლიერი სტიმულია დანაშაულისათვის ახალ დანაშაულთა ჩასადენად.“²³¹ ამიტომაც დანაშაულის შემადგენლობაზე დროული რეაგირება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დანაშაულის ზოგადი და კერძო პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ხანდაზმულობის აკისრია ასევე პროცესის ეკონომიურობის ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება დაგვიანებული პროცესით გამოწვეული ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება.

ბოლოს განვიხილავთ ხანდაზმულობის წამახალისებელ ფუნქციას არა სახელმწიფო ორგანოების მისამართით, არამედ უკვე დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირის მიმართ. საქმე ისაა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პასუხისმგებლობის (სასჯელის) დაკისრებისგან გათავისუფლება პირს აღუძრავს სურვილს, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაულებრივი ქმედება და ამით აიცილოს პასუხისმგებლობა. ეს კი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხანდაზმულობის ვადები ძირითადად მოქმედებს იმ სფეროში, სადაც პირს რაიმე მოვალეობა არ ეკისრება. ასეთ ვითარებაში ადამიანზე ზემოქმედების ერთადერთი საშუალება არის წამახალისებელი ნორმები. ამიტომაც ხანდაზმულობის წამახალისებელი ფუნქცია მნიშვნელოვანია ადამიანის მოქმედებაზე ზემოქმედებისათვის.

ამასთან, ცნობილია რა, რომ დროის განმავლობაში შესაძლებელია პიროვნების შეცვლა როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მიმართულებით, სახელმწიფომ უნდა დააწესოს ერთი პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში ხანდაზმულობით პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვა (ან სასჯელისაგან გათავისუფლება) შესაძლებელი იქნება. ესაა ახალი დანაშაულებრივი ქმედებისგან თავის შეკავება.

ამდენად, ხანდაზმულობა არის ქმედების სუბიექტზე სახელმწიფოს მიერ ზემოქმედების მექანიზმი, რომელიც ერთი მხრივ ეფუძნება, კუჰმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შეუძლებლობას, რის გამოც სახელმწიფო, ისეთი სამართლებრივი მეთოდებით, როგორცაა მოვალეობის დაკისრება და პასუხისმგებლობის დაწესება, ვერ ერევა მოვლენათა განვითარებაში. ეს იმიტომ, რომ მიუხედავად დანაშაულებრივი ქმედების არჩადენის მოვალეობისა, ნორმის დარღვევა მაინც მოხდა, ანუ მოვალეობის დაკისრებამ ამ შემთხვევაში პირზე სათანადო გავლენა

²³¹ წულაია ზ., *კრიმინოლოგია*, 99

ვერ მოახდინა. მეორე მხრივ, ქმედებისა და პიროვნების შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი მონაცემები არ არსებობს, რის გამოც არის საშიშროება უსამართლო სასჯელის დანიშვნისა. ამიტომაც სახელმწიფო თავის დამოკიდებულებას ავლენს ხანდაზმულობის ცნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის აქტიურად არ ერევა მოვლენათა განვითარებაში. ამით ის ხაზს უსვამს სასჯელის დაუყოვნებლობის უდიდეს მნიშვნელობას ზოგადად სასჯელის აღსრულებისათვის.

12.6. ხანდაზმულობის ლეგიტიმაცია სისხლის სამართალში

მოცემული ნაშრომის პირველ პარაგრაფებში დავრწმუნდით, რომ ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის პრობლემა სისხლის სამართალში საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ამას ადასტურებს ა. ეიდლშტაინის ნაშრომიც, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, სისხლის სამართალში ხანდაზმულობის წარმოშობა საიდუმლოებითაა მოცული.²³² ამდენად, აქტუალურია კითხვები: აუცილებელია თუ არა ხანდაზმულობის ცნება სისხლის სამართალში? დადებითი მოვლენაა მისი არსებობა თუ უარყოფითი? რისთვისაა ის საჭირო? რა მიზანს ემსახურება იგი?

პირველი, რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ადამიანზე ზემოქმედებით ცდილობს, აიცილოს დანაშაული თავიდან. ამასთან, დანაშაულის შესახებ ყოველმხრივი ინფორმაციის შეკრება არის საფუძველი, გაირკვეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის პირის მზაობის ხარისხი. ამასთან, დანაშაულიდან მის ჩამდენზე დასკვნა არ არის ზედროული, დროის გარეთ არსებული, ის მხოლოდ აწმყოში არსებულ მდგომარეობას გამოხატავს. დრო კი მიედინება და თავის კვალს ტოვებს მოვლენებზე (იგულისხმება, რომ დინამიკური კანონზომიერების საფუძველზე, ცვლილებები მიმდინარეობს), „რადგან დანაშაული დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპთან (მომენტთან, პერიოდთან)“.²³³

ყოველთვის ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფილი იდენტიფიკაცია შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნულზე დასკვნა ხდება გარესსამყაროში გამოვლენილი ნიშნების მიხედვით, ამასთან, ეს ნიშნები ყოველთვის ერთსა და იმავე შინაგან პროცესზე არ მიუთითებს. „განა დადგება ოდესმე ჟამი, თუნდაც დინამიური ნიშნებით, რომ მოხერხდეს ადამიანის შინაგანი ბუნების გაგება? შეიძლება თუ არა მოიძებნოს ის კანონზომიერება, რომ ყოველ გრძნობას, ყოველ ემოციას, ადამიანის შინაგან რეაქციას ზუსტად მიუსადაგოთ მოქმედების გარეგნულად გამოვლინებული ელემენტები? გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს მომავლის საქმეა.“²³⁴

მართალია, არსებობს გაგების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალურის, პიროვნულის გაგებისათვის, მაგრამ გაგების მეთოდი ვერ იძლევა პიროვნების სრულად, უშეცდომოდ წვდომის გარანტიას.

როცა მოსამართლის მიერ ქმედების სუბიექტის პიროვნებაში მიმდინარე შინაგანი პროცესების წვდომაზეა საუბარი, ასეთ სიტუაციაში გამოიყენება

²³² იხ. ა. ეიდლშტაინის დასახ. ნაშრ., 256-257

²³³ Хорнабуджели Б., *Психологическая сторона вины*, Тб., 1981, 10

²³⁴ ხარაზიშვილი ბ., *დასახ. ნაშრ.*, 96

„ინტერპრეტაცია“, რადგან საქმე სხვის გაგებას ეხება, როცა გაგების პირობები არაა საკმარისი, როცა მოქმედებებში სრულ გამოსახვას გასაგები ვერ პოულობს. ამ დროს ადრე გაგებულ კავშირები განსაზღვრული ალბათობით მოცემულ შემთხვევებზე გადაიტანება. აღნიშნულ დებულებას ეხმიანება ეგზისტენციალისტი იასპერსი, რომლის მიხედვითაც, „მიუხედავად გასაგები კავშირების ყველა ვეიდენტობისა, გაგებით ფსიქოლოგიაში მათ გამოყენებას ინდივიდუური შემთხვევის მიმართ მიყვავართ მხოლოდ ალბათურ შედეგამდე.“²³⁵

გ. ცინცაძე მიუთითებს, რომ გაგებითი მეთოდი გულისხმობს მიხვედრის, ანალოგიით დასკვნის, ინტუიციის მეთოდთა გამოყენებას.²³⁶

აღნიშნული მსჯელობები იმაზე მიუთითებს, რომ განსასჯელის პიროვნების შესახებ უშეცდომოდ, სრული წარმოდგენის შექმნა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან დიდი ხნის შემდეგ მოსამართლისაგან მოითხოვს განსასჯელის ცხოვრების სრულად შესწავლას, რაც, ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, სცილდება როგორც საგამოძიებო ორგანოების, ისე სასამართლოს ფუნქციებს. მეორეც - აქედან პიროვნების შესახებ შეუცდომელი დასკვნის გაკეთება კატეგორიულად მაინც შეუძლებელი იქნება. ეს ყველაფერი კი ადასტურებს იმ დებულების სისწორეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან დიდი ხნის შემდეგ ქმედების სუბიექტის პიროვნებაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასამართლოს შეუცდომელი სურათის შექმნა არ შეუძლია, რის გამოც სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელი ხდება.

ქმედების ჩადენის შემდეგ გარკვეული ვადის გასვლით იქმნება საშიშროება, რომ დრომ იმოქმედოს პიროვნებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ორი სხვადასხვა პიროვნება შეგვჩნება: ერთი, ქმედების ჩამდენი, მეორე, ის, ვისაც ვსჯით (ვაკისრებთ პასუხისმგებლობას). ამასთან, დანაშაული ამ უკანასკნელის პიროვნების სიმპტომი არ არის. გამოდის, რომ ვსჯით სხვა პიროვნებას. ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, როგორ უნდა მოხდეს სასჯელის ინდივიდუალიზაცია? მისი ზომის განსაზღვრა? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: სასჯელის ინდივიდუალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ახალი, შეცვლილი პიროვნების გამოკვლევით. შესაძლებელია კი ასეთი რამ? როგორ უნდა მოხდეს შეცვლილი პიროვნების შესწავლა-შეფასება? რა საშუალებებს ფლობს სამართალდამცავი თუ მართლმსაჯულების ორგანო ამისათვის? ამის პასუხად შეიძლება ითქვას ერთადერთი: შეცვლილი პიროვნების დადგენის უტყუარი საშუალება, რომელიც შეიძლება სასამართლომ წარმატებით გამოიყენოს, არ არსებობს. აქ გასათვალისწინებელია გარკვეული მიზეზით თვალთმაქცობა, ინფორმაციის წყაროს არაობიექტურობა... საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით კი ყოველი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოვალეობისადმი პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც ქმედებაში ვლინდება. სისხლის სამართალში ქმედების წინა პლანზე დაყენება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის შეფასების საფუძვლად სისხლის სამართალი აღიარებს უპირველესად ქმედებას, რადგან ქმედებაში პოულობს საბოლოოდ გამოვლენას პირის ის შინაგანი ტენდენციები, რომლებიც კანონმდებლის აზრით, გაკიცხვას იმსახურებს. სწორედ ქმედება არის პიროვნებისა და გარესამყაროს გადაკვეთის წერტილი.

²³⁵ ცინცაძე გ., *გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა*, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1975, 158. ავტორს აღნიშნული აზრი ციტირებული აქვს ნაშრომიდან: Jaspers K., *Allgemeine Psychopathologie*, 7 auf., 541

²³⁶ იქვე, 291

აზრები, ფიქრები არ ისჯება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ისინი ჯერ არ გამოხატულა ობიექტურად, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ისინი შეიძლება შეიცვალოს და არ განხორციელდეს. ამდენად, შინაგანი პროცესების დასრულებული სახე მხოლოდ ქმედებაში ვლინდება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემდეგ არაფერი იცვლება. პირიქით, ქმედების შემდეგაც განუწყვეტლივ მიდის ცვლილებები პიროვნებაში, თუმცა, სამწუხაროდ, უცნობი მიმართულებით. ისინი ასევე უცნობი დარჩება, სანამ შემდგომ ობიექტურ გამოხატულებს არ ჰპოვებს. ამიტომაც არის, რომ ქმედება არ არის მარტო ობიექტური, ისევე, როგორც უკვე არ არის მარტო სუბიექტური. ის სუბიექტურისა და ობიექტურის ერთობლიობაა, რის გამოც აქვს კიდევ ფინალური ბუნება. ამასთან, სისხლის სამართლის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დამადასტურებელი არის მხოლოდ დანაშაული. ამდენად, დანაშაულის გარეშე შეუძლებელია საუბარი უპასუხისმგებლობის, როგორც გარეშე თვალისგან ფარული შინაგანი პროცესის, არსებობაზე.

ქმედება ზეგავლენას ახდენს ობიექტურ სამყაროზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედება მიზეზობრივი კავშირის ძალით იწვევს შედეგს. შედეგი კი არის სამყაროში ცვლილებების გამოწვევა. ამდენად, ქმედების გავლენა ობიექტურ სამყაროზე აშკარაა. თუმცა ქმედების გავლენა ამით არ ამოიწურება და ის სუბიექტურ სფეროშიც ინაცვლებს. ეს ვლინდება ადამიანის ქცევის მიზნით დეტერმინაციაში. ვინაიდან სხვისი მაგალითი მოქმედებს ხშირ შემთხვევაში ადამიანის ქცევაზე, ამდენად, დაუსჯელი ქმედება საზოგადოების სხვა წევრების მიერ დანაშაულებრივი ქმედების მასტიმულირებელია.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქმედება და მისი შედეგი გავლენას ახდენს ქმედების სუბიექტსა და საზოგადოების სხვა წევრებზე ქცევის ხერხების შერჩევის პროცესში. ეს არის ზოგადი წესი, მაგრამ საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღნიშნული ქმედების გავლენა ობიექტურად არ ვლინდება? აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ქმედების სუბიექტი არ ჩადის ახალ დანაშაულებრივ ქმედებას. ასევე ისეთი შემთხვევები, როცა ქმედებას არ მოჰყვება სხვების მიერ მისი გავლენით დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა. ამ დროს არ არსებობს პასუხისმგებლობის ზომის ზუსტად შერჩევის საფუძველი - ამჟამად სამართლის ნორმის მოთხოვნისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. ამავე დროს შეიძლება საუბარი ქმედების დადებით გავლენაზე, ვინაიდან, თუ პირმა არ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, ეს შესაძლებელია მომხდარიყო იმ მიზეზით, რომ პირის ცნობიერებაში მოხდა ჩადენილის უარყოფითი შეფასება, სუბიექტმა ვერ მიიღო ის დადებითი შედეგი, რასაც მოელოდა, მასში გაიღვიძა სინდისმა, სინანულმა, შიშმა და ა. შ. ასეთ ვითარებაში ქმედება უკვე არ არის სუბიექტის პიროვნების სიმპტომი, ვინაიდან ქმედების ჩადენის შემდეგ სუბიექტში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ვინაიდან აღნიშნულის უარყოფისათვის საკმარისი ობიექტური მონაცემები არ არსებობს, ამიტომ იგარაუდება უკეთესი.

რაც შეეხება საზოგადოების წევრებზე ქმედების გავლენას, შეიძლება ითქვას, რომ ქმედება საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ფაქტობრივად, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ქმედებები ქმნის. ბუნებრივია, თუ ქმედების შესახებ არაფერია ცნობილი გარშემომყოფთათვის, ის ვერ მოახდენს საზოგადოებაზე ფსიქიკურ გავლენას და შემოიფარგლება მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებით. მართალია, ლატენტური დანაშაულის შედეგმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მოვლენათა განვითარება საზოგადოებაში, მაგრამ ამ

შემთხვევაში, ვინაიდან საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი იმ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, რომელმაც გამოიწვია მოცემული შედეგი, ამდენად, კონკრეტული დანაშაული არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ზოგადი პრევენციის დამაბრკოლებელი გარემოება - ახალი დანაშაულების წამახალისებელი ან ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ხელისშემშლელი გარემოება. დანაშაულებრივი ქმედება სწორედ იმიტომ ისჯება, რომ ხელყო რა სამართლებრივი ღირებულება და გამოიწვია გარკვეული შედეგი, ის უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ქმედების სუბიექტზე, ასევე საზოგადოების სხვა წევრებზე. ამიტომ საზოგადოებაში წესრიგის დამყარება ითხოვს საზოგადოების წევრებსა და ქმედების სუბიექტზე ისეთ ზემოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ერთი მხრივ, ქმედებასა და სუბიექტს შორის, მეორე მხრივ, საზოგადოების წევრებს შორის იქმნება გარკვეული კავშირი. ქმედების დასჯა კი აქარწყლებს ამ უარყოფით ზეგავლენას, რის შედეგადაც ხდება ადამიანთა მართლზომიერი ქცევის წახალისება.

ლატენტური დანაშაულის პირობებში დროთა განმავლობაში ახალი დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის ვითარებაში ეს კავშირი არ არსებობს. ქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს მხოლოდ აწმყო დროში. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები იცვლება დროთა განმავლობაში და ახალ ურთიერთობას ახალი ქმედებები ქმნის. ლატენტური დანაშაულები კი მოკლებულია შესაძლებლობას, უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე როგორც აწმყო დროში, ისე მომავალში.

სამაგიეროდ პირის გათავისუფლება დასჯისაგან შეიძლება გახდეს ხანგრძლივი დროის შემდეგ ლატენტური დანაშაულების გამოვლენის წინაპირობა. დიდი ხნის განმავლობაში სასჯელის, საზოგადოების რისხვის შიშის ქვეშ მყოფი ქმედების სუბიექტი, დაზარალებული ან მოწმე ბუნებრივია, შეიძლება მაღავედნენ ქმედებას, მაგრამ მას მერე, რაც უკვე სასჯელის, საზოგადოების მხრიდან რისხვის საფრთხე გადაივლის, შესაძლებელია ეს ქმედება გამოვლენილ იქნეს. მართალია, ამ შემთხვევაში მასზე სამართლებრივი რეაგირება არ მოხდება, თუმცა ამას შეუძლია ლატენტური დანაშაულების გამოვლენის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის, მათი ჩადენის საშუალებების კვლევის საქმეში დიდი დახმარება გაუწიოს შესაბამის დაწესებულებებს.

გამოიკვეთა ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის პირველი მიზეზი: ქმედების სუბიექტის პიროვნების შესახებ მტკიცებულებების არარსებობა. აღნიშნულს მოსდევს მეორე მიზეზი: ყოველგვარი ეჭვი სუბიექტის სასარგებლოდ წყდება. ხანდაზმულობის ეს ორი საწყისი პროცესუალური ხასიათისაა, რაშიც ვლინდება კიდევ ამ ცნების პროცესუალური ბუნება. შემდგომი არგუმენტი, რომელსაც ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის გამყარების პროცესში განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება, ესაა დროის ყოვლისმომცველი ძალა და მისი მოქმედება პიროვნებაზე. აღნიშნულთან ახლოს დგას, თუმცა მაინც ცალკე გამოყოფას იმსახურებს პიროვნებაში დადებითი ცვლილებების (გამოსწორება, პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენა) შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება წინამორბედისაგან, რომ მასში შეფასებითი ელემენტია შესული. ამასთან, ისინი მატერიალურ მიზეზებს მიეკუთვნება, რაც ადასტურებს ხანდაზმულობის მატერიალურ ბუნებას. ამდენად, ხანდაზმულობის ორმაგი ბუნება მისი ლეგიტიმაციის საფუძვლებშიც ვლინდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის ობიექტური საფუძველიც. ესაა ქმედების მიერ თავისი ფსიქოლოგიური თუ სოციალური მნიშვნელობის დაკარგვა, რის შედეგადაც ის უკვე არ განიხილება

საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის აქტუალურ მოვლენად, წარსულს ჩაბარდა და სამართლებრივ რეაგირებას არ იმსახურებს. აღნიშნულის გამო საზოგადოება ტოლერანტობით ეკიდება მას, რათა ხანგრძლივი დროის შემდეგ ქმედების გამომჟღავნებით მოხდეს საკითხის კრიმინოლოგიურ-კრიმინალისტიკური შესწავლა-დამუშავება და ამ გზით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ მთავარი: ხანდაზმულობის პრობლემატურობა დაკავშირებულია ლატენტური დანაშაულების არსებობაზე. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მიუხედავად ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღნიშნულს პასუხისმგებლობის დაკისრება არ მოჰყოლია. ასეთ ვითარებაში, გარდა ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის სუბიექტური საფუძვლისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თავს იჩენს ობიექტური საფუძველიც. ეს არის ქმედების არააქტუალობა და საზოგადოების მიერ ქმედების „ისტორიის კუთვნილებად“ მიჩნევა. ამასთან, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი: ვინაიდან დანაშაულის აღმოჩენა სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა, ამდენად ლატენტური დანაშაული მათი მუშაობის ხარვეზს შეიძლება დაუკავშირდეს. ამიტომაც დიდი ხნის შემდეგ სრულიად არაადეკვატურ სიტუაციაში, დავიწყებული ქმედების საფუძველზე სუბიექტის დასჯა იქნებოდა სახელმწიფო ორგანოების შეცდომების ქმედების სუბიექტზე გადაბრალება.

იგივე სიტუაციაა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის შემთხვევაშიც. კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დიდი ხნის განმავლობაში აღსასრულებლად მიქცევის გარეშე დატოვების დროს დგება საკითხი განაჩენის „მოძველებისა“, რაც შეიძლება შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ამიტომაც დანიშნული სასჯელის განსაზღვრულ ვადაზე მეტი დროის გასვლის შემდეგ მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა იქნებოდა სხვისი ბრალის მსჯავრდებულისათვის გადაკისრება. ამდენად, ორივე სახის ხანდაზმულობა პიროვნების ინტერესების დაცვის საშუალებაა, რაც ვლინდება როგორც „მოძველებული“ ქმედებისა და განაჩენის, ასევე სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობისა და სასჯელის თავიდან აცილებაში.

როგორც ჩანს, ხანდაზმულობის საწყისი არის პროცესუალურ მიზეზზე (მტკიცებულებების არარსებობა და *in dubio pro reo*) დამყარებული ქმედების ჩამდენის პიროვნებასთან (პიროვნების პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენის, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა), ქმედებასთან (ქმედების მიერ გავლენის მომხდენი ძალის დაკარგვა) და საზოგადოებასთან (საზოგადოებაში ქმედებისა და სუბიექტის დასჯის მუხტის გაქრობა) დაკავშირებული მატერიალური საფუძველი.

ხანდაზმულობის გამამართლებელი ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველები ლოგიკურად გამომდინარეობს ერთმანეთისაგან. კერძოდ, ქმედების სუბიექტის ქმედებისადმი ამჟამად არსებული დამოკიდებულების შესახებ მტკიცებულებების არარსებობა ლოგიკურად მოითხოვს ეჭვის სუბიექტის სასარგებლოდ გადაწყვეტას. ეჭვი კი იმის თაობაზე არსებობს, აწმყოში სუბიექტი კანონით დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს თუ არა. ვინაიდან დროს ცვლილებები მოაქვს, სავსებით შესაძლებელია დადებითი ცვლილებები პიროვნებაშიც. ასეთ ვითარებაში ეჭვის სუბიექტის სასარგებლოდ გადაწყვეტა მოითხოვს, ვივარაუდოთ, რომ ახალი დანაშაულის არარსებობის პირობებში პირი უკვე კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობებს. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის მიზანი უკვე მიღწეულია, რის გამოც მის დაკისრებას აზრი

ეკარგება. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის რეალურ საფუძვლებს.

1.2.7. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები

1.2.7.1. ხანდაზმულობა და ნასამართლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლას მოჰყვება პასუხისმგებლობის დაწესების გამორიცხვა, ხოლო 76-ე მუხლის თანახმად – სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. ამდენად, ამ ორი სახის ხანდაზმულობას განსხვავებული სამართლებრივი შედეგები ახლავს თან. პირველ შემთხვევაში გამორიცხება მისი ქმედებით გამოწვეული უარყოფითი დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლენა (უარყოფითი შეფასება, სასჯელის ზომა, ნასამართლობა). მეორე შემთხვევაში კი - მხოლოდ სასჯელი. პასუხისმგებლობის გამორიცხვით პირი არანაირ უარყოფით შედეგს არ განიცდის და ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაული იურიდიულად არ არსებობს, ხოლო სასჯელისაგან გათავისუფლების დროს დანაშაული იურიდიულად დგინდება, რის გამოც პირი იკიცხება, თუმცა თავისუფლდება სასჯელისაგან. მიუხედავად ამისა, პირი მაინც განიცდის მის მიმართ სახელმწიფოს უარყოფით დამოკიდებულებას როგორც გაკიცხვით, ასევე ნასამართლობით. მეცნიერებს შორის იყო კამათი იმის შესახებ, როგორ უნდა გადაწყდეს ნასამართლობის საკითხი ხანდაზმულობის სხვადასხვა სახის შემთხვევაში.

ზოგი მეცნიერის მიერ „ნასამართლობა გაგებულია, როგორც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის პირის გასამართლების ოფიციალურად დადასტურებული ფაქტი.“²³⁷ აღნიშნული მოსაზრება განვრცობილი აქვს ვ. მალკოვს, რომელიც ნასამართლობას უკავშირებს პირის საზოგადოებრივ საშიშროებას, რის გამოც საჭიროა მსჯავრდებულის ქცევაზე სახელმწიფო კონტროლი პირის საბოლოოდ გამოსწორებამდე.²³⁸ მ. შარგოროდსკის მიხედვით, ნასამართლობა გამოხატავს არა გასამართლების, არამედ სასჯელის მოხდის ფაქტს.²³⁹ აღნიშნულ მოსაზრებებთან ახლოს დგას, თუმცა უფრო სრულად ასახავს ნასამართლობის არსს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნასამართლობა არის პირის განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც გასამართლების შედეგი.²⁴⁰

ნასამართლობის არსებობის საფუძვლად მიიჩნევენ პირის საზოგადოებრივ საშიშროებას. ა. სანტალოვი აღნიშნავს, რომ საზოგადოება ერთბაშად ვერ დაივიწყებს დანაშაულს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ სასჯელმოხდელი პირი დაამტკიცებს გამოსწორებას.²⁴¹ პირის საზოგადოებრივ

²³⁷ ა. სანტალოვის დასახ. ნაშრ, 74; აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ა. იგნატოვიც: Игнатов А. Н. *Погашение и снятие судимости*, - в кн. Курс советского уголовного права, М, 1970, т.3, 310

²³⁸ იხ. Малков В. П. *Повторность преступлений*. Казань, 1970, 54

²³⁹ იხ. Шаргородский М. Д. *Погашение судимости*, - в кн. Комментарий УК РСФСР, Л, 1962, 133

²⁴⁰ იხ. Дурманов Н. Д. *Давность и погашение судимости*, М, 1939, 16-17; Ераксин В. В., Помчалов Л. Ф. *Погашение и снятие судимости в советском уголовном праве*, М, 1964, 6; Голина В. В. *Погашение и снятие судимости по советскому уголовному праву*, Харьков, 1979, 9

²⁴¹ იხ. ა. სანტალოვის დასახ. ნაშრ, 81-82

საშიშროებასა და მის გამოსწორებას უკავშირებს ნასამართლობას ს. ზელდოვიც.²⁴²

ვ. ერაქსინს და ლ. პომჩალოვს მიაჩნიათ, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა აქარწყლებს ნასამართლობას, რადგან პირი უკვე არაა საზოგადოებრივად საშიში.²⁴³ ამას ი. ტკაჩევსკი უპირისპირებს არგუმენტს, რომ პირი შეიძლება გამოსწორდეს და სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუმცა ის რჩება ნასამართლევით. აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ხანდაზმულობის საფუძველი არის არა პირის საზოგადოებრივი საშიშროების არქონა, არამედ რაღაც სხვა. მას უსამართლოდ მიაჩნია, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირი შეიძლება ნასამართლობისგანაც გათავისუფლდეს, როცა სასჯელმოხდილი პირდაპირ არ თავისუფლდება ნასამართლობისგან.²⁴⁴ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით იმ გარემოების გამო, რომ სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში დანაშაული დადგენილია და შესაბამისი პასუხისმგებლობა დაწესებული. ეს კი განსხვავდება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევისგან იმით, რომ ამ დროს დანაშაული იურიდიული მნიშვნელობით არა გვაქვს და არც პასუხისმგებლობა შესაძლებელი რაიმე ფორმით, თუნდაც მხოლოდ ნასამართლობით.

ვინაიდან ნასამართლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის ნაწილია, ის გამოხატავს პიროვნებაში ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების არარსებობის ვითარებას. პასუხისმგებლური დამოკიდებულება კი მაშინ არის, როცა, სურვილისა და შინაგანი მოთხოვნების მიუხედავად, პირი აცნობიერებს ნორმის მოთხოვნის შესრულების აუცილებლობას და ამის საფუძველზე მართლზომიერად მოქმედებს. ვინაიდან ნასამართლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის ბოლო სტადიად შეიძლება ჩაითვალოს, ამდენად, ნასამართლობის ვადის გასვლას უნდა მოჰყვეს პირის დაბრუნება იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფებოდა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე. ახალი დანაშაულის არარსებობა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნები მიღწეულია. ამიტომაც ნასამართლობის ვადის გასვლით პირს აღუდგება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე არსებული სტატუსი სრულად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნასამართლობის ვადის გასვლა არის ნეგატიური პასუხისმგებლობის დასრულების მომასწავებელი. ამ კუთხით ნასამართლობა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას ჰგავს. ამიტომაც საინტერესოა ნასამართლობისა და ხანდაზმულობის მიმართება.

ხანდაზმულობა თავისი ნიშნებით ძალიან ჰგავს ნასამართლობას. პირველი მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ ორივე დაკავშირებულია დროსთან. უფრო სწორედ, ორივე არის დროის გამოვლენის თავისებური ფორმა სამართალში. ამიტომ მათ ახასიათებს ის თვისებები, რაც ზოგადად სამართლებრივი დროისათვის არის დამახასიათებელი. ამ მსგავსებასთან ერთად არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება: ნასამართლობა უშუალოდ განსაზღვრული ვადის გასვლამდე არსებულ მოვლენას ეწოდება მაშინ, როცა ხანდაზმულობა არის განსაზღვრული დროის გასვლის შედეგი. მართლაც, პირზე ნასამართლევითქმის მანამ, სანამ ნასამართლობის ვადა არ გავა, ხოლო ქმედებაზე ხანდაზმული ითქმის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული განსხვავება

²⁴² იხ. Зельдов С. И., *Если Человек судим*, в кн. Закон и мы, Орджоникидзе, 1975, 97

²⁴³ იხ. ვ. ერაქსინისა და ლ. პომჩალოვის დასახ. ნაშრ., 25

²⁴⁴ იხ. Ткачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, М, 1978, 80-82

მეტყველებს ამ ორი ცნების არსობრივ განსხვავებაზე. აღნიშნულზე მიუთითებს ნასამართლობის ცნების განსაზღვრებაც, სადაც საუბარია ქმედების სუბიექტის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ანუ იმაზე, რომ პირი ჯერ არ ითვლება გამოსწორებულად. ეს ასეა, რადგან ნასამართლობა ითვლება სასჯელის მოხდის შემდეგ დაწესებულ დამატებით გამოსაცდელ ვადად, რომლის განმავლობაში პირის მიმართ ნდობა უნდა აღსდგეს ახალი დანაშაულის არარსებობის ვითარებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსწორება ნასამართლობის გაქარწყლების ან ვადადგე მოხსნის საფუძველია. ამის საპირისპიროდ, ხანდაზმულობა საპირისპირო მოვლენას ასახავს, ვინაიდან ამ დროს დანაშაული იურიდიულად არ არსებობს, არ ხდება ქმედების შეფასება, შესაბამისად, არც ბრალი დგინდება. აღნიშნულს ადასტურებს ნასამართლობისა და ხანდაზმულობის ადგილიც სისხლის სამართლის ცნებათა სისტემაში. კერძოდ, ნასამართლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის სტრუქტურაში შემავალი, მისი ბოლო სტადიაა მაშინ, როცა ხანდაზმულობა ნეგატიური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. ამდენად, ეს ორი ცნება, მსგავსებების მიუხედავად, ურთიერთსაწინააღმდეგო არსს გამოხატავს.

ხანდაზმულობის შემთხვევაში ქმედება პირისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, ხოლო ნასამართლობის მოხსნით ან გაქარწყლებით მთავრდება ნეგატიური პასუხისმგებლობა. საბოლოოდ კი, ორივე შემთხვევაში ითვლება, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება კარგავს სისხლის სამართლებრივ მნიშვნელობას.

ნასამართლობის გაქარწყლების შემთხვევაში მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დამრღვევი პირი უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას. ამიტომ აქ საჭიროა დანაშაულის „დავიწყება“, „გაქრობა“, არარსებულად მიჩნევა. ხანდაზმულობის დროს საქმე სხვაგვარადაა. აქ უკვე ფიქციის ძალით სისხლისსამართლებრივად „ქრება“ არა დანაშაული, არამედ ჯერაც შეუფასებელი ქმედება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დამრღვევი პირი კი არ ბრუნდება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში, რომლიდანაც ის გავიდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით, არამედ პირი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან გასულად არ ითვლება, რადგან მას მართლზომიერი მოქმედების ვალდებულება არ დაურღვევია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენის ვარაუდისათვის აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მხრივ ქმედების სუბიექტზე რაღაცა ზომით ზემოქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი ზემოქმედება არ არის საჭირო. ამით აიხსნება სწორედ ის ვითარება, რომ ხანდაზმულობით ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა უფრო შემჭიდროებულ ვადებში ხდება, ვიდრე სასჯელისა და ნასამართლობის ვადების გასვლით ნეგატიური პასუხისმგებლობის მოხდა.

ი. ტკაჩევსკის უსამართლობად მიაჩნია, როცა ერთ შემთხვევაში პირი იხდის სასჯელს და მხოლოდ დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ ეხსნება ნასამართლობა, მეორე შემთხვევაში კი არ იხდის სასჯელს და ნასამართლობაც შედარებით მოკლე დროში ეხსნება ხანდაზმულობის ძალით.²⁴⁵ ეს გამოწვეულია იმით, რომ მხოლოდ სასჯელის მაქსიმუმის ტოლია ნასამართლობის ვადის დამატების გარეშე. მაგალითად, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დასჯადი დანაშაულების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადაა 2 წელი მაშინ, როცა ნასამართლობის ვადა იგივე დანაშაულისთვის შეიძლება იყოს სასჯელის

²⁴⁵ იხ. Ткачевский Ю. М., *Освобождение от отбывания наказания по действующим советским правом*, МГУ, 1965, т. 2, 583

მოხდის შემდგომ 1 ან 3 წელი. რაც იმას ნიშნავს, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადა გამოდის მთლიანობაში 5 წლამდე. ამიტომაც ვეთანხმებით ავტორის უარყოფით დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი.

ხანდაზმულობის ვადა შესაბამისობაში უნდა იყოს ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადასთან, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს ნასამართლობასაც. აღნიშნული პოზიციის სისწორეს ადასტურებს ის, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში პირის ყოფნის აღიარებას ნიშნავს ისევე, როგორც ეს ხდება ნეგატიური პასუხისმგებლობის მთლიანად მოხდისას. ამიტომაც, თუ ნეგატიური პასუხისმგებლობის განსაზღვრული ვადა სახელმწიფომ აუცილებლად მიიჩნია ამ მიზნის მიღწევისთვის, ის აუცილებელი ხდება ხანდაზმულობის შემთხვევაშიც. ამასთან, ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ დაუშვებელია ხანდაზმულობის ვადა იყოს ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადაზე ნაკლები. ჩვენი პოზიცია ემყარება იმას, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობა შეიძლება გამოვლინდეს სასჯელის მაქსიმუმის განსაზღვრასა და შესაბამისი ნასამართლობის ვადაში მაშინ, როცა ხანდაზმულობა უნდა აიგოს სასჯელის მინიმუმისა და შესაბამისი ნასამართლობის ვადის მიხედვით, ვინაიდან ხანდაზმულობა პირის სასარგებლოდ ვარაუდს გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში კი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ და უნდა ვივარაუდოთ, რომ განაჩენის დადგენის შემთხვევაში ის მიიღებდა სასჯელის მინიმუმს. ამ დებულებას ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის საფუძვლის განხილვისას განვაგრძობთ.

პ. მშვენიერადის აზრით, ნასამართლობა და ხანდაზმულობა სხვადასხვა ამოცანას ემსახურება, თუმცა გვანან ერთმანეთს, რადგან ორივე დროის მონაკვეთის გასვლას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, ერთი გულისხმობს სასჯელის მოხდას და ამის მერე დროის გასვლას, მეორე – ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან* გარკვეული დროის გასვლას. ავტორის აზრით, პირის გამოსწორება ნასამართლობის გაქარწყლების საფუძველია, ხანდაზმულობისა – არა.²⁴⁶ ის მართალია, როცა ამბობს, რომ ხანდაზმულობის საფუძველი პირის გამოსწორება არ არის.

ვერ დავეთანხმებით პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ნასამართლობის ვადის დენას, ვინაიდან ამით ერთმანეთში ირევა პასუხისმგებლობის ასპექტების შინაარსი. აქ ნასამართლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეთ მოიაზრება, რაც საკითხისადმი არასწორი მიდგომაა. სულ სხვა საკითხია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა, რომლის ვადის გასვლის შემდეგ ნასამართლობის ვადები განაგრძობს დენას.

დ. ხან-მაგამედოვის თქმით, ხანდაზმულობის გამო საქმის შეწყვეტისას პირი ითვლება ნასამართლობის მქონედ,²⁴⁷ რაც ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო მიუღებელია. ნ. დურმანოვის მიხედვით, ხანდაზმულობისას ისევე, როგორც გამართლებისას, პირი არაა ნასამართლვევი.²⁴⁸ ეს პოზიცია შესაბამისობაშია ხანდაზმულობის, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსთან.

ამახვილებს რა ყურადღებას ს. ზელდოვი ხანდაზმულობისა და ნასამართლობის ვადების შეუსაბამობაზე, ამბობს, რომ ხშირად ხანდაზმულობა

* ავტორი იყენებს ტერმინს „დანაშაულის ჩადენიდან“

²⁴⁶ იხ. პ. მშვენიერადის დასახ. ნაშრ., 177

²⁴⁷ იხ. Хан-магамедов Д. О., *Освобождение от наказания по советскому праву*, М., 1964, 10

²⁴⁸ იხ. Дурманов Н. Д., *Освобождение от наказания по советскому праву*, М., 1957, 36

უფრო ნაკლებ ვადას ითვალისწინებს, ვიდრე სასჯელი და ნასამართლობა.²⁴⁹ ამ შემთხვევაში ავტორს უნდა დავეთანხმეთ.

ხანდაზმულობის ძალით ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა ძალიან ჰგავს ნასამართლობის გაქარწყლებას, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ნეგატიური პასუხისმგებლობის არარსებობასთან გვაქვს საქმე. ეს კი, თავის მხრივ, ნასამართლობის გაქარწყლებისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის საერთო საწყისზე მიუთითებს.

ი. ტკაჩევსკი გვთავაზობს, ხანდაზმულობის ვადა განისაზღვროს იმაზე მეტი დროით, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც ემუქრება პირს კონკრეტული ქმედების დანაშაულად მიჩნევის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ხედავს საკითხის უსამართლოდ გადაწყვეტის საშიშროებას.²⁵⁰ ეს დებულება საინტერესოა და მასზე სპეციალურად შეფხერდებით ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის შესახებ პარაგრაფში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლობის არმქონედ, ვინაიდან ხანდაზმულობის ეს სახე გულისხმობს კეთილსინდისიერების ვარაუდს და გამორიცხავს ნეგატიურ პასუხისმგებლობას. ამასთან, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლევად.

12.7.2. ხანდაზმულობის სხვა შედეგები

ხანდაზმულობა გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, (პროცესუალური მხარე) პასუხისმგებლობის დაკისრებას, სასჯელის მოხდას (მატერიალური მხარე). არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ პოზიცია, რომლის მიხედვითაც სასჯელის აღსრულების (და არა პასუხისგებაში მიცემის) ხანდაზმულობა აქარწყლებს თვით დანაშაულის ფაქტს (იურიდიული გაგებით, სამართლებრივი შედეგების მიხედვით და არა სოციოლოგიური გაგებით), როგორც ფრანგი იურისტები: მანჟენი და კუტურიე აღნიშნავენ, ვინაიდან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ წყდება სასჯელისაგან გათავისუფლებით, ის გრძელდება ნასამართლობით, რაც დანაშაულის ერთ-ერთი სამართლებრივი შედეგია. თუ მივიჩნევდით, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა დანაშაულის არსებობას აქარწყლებს, მაშინ ნასამართლობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცლებოდა. რაც შეეხება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას, ამ შემთხვევაში ჩვენ იურიდიული გაგებით დანაშაულთან ჯერაც არა გვაქვს საქმე. გვაქვს მხოლოდ გამოსაძიებელი ქმედება, ამიტომ ზედმეტია საუბარი ამ შემთხვევაში დანაშაულის გაქარწყლებაზე.

რაც შეეხება ქმედებას, ამ კუთხით უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობა მისი ჩადენის ფაქტს ვერ გააქრობს, მაგრამ მისი ჩამდენის მიმართ სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, სწორედ ქმედების იურიდიულ კვალიფიკაციაზე

²⁴⁹ იხ. Зельдов С., *Соотношение сроков давности привлечения к уголовной ответственности и погашения судимости*, в: «Советская юстиция», №12, 1967, 8

²⁵⁰ იხ. Ткачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, изд. московского университета, 1978, 41

უარის თქმასთან გვაქვს საქმე, რადგან მას არანაირი სისხლისსამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

გერმანიაში გავრცელებული შეხედულებით ხანდაზმულობა აქრობს მხოლოდ პირის პასუხისმგებლობას და ათავისუფლებს მას ყველა სახის შეზღუდვისგან, რაც უნდა დამდგარიყო განაჩენით.²⁵¹ ხანდაზმულობის ასეთი გავლენა არ უნდა გავუთანაბროთ გამართლებას, რადგან გამართლება საქმის არსებითი განხილვის შედეგია, ხანდაზმულობა კი მხოლოდ შემდგომ დევნას გამორიცხავს, არ ეხება რა ბრალის საკითხს და არ აუქმებს იმ შედეგებს, რომელიც მოჰყვება ქმედებებს, აღებულს პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებლად (იგულისხმება ქმედების მიერ გამოწვეული არასისხლისსამართლებრივი შედეგები). მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში მემკვიდრეობის გასხვისების ნამდვილობას, დამყარებულს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტსა და ნასყიდობს ხელშეკრულებაზე...

საპირისპიროდ აა ეს საკითხი გადაწყვეტილი საფრანგეთში. მანქენის მიხედვით ხანდაზმულობა იწვევს ვარაუდს, რომ დანაშაულებრივი ქმედება არასდროს მომხდარა.²⁵² უკვე ჩადენილ ქმედებას ხანდაზმულობა ვერ გააქრობს, რადგან ხანდაზმულობა სისხლის სამართლის ფარგლებში პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობა არ ვრცელდება სხვა დარგზე. მართალია, ხანდაზმულობა არსებობს სამოქალაქო სამართალშიც, მაგრამ იქ მას განსხვავებული წინაპირობები, ვადები და შედეგები ახასიათებს, რის გამოც ის სამოქალაქო სამართლის ცნებაა და მოქმედების ცალკე სფერო აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ ხანდაზმულობას არ შესწევს უნარი, გააქარწყლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულსამართლებრივი თუ სხვა დარგისთვის დამახასიათებელი შედეგები კონკრეტული ქმედებისა. ამიტომაც მიუღებელია აზრი, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ქმედების არსებობას აუქმებს, რის გამოც მას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

გერმანულ და ფრანგულ თეორიას შორის განსხვავება თავს იჩენს შემდეგი კითხვის პასუხში: ვრცელდება თუ არა ხანდაზმულობა სამოქალაქო სარჩელზე? გერმანელი მეცნიერების მიხედვით, ხანდაზმულობა პირს სამოქალაქო სარჩელისგან არ ათავისუფლებს. ფრანგი მეცნიერების მიხედვით კი ხანდაზმულობა სამოქალაქო სარჩელსაც ეხება, რადგან ის აუქმებს ქმედებას. რომის სამართალი ამ საკითხს წყვეტდა გერმანული თეორიის ანალოგიურად. საფრანგეთში სამოქალაქო სარჩელი ემორჩილება ხანდაზმულობას, თუ ის სისხლის სამართლის საქმეზე არის შეტანილი, ხოლო თუ ცალკეა წარდგენილი სამოქალაქო წესით, მოქმედებს სხვა ხანდაზმულობა.²⁵³

ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაშია მისაღები, რომ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის გარეშე მიუღებელია იმაზე საუბარი, დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის საფუძველია დანაშაულის არსებობა. ამას ადასტურებს საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის I ნაწილი, რომლის მიხედვითაც პირს,

²⁵¹ აღნიშნული პოზიცია ეჭირათ ჯერ კიდევ ენგაუს, გრიუნდლერს, დამბახს, უნტერპონცლერს, კიოსტლინს... აღნიშნული კრიმინალისტების აზრი განხილულია ვ. საბლერის დასახ. ნაშრ.-ში, გვ. 317-318

²⁵² ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ ქმედების შედეგებთან დაკავშირებულ განსხვავებულ პოზიციებს გერმანულ და ფრანგ მეცნიერთა შორის განიხილავს ვ. საბლერი, დასახელებულ ნაშრომში, გვ. 319-322

²⁵³ იქვე-320-322

რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღება ზიანი, უფლება აქვს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ხანდაზმულობის არსებობისას არ ხდება, რის გამოც სამოქალაქო სარჩელი ამ შემთხვევაში არ შეიძლება დაკმაყოფილდეს სისხლის სამართლის წესით.

ი. ტკანვესკის მიხედვით, ხანდაზმულობა ნიშნავს სასჯელისგან გათავისუფლებას, პასუხისმგებაში მიცემის, საგამოძიებო მოქმედებების წარმოების, საქმის აღძვრის გამორიცხვას.²⁵⁴ აღნიშნული მოსაზრებები ადასტურებს, რომ ქმედებას მისი ჩამდენის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით იურიდიული ძალა ეკარგება. ამიტომ არ შეიძლება მართებულად იქნეს მიჩნეული აღნიშნულის საწინააღმდეგო მოსაზრებები.

არასწორია მტკიცება, რომ თუ წინასწარ გამოძიებაში დადგინდა პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის არსებობა, საქმე შეწყდება, სასამართლოში დადგენისას – პირი გამამტყუნებელი განაჩენით გათავისუფლება სასჯელისაგან, ხოლო თუ ზედგომი სასამართლო აღმოაჩენს ხანდაზმულობის ვადის გასვლას, საქმე შეწყდება.²⁵⁵ ამ მტკიცებაში არასწორია სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელისაგან გათავისუფლება, ვინაიდან აღნიშნული არ არის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, არამედ წარმოადგენს სასჯელისაგან გათავისუფლებას. პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობა კი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში დევნა უნდა შეწყდეს.

დენის ბოკის სტატიის მიხედვით, რომელიც ეხება ხანდაზმულობას, პროფესიული დანაშაულების შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხანდაზმული ქმედებებიც,²⁵⁶ რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ხანდაზმული ქმედების სამართლებრივი შეფასება დაუშვებელია იმის მიუხედავად, დამოუკიდებლად მოხდება მისი შეფასება თუ სხვა დანაშაულის შემადგენლობაში ან დანაშაულთა ერთობლიობის პირობებში.

დოქტორ ფერდინანდ გილმაისტერის სტატიიდან ირკვევა, რომ ხანდაზმული ქმედების გამოკვლევა დასაშვებია სხვა ქმედების საფუძველზე წარმოებული გამოძიების დროს, თუ ეს გარემოებები კავშირშია გამოსაძიებელი ქმედების ნიშნებთან, მის შეფასებასთან ან სასჯელის განსაზღვრასთან. ეს არ ეწინააღმდეგება ხანდაზმულობის არსს, რომელიც ქმედების არსებობას კი არ უარყოფს, არამედ მისი განსაზღვრული მუხლით კვალიფიკაციის შესაძლებლობას აუქმებს. აღნიშნული გარემოებები შეიძლება კავშირში იყოს ქმედების მოტივთან, ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებთან... მაგრამ ხანდაზმულ ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებები ახალი ქმედების მხოლოდ გარკვეულ ნიშნებზე უნდა მიუთითებდეს და არა მთლიან ქმედებაზე. ამიტომაც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ხანდაზმული ყაჩაღობის შემადგენლობის ჩადენისას გამოყენებული ძალადობის სახე და ინტენსივობა სხეულის დაზიანების საქმის განხილვისას (იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელისათვის ხანდაზმულობის ვადა ჯერ გასული არ არის) როგორც სასჯელის ზომის განსაზღვრის საფუძველი.²⁵⁷ აღნიშნულ მოსაზრებას ვეთანხმებით, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოცემული ქმედების ნიშნები სხვა დანაშაულის ნიშნებიცაა, გვაქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა, რაც

²⁵⁴ იხ. Ткачевский Ю. М. Давность в советском уголовном праве, 9

²⁵⁵ იხ. Дурманов Н. Д., *Освобождение от наказания по советскому праву*, М, 1957, 36

²⁵⁶ იხ. Bock D., *Die strafrechtliche Verfolgungsverjährung*, JuS 2006 Heft 1, 13

²⁵⁷ იხ. Gillmeister F., *Strafzumessung aus verjährten und eingestellten Straftaten*, NStZ 2000 Heft 7, 344-348

იმას ნიშნავს, რომ ქმედების ნიშნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა არ გასულა. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ასევე შემდეგი: ხანდაზმული გარყვნილი ქმედების შემადგენლობის დადგენა შეიძლება აუცილებელი იქნეს მკვლელობის მოტივაციის დასადგენად ან ხანდაზმული ცემის შემადგენლობის განხორციელება შეიძლება დასადგენი გახდეს შურისძიებით ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების გამოძიებისას და ა.შ. მართალია, ამ დროს გარყვნილი ქმედებისათვის ან ცემისთვის პირი არ დაისჯება, თუმცა მისმა დადგენამ შეიძლება ნათელყოს სხვა დანაშაულის რაიმე მნიშვნელოვანი ნიშანი.

ამდენად, ხანდაზმულობა აღნიშნული ქმედების კონკრეტულ დანაშაულად შეფასების გამომრიცხველი გარემოებაა, მაგრამ თუ იგივე ქმედება სხვა დანაშაულის ნაწილია და ამ დანაშაულზე ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა, ეს ქმედება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა თუ სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

12.8. ხანდაზმულობის ბუნება

სანამ ხანდაზმულობის ცნებას განვსაზღვრავდეთ სისხლის სამართალში, აუცილებელია ხანდაზმულობის იურიდიული ბუნების დაზუსტება. საკითხი შეეხება დავას მის მატერიალურ და პროცესუალურ ბუნებას შორის. ეს პრობლემა უკავშირდება როგორც ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის საფუძველს, ისე მის დოგმატიკურ სახეს. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს ორივე მიმართულებით.

გ. სკიბიცი და ი. ტკაჩევსკი აღიარებენ რა ხანდაზმულობის მატერიალურ ხასიათს, გვთავაზობენ კოდექსში გამოყენებული პროცესუალური ტერმინები შეეცვალოთ მატერიალურით. მაგალითად, სიტყვები: „პირი არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს, თუ...“ შეიცვალოს სიტყვებით: „პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ...“²⁵⁸ ამის საპირისპიროდ გ. სმოლნიკოვი ამბობს, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ცნებას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს სისხლისსამართლებრივი. სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული სახე ხანდაზმულობისა არის პროცესუალურ აქტებში.²⁵⁹ არც ერთ პოზიციას არ იზიარებს ნ. დურმანოვი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობას აქვს ორმაგი ბუნება: სასჯელისგან გათავისუფლება მატერიალურსამართლებრივი ცნებაა, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, რომლის დროსაც გამოირიცხება პასუხისგებაში მიცემა და გამოძიების წარმოება – პროცესუალური.²⁶⁰

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება აზრი ხანდაზმულობის კომპლექსური, კომბინირებული ბუნების შესახებ. ბ. გალკინის მიხედვით, ხანდაზმულობა

²⁵⁸ Ткачевский Ю. М., *Проблемы совершенствования института давности привлечения к уголовной ответственности*, - Актуальные проблемы уголовного права и криминологии: Сборник научных трудов, - М., 1981, 3-4; სკიბიციის დასახ. ნაშრ., 93

²⁵⁹ იხ. სმოლნიკოვის დასახ. ნაშრ., 27

²⁶⁰ იხ. Дурманов Н. Д., *Советский уголовный закон*, 33

ითავსებს საპროცესო და მატერიალურ ნიშნებს, რის გამოც ძნელია, ის რომელიმეს მიაკუთვნო.²⁶¹

გერმანელი კრიმინალისტები ძირითადად ხანდაზმულობის პროცესუალურ ბუნებას აღიარებენ,²⁶² თუმცა არიან მეცნიერები, რომლებიც ხანდაზმულობის ორმაგ ბუნებაზე საუბრობენ.²⁶³

პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აღნიშნული ხანდაზმულობა პროცესუალური მოქმედებების ჩატარების ხელისშემშლელი ფაქტორია, რის გამოც იგი პროცესუალურ ბუნებას ავლენს, თუმცა ის ასევე მატერიალური ბუნების არის, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მატერიალური ცნებაა.

მეორე მხრივ, პირის კეთილსინდისიერება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პრეზუმფციის ძალით ივარაუდება, რაც არის კიდევ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსობრივი მხარე.

პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ორმაგ ბუნებაზე მიუთითებს ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი, დასასრული და ვადის დენის პირობებიც. კერძოდ, ვადის დენის დაწყება უკავშირდება პირის გასვლას სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან, დასასრული უკავშირდება პასუხისმგებლობის დაკისრების შეუძლებლობას, ხოლო დენის პირობები არის როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური. მატერიალური ვლინდება საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე, ხოლო პროცესუალური - ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელებაში საპროცესო ურთიერთობის ფორმით, როგორც გამოძიების ვადა.

ამდენად, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ორმაგი ბუნებისაა. რაც შეეხება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას, ხანდაზმულობის ეს სახეც ორმაგი ბუნებისაა, რადგან ვადის დასაწყისი დაკავშირებულია პროცესუალურ აქტთან, ხოლო დასასრული - მატერიალური მნიშვნელობის მოვლენასთან.

ამდენად, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის მატერიალურსამართლებრივი ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეშვეობით პირი ვადის სასჯელაღსრულებითი ურთიერთობიდან და, მართალია, არასრულად, მაგრამ მაინც ბრუნდება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში. რაც შეეხება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის პროცესუალურ ბუნებას, ის უკავშირდება ვადის დენის დასაწყისს: განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას, რაც პროცესუალური აქტია. ამასთან, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა ასევე უკავშირდება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში მსჯავრდებულის ძეხვის გამოცხადებას, რაც ასევე პროცესუალური აქტია.

ამდენად, ირკვევა, რომ ხანდაზმულობა ორმაგი ბუნებისაა და ეს შეეხება როგორც ამ ცნებას ზოგადად, ისე მის თითოეულ სახეს.

²⁶¹ იხ. Галкин Б. А., *Единство основ уголовного судопроизводства союза ССР и союзных республик* – в сб.: Вопросы судопроизводства и судоустройства в новом законодательстве союза ССР, М, Госюриздат, 1959, 114-115

²⁶² იხ. გ. კლუგის დასახ. ნაშრ., 333-338; ფ. კალეველი-ადორნოს დასახ. ნაშრ., 273-275; უ. კლუგის დასახ. ნაშრ., 149-150; კ. როქსინის დასახ. ნაშრ., §23/51

²⁶³ იხ. Dreher E., Tröndle H., *StGB*, München, 1995, Rn. 4 vor §78; Fischer T., *Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 55. Aufl., München, 2008, 754; პ.პ. იემეკის დასახ. ნაშრ., 812f; Lackner K., *StGB*, München, 1997, Rn. 1 zu §78; Lackner/Kühl, *StGB*, 26. Aufl., 524; Pawlowski M., *Der Stand der rechtlichen Diskussion in der Frage der strafrechtlichen Verjährung*, NJW 1969, 594

1.2.9. ხანდაზმულობის ცნება

ხანდაზმულობის ცნების დადგენისათვის აუცილებელია მისი არსის – აუცილებელი შინაგანი კავშირების ერთობლიობის დადგენა. პირველი გაუგებრობა, რაც უკავშირდება ხანდაზმულობას, არის ის, რომ მეცნიერები მას განსაზღვრავენ, როგორც გარკვეულ ვადას, დროის მონაკვეთს. აღნიშნული მიდგომა არასწორია. სინამდვილეში ხანდაზმულობა არის არა ვადა, არამედ ვადის გასვლის შედეგი.

მეორე საკითხი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ თქმულს, არის ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის საფუძველი: გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ ხანდაზმულობის არსებობის აუცილებლობას.

ამასთან, ხანდაზმულობის ცნების დასადგენად მნიშვნელოვანია მისი ადგილის გათვალისწინება სისხლის სამართლის ცნებათა სისტემაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობის გვარობითი ცნებაა არა პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცნება, როგორც საბჭოთა კავშირში იყო მიღებული, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცნებები, ხოლო სისხლის სამართალში ხანდაზმულობის სახეებია პასუხისგებაში მიცემისა და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულობა სისხლის სამართალსა და სისხლის საპროცესო სამართალში არის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ვადის გასვლის შედეგი, რომელიც სამართლებრივი პრეზუმფციის ძალით, ქმედების შეფასებისაგან თავის შეკავების შედეგად აღიარებს პიროვნების კეთილსინდისიერებას ანუ ნდობას უცხადებს ქმედების სუბიექტს, რის გამოც გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი დევნა და ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან. ხანდაზმულობა უნდა მოვიხროთ, როგორც სოციალური ფუნქციონალური დროის, როგორც ქმნადობის გამოვლინება სამართალში. ის ეფუძნება შესაბამისი ობიექტური გამოვლენის გარეშე ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების დადგენის შეუძლებლობას, ქმედების სოციალური მნიშვნელობის არარსებობას, ქმედების სუბიექტის მიმართ საზოგადოების ტოლერანტულ პოზიციას.

თავი 2. ხანდაზმულობის დოგმატიკურ-პრაქტიკული გააზრება

§ 2.1. პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა

2.1.1. ხანდაზმულობის ვადების დიფერენციაცია

ხანდაზმულობის თეორიული გაანალიზების შემდეგ უნდა მოხდეს ანალიზი იმისა, რამდენად არის შეთანხმებული თეორიული საფუძვლები საკანონმდებლო კონსტრუქციასა და პრაქტიკასთან.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ გავიდა 2 წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც კოდექსით მაქსიმალური სასჯელი არის 2 წელი; 6 წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; 10 წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; 15 წელი სამოხელეო დანაშაულის ჩადენიდან, თუ ის არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; 25 წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.²⁶⁴ შენიშვნის სახით აქვე შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულობის არსის უფრო ზუსტად გამოსახატავად უმჯობესი იქნებოდა, სიტყვები: პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ... შეცვლილიყო სიტყვებით: „პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ...“ ამით ხაზი გაესმებოდა იმას, რომ პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხველი გარემოებაა.

როგორც მოყვანილი მუხლიდან ჩანს, ვადების დიფერენციაცია აგებულია დანაშაულის კატეგორიზაციის, სასჯელის მაქსიმუმისა და დანაშაულის გვარობითი ობიექტის მიხედვით. ადვილი შესამჩნევია, რომ კანონმა აირჩია ვადების დიფერენცირების რამდენიმე კრიტერიუმი. ერთი შეხედვით გაურკვეველია, რატომ უდევს საფუძვლად ხანდაზმულობის ვადების დიფერენციაციას აღნიშნული კრიტერიუმები. ამიტომ ამ საკითხს უფრო ღრმა შესწავლა სჭირდება, რაშიც დაგვეხმარება ხანდაზმულობის ვადების ისტორიული ექსკურსი.

2.1.1.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

ვადების დიფერენციაცია დანაშაულის კატეგორიზაციის მიხედვით სიახლე არ არის იმ გაგებით, რომ, როგორც პროფ. ბურკჰარდ იენკე აღნიშნავს,

²⁶⁴ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი. აღნიშნული სახით მოცემული მუხლი არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისის შეტანილი ცვლილებების შემდეგ. შდრ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი.

დანაშაულთა სახისა და სიმძიმის მიხედვით განსაზღვრავდა ხანდაზმულობის ვადებს ჯერ კიდევ გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.²⁶⁵

თავიდან ხანდაზმულობა განუსაზღვრელი ვადით არსებობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ იყო დადგენილი კონკრეტული ვადები, არამედ არსებობდა მხოლოდ ზოგადი ნორმა, რომ ხანგრძლივი დროის მერე პასუხისმგებლობს დაკისრება დაუშვებელ იყო. აღნიშნული სახით ხანდაზმულობის არსებობა კატეგორიულ ხასიათს მოკლებული იყო და სისხლის სამართლის პროცესის მხოლოდ შესაძლებელ შედეგად მიიჩნეოდა. შემდგომში ხანდაზმულობის კატეგორიულობასთან ერთად კონკრეტული ვადებიც გაჩნდა. ძველი რომი იცნობდა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ხანდაზმულობის ოცწლიან ვადას, სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის ხანდაზმულობის ოცდაათწლიან ვადას. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა რომის სამართალში არ არსებობდა.²⁶⁶ ევროპის სისხლის სამართლის კოდექსებში ხანდაზმულობის ცნება შევიდა სწორედ რომის სამართლის რეცეპციის შედეგად. ის გერმანიაში უცვლელად მიიღეს, საფრანგეთში კი გარდაქმნეს, თუმცა ხანდაზმულობა მხოლოდ ფრანგულ ჩვეულებით სამართალში არსებობდა და ითვალისწინებდა ათწლიან ვადას ყველაზე მძიმე დანაშაულებისთვის, ასევე ერთწლიან ვადას პირადი შეურაცხყოფისთვის.²⁶⁷

გერმანიის 1871 წლის კოდექსი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ოცწლიან ვადას იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც გათვალისწინებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა; თხუთმეტწლიან ხანდაზმულობის ვადას - იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც გათვალისწინებული იყო 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; სხვა დანაშაულისთვის - ხუთწლიან ვადას; იმ გადაცდომისთვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი 3 თვეზე მეტი ვადით, ხანდაზმულობა იყო 5 წელი, სხვა გადაცდომისთვის - 3 წელი; სხვა სახის დარღვევისას - 3 თვე.²⁶⁸

რუსეთში იყო XIX საუკუნის 70-იან წლებში ათწლიანი, რვაწლიანი, ხუთწლიანი, ორწლიანი, ერთწლიანი, ექვსთვიანი ვადები ცალკეული დანაშაულების მიხედვით.²⁶⁹

1924 წლის საბჭოთა კავშირის სსსრ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ძირითადმა საწყისებმა გაითვალისწინა შემდეგი ხანდაზმულობის ვადები: 10 წელი იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც კანონში გათვალისწინებულია სასჯელის სახით ხუთზე მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, 5 წელი იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია ერთზე მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წელი სხვა დანაშაულისთვის. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა იყო 10 წელი.²⁷⁰ ხანდაზმულობის შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი იცნობდა თხუთმეტწლიან ხანდაზმულობის საერთო ვადას. ზოგ სახელმწიფოში კი აღნიშნულ შემთხვევებში კანონით კონკრეტული კატეგორიის დანაშაულისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ორმაგდებოდა.

როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობის ვადები ისტორიულად უკავშირდებოდა დანაშაულის კატეგორიზაციას და მაქსიმალური შესაძლებელი სასჯელის

²⁶⁵ იხ. StGB Leipziger Kommentar, 11. Aufl., herausgegeben von Jänke B., Laufhütte H. W., Odersky W., 3. Band, Berlin, De Gruyter Recht, 2006, Vor § 78 (65)

²⁶⁶ იხ. საბლერის დასახ. ნაშრ., 12-14

²⁶⁷ იქვე, 18

²⁶⁸ იხ. მშენიერადის დასახ. ნაშრ., 15-16

²⁶⁹ იხ. საბლერის დასახ. ნაშრ., 249

²⁷⁰ იხ. Основные начала уголовного законодательства СССР и союзных республик, 1924, статья 10; Ткачевский, *Давность в советском уголовном праве*, 24

ზომას. აღნიშნული მოვლენა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში უნდა გამოვლინდეს ის კანონზომიერება, რასაც ეყრდნობა ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა.

2.1.12. ხანდაზმულობის ვადების აგების წესი დანაშაულთა კატეგორიზაციის ფარგლებში

ხანდაზმულობის ვადების აგების წესის აღმოჩენა ყოველთვის პრობლემატური იყო. ძირითადი ამოსავალი პრინციპის დაუდგენლობის გამო ბევრი მეცნიერი ხანდაზმულობის ვადების აგების რაიმე კანონზომიერებაზე საუბარს თავს არიდებს. ა. ეიდლშტაინი ამბობს, რომ, სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, სისხლის სამართალში ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხები საიდუმლოებითაა მოცული.²⁷¹ ვ. საბლერის აზრით, ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა ყოველთვის იქნება რამდენადმე თვითნებური. მისი თქმით, ზოგადი ამოსავალი წერტილი არის დანაშაულის სიმძიმე.²⁷²

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაირკვეს, ხანდაზმულობის კონკრეტულ ვადებს რაიმე მეცნიერული საფუძველი აქვს თუ ეს ვადები კანონმდებლის მიერ თვითნებურად განისაზღვრება. ჩნდება შეკითხვა: რატომ იწვევს პასუხისმგებლობის გამორიცხვას ზუსტად კანონში დადგენილი ვადა და არა სხვა? ვინაიდან ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა, მისი ვადების თვითნებურად განსაზღვრა დაუშვებელია. ის აუცილებლად კონკრეტულ მეცნიერულად დასაბუთებულ კანონზომიერებას უნდა დაეყრდნოს. დღემდე არ არის შემუშავებული ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის მეცნიერულად დასაბუთებული, მისაღები პრინციპი. აღნიშნულის გარეშე საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს ეფექტური მუშაობა, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ეჭვქვეშ დგება.

ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას, ისევე, როგორც პასუხისმგებლობისა და სასჯელის ვადების განსაზღვრისას, საქმე ეხება სუბიექტისა და საზოგადოების ინტერესებს შორის ბალანსს.²⁷³

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბერნერი, კრუგი, ოპენჰოფი ამტკიცებდნენ, რომ ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქნეს აღებული დანაშაულთა კატეგორიისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი.²⁷⁴ ამ მოსაზრების ძირითადი არგუმენტი გასაგებია: ავტორებს არ სურთ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად უფრო ადრე გამოირიცხოს პასუხისმგებლობა, ვიდრე პირის გასამართლების შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო.

²⁷¹ იხ. ა. ეიდლშტაინის დასახ. ნაშრ., 253-354

²⁷² იხ. საბლერი, დასახ. ნაშრ. 248

²⁷³ იხ. Dunn A., *Comment, Criminal Law - Statutes of Limitation on Sexual Assault Crimes: Has the Availability of DNA Evidence Rendered Them Obsolete?*, 23 U. Ark. Little Rock L. Rev., 2001, 839

²⁷⁴ აღნიშნული ავტორების აზრი მოყვანილი აქვს ვ. საბლერს დასახელებულ ნაშრომში, გვ. 253-259. ორიგინალში მათი გაცნობა შესაძლებელია ნაშრომებში: Berner, *Lehrbuch des Deutschen Strafrechts*, 5-te Aufl., Leipzig, 1871, 300; Krug, *Kommentar zum Strafgesetzbuche für das Königreich Sachsen*, 1855, Leipzig, 194-202; Oppenhoff, *Das Strafgesetzbuch fuer die Preußischen Staaten*, Berlin, 1867, Theil I, Tit. IV §§ 46-49

მოცემული აზრი უარყოფილია ა. მ. პოლინსკისა და ს. შაველის მიერ,²⁷⁵ თუმცა ზემოაღნიშნული მოსაზრება გააკრიტიკა ჯერ კიდევ ვ. საბლერმა, რომელიც ამბობს, რომ ზედმეტ სიმკაცრეს გამოვავლენთ, თუ ხანდაზმულობის ვადებს ავაგებთ მაქსიმალური სასჯელის მიხედვით, ვინაიდან შესაძლებელია, ქმედება მაქსიმალურ სასჯელს არ იმსახურებდეს. ავტორი ითხოვს, ხანდაზმულობის ვადა განისაზღვროს კონკრეტულად დანიშნული სასჯელის და არა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით.²⁷⁶

ვ. საბლერს თუ დავეთანხმებით, მაშინ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად სასამართლო გამოძიება უნდა ჩატარდეს და სასჯელი დაინიშნოს. თუ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ტოლი ვადა გასული იქნება ქმედების შემადგენლობიდან სასჯელის დანიშვნამდე, მაშინ ჩაითვლება, რომ ხანდაზმულობის ვადა გასულია და პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ასეთი მიდგომა მიუღებელია, ვინაიდან ხანდაზმულობის ერთ-ერთი ფუნქციაა სისხლის სამართლის პროცესის ეკონომიურობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სისხლის სამართლის პროცესის წარმოება. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგია სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა განჩინებით ან დადგენილებით,²⁷⁷ რაც არაბრალეულობის პრეზუმფციის მოქმედებას ნიშნავს. ამიტომაც ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს კანონით ზუსტად დადგენილი და არა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. ამასთან, ვ. საბლერის თეორიით უგულებელყოფილია ქმედების როლი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას.

თუ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა უკავშირდება კონკრეტულად დანიშნულ სასჯელს, მისგან განსხვავებით, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა ჩადენილ ქმედებას უკავშირდება. ქმედების ხასიათი ვლინდება დანაშაულის კატეგორიზაციაში, რის გამოც ხანდაზმულობის ვადები სწორედ დანაშაულთა კატეგორიზაციის მიხედვით უნდა აიგოს.

პ. მშვენიერაძე ამბობს, რომ ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე.²⁷⁸ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ხანდაზმულობის ვადები კანონმდებლობით განისაზღვრება, მაგრამ ეს თვითნებური პროცესი კი არ არის, არამედ ეყრდნობა გარკვეულ პრინციპს, რასაც კანონმდებელმა არ უნდა გადაუხვიოს. სწორედ ამ პრინციპის აღმოჩენა წარმოადგენს პრობლემას. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა შეესაბამებოდეს სასჯელის ზომას, თუმცა აქ გულისხმობს დანაშაულის კატეგორიზაციის ფარგლებში სასჯელის მაქსიმუმს.²⁷⁹ ამით ის აღიარებს ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის საქმეში დანაშაულთა კატეგორიზაციის მნიშვნელობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ეს მოსაზრება სწორია, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ უნდა შეესაბამებოდეს ხანდაზმულობის ვადა სასჯელის და არა ზოგადად ნეგატიური პასუხისმგებლობის ზომას. ნეგატიური პასუხისმგებლობა და სასჯელი ხომ ერთმანეთის იდენტური არ არის? პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა კი პასუხისმგებლობის დაკისრების და არა სასჯელის გამომრიცხველი გარემოებაა.

²⁷⁵ იხ. Polinsky A. M. & Shavell S., On the Disutility and Discounting of Imprisonment and the Theory of Deterrence, 28 *J. Legal Stud.* 1, 1999

²⁷⁶ საბლერი, დასახ. ნაშრ. 254-259

²⁷⁷ იხ. დ. ორლოვის დასახ. ნაშრ., 114

²⁷⁸ იხ. მშვენიერაძე, დასახ. ნაშრ., 81

²⁷⁹ იქვე, 86

მეორეც, საინტერესოა, რატომ უნდა განისაზღვროს ხანდაზმულობის ვადა სასჯელის მაქსიმუმის და არა მინიმუმის მიხედვით. სამწუხაროდ, ავტორი აღნიშნულ დებულებებს საკმარისად დასაბუთებულად არ ავითარებს. ეს კი პ. მშენიერაძის თეორიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ერთ-ერთი თანამედროვე, ორიგინალური კვლევა ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის თვალსაზრისით არის ი. ლისტოკინის ნაშრომი, ავტორის აზრით, ხანგრძლივი დროის გასვლის მერე პირის დასჯა არაეფექტურია. ამასთან, ის, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღების უტილიტარულ პრინციპზე დაყრდნობით, გეთავაზობს ცალკეული ტიპის დანაშაულებზე ხანდაზმულობის „ოპტიმალურ ვადებს“. მისი სქემის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა მით უფრო ხანგრძლივია, რაც მეტია ქმედებით გამოწვეული ზიანი; რაც უფრო ადრე ხდება ზოგადად ამ დანაშაულებზე პასუხისგებაში მიცემა; მომავლის რაც უფრო დიდ მონაკვეთს გეგმავს პირი; რაც უფრო მეტი ზიანი ადგება მას სასჯელის აღსრულებით. ერთი მხრივ, სასჯელის ეფექტურობის განმსაზღვრელი ეს გარემოებები და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ მსჯავრდებულის შენახვის ხარჯები განსაზღვრავს ხანდაზმულობის ზუსტ ვადებს.²⁸⁰

აღნიშნული თეორია მიუღებელია, ვინაიდან ემყარება პრინციპს: პირმა ქმედების გამო პასუხი უნდა აგოს მინიმალური დანახარჯებით ან საერთოდ არ უნდა აგოს პასუხი. მართალია, ოპტიმალურ ვადებში პირის დასჯა საუკეთესო შემთხვევაა, მაგრამ განა შეიძლება სასჯელზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ის უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ოპტიმალური ხარჯებია? ზედმეტი ხარჯებით სასჯელის პრევენციული მიზნების მიღწევა უფრო მისაღებია თუ ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად ახალი დანაშაულის წახალისება? განა ოპტიმალური ვადის გადაცილებით პირის დასჯას არავითარი პრევენციული ეფექტი არა აქვს? რამდენად გამართლებულია, თვით საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი დანაშაულის პრევენციაზე ითქვას უარი იმიტომ, რომ ის უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ოპტიმალურ შემთხვევაში იქნებოდა? ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა უნდა იქონიონ გავლენა ხანდაზმულობის ვადაზე. თუმცა ეს ყველაფერი ხანდაზმულობის ვადების განმსაზღვრელ ფაქტორს კი არა, არამედ ქმედებებისთვის სასჯელის კონკრეტული ზომების გათვალისწინების ერთ-ერთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

მაგალითად, დანაშაულის შედეგად დამღვარი ზიანის ოდენობა გავლენას ახდენს დანაშაულთა კატეგორიზაციაზე; სასჯელისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების მიერ დანაშაულისაგან მიღებული სარგებლის გადაწონვა სასჯელის ეფექტურობაზე მიუთითებს. ამასთან, რაც უფრო მეტად არის პირი მომავლისკენ ორიენტირებული, მით უფრო იზრდება სასჯელის ეფექტურობა. ამიტომაც ი. ლისტოკინის მიერ გათვალისწინებულ გარემოებათა ნაწილი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას, არამედ პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებისას.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არ ხდება სასამართლოს მიერ ქმედების იურიდიული შეფასება. ივარაუდება, რომ პირს დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია.

სუბიექტის სასარგებლოდ პრეზუმირება დამახასიათებელია არა მარტო ხანდაზმულობის არსისათვის, არამედ მისი ვადის განსაზღვრის საკითხისათვისაც. კერძოდ, ცნობილია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არ ხდება ქმედების სამართლებრივი შეფასება. თუ ასეა, მაშინ საიდან

²⁸⁰ იხ. ი. ლისტოკინის დასახ. ნაშრ., 99-102

ვასკენით, რომ პირის გასამართლების შემთხვევაში ქმედება სასჯელის მაქსიმუმს დაიმსახურებდა? ამის კატეგორიული მტკიცება შეუძლებელია. პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ვარაუდი სუბიექტის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ეს პრინციპი მოქმედებს არა მარტო პროცესში, არამედ მატერიალურ სამართალშიც როგორც ქმედებასთან, ასევე სუბიექტთან მიმართებაში. აღნიშნულის შედეგად კი შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სასჯელის არა მაქსიმალურმა, არამედ - მინიმალურმა ზომამ.

მოცემული მსჯელობა ღირებულია იმ იდეაზე დაყრდნობით, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა განისაზღვროს ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადის მიხედვით. ხანდაზმულობის ვადები პასუხისმგებლობის ვადების შესაბამისად იმიტომ უნდა განისაზღვროს, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადები კანონში გათვალისწინებულია ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების აღდგენის მიზნით.²⁸¹ რადგან ხანდაზმულობის ვადის გასვლასაც ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ვარაუდი მოჰყვება, ლოგიკურია დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადები პასუხისმგებლობის ვადების მიხედვით უნდა განისაზღვროს.

ვინაიდან ხანდაზმულობის არსებობის ობიექტური საფუძველი უკავშირდება სწორედ ქმედებას, მის ბუნებას, ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს დანაშაულთა კატეგორიზაციის გავლენა ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომის მიხედვით არის სამი კატეგორიის დანაშაული: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც პრაქტიკაში ხშირად უსამართლო გადაწყვეტილებების მიზეზი ხდება. ეს არის დანაშაულთა კატეგორიზაციისას სასჯელის მინიმუმის უზულებელყოფა. მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი დანაშაულის კატეგორიებს ქმნის სასჯელის მაქსიმუმის მიხედვით და არაფერს ამბობს სასჯელის მინიმუმზე. მართალია, ეს საზღვარგარეთის ქვეყნებში დანერგილი პრაქტიკაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი მხარეები. საქმე ისაა, რომ ამ წესის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილი (რომელიც შეიცავს ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას), ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულია სსკ-ის 125-ე მუხლის II ნაწილი (ცემა). სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით სასჯელის ზომად გათვალისწინებულია 6 თვიდან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 125-ე მუხლის II ნაწილით – ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო ან თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ თეორიულად შესაძლებელია სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დაინიშნოს სასჯელის სახით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 125-ე მუხლის II ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. რა გამოვიდა? განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პირი დაისაჯა უფრო მსუბუქად, ვიდრე ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. მაშინ რა

²⁸¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობის ნეგატიური და პოზიტიური ასპექტების ჭრილში ყურადღება გამახვილებულია პროფ. გ. ნაჭყებიას ნაშრომში ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, 88-124

საჭიროა კატეგორიზაცია, თუ ის სასჯელზე ზემოქმედებას არ მოახდენს? ზემოთ უკვე ითქვა, რომ კატეგორიზაცია დანაშაულებრივი ქმედების ბუნებას, მისი სახელმწიფოს მხრიდან შეფასებას ეფუძნება. ამ ლოგიკით განსაკუთრებით მძიმე დანაშაული უფრო მკაცრ რეაქციას უნდა იწვევდეს, ვიდრე ნაკლებად მძიმე დანაშაული, ზემოთ მოყვანილ მაგალითში კი საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ.

სამწუხაროდ, ქართველ იურისტთა შორის დანაშაულთა კატეგორიზაციას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამიტომაც იგრძნობა ნეგატიური პასუხისმგებლობისა და ხანდაზმულობის ვადებს შორის შეუსაბამობა. მაგალითად, დღეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადაა 25 წელი, მაშინ, როცა იგივე დანაშაულისთვის პირმა შეიძლება პასუხისმგებლობა მოიხადოს ბევრად უფრო ადრე. მაგალითად, თუ პირს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელად განესაზღვრება თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე ნაკლები ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ გავა რვაწლიანი ნასამართლობის ვადა, შედეგად, გასამართლებიდან 18 წელზე ნაკლებ ვადაში პირი სრულად გათავისუფლდება ნეგატიური პასუხისმგებლობისაგან. კანონმდებელი ითვალისწინებს საპირისპირო შემთხვევებსაც: ზოგჯერ ხანდაზმულობის ვადა უფრო მცირეა, ვიდრე პასუხისმგებლობის ზომა. მაგალითად, მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა მაშინ, როცა პირი შეიძლება ნეგატიურ პასუხისმგებლობას იხდიდეს 16 წელი. აშკარაა, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადები არ შეესაბამება ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზნების მიღწევის შესახებ პირის სასარგებლოდ პრეზუმირების პრინციპს.

მოცემული შეუსაბამობები, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ერთმანეთთან შეთანხმებული არ არის ხანდაზმულობის დამფუძნებელი ორი მნიშვნელოვანი პირობა: ობიექტური ნიშანი – ქმედების ბუნება და სუბიექტური ნიშანი – პირის ამჟამინდელი ღირებულებითი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი. ვინაიდან ქმედებაში ვლინდება სუბიექტის პიროვნებაში მიმდინარე განსაზღვრული პროცესები, ამდენად სწორედ ქმედება უნდა იყოს განმსაზღვრელი სუბიექტზე ზემოქმედების ზომის შერჩევისას. ამ ორი ნიშნის შეთანხმებულობა კი განაპირობებს ხანდაზმულობის მისაღები ვადების არსებობას.

სასჯელის მინიმუმის მიხედვით დანაშაულთა კატეგორიზაციის კუთხით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი სამართალდარღვევათა კატეგორიზაციას ახდენს სასჯელის მინიმუმის მიხედვით, თუმცა იმავე კოდექსის 78-ე და 79-ე მუხლები პასუხისგებაში მიცემის და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადებს მაინც სასჯელის მაქსიმუმის მიხედვით განსაზღვრავს.²⁸² ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის შესახებ ნორმამ მოითხოვა დანაშაულთა განსხვავებული კლასიფიცირება, ვიდრე ეს მე-12 მუხლით არის დარეგულირებული. ისმის კითხვა: რატომ? პასუხი ერთია: მართალია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლში დევს პროგრესული მარცვალის სასჯელის მინიმუმის გათვალისწინების თვალსაზრისით, თუმცა მხოლოდ სასჯელის მინიმუმის მიხედვით დანაშაულთა კატეგორიზაცია არ არის საკმარისი სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი

²⁸² იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტი მოპოვებულია გერმანიის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდიდან: <http://bundesrecht.juris.de/stgb/> 0:12 12.03.2009; StGB Leipziger Kommentar, 11. Aufl., herausgegeben von Jänke B., Laufhütte H. W., Odersky W., 3. Band, Berlin, De Gruyter Recht, 2006, § 78 (84)

საკითხის ზუსტად დარეგულირებისთვის. ერთ-ერთი ასეთი საკითხი აღმოჩნდა ხანდაზმულობა, რომლის ვადების განსაზღვრისათვის კოდექსში საჭირო გახდა სასჯელის მაქსიმუმის გათვალისწინებაც. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ დანაშაულთა კატეგორიზაცია პასუხისმგებლობის ზომებთან ისე უნდა იყოს შეთანხმებული, რომ ხანდაზმულობის შესახებ ნორმას დანაშაულთა ახალი კლასიფიკაცია არ დასჭირდეს.

აღნიშნული გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, დანაშაულთა კატეგორიზაციით დადგინდეს როგორც ამა თუ იმ კატეგორიის სასჯელის მაქსიმუმი, ასევე მინიმუმი. ამასთან, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი ყოველთვის ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის უფრო მსუბუქი უნდა იყოს, ვიდრე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი.

ეს ცვლილებები არის ერთადერთი გზა, თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულთა კატეგორიზაცია და დანიშნულ სასჯელებს შორის შეუსაბამობა, როცა უფრო მსუბუქი კატეგორიის დანაშაული უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე შედარებით მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამ ხერხით დანაშაულის კატეგორია გახდება რეალურად სასჯელის ზღვარის განმსაზღვრელი და დანაშაულებს შორის როგორც არსობრივი, ისე შედეგის – კონკრეტული სასჯელის მიხედვით გამიჯვნის რეალური საფუძველი.

დავუშვათ, რომ ხანდაზმულობის ვადები უნდა განისაზღვროს მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმის მიხედვით. მაშინ გამოვა, რომ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადის გასვლის ბოლო წელს პირის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში მას დაეკისრება მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი მაინც. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს შეფასებით, ამჟამად პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიზნებისთვის ამ ვადით სასჯელის დაკისრება არ არის აუცილებელი.

თუ ვივარაუდებთ, რომ ქმედების ჩადენის შემდეგ სუბიექტი იმდენად შეიცვალა, რომ ის უკვე არ ჩაიდენს ახალ დანაშაულებრივ ქმედებას, მაშინ გასარკვევი რჩება ერთი საკითხი: რა ვადა უნდა დააწესოს კანონმდებელმა იმისათვის, რომ კანონის მოთხოვნისადმი პატივისცემის აღდგენა ვივარაუდოთ? თუ ეს ვადა ანუ ხანდაზმულობის ვადა იქნება სასჯელის მაქსიმუმის ტოლი, მაშინ გამოვა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე პირისათვის სასჯელის მინიმუმის დანიშვნისას დანიშნულ სასჯელზე მეტი დრო უკვე გასული იქნება. ამ ხნის განმავლობაში ახალი დანაშაულებრივი ქმედებისაგან თავის შეკავება კი აძლიერებს ვარაუდს, რომ პრევენციისა და რესოციალიზაციის მიზნები შეიძლება უკვე მიღწეული იყოს სასჯელის გამოყენების გარეშე. ასეთ ვითარებაში გამოვა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის თუნდაც ბოლო წელს სასჯელის თუნდაც მინიმუმის დანიშვნა მიზანს მოკლებული იქნება, რადგან ეს მიზანი სასჯელის გარეშეც მიღწეულია. თუ, სასამართლოს აზრით, სასჯელის მინიმალური ვადის გასვლა საკმარისია კანონის პატივისცემის აღსადგენად, მაშინ ამ ხნის განმავლობაში ახალი დანაშაულისგან თავის შეკავება სასჯელის მიზნის მიღწევის ვარაუდის საფუძველია. სასჯელის მაქსიმუმის ტოლი ხანდაზმულობის ვადის გასვლის ბოლო წელს თუ მაინც დაინიშნება სასჯელი, ეს იქნება გაუმართლებელი სიმკაცრე.

სხვაგვარად არის საქმე, როცა ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება პასუხისმგებლობის მინიმუმის მიხედვით. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე სასჯელის დანიშვნის დროსაც კი

ქმედების შემადგენლობიდან პასუხისმგებლობის მოხდამდე გასული ვადა იქნება პასუხისმგებლობის კანონით დადგენილ მაქსიმუმთან მიახლოებული. ამის გამო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირის დასჯა არ გამოიწვევს უსამართლობის და მეტიმეტი სიმკაცრის განცდას საზოგადოებაში. მეორე მხრივ, ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. პასუხისმგებლობის მოხდაც და ხანდაზმულობის ვადის გასვლაც იძლევა ერთ შედეგს – კანონის მოთხოვნისადმი პატივისცემის აღდგენის ვარაუდს. თუ კანონმდებელმა ერთ შემთხვევაში მიიჩნია, რომ კანონის მოთხოვნისადმი პატივისცემის აღდგენისთვის საჭიროა პასუხისმგებლობის კანონით დადგენილი ვადის გასვლა, მაშინ იგივე შედეგის მისაღწევად ხანდაზმულობის ვადაც არ უნდა იყოს პასუხისმგებლობის მინიმუმზე ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედების სუბიექტი გაუმართლებელ პრივილეგიას მიიღებდა და ხანდაზმულობა სასჯელისაგან თავის დაძვრენის კარგ საშუალებად იქცეოდა.

აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, ხანდაზმულობის ვადები უნდა განისაზღვროს დანაშაულის კატეგორიის ფარგლებში შესაძლებელი სასჯელის მინიმუმის მიხედვით. ამასთან, ვინაიდან ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა, ის მხოლოდ სასჯელის ვადებით არ უნდა ამოიწურებოდეს და უნდა მოიცვას პასუხისმგებლობის სხვა ელემენტის ვადებიც. იგულისხმება ნასამართლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის სასამართლოს მიერ დაკისრების შემთხვევაში პირი უფრო დიდი ხნის განმავლობაში განიცდის შეზღუდვებს, ვიდრე ხანდაზმულობის ვადებია. ეს დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელი პირისათვის გაუმართლებელი პრივილეგია იქნებოდა, რადგან პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა შეესაბამებოდეს ნეგატიური პასუხისმგებლობის ვადას. ამიტომაც პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა შედგეს კანონის მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმისა და აღნიშნული დანაშაულისთვის ნასამართლობის ვადისაგან.

პასუხისმგებლობის მინიმალური ზომის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის აგება ორი მიზეზით არის მისაღები: 1. ეს საშუალებას იძლევა, პირი არ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან იმაზე ადრე, ვიდრე არ გავა პასუხისმგებლობის მინიმალური ზომის ტოლი ვადა. 2. ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირის გასამართლების შემთხვევაში ქმედების შემადგენლობიდან პასუხისმგებლობის მოხდამდე გასული დრო არ იქნება პასუხისმგებლობის მაქსიმალური ვადისაგან დიდად განსხვავებული. ეს კი თავიდან აგვაცილებს უსამართლობის შეგრძნებას.

რაც შეეხება სამოხელეო დანაშაულთა მიმართ ცალკე თხუთმეტწლიანი ვადის განსაზღვრას, ვფიქრობთ, ეს გამოწვეულია წლების განმავლობაში პირის მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების გამო მისი შესაძლო გავლენით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზე, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე პროცესუალური რეაგირება. ეს გავლენა, რა თქმა უნდა ხელს უშლის პირისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუმცა, ვფიქრობთ, ეს კონკრეტული შემთხვევა: მოხელეთა მიერ დანაშაულის შემადგენლობაზე პროცესუალური რეაგირებისათვის ხელის შეშლა უმჯობესია განვაზოგადოთ და მოვიცვათ მსგავსი ყველა შემთხვევა, რის გამოც სამოხელეო დანაშაულის თავში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელ პირთა მიმართ განსაკუთრებული ვადის შემოღება კი არ არის მიზანშეწონილი, არამედ ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დენის პირობების ისე გათვალისწინება, რომ ის ხელსაყრელი არ იყოს არც

სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობის განმარტოვებული და არც სხვა დანაშაულის შემადგენლობის ჩამდენი პირისთვის. ამისათვის შესაძლებელია ხანდაზმულობის შეჩერების ცნების გამოყენება.

ამდენად, ხანდაზმულობა უნდა აიგოს სასჯელის არა მაქსიმალური ვადის მიხედვით, არამედ დანაშაულის კონკრეტული კატეგორიის მინიმალური სასჯელის და შესაბამისი ნასამართლობის ვადის მიხედვით. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევებში, როცა მუხლის ნაწილით მინიმალური სასჯელი არის ჯარიმა, ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება მხოლოდ ნასამართლობის ვადების მიხედვით.

უნდა შევნიშნოთ კანონმდებლის უზუსტობა. კერძოდ, არასწორად არის სსკ-ის 71-ე მუხლის IV ნაწილში მოხსენებული ტერმინი „მსჯავრდებული“. აღნიშნულ მუხლში საუბარი უნდა იყოს არა მსჯავრდებულზე, არამედ ქმედების სუბიექტზე, ვინაიდან ეს მუხლი ეხება ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების შეუძლებლობას. ხოლო მსჯავრდებულის არსებობის პირობებში ნეგატიური პასუხისმგებლობა უკვე დაკისრებულია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხანდაზმულობის ვადების აგება მთლიანად არის დამოკიდებული დანაშაულთა კატეგორიების აგების და ნასამართლობის ვადების განსაზღვრის წესზე. ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულთა კატეგორიზაციის ზუსტ სქემას არ გვთავაზობს, აღნიშნული სქემის დაზუსტებამდე ხანდაზმულობის ზუსტი ვადების ჩამოთვლა აზრს მოკლებული იქნება.

2.12. ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება დანაშაულის ჩადენიდან, თუმცა ეს მითითება სამართალში სოციოლოგიური აზროვნების შემოჭრის შედეგია. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემთხვევაში დანაშაულის იურიდიულ დადგენამდე საქმე არ მიდის, რის გამოც ვერ ვიტყვით რომ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება დანაშაულის ჩადენიდან ან მისი არსებობის იურიდიული დადგენიდან. სინამდვილეში ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან, ვინაიდან სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს გამოძიება. დანაშაულთა უმრავლესობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლა დამატებით პრობლემებს არ წარმოშობს, მაგრამ ცალკე განხილვას მოითხოვს დენადი დანაშაულების შემთხვევები.

ამ შემთხვევაში ვადის ათვლა უნდა დაიწყოს დენადი დანაშაულის დამთავრებიდან. ეს უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა პირის დაკავების თარიღს, თუმცა, შესაძლებელია ქმედების ჩამდენმა თვითონ შეწყვიტოს დენადი დანაშაული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება დენადი დანაშაულის დასრულებიდან და არა მისი დაწყებიდან. იგივე წესი მოქმედებს განგრძობადი დანაშაულის შემთხვევაშიც.

როგორც პ. ჰ. რობინზონის ნაშრომიდან ირკვევა, არიზონაში ხანდაზმულობის დენა იწყება კანონის დარღვევაზე სახელმწიფოს მიერ რეაგირების დაწყებიდან ან იმ დროიდან, როცა ის ვალდებული იყო, დაეწყო გამოძიება. ნევადაში ხანდაზმულობის დენა იწყება დანაშაულის შემადგენლობის აღმოჩენიდან, თუ მისი აღმოჩენა შეუძლებელი იყო მისი

ჩადენისთანავე. ეს ორი შემთხვევა არის გამონაკლისი ზოგადი წესიდან, როცა ხანდაზმულობის დენა იწყება შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელებიდან. ასეა კალიფორნიაში, ნიუ იორკში.²⁸³ ხანდაზმულობისადმი არიზონასა და ნევადას კანონმდებლობის მიდგომა გაუგებარია, ვინაიდან ხანდაზმულობა სწორედ ლატენტური დანაშაულების გამო არსებობს, მაგრამ მიუხედავად ლატენტურობისა, სახელმწიფო ორგანოებს მაინც ეკისრებათ დანაშაულის გახსნის მოვალეობა, რომლის თავიდან მოცილება არ შეუძლიათ. სწორედ ლატენტური დანაშაულის აღმოჩენისა და ქმედების სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ვადაა ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ძირითადი არსი სწორედ იმაშია, რომ ის მიედინება გამოძიებს დაწყებამდე.

ს. ბიშოკი ბავშვების მიმართ განხორციელებული სექსუალური დანაშაულების შემთხვევაში დაზარალებულის სრულწლოვანებამდე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ამართლებს დაზარალებულის უფლებების დაცვით. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას დაზარალებულს სათანადო პირობები, რომ მან დაიცვას თავისი უფლებები, როცა სამართლებრივად მას შეეძლება ამ უფლებებით სარგებლობა.²⁸⁴ როგორც ჩანს, აქ იგულისხმება დაზარალებულის უფლება, მოითხოვოს თავისი სექსუალური ხელშეუხებლობის იძულების წესით დაცვა მომავალში მისი ხელყოფისაგან, დამნაშავის დასჯის გზით. აქ ძნელი არ უნდა იყოს სამოქალაქო სამართალთან ანალოგიის პოვნა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ პოზიციას რამდენიმე საფუძველით: ჯერ ერთი, ეს ეწინააღმდეგება სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს, რაზეც აგებულია ხანდაზმულობის ცნება. მეორე – სისხლის სამართალში დაუშვებელია სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპების ავტომატური გადმოტანა. მათ შორის, დაზარალებულის მიერ საკუთარი ინტერესის დაცვის მოთხოვნის საკითხში.

აღნიშნულს უკავშირდება ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული შემთხვევა განეკუთვნება საჯარო სისხლისამართლებრივი დევნის შემთხვევებს. ამდენად, 18 წლამდე დაზარალებულის მიერ საჩივრის შეტანის გარეშეც პროკურორი დაიწყებს დევნას.

მართალია, არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა ევალება მშობელს, მეურვეს, მზრუნველს და ამ პირების მიერ არასრულწლოვანის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში ეს უკანასკნელი დაუცველი რჩება, ამასთან, იმატებს დანაშაულის ლატენტურობაც, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძლევა საშუალებას, ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში პროკურატურა ჩაერიოს საქმეში და მოახდინოს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა მისივე მეურვისა თუ მზრუნველისაგან ისე, რომ არ დაელოდოს დაზარალებულის სრულწლოვანებას. იმ შემთხვევაში კი, თუ აუცილებელი იქნება დაზარალებულის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა დევნის დაწყებისთვის, გამოძიება ხელ-ფეხშეკრული გამოვა მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია საეჭვო ფაქტის შესახებ. ეს კი დამატებითი ფორმალური შემაფერხებელი გარემოებაა, რომელიც ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როცა სექსუალური ხასიათის ქმედება ერთჯერადი არაა ან აღნიშნული ქმედების შემდეგ გამუდმებით ხორციელდება დაზარალებულის დაშინება ან მუქარა, მსგავსი შემთხვევების სწორი

²⁸³ იხ. პ. რობინზონის დასახ. ნაშრ., §2.02 (a)

²⁸⁴ იხ. Basham S. M., *Note, Forging the Causal Link: Reasonable Delay in Commencing Action for Childhood Sexual Abuse*, 27 *Suffolk U. L. Rev.*, 1993, 754

რეგულირებისთვისაც არ არის აუცილებელი დაზარალებულის მიერ სრულწლოვანების მიღწევა. აღნიშნულ სიტუაციაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება ბოლო ქმედების დასრულებიდან (განგრძობადი დანაშაულის შემთხვევა) ან, მართალია, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება პირველი დანაშაულებრივი ქმედების დასრულებიდან, თუმცა ყველა შემდგომი დანაშაულებრივი ქმედება ვადის დენას შეწყვეტს, რის გამოც, ფაქტობრივად გამოვა, რომ ხანდაზმულობა აითვლება ბოლო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებიდან. ყოველივე აღნიშნული ზედმეტს ხდის დაზარალებულის სრულწლოვანების მოთხოვნას. ამიტომაც, ვფიქრობთ, საზღვარგარეთის ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს ამ მიმართებით სწორი პოზიცია უკავია.

ასევე სამოქალაქო სამართლის ანალოგიითაა სისხლის სამართალში გადმოტანილი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული წესი, რომელსაც „ადმოჩენის წესს“ უწოდებენ და რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა დანაშაულის შესახებ გახდა ცნობილი შესაბამისი ორგანოებისთვის. სინამდვილეში იურიდიულად დანაშაული მხოლოდ განაჩენით არის აღმოჩენილი.

ღორენს კერნსი ასახელებს ხუთ თეორიას, რომლებიც გამოიყენება სქესობრივ დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით: 1. განგრძობადი დანაშაულის თეორია, რომლის მიხედვითაც დანაშაულის რამდენჯერმე განმეორების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა აითვლება განგრძობადი დანაშაულის შეწყვეტიდან; 2. დანაშაულის დაფარვის თეორია, რომლის მიხედვითაც ჩადენილი დანაშაულის დაფარვის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება დანაშაულის დაფარვამდე გასული დრო; 3. დანაშაულის აღმოჩენის თეორია, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მას შემდეგ, რაც შესაბამისი ორგანოებისთვის გახდება ცნობილი დანაშაულის შესახებ ან სექსუალურ დანაშაულში დაზარალებული ბავშვის სრულწლოვანი ნათესავი შეიტყობს ამის შესახებ ან თვითონ დაზარალებული გახდება სრულწლოვანი; 4. სახელმწიფოში ყოფნის თეორია, რომლის თანახმადაც ზოგიერ შტატში არის ნორმები, რომელთა მიხედვით ხანდაზმულობა ჩერდება ბრალდებულის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ან, როცა უცნობია ადგილსამყოფელი ან სამუშაო ადგილი შტატის ფარგლებში. აღნიშნულ ნორმას ამყარებს შეხედულება, რომ თუ შესაბამის ორგანოებს ფაქტობრივად არ შეუძლიათ ყველა ზომის გამოყენების მიუხედავად ეჭვიმტანილის დაკავება, მაშინ ხანდაზმულობის ვადა არ უნდა მიედინებოდეს ეჭვიმტანილის სასარგებლოდ²⁸⁵; 5. დნმ-ის მტკიცებულების გამოყენების თეორია, რომლის მიხედვითაც, რადგან ხანდაზმულობა გამართლებულია მტკიცებულებების არარსებობით, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა უნდა დაუკავშირდეს დნმ-ის მონაცემთა შენახვას. მაგალითად, ჯორჯიის შტატში ხანდაზმულობა წყდება, თუ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან 10 წლის განმავლობაში მოხერხდა დნმ-ის მოპოვება, რომლის მფლობელიც უცნობია.

²⁸⁵ საზღვარგარეთ გასვლის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შესახებ იხილეთ Kearns L., *Note: Incorporating tolling provisions into sex crimes statutes of limitations*, 13 Temple Political & Civil Rights Law Review, Fall, 2003, 344

ავტორი უარყოფს სექსუალურ დანაშაულებზე ხანდაზმულობის გაუქმების მოთხოვნას და მიაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო გზა იქნებოდა ზემოთ დასახელებული ხუთი თეორიის შეხამებულად გამოყენება.²⁸⁶

უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარია ალტერნატივებზე. ამ ხუთი თეორიიდან ის გამოიყენება, რომელსაც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტული შემთხვევა. საქართველოსათვის ეს შემთხვევები განსხვავებულად რეგულირდება: ქმედების ჩადენის დასრულების მომენტის, დანაშაულთა ერთობლიობისა და ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების... ცნებებით, რის გამოც აღნიშნული თეორიების ავტომატურად გადმოღება არ არის მიზანშეწონილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან და არა რომელიმე საპროცესო მოქმედების დაწყებიდან.

2.1.3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ვადის დინება განახლდება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

სისხლისსამართლებრივი დენის შეჩერების საფუძველი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებამდე იყო ბრალდებულის მიმალვა.

პირის მიმალვის გამო სისხლისსამართლებრივი დენის შეჩერების შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოანგარიშების აუცილებლობაზე საუბრობს ლ. რეპკინი.²⁸⁷

მიმალვას უკავშირდება ბრალდებულის აღმოჩენა. მ. გორანოვსკის სტატიიდან ირკვევა, რომ 1903 წლიდან რუსეთში სასჯელის შესახებ წესდების 158-163 მუხლები აწესრიგებდნენ ხანდაზმულობის საკითხს და მათში გათვალისწინებული იყო ცალ-ცალკე დანაშაულისა და დამნაშავეს აღმოუჩენლობის ხანდაზმულობები. ეს უკანასკნელი გულისხმობდა იმას, რომ მიუხედავად ჩატარებული პროცესუალური ქმედებებისა, არაა დადგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ბრალეული პირის ვინაობა. „ყველა იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მიუთითებდა ბრალდებულზე ან ბრალდებული აღმოჩენილი იქნებოდა პოლიციის მოკვლევით, დამნაშავეს აღმოუჩენლობის ხანდაზმულობა წყდებოდა.“²⁸⁸ ვ. საბლერი წერს, რომ 1845

²⁸⁶ იქვე, 332-359; დნმ-ის მონაცემების ხანდაზმულობასთან კავშირზე იხილეთ Bieber M. A., *Comment, Meeting the Statute or Beating It: Using "John Doe" Indictments Based on DNA to Meet the Statute of Limitations*, 150 U. Pa. L. Rev., 2002, 107; Diehl J. W., *Drafting a Fair DNA Exception to the Statute of Limitations in Sexual Assault Cases*, 39 *Jurimetrics J.*, 1999, 431

²⁸⁷ იხ. Репкин Л. М., *Исчисление срока давности по приостановленным уголовным делам*, в: «Сборник статей адъюнктов и соискателей», М, 1969, 74

²⁸⁸ Горановский М. А., *Давность, сроки исчисления ея и погашающая сила давности по ныне действующему уложению о наказаниях уголовных и исправительных и по уголовному уложению 22 марта 1903 года*, в журнале «Журнал министерства юстиции, годь тринадцатый, 1907, №10, С-II, 152

წლის წესდების 158-ე მუხლიც საუბრობს „დამნაშავის“ ხანდაზმულობაზე: დანაშაული უქმდება, თუ კანონით დადგენილ ვადაში, წარმოებული გამოძიების მიუხედავად, ვერ აღმოაჩინეს ბრალეული. ხანდაზმულობის აღნიშნული სახეობის არსებობამ წარმოშვა პრობლემა, თუ როდის ითვლება „დამნაშავე“ აღმოჩენილად.

მეცნიერთა ნაწილში სავსებით სამართლიანად წარმოიშვა აზრი, რომლის მიხედვითაც „დამნაშავე“ აღმოჩენილია სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით, მაგრამ, ვ. საბლერის აზრით, სინამდვილეში მისი აღმოჩენა წინ უნდა უსწრებდეს მის მიმართ საპროცესო მოქმედებების ჩატარებას.²⁸⁹

აქ ყველაფრის არე-დარევა გამოიწვია ტერმინმა „დამნაშავე“, რაც, როგორც პროფ. ვ. ნაჭყებია აღნიშნავს, სოციოლოგიურია და არა იურიდიული.²⁹⁰ ამიტომაც, ვფიქრობთ, აქ ქმედების სუბიექტის აღმოჩენაზე უნდა იყოს საუბარი.

ვერ დავეთანხმებით დანაშაულისა და დამნაშავის ხანდაზმულობის ცალ-ცალკე არსებობას, ვინაიდან ორივე, თავიანთი დანიშნულებით, საბოლოოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შეუძლებლობისათვის არის დაწესებული.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასთან დაკავშირებით პ. მშვენიერაძე ამბობდა, რომ მიმალვისას ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას კოდექსი არ უნდა ითვალისწინებდეს იმ საფუძველით, რომ ის ხშირად ვადის უსამართლოდ გაგრძელების საფუძველი ხდება.²⁹¹ აღნიშნული მოსაზრება იმ პერიოდში მიუღებელი აღმოჩნდა.

2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღიარა დებულება, რომ, ბრალდებულის მიმალვის მიუხედავად შესაძლებელია გამოძიების გაგრძელება. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ბრალდებულს მიენიჭა მიმალვის უფლება, ვინაიდან ეჭვიმტანილსა და ბრალდებულს ეკისრებათ მოვალეობა, გამოძახებისთანავე გამოცხადდნენ პროცესის მწარმოებელ ორგანოში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნება საპროცესო იძულების ღონისძიება.

სინამდვილეში ძებნის გამოცხადების დადგენილება უნდა იყოს საფუძველი ბრალდებულის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების დაწყებისა. ამასთან, ხშირად პრაქტიკაში ძებნილად ყოფნას სასამართლოები ითვალისწინებენ, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ასეთ ვითარებაში აშკარაა, რომ იურიდიულ მიმალვას არ დაუკარგავს ძალა. ერთადერთი, რაც მოხდა, არის ის, რომ მიმალვა უკვე არ აჩერებს დევნას.

ერთი შეხედვით, საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ, თითქოს, უნდა გამოიწვიოს მიმალვის ცნების ამოღება სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით საკითხს, სხვა დასკვნამდე მივალთ. მართალია, საპროცესო კოდექსში არის იძულების ღონისძიებების შესახებ მუხლები, სადაც აღნიშნულია, რომ იძულების ღონისძიების გამოყენება შეიძლება, თუ არის ეჭვი, რომ პირი მიიმალვას; მიმალული ბრალდებულის ძებნას აცხადებს გამოძიებელი ან პროკურორი, თუმცა ეს მუხლები იურიდიული მიმალვის ცნების სრულად გამოსახატავად არ არის საკმარისი. მიმალვის გათვალისწინება ხანდაზმულობის შემაჩერებელ გარემოებად იმოქმედებს, როგორც მიმალვის თავიდან აცილებისაკენ გამიზნული წამახალისებელი ნორმა. პირის მიმალვა თუ არ იქნება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება, მაშინ ბრალდებულს

²⁸⁹ იხ. საბლერი, დასახ. ნაშრ., 69-78

²⁹⁰ იხ. ნაჭყებია ვ., *სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი*, თბ., 2006, 153-157

²⁹¹ იხ. მშვენიერაძე, დასახ. ნაშრ., 139

არაფერი შეუშლის ხელს, მიიმალოს და ამ გზით შეეცადოს, ხელი შეუშალოს გამოძიებას იმ იმედით, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ის შეძლებს გამოჩენას და ხელშეუხებელი დარჩება.

იმ შემთხვევაში, თუ მიმალვა ხანდაზმულობის ვადის დენას შეაჩერებს, მაშინ ბრალდებულისვე ინტერესებში იქნება, არ მიიმალოს, რათა ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეჩერდეს და ვადის გასვლისთანავე შეწყდეს მის მიმართ დევნა. ამით სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი ორმაგ ფუნქციას შეასრულებს: მატერიალურ კოდექსში დარჩება იურიდიული მიმალვის ცნება, რაც, თავის მხრივ, იქნება საფუძველი, ის განვასხვავოთ ფაქტობრივი მიმალვისაგან და ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგები დაეუკავშიროთ მის დადგომას როგორც წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, ასევე პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის პროცესში.

იურიდიული მიმალვა რომ არ უნდა განიხილებოდეს დევნის შემაჩერებელ გარემოებად და ამავე დროს ის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება რომ უნდა იყოს, ამას ადასტურებს მაგალითი პრაქტიკიდან: ა-მ თანამონაწილეებთან ერთად 1995 წელს ჩაიდინა გამოძალვა ჯგუფურად, რომელზეც დევნა თანამონაწილეების მიმართ აღიძრა იმავე წელს. ამასთან, ბრალდებულთა მიმალვის გამო საქმის წარმოება შეჩერდა და განახლდა ცხრაჯერ. ამასობაში ბრალდებულთა უმეტესობა გარდაიცვალა, რის გამოც მათ მიმართ დევნა შეწყდა, ხოლო ა გასამართლებულ იქნა 2008 წელს.²⁹² ამ მაგალითში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქმედების ჩადენიდან 13 წლის შემდეგ მოხდა პირის გასამართლება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიმალვა სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი რომ არ ყოფილიყო, გამოძიებას არ დასჭირდებოდა 13 წელი ლოდინი და განაჩენიც გაცილებით მალე დადგებოდა. მეორე მხრივ, თუ მიმალვა პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი გარემოება იქნება, ამით გამოძიების ორგანოს ექნება შესაძლებლობა, ხანგრძლივი დროის, შემდეგ გადასცეს საქმე სასამართლოს, მანამდე კი შეაგროვებს საკმარის მტკიცებულებებს.

გერმანელ იურისტებს ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველების განსხვავებულად აგების გამო დასჭირდათ აბსოლუტური ხანდაზმულობის შემოღება, რომელსაც იმით ამართლებენ, რომ დროის გასვლის შემდეგ ქმედებასა და მოქმედს შორის არსებული კავშირი ქრება, თუნდაც მსჯავრდებული მიიმალოს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში აღნიშნული კავშირის დაკარგვის კატეგორიული მტკიცება ჩვენ არ შეგვიძლია, შესაძლებელია ამის მხოლოდ ვარაუდი. ამასთან, მიმალვით პირი ცდილობს, დაუსხლტეს გამოძიებას, რაც არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს. ესეც რომ არ იყოს, მიმალვის გათვალისწინება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელ გარემოებად არის ბრალდებულის მიმალვის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება, რაც ხელს შეუწყობს მის მიმართ დევნის განხორციელებას.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ იურიდიული მიმალვა არის პროცესუალური საფუძველი ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და უკავშირდება

²⁹² 2008 წლის 12 მარტს ახმეტის რაიონული სასამართლოს მიერ ა მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით 2 წლით თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნულის შესახებ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განაჩენი №1/ბ-799-08; ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განაჩენი №1/ა-23.

სისხლის სამართლებრივი დევნის შეუძლებლობას თვით ქმედების სუბიექტის ქმედების გამო.

აღნიშნული მოსაზრებებით უნდა ითქვას, სწორად მიგვაჩნია კანონმდებლის პოზიცია, რომ მიმალვა არ უნდა იყოს გამოძიების შეჩერების საფუძველი, თუმცა, ამავე დროს, გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად, ის უნდა იყოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი.

საინტერესოა, როგორ წყდება საზღვარგარეთ ხანდაზმულობის შეჩერების საკითხი. შ. ციმერმანი საუბრობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებაზე გდრ-ის სისხლის სამართლის მიხედვით, სადაც 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდში ხანდაზმულობა ითვლებოდა შეჩერებულად, თუ ამ პერიოდში არ წარმოებდა გამოძიება პოლიტიკური მიზეზით. აღნიშნულ ნორმას საფუძველად ედო სამართლიანობის აღდგენის, ზოგადი პრევენციის იდეა, რაც, თავის მხრივ, თეორიულად დაფუძნებული იყო თანასწორობისა და სამართლიანობის მოთხოვნაზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ხანდაზმულობის შეჩერებაში ვლინდება ხანდაზმულობის პროცესუალური ბუნება.²⁹³

კრისტოფ კრელის აზრით, პოლიტიკური მოტივით გამოძიების გარეშე დარჩენილი ქმედებების მიმართ გდრ-ში ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეჩერდეს, სანამ პოლიტიკური, რასისტული ან რელიგიური მოტივით არ ხდება მისი გამოძიება და ეს იმ მოტივით არის გამართლებული, რომ ხელისუფლის ნება უტოლდება კანონის ძალას.²⁹⁴

გდრ-იდან გფრ-ში გადასვლის პროცესში ხანდაზმულობის შეჩერების ტექნიკურ საკითხებს ეხებიან მაიკლ ლემკე და რაინერ ჰეტინგერი,²⁹⁵ კლაუს ბრეიმანი,²⁹⁶ შტეფენ კრამერი.²⁹⁷

როგორც პროფ. ვოლფგანგ მიხის სტატიიდან ირკვევა, გერმანიაში ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, სანამ უცხოეთში დაკავებული ბრალდებულის გადაცემა მიმდინარეობს, თუმცა ავტორი უმჯობესად მიიჩნევს ასეთ ვითარებაში ხანდაზმულობის შეწყვეტას, ვინაიდან, ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ხდება იმ მოქმედებებით, რაც ხელს უწყობს გამოძიებას.²⁹⁸

იმავე გერმანიაში 1993 წლის 26 მარტის კანონის თანახმად, 1949 წლის 11 ოქტომბრიდან 1990 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდშიც ხანდაზმულობის ვადა შეჩერდა კიდევ ერთი პოლიტიკური ცვლილების გამო.²⁹⁹ შ. ციმერმანის მტკიცებით, იმ დროის განმავლობაში, როცა პოლიტიკური მიზეზით არ მიმდინარეობდა გამოძიება, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეჩერდეს. ამ აზრს ეწინააღმდეგება ზენდლერი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონით იყო

²⁹³ იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 67-74

²⁹⁴ იხ. Krehl C., *Die Verjährung der in der ehemaligen DDR begangenen Straftaten*, DtZ 1992 Heft 1, 15

²⁹⁵ იხ. Lemke M., Hettinger R., *Zur Verjährung von in der ehemaligen DDR begangenen Straftaten und den Möglichkeiten des Gesetzgebers - - Zugleich eine Erwiderung auf König, NStZ 1991, 566 und Breymann, NStZ 1991, 463, NStZ 1992 Heft 1, 21-24*

²⁹⁶ იხ. Breymann K., *Zur Auslegung der Verjährungsregelung in Art. EGSStGB - - Verfolgbarkeit von Straftaten staatlicher Instanzen in der ehemaligen DDR, soweit sie nach DDR-Strafrecht verjährt sind*, NStZ 1991 Heft 10, 463-465

²⁹⁷ იხ. Cramer S., *Anmerkung zum Verjährungsgesetz*, NStZ 1995 Heft 3, 114-115

²⁹⁸ იხ. Mitsch W., *Neuregelung beim Ruhen der Verjährung während des Auslieferungsverfahrens*, NJW 2005 Heft 42, 3036-3037

²⁹⁹ იხ. Tröndle/Fischer, *Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 52. neubearbeitete Aufl., Verlag C. H. Beck, München, 2004, 688-690; Fischer T., *Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 55. Aufl., 753-755

შეუძლებელი გამოძიების წარმოება, ნაციზმის პირობებში კი გამოძიებაზე უარის თქმის საფუძველი იყო არა კანონი, არამედ პოლიტიკური მიზეზები.³⁰⁰ აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება როხენი, რომელსაც მიაჩნია, რომ ხელმძღვანელის ნება მიღებულ უნდა იქნეს, როგორც კანონი, რის გამოც პოლიტიკური მოტივით დაუსჯელობის შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეჩერდეს.³⁰¹ ლექშასი და რენებერგი იმავე შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას უჭერენ მხარს იმ მოტივით, რომ მაშინ შეუძლებელი იყო მართლმსაჯულების განხორციელება.³⁰²

გერმანიაში ხანდაზმულობის შეჩერებას, როგორც პროცესუალურ მოვლენას, აფუძნებენ სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლიანობის პრინციპზე, სახელმწიფოს ნებაზე, აწარმოოს გამოძიება, კანონიერების პრინციპზე, თუმცა შ. ციმერმანი მიდის დასკვნამდე, რომ არც ერთი ნახსენები არ გამოდგება ვადის შეჩერების საფუძველად ნაცისტურ დანაშაულებთან მიმართებით. აღნიშნულის გამო სიტუაციიდან გამოსავალს ის „ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებაში“ ხედავს.³⁰³ აქ იგულისხმება ახალი კანონით უფრო ხანგრძლივი ვადის დაწესება.

ჰ. იეშეკი და ტ. ვაიგენდი საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი კანონისმიერი საფუძვლის გარდა შეიძლება იყოს დაუძლეველი ფაქტობრივი დაბრკოლება პროცესის წარმოებისა.³⁰⁴

ამერიკის შტატ მასაჩუსეტსში ხანდაზმულობა ჩერდება იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ექვმიტანილი იმყოფება შტატის საზღვრებს გარეთ.³⁰⁵

საუბრობს რა ხანდაზმულობის ვადის შეჩერებაზე სამოქალაქო სამართალში, ე. რიჩარდსონი ამბობს: იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე უმაღლეს მოსარჩელეს მოთხოვნის საფუძველს, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა მოსარჩელე შეიტყობს მოთხოვნის საფუძვლის არსებობას ან როცა მას უნდა გაეგო მოთხოვნის საფუძვლის არსებობის შესახებ. აღნიშნულ მომენტამდე ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია. ავტორი ასხვავებს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების გადავადებას იმ შემთხვევისგან, როცა ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო და შემდეგ შეჩერდა. ავტორს მაგალითად მოჰყავს სიტუაცია, როცა მოთხოვნის საფუძველი გაჩნდა მოსარჩელის არასრულწლოვანებისას ან გონებრივი შეზღუდულობისას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა აითვლება არა მოთხოვნის საფუძვლის წარმოშობიდან, არამედ აღნიშნული შეზღუდულობის გაუქმებიდან. აქ ხანდაზმულობის ვადა არ ჩერდება, ვინაიდან ის არც დაწყებულია.³⁰⁶

იმავე კონტექსტში სხვა გარემოებებთან ერთად არასრულწლოვანებასა და გონებრივ შეზღუდულობაზე ამახვილებს ყურადღებას დოქტ. ს. ფ. ჯებ ვეითი.³⁰⁷ ანალოგიური შემთხვევას იცნობს ამერიკის სისხლის სამართალი არასრულწლოვანის წინააღმდეგ სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში, როცა ქმედების სუბიექტი დაზარალებულის მზრუნველია. მაშინაც ხანდაზმულობის ვადა აითვლება დაზარალებულის სრულწლოვანებიდან. ამ შემთხვევაშიც საქმე

³⁰⁰ იხ. Sendler H, *Zur Verjaehrung der "Verbrechen gegen die Menschlichkeit" in Berlin*, JR, 1953, 290-291

³⁰¹ იხ. Rösen A., *Rechtsfolgen der Einsatzgruppen-Prozesse*, NJW, 1964, 133-134

³⁰² იხ. Lekschas/Reneberg, *Zum Problem der Verjährung von Kriegs- und Naziverbrechen*, StuR 1964, 1187-1203

³⁰³ იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 117-121, 173, 177-179

³⁰⁴ იხ. Jescheck H-H, Weigend T., *Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil*, 5. Aufl., Berlin, 1996, 914

³⁰⁵ იხ. Viens D., *Countdown to Injustice: The Irrational Application of Criminal Statutes of Limitations to Sexual Offenses Against Children*, 38 Suffolk University Law Review, 2004, 183

³⁰⁶ იხ. ე. რიჩარდსონის დასახ. ნაშრ., 1036-1041

³⁰⁷ იხ. კ. ჯებ ვეითის დასახ. ნაშრ., 445-455

გვაქვს არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებასთან, როგორც ხშირად იმეორებენ მეცნიერები, არამედ ვადის დასაწყისის გადავადებასთან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის ნების გამოვლენას, სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტი უნდა დაისაჯოს დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად (გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა დაზარალებულთან შერიგება შეიძლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდეს). დაზარალებულის პოზიცია შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს. ამიტომ დაზარალებულის არასრულწლოვანებისას ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ან ვადის დაწყების გადავადება სისხლის სამართალში არ ეფუძნება მეცნიერულად გამართლებულ შეხედულებებს. ამიტომაც ჩვენთვის მისაღებია ი. ლისტოკინის მოსაზრება, რომ მცირეწლოვანთა წინააღმდეგ სექსობრივი დანაშაულების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება მიზანშეუწონელია.³⁰⁸ ამის სანაცვლოდ ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას ან შეჩერებას განგრძობადი დანაშაულების არსებობისას იმ მიზნით, რომ მოხდეს შემდგომი ქმედებების პრევენცია.³⁰⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ 1. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის მომენტში, რის გამოც სწორედ აქიდან უნდა იქნეს ათვლილი ხანდაზმულობის ვადა და არა ყოველი ქმედებისთვის ცალ-ცალკე. ამიტომაც აქ პირველი ქმედების დასჯისათვის ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება არაა საჭირო. პირველი და ბოლო ქმედებისთვის ხანდაზმულობა იწყება ბოლო ქმედების განხორციელებიდან. 2. ავტორის მოსაზრება საინტერესოა იმ კუთხით, რომ ახალი დანაშაული უნდა წვევდეს ხანდაზმულობის ვადის დენას ძველი დანაშაულისათვის. მართალია, ავტორი ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ პრევენციის მიზანი და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სწორედ იმას მოითხოვს, რომ ახალმა დანაშაულმა შეწყვიტოს ხანდაზმულობის ვადის დენა და ახალი დანაშაულის დასრულებიდან თავიდან დაიწყოს ძველი ხანდაზმულობის ვადის დენა. ასეთ შემთხვევაში ძველი დანაშაულის დასჯის პრობლემა არ იარსებებს. ეს საკითხი საბჭოთა სისხლის სამართალში სწორედ ასე იყო გაგებული. ვფიქრობთ, მოცემული მიდგომა სწორია.

აღნიშნული მოკლე ექსკურსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერებს შორის დიდი ხანია, მიდის კამათი იმაზე, თუ როდის შეიძლება შეჩერდეს ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება უნდა უკავშირდებოდეს ისეთ შემთხვევებს, როცა თვით ქმედების სუბიექტის მოქმედების თუ ზოგადად მისი საქმიანობის გამო შეუძლებელია პროცესის წარმოება ან პირი თავს არიდებს გამოძიებას. ამის ახსნა შემდეგში მდგომარეობს: გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ ბრალდებულმა არ უნდა შეუშალოს ხელი მას. იმ შემთხვევაში, როცა ქმედების სუბიექტის მოქმედება ან მთელი მისი საქმიანობა ხელს უშლის გამოძიების სრულყოფილ ან დროულ წარმართვას, საჭიროა ისეთი ქმედითი ზომების მიღება, რომელიც გამორიცხავს პირის დასხლეტას

³⁰⁸ იხ. ი. ლისტოკინის დასახ. სტატია, გვ. 114-115. მართალია, ავტორი აღნიშნულ დასკვნამდე განსხვავებული მოტივაციის საფუძველზე მიდის, კერძოდ, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დასჯა არაფრით განსხვავდება სხვა დანაშაულებრივი ქმედებების სუბიექტების დასჯისაგან სასჯელის პრევენციული მიზნიდან გამომდინარე. ამიტომ ხანგრძლივი დროის გასვლა ამ შემთხვევაში ისევე უარყოფითად მოქმედებს სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობაზე, როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში.

³⁰⁹ იქვე, 115-116

სამართლიანი სასჯელისაგან თუ პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შეუძლებლობა თვით ქმედების სუბიექტის მოქმედების თუ მისი საქმიანობის საფუძველზე. მართალია, აღნიშნული შეიძლება ვინმეს მეტად ზოგად დებულებად მოეჩვენოს, თუმცა საკითხის ასე დარეგულირება ლოგიკურია.

ამასთან, სსკ-ის 71-ე მუხლში აღნიშნული დებულების დამატებით გაქრება ხანდაზმულობის ვადების დანაშაულის ობიექტის მიხედვით აგების აუცილებლობა. ვგულისხმობთ სამოხელეო დანაშაულისათვის ცალკე ხანდაზმულობის ვადის დაწესებას, რის ერთადერთ გამართლებასაც მოხელის ძალაუფლებაში ვხედავთ. თუ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის ხელის შეშლა კანონის მოთხოვნის საპირისპიროდ და შესაბამისი ორგანოებისათვის დევნის განხორციელების საშუალების არქონა თვით ქმედების სუბიექტის ქმედებითა თუ საქმიანობით, თუნდაც თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაშინ ის მოიცავს არამარტო მოხელის მიერ ძალაუფლების გამოყენებით დანაშაულის დამალვის შემთხვევებს, არამედ სხვა შემთხვევებსაც. მაგალითად, იმუნიტეტს. ამასთან, გაქრება იმუნიტეტის ცალკე გამოყოფის აუცილებლობაც, ვინაიდან ისიც ამ დებულებაში მოიაზრება. მართლაც, იმუნიტეტი ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი არის იმდენად, რამდენადაც იმუნიტეტის პირობებში შეუძლებელია დევნის წარმოება ქმედების სუბიექტის საქმიანობის საფუძველზე.

იმუნიტეტი ეს არის პირის ხელშეუხებლობის გარანტია გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ემსახურება აღნიშნული პირისათვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელშეშლის თავიდან აცილებას. იმუნიტეტით სარგებლობს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, დიპლომატიური წარმომადგენელი... მათ მიმართ დევნის განხორციელება, იძულების ღონისძიების გამოყენება შეზღუდულია შესაბამისი პროცედურებითა და სათანადო ორგანოს მიერ გაცემული თანხმობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმუნიტეტი არის გარკვეულწილად დევნის წარმოების შემაფერხებელი გარემოება. ამიტომაც სამართლიანად ითვლება იმუნიტეტი ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებად. მოცემული შემთხვევა ემსგავსება სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას მოხელის თანამდებობის, ავტორიტეტისა და ძალაუფლების გამო დევნის განხორციელების შეუძლებლობას. ორივე შემთხვევაში ერთი საწყისი მოქმედებს. ამიტომაც იმუნიტეტი იმდენად უნდა იყოს ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი გარემოება, რამდენადაც ივარაუდება, რომ ის დიდი ალბათობით შეიძლება დევნის დაწყების ან განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს. მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ კანონმდებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმუნიტეტით (დამნაშავის მიმალვაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და უნდა განსაზღვროს ხანდაზმულობის შეჩერების ყველა შესაძლო შემთხვევა, რის გამოც უმჯობესი იქნება თუ კანონი ზოგადად დევნის განხორციელების შეუძლებლობას ან გამოძიებისათვის თავის არიდებას დათქვამს, რომელშიც იგულისხმება იმუნიტეტიც.

სისხლის სამართლის კოდექსი ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელ ფაქტორად მოიხსენიებს დამნაშავის გამოძიების ან სასამართლოსაგან მიმალვას. საკითხავია, როგორ უნდა იყოს სასამართლოსაგან პირის მიმალვა ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი, თუ ხანდაზმულობის ვადის დენა სრულდება უფრო ადრე: ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემისას? ეს ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშება

უნდა გრძელდებოდეს არა იმ მომენტამდე, რაც კანონშია მითითებული, არამედ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს ნ. ზაგოროდნიკოვიც, რომელიც პასუხისმგებლობისა და პასუხისგებაში მიცემის განსხვავების ანალიზით ასკვნის, რომ ხანდაზმულობა მატერიალური ბუნებისაა და მისი ვადის დენა უნდა დასრულდეს მატერიალური კანონის მოთხოვნისამებრ პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით.³¹⁰

ხანდაზმულობის შეჩერების საკითხს უკავშირდება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქმეზე გამოძიების განახლების საკითხი. პრობლემატურია, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადების დენა: საიდან იწყება ვადის დენა, შეჩერებული ვადები აღდგება თუ ახალი ვადა იწყებს დენას... განსაკუთრებით ეს ეხება გამამართლებელი განაჩენის შემთხვევებს. აღნიშნულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. კარლ-ჰინც გიოსელი.³¹¹ ამ შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან უწყვეტად, განსაზღვრული მუხლით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით უნდა იყოს დევნის განხორციელებისათვის ხელშეშლა ან გამოძიებისათვის თავის არიდება, რაც დაკავშირებულია თვით სუბიექტის ქმედებასა თუ განსაზღვრულ საქმიანობასთან.

2.1.4. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის წარსულში გათვალისწინებული იყო ორი მნიშვნელობით: როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის საბოლოო დასასრული და როგორც ვადის დენის შეწყვეტა იმ მნიშვნელობით, რომ იგი კვლავ გააგრძელებს დენას, თან სრული ვადით. მეორე მნიშვნელობით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი იყო ახალი დანაშაულებივი ქმედების ჩადენა.³¹²

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ითვალისწინებს ასევე გერმანული სამართალი, თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით იქ ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველია პროცესუალური მოქმედებები: ბრალდებულის პირველი დაკითხვა, ბრალდების წარდგენა, სასამართლო წარმოების დაწყება, ექსპერტიზის დანიშნვა, ჩხრეკა, ამოღება, სამართლებრივი დახმარების თხოვნა.³¹³ აღნიშნულის საფუძველად მეცნიერები მიიჩნევენ იმას, რომ სახელმწიფომ ამ ქმედებებით გამოავლინა პროცესის წარმართვის ნება. ხანდაზმულობის საკითხის დაკავშირებას გამოძიებაზე სახელმწიფოს ნებასთან თავისი უარყოფითი მხარეები აქვს, რის გამოც

³¹⁰ იხ. Загородников Н., *Давность уголовного преследования и ее сроки*, в: «Социалистическая законность», 1967, №2, 33-34

³¹¹ იხ. Gössel K-H, *Bindung der Wiederaufnahme zuungunsten des Verurteilten an die Verjährungsfrist? - - Zugleich eine Besprechung des Beschlusses des OLG Nürnberg vom 4. 5. 1988*, NSiZ, 1988, Heft 12, 537-540

³¹² იხ. Вереницын Ф., *Об уголовной давности*, в: Рабочий суд, орган ленинградского губернского суда, 1927, №12 (124), 977

³¹³ იხ. StGB, § 78c, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი მოვიძიეთ ვებგვერდზე www.gesetze-im-internet.de/stgb/_78c.html 00:15 30.06.2009

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსს დასჭირდა ხანდაზმულობის აბსოლუტური ვადის შემოღება, რომლის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადები არ აგრძელებს დენას მაშინაც, თუ ის შეწყვეტილი იყო.

ამას ადასტურებს რიჩარდ კრემერის სტატია, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობა შეიძლება შეწყდეს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოს სხვადასხვა ქმედებით, რაც ჩამოთვლილია გერმანიის სსკ-ის 78-ე მუხლში. ამასთან, ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება ნებისმიერ შემთხვევაში, თუ აბსოლუტური ხანდაზმულობის ვადა გავიდა, რომელიც არის ჩვეულებრივი ხანდაზმულობის ვადის ორმაგი ოდენობა.³¹⁴

აბსოლუტური ხანდაზმულობის ვადის არსებობა ზედმეტია, როცა ხანდაზმულობის არსი სწორად იქნება გაგებული და მის შესაბამისად მოწესრიგდება ხანდაზმულობის საკითხი დოგმატიკურად. სინამდვილეში ხანდაზმულობის წმინდა პროცესუალურად წარმოჩენა, როგორც ეს გერმანიაშია, არ ასახავს სრულად ხანდაზმულობის ბუნებას, ვინაიდან ხანდაზმულობა არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს ნებას, აწარმოოს გამოძიება, არამედ მას უფრო ღრმა და არაერთგვაროვანი საფუძველი აქვს, რომელთა შორის არის როგორც პროცესუალური, ასევე მატერიალურიც. იმ შემთხვევაში კი, როცა ხანდაზმულობას საფუძვლად უდევს მატერიალური და პროცესუალური გარემოებები, აღნიშნულმა ასახვა უნდა ჰპოვოს ხანდაზმულობის დოგმატიკურ რეგულირებაშიც.

პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა გულისხმობს პასუხისგებაში მიცემის შეუძლებლობას ხანგრძლივი დროის შემდეგ. ამ მოსაზრებამ გამოიწვია მეცნიერებაში აზრი, რომ პასუხისგებაში მიცემა წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას.³¹⁵ ეს ასეც იქნებოდა რომ არა სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ ბრალდებულის მიმალვა აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას, რაც ადასტურებს, რომ ხანდაზმულობის ვადა აგრძელებს დენას პასუხისგებაში მიცემის შემდეგაც.

რაც შეეხება დღეს მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის რეგულირებას, უნდა ითქვას, რომ მოქმედი კოდექსი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ცნებას არ იცნობს ან, შეიძლება იცნობს, მაგრამ იმდენად ბუნდოვნად გადმოსცემს მას, რომ ის შეუმჩნეველია. ეს დებულება უცნაურად ჟღერს იმ სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე, რაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობიდან შემოგვრჩა აღნიშნულ საკითხზე. მით უმეტეს, რომ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე სსკ-ის 49-ე მუხლში სწორედ ის აზრი იყო გატარებული, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიღებული. კერძოდ, „ხანდაზმულობის დინება წყდება, თუ კანონში აღნიშნული ვადების გასვლამდე პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის გამოთვლა იწყება ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტიდან“.³¹⁶

³¹⁴ იხ. Cremer R., *Strafrechtliche Sanktionen bei der Verletzung von Rechten des geistigen Eigentums* (Q 169), GRUR Int 2002 Heft 6, 515

³¹⁵ მსგავს პოზიციას ვხვდებით მაგალითად გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 78ც-ე მუხლში. აღნიშნული კოდექსი მოვიძიეთ ინტერნეტ-გვერდზე <http://bundesrecht.juris.de/stgb/> 0:12 12.03.2009; StGB Leipziger Kommentar, 11. Aufl., herausgegeben von Jänke B., Laufhütte H. W., Odersky W., 3. Band, Berlin, De Gruyter Recht, 2006, § 78c

³¹⁶ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის, 1987 წლის 19 ივნისის ბრძანებულებები - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., 12 მუხ. 371;

ამ შეხედულების გავლენით, ინერციით დღესაც მიიჩნევა, რომ ახალი დანაშაული წყვეტს ხანდაზმულობის ვადას, თუმცა კოდექსში ამის დადასტურებას ვერ ვპოულობთ. სსკ-ის 71-ე მუხელში მხოლოდ ის წერია, რომ „ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისთვის“.³¹⁷ მაგრამ აქ არსად არის მითითებული, ხანდაზმულობის ვადა ორივე დანაშაულისთვის ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან იწყება, თუ - თითოეული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან ცალ-ცალკე.

ერთი მხრივ, წინა რედაქციაში მითითებული დებულებების ამოღებით თუ ვიხელმძღვანელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ახალი დანაშაული უკვე არ წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ამ აზრს აძლიერებს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადები რამდენიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისთვის ცალ-ცალკე, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის დენაც იწყება ყოველი დანაშაულისთვის - სწორედ იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დღიდან და არა ბოლო ქმედებიდან. მეორე მხრივ, საერთოდ ახალ დანაშაულზე მითითება კოდექსში შეიძლება მიაჩნებოდეს იმაზე, რომ ის წყვეტს ვადის დენას. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი კოდექსში მოცემული რედაქციით არაერთმნიშვნელოვნად არის გადაწყვეტილი. ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუ პირდაპირ მიეთითება, ამ ორი გზიდან რომელს ანიჭებს კანონმდებელი უპირატესობას. ჩვენი აზრით, ახალმა დანაშაულებრივმა ქმედებამ უნდა შეწყვიტოს ხანდაზმულობის ვადის დენა.

ცნობილია, რომ სისხლის სამართალი მოწოდებულია, თავიდან აიცილოს დანაშაული. ამიტომ, მისი ინსტიტუტები და ცნებებიც მეტ-ნაკლებად ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. თუ ახალი დანაშაულის მიუხედავად ძველს დაუსჯელად დავტოვებთ, ამით ჩვენ, ჯერ ერთი, ქმედებებს სრულიად ვწყვეტთ სუბიექტისგან, მეორეც : ხანდაზმულობას ვუკარგავთ მნიშვნელოვან ფუნქციას – შეაკავოს ქმედების სუბიექტი ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან.

ამიტომაც არის აუცილებელი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ცნების ერთმნიშვნელოვნად აღიარება კოდექსში. უპირველესად ეს შეეხება ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. ამდენად, ახალი დანაშაულის არსებობის პირობებში წინა დანაშაულის ხანდაზმულობის დენა უნდა შეწყდეს. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის იმ მოდელს, რაც გერმანიის კოდექსით არის გათვალისწინებული და გულისხმობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებას. ეს არ შეესაბამება ხანდაზმულობის არსს. თუ ხანდაზმულობა არის მტკიცებულების არარსებობის გამო ვარაუდი, მაშინ გაუგებარია, ეს ვარაუდი რატომ უნდა შეწყდეს რომელიმე საგამოძიებო მოქმედებით? ერთადერთი მიზეზი ამ ვარაუდის შეწყვეტისა შეიძლება იყოს საწინააღმდეგოს დადასტურება. ამიტომაც უარსაყოფია ყველა მოსაზრება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის შესახებ გარდა ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა.

ამასთან, გასარკვევია, თუ როგორ უნდა მოხდეს ვადის შეწყვეტა წინა დანაშაულზე. კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირმა ჩაიდინა ახალი შემადგენლობა. ამ შემთხვევაში პირველი დანაშაულის დადგენა დამოკიდებული ხდება მეორე დანაშაულის დადგენაზე. ეს იმიტომ, რომ თუ მეორე ფაქტზე სასამართლო

1987 წ. 6 მუხ. 151; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - 1992 წლის 7 აგვისტოს გაზეთი „უწყებანი“.

³¹⁷ სსკ-ის მოქმედი რედაქციის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მივიდა დასკვნამდე, რომ დანაშაული არ არსებობს, მაშინ პირველ ფაქტზე ხანდაზმულობის ვადა გასულად ჩაითვლება. აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია ორივე ფაქტი ერთი სასამართლოს ქვემდებარეობაში მოექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ფაქტის გამოძიება უნდა შეჩერდეს მეორე ფაქტის დანაშაულად აღიარებამდე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი უნდა იყოს.

2.1.5. ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პრობლემატურია არა მარტო ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი, არამედ ვადის დასასრულიც. ამიტომ ეს საკითხიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი არეგულირებს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ერთი შეხედვით აღნიშნული მუხლის ნაწილები ერთმანეთთან შეთანხმებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა სინამდვილეში მათ შორის წინააღმდეგობა არსებობს. იგულისხმება ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტის პრობლემა, ანუ რა დრომდე უნდა იქნეს ათვლილი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა: პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, როგორც ეს სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილშია აღნიშნული, თუ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, როგორც მე-3 ნაწილიდან შეიძლება დავასკვნათ?

ეხება რა ხანდაზმულობის ვადის ათვლას, ვ. მაღიარენკო აღნიშნავს, რომ კერძო ბრალდების საქმეზე ის უნდა მთავრდებოდეს საქმის აღძვრისა და სასამართლოსათვის გადაცემის დღეს, მაგრამ ხშირად მას ითვლიან განაჩენის დადგენამდე.³¹⁸ აქაც იგრძნობა, თუ რა არაერთგვაროვანია აღნიშნული საკითხის ირგვლივ იურისტთა პოზიცია.

ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა პრაქტიკიდან: ა-მ თანამონაწილეებთან ერთად 1995 წელს რამდენჯერმე ჩაიღინა დანაშაულებრივი ქმედება. აღნიშნული ქმედებებიდან რამდენიმე ფაქტზე თანამონაწილეების მიმართ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე - 1995-1996 წლებში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 93-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 97-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 209-ე მუხლით (1961 წლის რედაცია). ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ კი - 2007 წლის 6 დეკემბერს ა-ს წაეყენა ბრალი სსკ-ის 154-ე მუხლის II ნაწილით დანარჩენ ეპიზოდებზე. ვინაიდან ა-ს ბრალი წაეყენა გამოძალვის 3 ეპიზოდში, რომელთაგან ერთზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1995 წელსვე, ხოლო ორზე - 2007 წელს, ამდენად 2007 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით შეწყდა დევნა ა-ს მიმართ ბოლო ორ ეპიზოდში. შესაბამისად, ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განაჩენით ა მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 154-ე მუხლის II ნაწილით მხოლოდ ერთი ეპიზოდისთვის. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის განაჩენით

³¹⁸ იხ. Маляренко В., *О давности привлечения к уголовной ответственности*, "Социалистическая законность", №8 (610), 1985, 63

ქმედების კვალიფიკაცია დარჩა უცვლელი.³¹⁹ ამ მაგალითიდან ჩანს, რომ როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები მიიჩნევენ, რომ ხანდაზმულობის ვადა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე და ეს გამომდინარეობს კიდევ სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან.

თუ მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის ნორმებს ერთობლიობაში განვიხილავთ, პრობლემატური ხდება პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტის განსაზღვრა. კერძოდ, სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა მიედინება პირის პასუხისგებაში მიცემამდე, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილში წერია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დევნის შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით ან გამამართლებელი განაჩენით. აქ ერთი მხრივ ხანდაზმულობის ვადები პირისათვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭებამდე მიედინება, მეორე მხრივ, საუბარია ბრალდებულის უფლებაზე, უარი თქვას ხანდაზმულობის წესის გამოყენებაზე. ეს გაურკვეველობა შემდგენიერად უნდა გადაწყდეს: ხანდაზმულობის ვადები მიედინება პირის პასუხისგებაში მიცემამდე, მაგრამ თუ პასუხისგებაში მიცემისას გამოძიებელს გამორჩა ხანდაზმულობის ვადების გადამოწმება, პირი ისე მისცა პასუხისგებაში, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო და ეს გამოვლინდა შემდგომ სტადიაზე, უკვე ბრალდებულს უფლება აქვს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე გასული ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად მოითხოვოს საქმის განხილვა სასამართლოში. ასეთი განმარტების შემდეგ, ვფიქრობთ, არ რჩება გაუგებრობა ხანდაზმულობის ვადის დინების ბოლო მომენტთან დაკავშირებით, თუმცა სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ასეთი რეგულირება.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაურკვეველია, კანონმდებელმა რატომ შემოფარგლა ხანდაზმულობით საქმის შეწყვეტაზე უარის უფლება მხოლოდ ბრალდებულით. განსასჯელს, მსჯავრდებულს არა აქვთ უფლება უარი თქვას საქმის შეწყვეტაზე იმავე საფუძველით? რა თქმა უნდა, აქვთ (თუ არადა უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ბრალდებული ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ სარგებლობს რაიმე ისეთი უპირატესობით, რომ მას განსასჯელისაგან და მსჯავრდებულისგან განსხვავებული უფლებრივი სტატუსი განეუსაზღვროთ ამ საკითხში). ამიტომაც ვფიქრობთ, რომ საპროცესო კოდექსში არასწორადაა გამოყენებული ტერმინი „ბრალდებული“, რადგან მის ადგილას შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი საპროცესო სტატუსის მქონე პირი: ეჭვმიტანილი მაშინ, როცა დევნის შეწყვეტის საფუძველი – ხანდაზმულობის ვადის გასვლა – გამოქვეყნდა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ბრალდებული მაშინ, როცა ხანდაზმულობის ვადის გასვლა ცნობილი გახდა საქმის სასამართლოში წარმართვამდე. განსასჯელი მაშინ, როცა აღნიშნული გამოვლინდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას განაჩენის გამოტანამდე. მსჯავრდებული მაშინ, როცა სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციებში გახდება ცნობილი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ.

³¹⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განაჩენი №1/ბ-799-08; ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განაჩენი №1/ა-23.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან. ასპინძის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განაჩენით ა-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან 2000 წლის 10 ოქტომბერს ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემადგენლობა; ხოლო ბ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან 2000 წლის 10 ოქტომბერს ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემადგენლობა ამასთან, მსჯავრდებულების მიმართ სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის და 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე*, იმ მოტივით, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, დადგა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულები პასუხისგებაში მიცემულ იქნენ 2002 წელს: ა ივლისის თვეში, ბ - სექტემბერში. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა-მ და ითხოვა გამართლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ იმსჯელა რაიონული სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ნორმის გამოყენების მართებულობის შესახებ და მიუთითა, რომ სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა უნდა გამოანგარიშებულიყო პასუხისგებაში მიცემამდე და არა განაჩენის დადგენამდე.³²⁰

ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია აშკარაა. ჩანს, რაიონული სასამართლოს მოსამართლე დაეყრდნო სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილს და, შესაძლებელია, სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილსაც, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე – სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტის საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა დაეთმოს ერთ გარემოებას: როცა პირი თავდაპირველად პასუხისგებაში მიცემულია ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დამძიმდება კვალიფიკაცია, როგორ უნდა გადაწყდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხი. ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს პირველად პასუხისგებაში მიცემამდე, თუ - ბრალდებულად ცნობის მეორე დადგენილების გამოტანამდე? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგნაირი უნდა იყოს: ხანდაზმულობის ვადები იანგარიშება კონკრეტული დანაშაულის მიხედვით და ეს სსსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით ასეცაა მოწესრიგებული. ამიტომაც ვადები აითვლება სწორედ განსაზღვრულ დანაშაულის შემადგენლობასთან მიმართებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედებისათვის ხანდაზმულობის ის ვადა უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც შეესაბამება დანაშაულს, რომელშიც ედება ბრალი პირს. ამიტომ ერთი და იმავე მუხლის პირველი ნაწილიდან თუ ქმედება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გადაკვალიფიცირდა მეორე ნაწილზე, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ამ მუხლის მეორე ნაწილით. ხოლო საკითხი, გაგრძელდეს თუ არა დევნა აღნიშნული მუხლის პირველი

* სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი 2007 წლის 23 მაისის ცვლილებებით ამოღებულ იქნა კოდექსიდან, რაც ქვემოთ ცალკე მსჯელობის საგანი იქნება.

³²⁰ განაჩენი შეიცვალა მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ა-ს მსჯავრიდან ამოერიცხა სსსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იმავე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს მას. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი №1/ბ-1475-07; ასპინძის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განაჩენი №1/ა-01.

ნაწილით, გადაწყდება იმის მიხედვით, თუ როდემდე იანგარიშება ხანდაზმულობის ვადა – პასუხისგებაში მიცემამდე თუ განაჩენის გამოტანამდე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულად ცნობის დადგენილებაში ქმედების აღწერის ნაწილში მოხსენიებულია დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნები - მაგალითად მნიშვნელოვანი ზიანი და არაერთგზის ქმედების ჩადენა, თუმცა არასწორი კვალიფიკაცია მიეცა ქმედებას და პირს ბრალი დაედო მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო აღნიშნული შეცდომის გამოსწორებისას მუხლის მეორე ნაწილისათვის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი? ამ შემთხვევაშიც იგივე დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რაც მივიღეთ წინა პრობლემის განხილვისას: სისხლისსამართლებრივი დევნა მუხლის მე-2 ნაწილით არ უნდა დაიწყო.

რომ დაეუბრუნდეთ ზემოთ განხილულ შემთხვევას, აღნიშნული მაგალითი გვაძლევს, განვიხილოთ სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა ჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა სასამართლოს. სასამართლოს შეიძლება დაემალოს ის პირი, რომლის მიმართ წარმოებული საქმეც სასამართლოს წარმოებაში იმყოფება. ეს კი მიანიშნებს განსასჯელის სტატუსზე. მაგრამ როგორ შეჩერდება განსასჯელის მიმართ ხანდაზმულობის ვადა, თუ მისი გამოანგარიშება ხდება ბრალდებულის სტატუსის მინიჭებამდე? სწორედ აღნიშნული ნაწილის არსებობა იწვევს დამატებით კითხვებს ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტის განსაზღვრის საკითხში.

ერთი მუხლის ნაწილებს შორის წინააღმდეგობა პრობლემის საკანონმდებლო გადაჭრას მოითხოვს, რაშიც დაგვეხმარება ახალი საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები. მათ შორის, 103-ე მუხლი, რომელიც ხანდაზმულობის ვადის დენას პასუხისგებაში მიცემის შემდეგაც შესაძლებლად მიიჩნევს. მართალია, სსსკ-ის 103-ე მუხლის შინაარსი შეიძლება ასევე გაგებულ იქნეს ისე, რომ მასში მოაზრებულ იქნეს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როცა გამოძიება მიდის ფაქტზე და ბრალდებულის სტატუსი პირს ჯერ არა აქვს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გამოძიების ვადა არ წყდება ბრალის წაყენებით, არამედ ჩვეულებრივ გრძელდება, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ვიგულისხმოთ სსსკ-ის 103-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძიების ვადის დასასრულად ბრალდების წაყენება. ამიტომ აუცილებელია, მატერიალურმა კოდექსმა სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილში შესაბამისი დათქმის ჩამატება, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაიწყო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა უცხოური ლიტერატურის გაცნობა, რათა გავიაზროთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. ა. ადლემშტაინი ამბობს, რომ მარტივი მკვლევლობისათვის ნიუ ჯერსის კანონით დაწესებული ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა იწვევს პასუხისგებაში მიცემის გამორიცხვას.³²¹

ლ. კერნსი ამბობს, რომ კანონი კრძალავს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირის დევნას.³²²

დ. ვინსიცი ადასტურებს, რომ ზოგადად ხანდაზმულობის ფუნქციაა ხანდაზმული დანაშაულების დევნის თავიდან აცილება, რაც იმას ნიშნავს, რომ

³²¹ იხ. ა. ეილშტაინის დასახ. ნაშრ., 203-204

³²² იხ. ლ. კერნსის დასახ. ნაშრ., 325-326

ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამორიცხავს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას.³²³

ი. ლისტოკინის სტატიიდან არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტი, ვინაიდან ის ასეთად ასახელებს დაკავებას ან გასამართლებას. იქვე ის ხანდაზმულობას უწოდებს სისხლისსამართლებრივი დენის ხანდაზმულობას. ამდენად, გაუგებარი რჩება, ხანდაზმულობის ვადა დაკავებამდე იანგარიშება თუ გასამართლებამდე.³²⁴

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლში საუბარია ხანდაზმულობის გამო სასჯელის დანიშვნის გამორიცხვაზე. ამასთან, როგორც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე გერმანელი ავტორები ხანდაზმულობას განიხილავენ როგორც პროცესის წარმოების ხელისშემშლელ გარემოებასაც.³²⁵ საინტერესოა ამ მხრივ კჰ გიოსელის ნაშრომი, რომელიც ეძღვნება განაჩენის დადგენის შემდეგ გამოძიების განახლების საკითხს და რომელიც ხანდაზმულობის ვადას განაჩენის დადგენას უკავშირებს.³²⁶ საუბრობს რა ტ. ვიკერნი ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის წესზე გერმანიაში, აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა უკავშირდება გარკვეულ საპროცესო მოქმედებებს. მაგალითად, ბრალდებულის პირველ დაკითხვას, რის გამოც ხანდაზმულობის ვადის დენა მიმდინარეობს განაჩენის დადგენამდე.³²⁷

ა. დანის შეხედულებით ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი მოქმედებები ეჭვიმტანილის მიმართ.³²⁸ უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება ძირითადად გამოხატავს ხანდაზმულობის არსს, ბუნებას და ფუნქციას, თუმცა არასრულად. ჯერ ერთი, დასაზუსტებელია, რომ ხანდაზმულობის ვადაში საგამოძიებო ორგანოებმა უნდა დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დენა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემით.* მეორეც : პასუხისგებაში მიცემამდე ხანდაზმულობის ვადის დენა გამოხატავს ხანდაზმულობის ძირითად თვისებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა გაგრძელდეს საპროცესო ურთიერთობაშიც.

ამდენად, საკითხის სწორად გადასაჭრელად უცხოეთის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლა საკმარისი არ არის, ვინაიდან გეხვედება განსხვავებული კანონმდებლობა და თეორიები. საქართველოში, ამერიკასა და გერმანიაში ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის საფუძველებიც განსხვავებულია და დოგმატიკური რეგულირებაც. ამის საფუძველზე, ნათელია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტის პრობლემა საქართველოში ინდივიდუალურად, ხანდაზმულობის ბუნების დამოუკიდებელი კვლევიით უნდა

³²³ იხ. დ. ვინისის დასახ. ნაშრ., 169-170

³²⁴ იხ. ი. ლისტოკინის დასახ. ნაშრ., გვ. 101-103

³²⁵ იხ. Lackner K., *StGB mit Erläuterungen*, 22. Aufl., Verlag C. H. Beck, München, 542-543; Lackner/Kühl, *StGB kommentar*, 26. Aufl., 524-525; დ. ბოკის დასახ. ნაშრ., 12-15;

³²⁶ იხ. კჰ გიოსელის დასახ. ნაშრ., 537-540

³²⁷ იხ. Wickern T., *Die Berechnung der strafrechtlichen Verjährungsfrist in der Rechtsprechung des BGH*, *NSStZ* 1994 Heft 12, 572-573

³²⁸ იხ. Dunn A., *Statutes of Limitation on Sexual Assault Crimes: Has the Availability of DNA Evidence Rendered Them Obsolete?*, 23 *U. Ark. Little Rock L. Rev.* 2001, 843. ვფიქრობთ, სათანადო განმარტებაა ამ ციტატის ირგვლივ საჭირო. კერძოდ, საუბარი უნდა იყოს არა ხელისუფლებაზე, არამედ სახელმწიფოზე. ამასთან, მან უნდა აწარმოოს არა სისხლისსამართლებრივი, არამედ საპროცესო მოქმედებები ეჭვიმტანილის მიმართ.

* მართალია, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დენა ეჭვიმტანილის მიმართაც შესაძლებელია, თუმცა ახალ საპროცესო კოდექსს პროექტს ამ მხრივ ცვლილებები შეაქვს და ის დენას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან იწყებს.

იქნეს გადაწყვეტილი. ამ მხრივ გადამწყვეტია იმის გააზრება, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა უკავშირდება დროის ხანგრძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგ ქმედების სუბიექტის პიროვნებაში ცვლილებების შესაძლებლობის გათვალისწინებით, პირის სასარგებლოდ ვარაუდს. სამწუხაროდ, ეს დებულება არ გვხვდება ზემოთ ნახსენებ ავტორებთან.

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საკითხს ეხება ი. ვალპერინი, რომელიც სწორად შენიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა პირის პასუხისგებაში მიცემამდე ნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნა შესაძლებელი ხდება მაშინაც, თუ განაჩენის გამოტანის მომენტში გავიდა ხანდაზმულობის ვადა, მაგრამ ის ჯერ არ იყო გასული პასუხისგებაში მიცემისას. ამჩნევს რა აღნიშნულს, ზოგი მეცნიერი შემოდის წინადადებით, მოცემულ შემთხვევებში გამამტყუნებელ განაჩენზე უარი ვთქვათ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუმცა, სამწუხაროდ, ავტორი მათ არ ეთანხმება ამოდის რა საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში ცნობილი შეხედულებიდან, რომ ხანდაზმულობის ვადის დინების აუცილებელი პირობაა საქმესთან დაკავშირებით რაიმე პროცესუალური მოქმედების წარმოების არარსებობა.³²⁹ ხანდაზმულობის მატერიალური ბუნება მოითხოვს, ხანდაზმულობის ვადა მიედინებოდეს არა რომელიმე პროცესუალურ ქმედებამდე, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრებამდე.

ამდენად, სწორად მიგვაჩნია ვ. მალკოვის მოსაზრება, რომელიც უპირისპირდება ი. ვალპერინს ეყრდნობა რა ხანდაზმულობის შეწყვეტისა და შეჩერების კოდექსით მოწესრიგებულ წესს* და ამბობს, რომ ხანდაზმულობა აგრძელებს დენას პირის გასამართლებამდე.³³⁰ აღნიშნულ დასკვნას უსამართლოს უწოდებს დ. პროშლიაკოვი იმ მოტივით, რომ პროცესის მხარეს (იგულისხმება დაცვის მხარე – ხაზგასმა ჩვენია – შ. ბ.), ექმნება შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ვადის გასვლაზე თავის სასარგებლოდ უსაფუძვლო შუამდგომლობების მეშვეობით,³³¹ თუმცა ეს აზრი საფუძვლიანად არის უარყოფილი რ. კუსმაულის მიერ.³³²

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, თვით ხანდაზმულობის ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ხანდაზმულობა ქმედების სასარგებლოდ ვარაუდს გულისხმობს.

განაჩენის გამოტანამდე ხანდაზმულობის ვადის დენის აუცილებლობის დასასაბუთებლად მოვიყვანთ რამდენიმე არგუმენტს: პირის პასუხისგებაში მიცემით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის იდეა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველი მათგანი არის პასუხისმგებლობისა და პასუხისგებაში მიცემის ცნებების ადრევა, როცა პასუხისგებაში მიცემა მეცნიერთა მიერ გაიგებოდა, როგორც პასუხისმგებლობის რეალიზაციის დასაწყისი. მეორე – აქ შეიმჩნევა სამოქალაქო სამართლის ანალოგია. კერძოდ, სამოქალაქო სამართლაში ხანდაზმულობის ვადის დასასრული უკავშირდება

³²⁹ იხ. Гальперин И., *Как исчислять срок давности привлечения к уголовной ответственности?*, «Советская юстиция», 1966, №9, 8-9

* აქ მართალია, იგულისხმება რსფსრ 1959 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა ამ ნაწილში დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც იგივე დებულებებს იმეორებს, ამიტომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

³³⁰ იხ. Малков В., *Исчисление сроков давности привлечения к уголовной ответственности*, «Советская юстиция», 1966, №22, 6

³³¹ იხ. Прошляков Д., *Освобождение от уголовной ответственности в связи с истечением сроков давности*, «Российская юстиция», 2000, №9, 51

³³² იხ. Куссмауль Р., *Момент истечения сроков давности в УК РФ установлен верно*, «Российская юстиция», 2001, 67

უფლებაშელახული პირის მიერ უფლების შემლახავი პირის მიმართ სასამართლოში სარჩელის შეტანას. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტად მიჩნეულია შესაბამისი ორგანოს მიერ სამოქალაქო სამართლის ნორმების დარღვევისა და დამრღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება. სწორედ აღიშნულის ზეგავლენითა და მისი ანალოგიით მოხდა სისხლის სამართალში ხანდაზმულობის ვადის ათვლა პასუხისგებაში მიცემამდე ანუ იმ მომენტამდე, როცა შესაბამისი ორგანოსათვის ცნობილი გახდა სავარაუდო დამრღვევის შესახებ.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა იყოს ზუსტი, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი სისხლის სამართლისაგან არსებითად განსხვავებულ პრინციპებს ეყრდნობა. კერძოდ, სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანია დარღვეული უფლების მფლობელის ნება, რომელსაც გამოხატავს კიდევ სარჩელის სასამართლოში შეტანა. სისხლის სამართლისთვის მიუღებელია დევნის აღძვრა ვინმეს ნებაზე იყოს დამოკიდებული: დაზარალებულის, ქმედების სუბიექტის, სახელმწიფოს თუ სახელმწიფო ორგანოების. სამოქალაქო სამართალში მიღებული ნების გამოვლენა, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი, შეცდომით იქნა გაიგივებული დამრღვევი პირის აღმოჩენად, როგორც ხანდაზმულობის ვადის დინების ბოლო მომენტად. სინამდვილეში სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტს განსაზღვრავს არა ქმედების სუბიექტის აღმოჩენა, რადაც სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა მივიჩნიოთ, არამედ დარღვეული უფლების მფლობელის ნების გამოვლენა, დაიცვას თავისი უფლება სასამართლო წესით.

ამასთან, დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტის აღმოჩენად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მიჩნევაც სადაოა, ვინაიდან სასამართლო პროცესზე შეიძლება პირი გამართლდეს მარეაბილიტირებელი საფუძველით. ამდენად, დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტი საბოლოოდ აღმოჩენილად შეიძლება მხოლოდ განაჩენის დადგენის შემდეგ მივიჩნიოთ. ესეც რომ არ იყოს, იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტი დავადგინოთ სისხლის სამართალში, უნდა ვიპოვოთ ის მოვლენა, რაც სისხლის სამართალში ისეთივე მნიშვნელობის იქნება, როგორც ნების გამოვლენა სამოქალაქო სამართალში. ვფიქრობთ, ასეთი მოვლენა არის პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინაიდან, რადგან ხანდაზმულობა პირის კეთილსინდისიერების ვარაუდს, ქმედების მნიშვნელობის დაკარგვას ნიშნავს, ის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს საპროცესო მოქმედებაზე, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ საწინააღმდეგოს არარსებობაზე, ანუ უპასუხისმგებლობის არარსებობაზე. უპასუხისმგებლობა კი, თავის მხრივ, განაჩენით დგინდება. ამდენად, პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა გრძელდებოდეს არა პასუხისგებაში მიცემამდე, არამედ განაჩენის დადგენამდე.

ამდენად, ხანდაზმულობა ძირითადად არის პასუხისგებაში მიცემის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყისის გამომრიცხველი გარემოება, თუმცა ამავე დროს ის არის სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დევნის შემწყვეტი გარემოება და, ბოლოს, განაჩენის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დასასრულის და ნეგატიური პასუხისმგებლობის დასაწყისის გამომრიცხველი გარემოებაც.

2.1.6. ხანდაზმულობის ვადის გასვლის პროცესუალური შედეგი

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც უნდა გაგამახვილოთ ყურადღება, არის ის, თუ როგორ უნდა დასრულდეს პროცესი ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, თუ დანაშაულის არსებობა დადგინდა. ამ მხრივ შესაძლებელია შემდეგი მიმართულებების ჩამოყალიბება: 1. უნდა დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, 2. უნდა დაინიშნოს სასჯელი და პირი გათავისუფლდეს მისი მოხდისაგან, 3. დევნა უნდა შეწყდეს.

ხანდაზმულობის დანიშნულება – პასუხისმგებლობის დაწესების შეუძლებლობა გულისხმობს განაჩენის გამოტანაზე უარის თქმას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფომ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არ უნდა გამოხატოს : გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა დადგეს. ე.ი. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად პირის სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა დადგეს განჩინება (დადგენილება) დევნის შეწყვეტის თაობაზე და სასამართლომ ქმედება შეფასების გარეშე უნდა დატოვოს. სხვა საკითხია, როცა სასამართლო მივა პირის გამართლების დასკვნამდე. ამ შემთხვევაში უნდა დადგეს გამამართლებელი განაჩენი. ამ მხრივ საინტერესოა 2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ გავიდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტის, გამოძიება მთავრდება გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით. ხოლო სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის ამოიწურა დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

სსსკ-ის 452-ე მუხლის თანახმად, სასამართლო წყვეტს დევნას სსსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე, გამოაქვს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი სსსკ-ის 503-504-ე მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე. ე.ი. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) დევნის შეწყვეტის შესახებ, როგორც სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, დაადგინოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი, როგორც სსსკ-ის 503-504-ე მუხლებშია მითითებული. ამასთან, სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს სასჯელის დანიშნით, სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით ან სასჯელის დაუნიშნავად.

როგორც ვხედავთ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა სახეებია დადგენილება (განჩინება) დევნის შეწყვეტის შესახებ, განაჩენი სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისგან გათავისუფლებით და განაჩენის დადგენა სასჯელის დაუნიშნავად. ესლა გადავხედოთ საპროცესო კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც ეხება ხანდაზმულობის საკითხს : 1. სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ე“

ქვეპუნქტს, 452-ე მუხლის მე-3 ნაწილს და 503-ე მუხლს თუ დავეყრდნობით,* სასამართლომ უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) დევნის შეწყვეტის შესახებ. 2. სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტის, უნდა დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშნვითა და მისი მოხდისგან გათავისუფლებით. 3. სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დგება გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.

აღნიშნული მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ საპროცესო კოდექსის სამ მუხლში, რომლებიც ეხება ხანდაზმულობის საკითხს, მისი სამართლებრივი რეგულირება სამნაირადაა მოცემული, ფაქტობრივად, მითითებულია ყველა შესაძლებელი ვარიანტი საქმის დამთავრებისა. აღნიშნული წინააღმდეგობის აღმოფხვრის საქმეში, სწორი ნაბიჯი იყო კანონმდებლის მიერ 2007 წლის 23 მაისს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამოღება. ამის შედეგად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელი სამართლებრივი შედეგების სიიდან ამოვარდა სასჯელის დაუნიშნავად განაჩენის გამოტანა და დარჩა მხოლოდ ორი : დევნის შეწყვეტის განჩინებისა (დადგენილებისა) და სასჯელის დანიშნვით გამამტყუნებელი განაჩენის მიღება სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილისა და იმავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით. ამასთან, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სასჯელი უნდა დაინიშნოს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული უარს იტყვის ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტაზე. ანუ მივიღეთ შემდეგი სურათი : ხანდაზმულობის ვადის გასვლას მოჰყვება დევნის შეწყვეტა, ხოლო ბრალდებულის მიერ გამოძიების გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში დადგება გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშნვითა და მისი მოხდისგან გათავისუფლებით.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა ორი განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ერთ საქმეზე: გამართლება და საქმის შეწყვეტა. ამ შემთხვევაში უნდა დადგეს გამამართლებელი განაჩენი თუ დევნის შეწყვეტის განჩინება? ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, სადაც უნდა იქნეს მოხსენიებული, რომ ხანდაზმულობის გამო მეორე დანაშაულთან დაკავშირებით დევნა შეწყდა. იგივე ითქმის, როცა რამდენიმე მუხლიდან ერთი ხანდაზმულია, ხოლო მეორეში პირი ბრალეულად იქნა ცნობილი, ამ შემთხვევაშიც უნდა დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც მიეთითება ბრალდების ნაწილში დევნის შეწყვეტის შესახებ.

* სსსკ-ის 503-ე მუხლს იმიტომ, რომ მასში ჩამოთვლილია გამამტყუნებელი განაჩენის სახეები, რომელთაგან არც ერთს არ შეესაბამება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში მისაღები გადაწყვეტილება, რადგანაც ამ მუხლში არ არის ნახსენები ხანდაზმულობის ვადის გასვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება. მით უმეტეს ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან ხანდაზმულობის შესახებ მითითების ამოღება.

2.1.7. ხანდაზმულობა და განსასჯელის რეაბილიტაციის უფლება

ცალკე მსჯელობას იმსახურებს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია მსჯავრდებულის მოთხოვნით გამოძიების გაგრძელების შემთხვევაში სასჯელის დანიშნვითა და მისი მოხდისგან გათავისუფლებით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. აქ ორი საწყისია გასააზრებელი: 1. ხანდაზმულობა პირის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას გულისხმობს და, ამდენად, გასარკვევია, რამდენად არის უფლებამოსილი სასამართლო, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ საკითხი გადაწყვიტოს პირის საუარესოდ, თუნდაც განსასჯელის მოთხოვნით. 2. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დევნის შეწყვეტაზე უარის შემთხვევაში სასჯელის დანიშნვით და მისგან გათავისუფლებით გამამტყუნებელი განაჩენის დანიშნვით ხომ არ დაკარგავს ხანდაზმულობა პროცესის ეკონომიურობის ფუნქციას და, ამდენად, ხომ არ იქცევა ის განსასჯელებისთვის წამახალისებელ ბერკეტად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ყველა შემთხვევაში მოითხოვონ გამოძიების გაგრძელება, რადგან ისინი სასჯელის მოხდისაგან მაინც გათავისუფლდებიან?

სანამ ამ მნიშვნელოვან საკითხებს გადავწყვეტდეთ, საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობის მცირე მიმოხილვა. სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს ფუნქცია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აჩვენოს, რომელი ქმედებებია დანაშაულებრივი და რომელი – არა. მართალია, კანონი ზოგადი ფორმულირებების გამოყენებით იძლევა მოქალაქეთათვის ინფორმაციას, თუ რომელი ქმედებები შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა, ჯერ, ერთი, ქმედების შემადგენლობა არ არის დანაშაულის შემადგენლობის იგივეობრივი და ამიტომაც მათ შორის შესაბამისობის დადგენა საჭირო. მეორეც, როგორც ნაშრომის პირველ თავში იქნა ნახვენები, დანაშაულის შემადგენლობა ჯერაც არაა დანაშაული და საკვებით შესაძლებელია კანონში მოცემული შემადგენლობის განმახორციელებელი სუბიექტი არაბრალეული აღმოჩნდეს. აღნიშნული მიანიშნებს სასამართლოს გადაწყვეტილების ფუნქციაზე, ყოველი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე აჩვენოს, თუ როგორი ქმედებებია დანაშაულებრივი. ამდენად, როცა პირი უარს ამბობს, გამოყენებულ იქნეს მის მიმართ ხანდაზმულობით საქმის შეწყვეტის წესი და ამის შემდეგ დანაშაულის არსებობა დადგინდება სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე ვერ იტყვის უარს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ განსასჯელს, რომელიც არ აღიარებს, რომ მისი ქმედება დანაშაულებრივია, სასამართლო შესაბამისი რეაგირების გარეშე ტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის პირს კვლავ გაუგებარ მდგომარეობაში ყოფნის საშუალებას აძლევს, არ ადგენს, რომ მისი ქმედება დანაშაულებრივია და სასჯელით არ აფრთხილებს მას ახალი დანაშაულისგან თავის შეკავებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა პირი ითხოვს მისი ქმედების სამართლებრივ შეფასებას, დაუშვებელია, აღნიშნული მოთხოვნა დარჩეს შესაბამისი რეაგირების გარეშე. შესაბამისი რეაგირება კი არის საქმის განხილვის დამთავრება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლომ პირს უნდა დაუნიშნოს სასჯელიც დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლოს პირი დანიშნული სასჯელის მოხდისგან.

როცა პირი უარს ამბობს ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტაზე, სასამართლო ვერ იყენებს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტის წესს

თვითონ განსასჯელის უარის გამო, თუმცა ძალას ინარჩუნებს საკითხის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი, რის გამოც დანიშნული სასჯელი კი არ აღსრულდება, არამედ პირი თავისუფლდება მისი მოხდისაგან. ე.ი. პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობაზე უარის თქმას მოყვება იგივე შედეგი, რაც სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას : სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება და ნასამართლობის შენარჩუნება.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ხანდაზმულობა ინარჩუნებს თავის ბუნებას და არც მისი სუბიექტურ-ობიექტური საფუძვლები იცვლება. ისევ არსებობს ეჭვი, რომ დროის განმავლობაში შესაძლებელია, პიროვნებაში მოხდა დადებითი ძვრები, ქმედების სოციალური მნიშვნელობა ისევ ისე ქრება, საზოგადოებისთვისაც ისევ ისე არააქტუალურია ქმედება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შედეგი განსხვავებული დგება. ეს განსხვავება გამოწვეულია განსასჯელის პოზიციითა და მის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილების მიერ თავისი ფუნქციის შესრულებით. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაშიც აქვს იგივე ფუნქცია, როცა განსასჯელი უარს არ ამბობს ხანდაზმულობით დევნის შეწყვეტაზე, თუმცა ამ დროს საკითხის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი მოითხოვს ქმედების შეფასებაზე უარის თქმას. იმ შემთხვევაში კი, როცა განსასჯელი უარს ამბობს, მის სასარგებლოდ იქნეს საკითხი გადაწყვეტილი და მოითხოვს მეტს, ვიდრე სასამართლო სთავაზობს, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნას. კერძოდ, იმიტომ, რომ მისი ქმედება დანაშაულებრივია. აღნიშნული სახის მსჯელობა კი გამამტყუნებელ განაჩენშია შესაძლებელი.

ამდენად, გამართლებაზე უარის დასაბუთება მოითხოვს ქმედების შეფასებას, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. ამასთან, საკუთარი პასუხისმგებლობის უკეთ შეცნობისათვის უმჯობესი იქნება, თუ სასამართლო სასჯელსაც განსაზღვრავს. მართალია, ის არ აღსრულდება და ამ მხრივ ფორმალური ხასიათის იქნება, მაგრამ დანაშაულის პრევენციის მიზნის უკეთ მიღწევის საშუალებად აღიქმება. კონკრეტული სასჯელის დანიშვნა, დაშინებისა და დარწმუნების ფუნქციას უკეთ შეასრულებს, ვიდრე სასჯელის დაუნიშნავად განაჩენის დადგენა. აღნიშნულს ამყარებს ისიც, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის სასამართლომ მაინც სრული მოცულობით უნდა ჩაატაროს გამოძიება. ხოლო სრული მოცულობით გამოძიების ჩატარება პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის საკმარისი საფუძველია (თუ არ ჩავთვლით სუბიექტის პიროვნული ნიშნების გამოკვლევას, რაც, ვფიქრობთ, დამატებით პრობლემებს არ წარმოშობს, ვინაიდან ის, როგორც წესი, საქმის გარემოებების გარკვევის პარალელურად ხდება და დამატებით პროცესის ჩატარებას არ მოითხოვს). ამდენად, სრულყოფილი სასამართლო გამოძიების სასურველი დასასრული იქნება სრულყოფილი სასამართლო გადაწყვეტილება ქმედების კვალიფიკაციით, სასჯელის განსაზღვრული ზომის დანიშვნით და მისი მოხდისგან გათავისუფლებით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი მოითხოვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას: უნდა შეეძლოს თუ არა ბრალდებულს ხანდაზმულობის წესის გამოყენებაზე უარის თქმა?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მიმართებით ორი პოზიცია იკვეთება. ერთი პოზიციის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს საქმის გარემოებებზე: ხანდაზმულობის შესახებ ნორმა სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების (იურისდიქციის) განმსაზღვრელია, რის გამოც მასზე უარის თქმა შეუძლებელია. მეორე პოზიციის მიხედვით, ხანდაზმულობის შესახებ

ნორმა მხარის მიერ დაცვის განხორციელების საშუალებაა, რის გამოც შესაძლებელია მასზე უარის თქმა. ამერიკაში საკითხი ასე დგას: ხანდაზმულობის შესახებ ნორმები მიემართება სასამართლოს თუ დაცვის მხარეს? ის სასამართლოს უფლებამოსილებების ზღვარს აღნიშნავს თუ მხარის მიერ საკუთარი ინტერესის დაცვის ბერკეტს? თუ ვიტყვით, რომ ხანდაზმულობა სასამართლოს მიემართება, მისი მოქმედების განმსაზღვრელი ნორმაა, მაშინ ის კატეგორიულ ხასიათს იძენს და სასამართლო მას გვერდს ვერ აუვლის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის შესახებ ნორმები მიემართება მხარეებს და აღნიშნავს მათ მიერ საკუთარი ინტერესის დაცვის საშუალებას, მაშინ მხარეს უფლება აქვს, არ გამოიყენოს იგი, უარი თქვას მასზე.³³³

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ხანდაზმულობა პირის ინტერესების სასარგებლოდ პრეზუმირებას გულისხმობს, რაც მიანიშნებს მხარის ინტერესების დაცვის მექანიზმზე, მეორე მხრივ, ხანდაზმულობას ურყევი საფუძველი აქვს, რომელიც არ იცვლება იმის მიუხედავად, უარს იტყვის მხარე ხანდაზმულობის წესის გამოყენებაზე, თუ – არა. ამიტომაც ხანდაზმულობის ვადის გასვლას ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი უნდა მოჰყვეს. აღნიშნული ორი პოზიცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთი შეხედვით მყარი ჩანს მეორე შეხედულება, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მართალია, ხანდაზმულობა საკითხის სუბიექტის სასარგებლოდ გადაწყვეტას გულისხმობს, თუმცა ხანდაზმულობის ვითარებაში სუბიექტის სასარგებლოდ პრეზუმირება გამოიხატება ქმედების შეფასებაზე უარის თქმაში. საგნებით შესაძლებელია, სუბიექტს მეტი უნდოდეს: სრულ გამართლებას მოითხოვდეს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, მისთვის არ არის საკმარისი ქმედების შეფასებაზე უარის თქმა და ის ქმედების დადებითად, მართლზომიერად შეფასებას ელოდება. ეს უკანასკნელი კი, რასაკვირველია, უფრო მეტად გამოიხატავს სუბიექტის ინტერესებს, ვიდრე ქმედების შეფასებაზე უარის თქმა. ამიტომაც არ იქნება სწორი, მხარეს წავართვათ საკუთარი ინტერესის იმაზე მეტად დაცვის უფლება, ვიდრე ამას ხანდაზმულობის არსებობა სთავაზობს.

აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია დაცვის მხარის უფლება, ხანდაზმულობის მიუხედავად მოითხოვოს საქმის გამოძიების გაგრძელება.

ამ მხრივ საინტერესოა მაგალითი პრაქტიკიდან: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 აგვისტოს განაჩენით ა-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ბ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან 2003 წლის 13 იანვარს ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, გათვალისწინებული სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სასჯელის დაუნიშნავად. ბ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცა 2005 წელს 2 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. საქალაქო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ა-მ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სარევიზიო წესით განიხილა საქმე ბ-ს მიმართ და 2007 წლის

³³³ იხ. Kleppin C. L., *Symposium: race, gender, power, and the public interest: perspectives on professionalism: comment: yossarian is back, the ultimate catch-22: what to do when the statute of limitations has run on lesser offenses*, 8 St. Thomas Law Review, Fall, 1995, 241-243; იხ. Mungovan T. W., *Survey of first circuit law: Topical surveys: Criminal Law -- Statute of limitations: an affirmative defence waived by a guilty plea -- Acevedo-Ramos v. United States*, 961 F.2D 305 (1ST CIR.), *Cert. denied*, 113 S. CT. 299 (1992.), 27 Suffolk University Law Review, Fall 1993, 1108

22 ნოემბერს დაადგინა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი.³³⁴ ეს გადაწყვეტილება საინტერესოა იმ მხრივ, რომ ზემდგომი ინსტანციის მიერ გამართლებულ იქნა პირი, რომლის მიმართაც პირველმა ინსტანციამ გამოიყენა ხანდაზმულობის წესი. მართალია, ამ შემთხვევაში განსასჯელს არ უთქვამს უარი ხანდაზმულობის წესის გამოყენებაზე, თუმცა დგას საკითხი: როგორ უნდა მოიქცეს ზემდგომი სასამართლო, როცა მივა დასკვნამდე, რომ პირს, რომლის მიმართ გამოყენებულ იქნა ხანდაზმულობის ნორმა, დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია? აღნიშნული კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია ამერიკელ იურისტებს შორის. ეს შემთხვევა შესაძლოა სხვაგვარად დასრულებულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ქართულმა სასამართლომ სრულიად კანონიერად გამოიყენა რევიზიის წესი (როგორც ხდება ხოლმე მრავალპირიან საქმეებზე, როცა ყველა მსჯავრდებული არ ასაჩივრებს განაჩენს) და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აუმჯობესებდა მსჯავრდებულის მდგომარეობას (მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ხანდაზმულობის ნორმა იყო გამოყენებული). საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეესაბამება როგორც მოქმედ საპროცესო კოდექსს, ასევე სამართლიანობის ზოგად იდეას.

საინტერესოა ამ მხრივ კრის კლეპინის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობაზე უარის თქმის საჭიროება დგება, როცა მძიმე დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ედება პირს ბრალი, მას არ ჩაუდენია ან არ მტკიცდება აღნიშნული, თუმცა მისი ქმედება წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს. ამასთან, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადა გასულია. ასეთ ვითარებაში დაცვის მხარემ უნდა აირჩიოს, გამოიყენოს ხანდაზმულობის წესი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის და ამით გამორიცხოს სასამართლოს მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე მსჯელობა და მხოლოდ მძიმე დანაშაულის განხილვით შემოიფარგლოს თუ უარი თქვას ნაკლებად მძიმე დანაშაულზე ხანდაზმულობის წესის გავრცელებაზე, აღიაროს იგი და უარყოს მძიმე დანაშაული. თუ დაცვა პირველ გზას აირჩევს, სასამართლოს არ ექნება შესაძლებლობა, იმსჯელოს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე მაშინაც, თუ მისი არსებობა საქმის მასალებით მტკიცდება და დგება არჩევანის წინაშე: გაამართლოს პირი ან გაამტყუნოს მძიმე დანაშაულში მიუხედავად იმისა, რომ იგი არ დასტურდება საქმის მასალებით. ასეთ ვითარებაში სასამართლოები ხშირად არჩევენ პირის გასამართლებას. მეორე შემთხვევაში კი საკითხი უპრობლემოდ წყდება: განსასჯელი გასამართლდება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის.³³⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გაუგებარია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა თუ საქმის მასალებით არ მტკიცდება აღნიშნული. ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ხომ სუბიექტის გამართლებაა? ამიტომაც ხანდაზმულობაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მძიმე დანაშაულში უსამართლო მსჯავრდებას დაუსხლტე, არადამაჯერებელი და დაუსაბუთებელი ჩანს.

ამ საკითხს ეხება თ. მანგოვანის სტატია, სადაც საუბარია იმაზე, ბრალის აღიარება ნიშნავს თუ არა იმავე დროს უარს ხანდაზმულობის წესის გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე, როგორც სტატიიდან ირკვევა, ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში არაა ერთიანი აზრი: ზოგი სასამართლო ბრალის აღიარების შემთხვევაში ხანდაზმულობის წესის გამოყენებას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან, მათი აზრით, აღნიშნული

³³⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენი №1/ბ-1588-07; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 აგვისტოს განაჩენი №1/ა-95.

³³⁵ იხ. კ. კლეპინის დასახ. ნაშრ., 229, 241-243

წარმოადგენს დაცვის მხარის მიერ წარმოსადგენ მტკიცებულებას. მეორე პოზიცია ამტკიცებს, რომ ხანდაზმულობის გამოყენება სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხია იმის მიუხედავად, მხარე დააყენებს თუ არა აღნიშნულ შუალედოვანობას. ამიტომაც ბრალის აღიარება არ ნიშნავს ხანდაზმულობაზე უარის თქმას.³³⁶ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხანდაზმულობაზე უარის თქმა დასაშვებია ერთადერთ შემთხვევაში: გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოთხოვნისას. სხვა შემთხვევაში სასამართლომ ხანდაზმულობა უნდა გამოიყენოს, ვინაიდან ის არამარტო პირის ინტერესებშია, არამედ შექმნილ სიტუაციაში ყველაზე მეტად სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის მექანიზმიცაა.

გამართლების მოთხოვნა არის გამონაკლისი შემთხვევა, როცა ხანდაზმულობას არა აქვს კატეგორიული ხასიათი. ამ შემთხვევაში პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა სახეს იცვლის, ის კარგავს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების სახეს და იქცევა სასჯელის მოხდისაგან გამათავისუფლებელ გარემოებად, თუმცა არ უტოლდება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას და მისგან განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება. კერძოდ, ამ დროს პირი სასჯელს საერთოდ არ იხდის, რადგანაც განაჩენი სასჯელის ნაწილში აღსასრულებლად არ მიექცევა; პირი სასჯელისაგან თავისუფლდება განაჩენითვე და არა ცალკე დადგენილებით; განაჩენიდან სასჯელისაგან გათავისუფლებამდე რაიმე ვადის სვლა არ ხდება, რადგან ამ ვადის მაგივრობას წევს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნული პარაგრაფი შეიძლება დავასრულოთ დასკვნით, რომ რეაბილიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში დანაშაულის დადგენის ვითარებაში სასამართლომ უნდა გამოაცხადოს გამამტყუნებელი განაჩენი კონკრეტული სასჯელით და ამ სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებით.

2.18. დანაშაულები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით კი ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 71-ე მუხლში მსჯავრდებულზე მითითება საკითხისადმი არასწორი მიდგომაა, ვინაიდან საუბარია განაჩენამდე არსებულ ხანდაზმულობაზე. ამიტომ აქ საუბარი უნდა იყოს იმ დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელ პირზე, რომელსაც კოდექსით უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. როგორც კოდექსიდან ჩანს, აღნიშნული სახის დანაშაულებზე შეიძლება ხანდაზმულობა არ გავრცელდეს, ხოლო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხანდაზმულობის გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. აქ იგულისხმება გაეროს 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენცია სამხედრო და

³³⁶ იხ. ტ. მანგოვანის დასახ. ნაშრ., 1108

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადების გაუზრცელებლობის შესახებ; ევროპის 1974 წლის 25 იანვრის ანალოგიური კონვენცია.

ხანდაზმულობის გაუზრცელებაზე კანონმდებლის მიერ უარის თქმა გამოწვეულია იმით, რომ, ერთი მხრივ, საერთაშორისო დანაშაულები საზოგადოებაში უკიდურეს აღშფოთებას იწვევს; მეორე მხრივ, ისინი არ ხასიათდება ლატენტური ბუნებით. საერთაშორისო კონვენციებში ჩამოთვლილია საერთაშორისო დანაშაულები. ისინი გათვალისწინებულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. თუ ამ დანაშაულების შემაღგენლობებს თვალს გადავაგვლებთ, ნათელი გახდება, რომ ისინი ან სრულიად არაა ლატენტური, ან ნაკლებად ლატენტურია. მაგალითად, შეუძლებელია გენოციდი ჩადენილ იქნეს ისე, რომ საზოგადოებამ ეს ვერ გაიგოს. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ხანდაზმულობის არსებობა ლატენტური დანაშაულების ბუნებიდან აიხსნება, მაშინ გასაგები გახდება, რომ საერთაშორისო დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობაზე ხანდაზმულობის ვადები არ უნდა მოქმედებდეს.

გერმანიის მაგალითზე გამოჩნდა, რომ საერთაშორისო დანაშაულების დაუსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით. სწორედ აღნიშნულმა შეუქმნა შემდგომში პრობლემები იურისტებს საერთაშორისო დანაშაულების დასჯასთან დაკავშირებით. ამის მაგალითია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერებაში მიმდინარე ცხარე დისკუსიები და კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები ამ კუთხით. ნაციონალ-სოციალისტური დანაშაულის შემაღგენლობის სუბიექტთა დაუსჯელობა გამოწვეული იყო ხელოვნური მიზეზებით, რის გამოც პოლიტიკური რეჟიმის შეცვლასთან ერთად დღის წესრიგში დადგა შესაბამისი რეაგირების მოხდენა წარსულის შეცდომებზე.

1832 წელს ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა რუსეთში დეზერტირობაზე, 1842 წელს – მართლმადიდებლობაზე უარის თქმაზე.³³⁷ გდრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობას არ ექვემდებარებოდა მშვიდობის, კაცობრიობის და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული, სამხედრო დანაშაულები.³³⁸ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით 1979 წლიდან მკვლელობაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. ამ უკანასკნელს არ ეთანხმება ჰაინც აირიხი, რომლის აზრითაც, მკვლელობა უნდა ექვემდებარებოდეს ხანდაზმულობას.³³⁹ იგივეს ამტკიცებს ჰანს იოხენ ფოგელი.³⁴⁰ მათგან განსხვავებით ამ ცვლილებას ემხრობა ჰანს კლაინი.³⁴¹ ვოლტერ ლევალდის და ვერნერ მაიჰოფერის აზრით კი ხანდაზმულობის გაუზრცელების საკითხი სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს მკვლელობათა სახეობების მიხედვით.³⁴² აღნიშნული ავტორები, როცა მკვლელობაზე საუბრობენ, მასში მოიაზრებენ ნაცისტური რეჟიმის პერიოდში ჩადენილ მკვლელობებსაც. ნეგელეს აზრით, პოლიტიკური მიზეზით სასჯელის გარეშე დარჩენილი დამნაშავე უნდა დაისაჯოს თანასწორობის პრინციპიდან

³³⁷ იხ. დ. ორლოვის დასახ. ნაშრ., 17

³³⁸ იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 62

³³⁹ იხ. Eyrich H., *Auch die Verfolgung von Mord soll verjaehren*, ZRP 1979, Heft 3, 49-54

³⁴⁰ იხ. Vogel H-J, *Mord sollte nicht verjaehren*, ZRP 1979, Heft 1, 1-5

³⁴¹ იხ. Klein H., *Keine veraenderung der Verjaehrungsfrist fuer Mord*, ZRP 1979, Heft 6, 145-150

³⁴² იხ. Lewald W., *Aufhebung oder Nichtaufhebung der Mordverjaehrung – Freiheit der Gewissensentscheidung?* ZRP 1979, Heft 6, s. 152-154; W. Meihofner, *Nichtverjaehrung des Völkermordes*, ZRP 1979, Heft 4, 81-87

გამომდინარე, რის გამოც ნაცისტური დანაშაულები ხანდაზმულობას არ უნდა ექვემდებარებოდნენ.³⁴³

საბჭოთა სამართალში ხანდაზმულობის გამოყენება-არგამოყენების საკითხს სიკვდილით დასჯის შემთხვევაში წყვეტდა სასამართლო.³⁴⁴ დღეს საქართველოში ანალოგიური ნორმა მოქმედებს უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში. 1926 წლის კოდექსის მიხედვით, კონტრევოლუციური დანაშაულებისათვის ხანდაზმულობის გამოყენება სასამართლოზე იყო დამოკიდებული და თუ ის მას არ გამოიყენებდა, სიკვდილით დასჯა იცვლებოდა უფრო მსუბუქი სასჯელით. ასევე, მაგრამ სასამართლოს შეხედულების მიხედვით წყდებოდა საკითხი, მუშა კლასის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის და რევოლუციური მოძრაობის შემთხვევაში სიკვდილით დასჯა შეცვლილიყო თუ არა ნაკლები სასჯელით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად ხანდაზმულობის წესით პასუხისმგებლობის გამორიცხვის სასამართლოს მიერ შეუძლებლად მიჩნევის მაგალითია ილია ჭავჭავაძის მკვლელის სიკვდილით დასჯა 34 წლის დაგვიანებით.³⁴⁵ ამ შემთხვევაში ილიას მკვლელი სიკვდილით დაისაჯა. მაგრამ კონტრევოლუციური დანაშაულისთვის თუ ხანდაზმულობით პასუხისმგებლობის გამორიცხვას სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევდა, ინიშნებოდა ხანგრძლივი სასჯელი. ი. ტაჩევესკის თქმით, სიკვდილით დასჯა ხანდაზმულობის გამოყენებლობისას იცვლება აბსოლუტურად განსაზღვრული – 15 წლით თავისუფლების აღკვეთით.³⁴⁶

ხანდაზმულობის გამოყენებლობის წესს იცნობს ამერიკის შეერთებული შტატებიც. პ. პ. რობინზონის მიხედვით, სამხრეთ კაროლინისა და ვაიომინგის შტატი არ იცნობს ხანდაზმულობას. კენტუკიში, მერილენდსა და ჩრდილოეთ კაროლინაში ხანდაზმულობა ვრცელდება მხოლოდ გადაცდომებზე, ხოლო ვირჯინია და დასავლეთ ვირჯინია არ ავრცელებს ხანდაზმულობას ტრადიციულ დანაშაულებზე. რაც შეეხება მისისიპის, ის ზოგ დანაშაულზე არ ავრცელებს ხანდაზმულობას.³⁴⁷

ხანდაზმულობის გამოყენებლობის საფუძვლის განმარტებას იძლევა ჩ. ე. ტორცია, რომლის ნაშრომიდან ირკვევა, რომ ზოგადად მიღებულია, ხანდაზმულობა არ გამოიყენონ მკვლელობის შემთხვევებში, იმ დანაშაულებისას, რომლებიც ისჯება სიკვდილით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.³⁴⁸

ბავშვების მიმართ განხორციელებული დანაშაულები საზოგადოებაში იწვევს იმ ზომით უკურეაქციას, რომ დროთა განმავლობაში პირის დასჯის მოთხოვნა არ ქრება. ამ მოსაზრებით და იმაზე დაყრდნობით, რომ ხანდაზმულობა გამოხატავს ინტერესთა კონფლიქტს, სადაც პიროვნების სასარგებლოდ ხდება საკითხის გადაწყვეტა, ხოლო ბავშვების წინააღმდეგ სექსუალურ დანაშაულში სამართლიანობის მოთხოვნისა და დამნაშავის დასჯის ინტერესი სჭარბობს დამნაშავის უსაფრთხოების ინტერესს, დ. ვინსი გვთავაზობს, გაუქმებულ იქნეს ხანდაზმულობის ვადები აღნიშნული დანაშაულებისთვის.³⁴⁹

³⁴³ იხ. Naegele, zur Strafverfolgungsverjaehrung von vor dem 8 mai 1945 begangenen Straftaten, NJW, 1960, Heft 20, 889-892

³⁴⁴ იხ. Курс Советского уголовного права, т. 3, М, 1970, 287

³⁴⁵ იხ. მშენიერაძე, 27-29

³⁴⁶ იხ. Ткачевский, Давность, 76

³⁴⁷ იხ. პ. რობინზონის დასახ. ნაშრ., §2.02 (a)

³⁴⁸ იხ. Torcia C. E., Wharton's Criminal Law, 15th ed. 1993, § 92, at 628-629

³⁴⁹ იხ. დ. ვინსის დასახ. ნაშრ., 187-189. აქვე განმარტავთ, რომ ავტორის მიერ თავის ნაშრომში მოყვანილი არგუმენტებიდან მხოლოდ ორი მოვიყვანეთ, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ ისინი ყველაზე მყარ არგუმენტებს წარმოადგენენ.

ვერ დავეთანხმებით ლორენ კერნს, რომელიც ამბობს, რომ სექსუალურ დანაშაულებზე ხანდაზმულობის გაუქმება გამოიწვევს მის გაუქმებას ყველა დანაშაულისთვის.³⁵⁰ ეს რომ ასე არაა, ამის მაგალითია ის, რომ ამერიკის ზოგი შტატი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობას აღნიშნულ დანაშაულებზე, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის, ხანდაზმულობა გამოიყენოს დანარჩენ დანაშაულებთან დაკავშირებით.

ჟ. მინდლინის აზრით, ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური დანაშაულებისთვის ხანდაზმულობის ვადები უნდა გაიზარდოს ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულების გამოძიებას.³⁵¹

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ამერიკის ზოგიერთი შტატი არ იცნობს ხანდაზმულობას, ხოლო ზოგი შტატში ხანდაზმულობა არ ვრცელდება მძიმე დანაშაულებზე – ფელონიებზე.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ხანდაზმულობის გამოყენებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში არღვევს ხანდაზმულობისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ ნიშნებს. კერძოდ, ხანდაზმულობა ამ შემთხვევაში არ არის კატეგორიული ბუნების, ის არ იწვევს პროცესუალური მოქმედებების შეწყვეტას, მისი გამოყენება დამოკიდებულია სასამართლოზე, მის გამოყენებაზე უარის შემთხვევაში შეუძლებელია სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომის გამოყენება.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არ უნდა იქნეს გამოყენებული, და უკვე გასული დრო სხვა შესაძლებელი პასუხისმგებლობის ზომაზე მეტია, არაფერი უშლის ხელს ხანდაზმულობის გამოყენებას. იმ შემთხვევაში კი, როცა გასული დრო არ არის შესაძლებელ ვადიან თავისუფლების აღკვეთაზე მეტი, სასამართლომ უნდა დანიშნოს სასჯელი ბრალის ხარისხის მიხედვით. ამ შემთხვევაში დროის პერიოდი, რაც გავიდა დანაშაულის შემადგენლობის შემდეგ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად არ გამოდგება. ერთადერთი შემთხვევა, როცა დრო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების როლში გვევლინება, არის შემთხვევა, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ პირს უნდა მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო კანონი ზღუდავს ამაში.

ეს არის გამონაკლისი, როცა რეალურად დრო არის ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც ხდება პასუხისმგებლობის იმ ზომის დაწესება, რომელიც საკმარისია სასჯელის მიზნების მისაღწევად. უფრო კონკრეტულად, აქ საუბარია იმაზე, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაში რეალურად პირი ასეთი დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელისგან გათავისუფლდება იმდენად ხანგრძლივი დროს შემდეგ, და პასუხისმგებლობისაგან კიდევ უფრო დიდი ხნის შემდეგ, რომ მის მიერ ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შანსი უკიდურესად მცირდება, რადგან ის უკვე ხანში შესული იქნება. როგორც ვხედავთ, სწორედ სასჯელის მიზნებისადმი სასჯელის შესაბამისობის, აუცილებლობის და საკმარისობის პრინციპია იმის საფუძველი, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი ვთქვათ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაზე და შემოვიფარგლოთ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

³⁵⁰ იხ. ლ. კერნის დასახ. ნაშრ, 327

³⁵¹ იხ. Mindlin J. E., *Comment: Child sexual abuse and criminal statutes of limitation: a model for reform*, 65 Washington Law Review, January, 1990, 189, 202,

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევებში, როცა უვადო თავისუფლების აღკვეთას ხანდაზმულობის ვადის გასვლა უშლის ხელს, სასამართლო სავარაუდოდ დანიშნავს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმს, თუმცა იმ შემთხვევებში, როცა პირის ასაკიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი აღნიშნული, სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს მინიმუმიც.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, ის არ იცნობს ხანდაზმულობის ვადებს,³⁵² ამიტომ ყველა საერთაშორისო დანაშაული, რომელთა დამდგენ ხელშეკრულებებსაც საქართველო შეუერთდა, უნდა დაისაჯოს დროის ნებისმიერ მომენტში. ასეთი ხელშეკრულებაა ე.წ. „რომის სტატუტი“, რომელიც იცნობს ოთხ დანაშაულს: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული, ომის დანაშაული, გენოციდი, აგრესია. ესენია უმძიმესი დანაშაულები არა მათთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომიდან, არამედ თვით მათი ბუნებიდან გამომდინარე. ეს არის უმძიმესი დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას. ისინი იწვევს მთელი საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას. ამიტომაც სტატუტის ხელისმომწერნი ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწონ მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილებას ამ დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენთა დაუსჯელობის ბოლოს მოღებით.

აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რომის სტატუტში მოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპებს და საერთოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მათ შორის გაეროს 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენციას³⁵³, რომლის თანახმადაც ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე არ ვრცელდება პასუხისმგებლობაში მიცემისა და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები.³⁵⁴ საინტერესოა ისიც, რომ რომის სტატუტის 29-ე მუხლი კრძალავს ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას, ხოლო 27-ე მუხლი იმუნიტეტს არ მიიჩნევს პასუხისმგებლობის დამაბრკოლებელ გარემოებად.³⁵⁵

აღნიშნული დანაშაულები განსაკუთრებულ მიდგომას ითხოვს, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგება საერთაშორისო საზოგადოების ღირებულებებს. ისინი სცილდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებს, ვინაიდან სხვა ხალხის ინტერესებსაც ხელყოფს. ამიტომაც, იმდენად, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს საერთაშორისო ნორმების უპირატესობას შიდა კანონმდებლობაზე, საერთაშორისო დანაშაულების დასჯის წესიც იმის მიხედვით უნდა დადგინდეს, როგორც ამას ითხოვს საერთაშორისო ნორმები. ამდენად, ეს ის შემთხვევებია, როცა ნებისმიერ დროს შეიძლება პირი დაისაჯოს ნებისმიერი სიმკაცრით, მათ შორის უვადო თავისუფლების აღკვეთით.

³⁵² იხ. Брайнин Я. М., Лукашук И. И., Недбайло П. Е., *Неотвратимость наказания нацистских преступников и срок давности*, в: «Советское государство и право», 1966, №1, 85

³⁵³ იხ. *Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity*, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2391 (XXIII) of 26 November 1968, <http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NRO/243/51/IMG/NRO24351.pdf> 10:36 08.03.2009

³⁵⁴ რომის სტატუტისა და საქართველოს კანონმდებლობის ურთიერთმიმართების საკითხზე იხ. ტურავა მ., *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი*, თბ., 2005, 46-48

³⁵⁵ იქვე, 110

2.1.9. ხანდაზმულობა დანაშაულთა ერთობლიობისას

დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემატურია განგრძობად დანაშაულთა და ერთგვაროვან დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა. აღნიშნულს ეხება ტ. ფიშერი, რომელიც მიჯნავს ხანდაზმულობის გამოთვლის წესს განგრძობადი ერთიანი დანაშაულისა და დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევებში.³⁵⁶ ასევე განგრძობადი დანაშაულის ცნების უარყოფის შემთხვევაში ხანდაზმულობის გამოთვლის წესს ეხება პროფ. კლაუს გეპერტის სტატია.³⁵⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის. საბჭოთა სამართალში აღნიშნული ფაქტი ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი იყო და ახალი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით, იწყებოდა ორივე დანაშაულისთვის ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან.³⁵⁸ გერ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, იდეალური ერთობლიობის შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშებოდა ყველაზე მკაცრი მუხლის მიხედვით, მაგრამ ეს წესი უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ ხანდაზმულობის ვადის განმსაზღვრელია არა სასჯელი, არამედ დანაშაულის კატეგორია. ამიტომ შემოღებულ იქნა ყველა დანაშაულზე დამოუკიდებელი ხანდაზმულობა.

განსაკუთრებული შემთხვევა არის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, როცა დანაშაულთა ერთობლიობაში არის დენადი დანაშაული. ჩვეულებრივ, ყველა დანაშაულის შემადგენლობაზე ვადა აითვლება ბოლო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო შემადგენლობა დასრულებული უნდა იყოს. მაგრამ რა ვუყოთ იმ შემთხვევებს, როცა ბოლო დანაშაული დენადია? თუ ამ შემთხვევაზე გავავრცელებთ საერთო წესს, გამოვა, რომ ყველა შემადგენლობაზე პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა ავითვალთ ბოლო დენადი დანაშაულის შემადგენლობის დასრულებიდან. ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია წინა შემადგენლობის ხანდაზმულობის ვადა გავიდეს, სანამ დენადი დანაშაული დასრულდება. მაშინ წინა ქმედებისთვის პირს პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ. რამდენად სწორი იქნება საკითხის ასეთი გადაწყვეტა? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ახალი დანაშაულებრივი ქმედება იმიტომ არის ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი, რომ ვლინდება პირის უპასუხისმგებლობა. განა იგივე არ ვლინდება, როცა დენადი დანაშაული ჯერ დასრულებული არ არის? მაგალითად დეზერტირობისას როცა პირი ჯერ დაკავებული არ არის? რა თქმა უნდა, ვლინდება.

პ. მშვენიერაძე ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ხანდაზმულობის დენა ყველა დანაშაულზე უნდა დაიწყოს ბოლო დენადი

³⁵⁶ იხ. Fischer T., *Entwicklungslinien der fortgesetzten Handlung* - „Tatbestand“ und „Typus“ in der *Rechtsprechung des BGH* -, NStZ, 1992, Heft 9, 422

³⁵⁷ იხ. Geppert K., *Zur straf- und strafverfahrensrechtlichen Bewältigung von Serienstraftaten nach Wegfall der Rechtsfigur der „fortgesetzten Handlung“* - 1. Teil, NStZ, 1996, Heft 2, 57-63

³⁵⁸ იხ. ვ. სმოლნიკოვის დასახ. ნაშრ., 58

დანაშაულის არა დასრულებიდან, არამედ მისი დაწყებიდან.³⁵⁹ საკითხის ასეთი გადაწყვეტაც არ არის ზუსტი, ვინაიდან დენადი დანაშაული შეიძლება გრძელდებოდეს ხანდაზმულობის ვადაზე მეტი ხნის განმავლობაში. თუ ხანდაზმულობის ვადას ავითვლით დენადი დანაშაულის დასაწყისიდან, მაშინ გამოვა, რომ ხანდაზმულობის ვადა გავა მანამ, სანამ დანაშაული შეწყდება. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა შეწყვიტოს დენადმა დანაშაულმა იმ ეტაპზევე, როცა ის უკვე დანაშაულის შემადგენლობას იძლევა (და არ უნდა დაველოდოთ დანაშაულის დასრულებას), თუმცა ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაევიწყოთ დენადი დანაშაულის დასრულების შემდეგ. იგივე სიტუაცია იქნება მაშინაც, როცა ბოლო დანაშაულებრივი ქმედება განგრძობადია.

საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, რეალური და იდეალური ერთობლიობა რამდენიმე დანაშაულს ნიშნავს, ამიტომ ორივე შემთხვევაში იგივე წესი მოქმედებს: რამდენი დანაშაულიცაა, იმდენი ხანდაზმულობის ვადაა. ამისგან განსხვავებით, როგორც პ. მშვენიერაძე აღნიშნავს, არგენტინის კანონმდებლობისთვის უცხო არაა დანაშაულთა რეალური ერთობლიობისას რამდენიმე ხანდაზმულობის აღიარება, ხოლო იდეალური ერთობლიობის შემთხვევაში - უმძიმესი მუხლის ხანდაზმულობის გათვალისწინება. დანიის კანონმდებლობა იცნობს ხანდაზმულობის განსაზღვრას დანაშაულთა ერთობლიობისას დანიშნული ერთიანი სასჯელით, იგივე შეიძლება ითქვას ფინეთზე.³⁶⁰

საქართველოს კანონმდებლობით იდეალური და რეალური ერთობლიობა რამდენიმე დანაშაულს ნიშნავს, რის გამოც ამ მხრივ ორივე შემთხვევაში ერთი წესი უნდა გამოვიყენოთ. კერძოდ, ხანდაზმულობა ათვლილ უნდა იქნეს კონკრეტული მუხლის მიხედვით. რამდენი მუხლიც ექნება სუბიექტს ბრალად წარდგენილი, იმდენი ხანდაზმულობის ვადა იარსებებს.

2.1.10. ხანდაზმულობა და არასრულწლოვანთა დანაშაულები

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადების გამოანგარიშების საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 99-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ვადები ნახევრდება.

აღნიშნული მიდგომა არ უნდა იყოს ზუსტი, რამდენადაც არ არის სწორი ყველა არასრულწლოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის განახევრება, ვინაიდან 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებების შემდეგ სსკ-ის 88-ე მუხლი აწესებს დიფერენცირებულ სასჯელებს ასაკის მიხედვით. 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებების შემდეგ სსკ-ის მე-100 მუხლი აღგენს არასრულწლოვნებისათვის ნასამართლობის შემდეგ ვადებს: პირობითი მსჯავრდებისას ნასამართლობა ქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ; ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის - სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ; მძიმე დანაშაულისათვის - სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

³⁵⁹ იხ. პ. მშვენიერაძის დასახ. ნაშრ., 244

³⁶⁰ იქვე, 98

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

სსკ-ის 88-ე და მე-100 მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, მთლად ზუსტად არ შეიძლება მივიჩნიოთ სსკ-ის 99-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადები ნახევრდება. გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ ხანდაზმულობის ვადა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს პასუხისმგებლობის შესაძლებელ ზომას, საკითხის უფრო ზუსტად მოსაწესრიგებლად, ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის შემთხვევებშიც უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 88-ე და მე-100 მუხლებით და ასაკობრივი ზღვარის მიხედვით განვასხვავოთ ხანდაზმულობის ვადები.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებზეც, ისევე, როგორც სრულწლოვანთა შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს პასუხისმგებლობის მინიმალური ზომის, ანუ სასჯელის შესაძლებელი მინიმუმისა და ნასამართლობის ვადის ჯამის ტოლი.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ეს ვადები იმოქმედებს იმ სრულწლოვანის მიმართაც, რომელმაც დანაშაულებრივი ქმედება არასრულწლოვნობის ასაკში ჩაიდინა.

2.1.11. ხანდაზმულობა და კანონის უკუძალა

2.1.11.1. ხანდაზმულობის ვადების ცვლილება კანონში

ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია კანონის უკუძალა ხანდაზმულობის შესახებ ნორმებთან მიმართებით. ამ კუთხით თავს იჩენს ხანდაზმულობის მატერიალური და პროცესუალური ბუნებაც, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მატერიალური ნორმები განსაზღვრულ შემთხვევებში არ ვრცელდება უკუძალით მანამდე განხორციელებულ ქმედებებზე მაშინ, როცა პროცესუალური ნორმებთან დაკავშირებით ეს საკითხი სხვაგვარად წყდება. ამასთან, თვით მატერიალური ნორმებიც იყოფა ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმებად, რომელთა მიმართაც უკუძალის საკითხი პრობლემატურობას ინარჩუნებს. კერძოდ, საინტერესოა, როგორ მოქმედებს კანონის უკუძალა ზოგადი ნაწილის ნორმებზე.

საუბრობს რა ხანდაზმულობის ვადების საკანონმდებლო ცვლილებაზე, მ. გორანოვსკი ამბობს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც ნაკლებ ვადებს ითვალისწინებს. გამოდის, რომ კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმას, კერძოდ ხანდაზმულობის შესახებ ნორმას აქვს უკუძალა, როცა ის შედარებით ნაკლებ ვადას ითვალისწინებს.³⁶¹ თუმცა მ. ეფიმოვის მიხედვით, 1959 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლი, სადაც საუბარია ხანდაზმულობის ვადებზე, მათი დენის შეჩერებაზე, შეწყვეტაზე, მოქმედებს აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე ჩადენილი ქმედებების შემთხვევებშიც. მაგალითად, ქმედების ჩადენის დროის მიუხედავად მიმალული

³⁶¹ იხ. Горановский М. А., *Давность, сроки исчисления ея и погашающая сила давности по ныне действующему уложению о наказаниях уголовных и исправительных и по уголовному уложению 22 марта 1903 года*, в: «Журнал министерства юстиции, годъ тринадцатый, №10, 1907, С-II, Сенатская типография, 159

პირის მიმართ უნდა მოქმედებდეს ახალი კანონი ხანდაზმულობის ნაწილში.³⁶² მოცემული მტკიცების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველთვის მოქმედებს ახალი ვადები მიუხედავად იმისა, ამსუბუქებს ის პირის მდგომარეობას, თუ - არა. აღნიშნულით ავტორი ფაქტიურად აღიარებს ხანდაზმულობის პროცესუალურ ბუნებას, რის გამოც შესაძლებელი გახდა მისი გამოყენება ადრე ჩადენილი ქმედებების მიმართ.

არ არის ერთიანი აზრი ხანდაზმულობის უკუძალის საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პრაქტიკასა და მეცნიერთა წრეშიც. ერთი მოსაზრების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება კანონში ცვლილების შეტანის გზით უკუძალით გავრცელება მანამდე არსებულ ქმედებებზე მაშინაც, თუ ცვლილების მომენტში ხანდაზმულობის ვადა მოცემული ქმედებისათვის უკვე გასული იყო. მეორე მოსაზრებით - ხანდაზმულობას უკუძალა აქვს, თუ არ არღვევს ბრალდებულის არსებით უფლებას ან არ აუარესებს მის მდგომარეობას. მესამე მოსაზრებით, ხანდაზმულობა უკუძალით მოქმედებს ყველა შემთხვევაში, რადგან იგი არ წარმოადგენს დანაშაულისა და სასჯელის ელემენტს.³⁶³

კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1999 წელს ხანდაზმულობა უკუძალით გავრცელდა იმ ქმედებებზე, რომლისთვისაც ცვლილების მომენტში ძველი ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა, რადგან სასამართლოები აღიარებდნენ ხანდაზმულობის უკუძალას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილების მომენტში ძველი ხანდაზმულობის ვადა ჯერ გასული არ იყო.³⁶⁴

საქმეში ბეაზელი ოპაიოს წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი არ გამოიყენება უკუძალით თუ ის აუქმებს დაცვის იმ საშუალებას, რითი სარგებლობაც შეეძლო ბრალდებულს ცვლილებამდე ან სხვაგვარად აუარესებს მის მდგომარეობას.³⁶⁵

უზენაესმა სასამართლომ საქმეში კოლინზი იანგბლოდის წინააღმდეგ შეავიწროვა უკუძალის გამოყენების საზღვრები და დაადგინა, რომ უკუძალა აკრძალულია მხოლოდ მაშინ, თუ ის ეხება დანაშაულებრიობას, სასჯელის ზომასა და სახეს. ამასთან, იურისტები უკვე გასული ვადის გაგრძელებას უკავშირებენ დაცვის არსებითი უფლების დარღვევას, რის გამოც ცვლილება მატერიალურ ბუნებას იძენს, ხოლო ძველი ვადის გასვლამდე ხანდაზმულობის გაგრძელებას მიიჩნევენ უბრალოდ პროცესუალურ ცვლილებად, რის გამოც პირველის უკუძალას გამორიცხავენ, მეორისას - არა.³⁶⁶

აანალიზებს რა აღნიშნულ პრაქტიკას, ს. ჩადვიკი მიიჩნევს, რომ უკუძალა უნდა აიკრძალოს მაშინაც, როცა ცვლილება არ ეხება დანაშაულსა და სასჯელს, თუმცა არღვევს ბრალდებულის არსებით უფლებას. ავტორი ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალით გავრცელებას უკვე ხანდაზმული ქმედებების მიმართ არ ემხრობა, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის ცვლილებას უკავშირებს საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას და ამბობს, რომ ახალი შეხედულებები არ შეიძლება გავავრცელოთ ძველ ქმედებებზე.³⁶⁷

³⁶² იხ. Ефимов М., *Давность привлечения к уголовной ответственности*, «Советская юстиция», 1967, №8, 23

³⁶³ იხ. Chadwick S. L., *Comment: the disappearing ex post facto clause and reviving time-barred prosecutions*, 30 Southwestern University Law Review, 2000, 196-197

³⁶⁴ იქვე, 197-198

³⁶⁵ იქვე, 200-202

³⁶⁶ იქვე, 203-204

³⁶⁷ იქვე, 215-217

რაც შეეხება გერმანელ იურისტებს, ისინი უარს ამბობენ ნაცისტური გერმანიის დროს ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობების გამოძიებაზე, ვინაიდან ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ხანდაზმულობის ვადები გასულია, ხოლო ვადის დენის განსხვავებული წესი, რომლის მიხედვითაც გარკვეულ შემთხვევებში ვადა ჩერდება ან წყდება, მიღებულ იქნა აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების და მათზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. იმ მარტივი მიზეზით, რომ მათ უკუძალა არა აქვთ, აღნიშნული ნორმები ვერ იქნება გამოყენებული ნაცისტური ქმედებების მიმართ.³⁶⁸ გერმანელი მეცნიერების მიერ ხანდაზმულობა განიხილება, როგორც პროცესუალური ცნება, რის გამოც საბჭოთა მეცნიერები გაკვირვებას და აღშფოთებას ვერ მალავენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ დაუსჯელნი დარჩნენ ნაციზმის პირობებში დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელი პირები. პროცესუალური ნორმები ხომ მოქმედებს საპროცესო მოქმედების ჩატარების დროის მიხედვით და არა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დროის მიხედვით.³⁶⁹

ნ. დურმანოვი, მსჯელობს რა ხანდაზმულობაზე, როგორც მატერიალურსამართლებრივი ბუნების ცნებაზე, შეჰყავს ის სასჯელის შემსუბუქების ცნებაში, რის საფუძველზეც ამტკიცებს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის შესახებ ის ნორმები, რომლებიც ნაკლებ ვადას ითვალისწინებს.³⁷⁰

საინტერესოა ვ. ზიკოვის აზრი, რომ ხანდაზმულობის შესახებ ზოგადი ნაწილის ნორმებს აქვთ უკუძალა, თუ ისინი ამსუბუქებს ან აუმჯობესებს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მდგომარეობას.³⁷¹

ი. ტკაჩევსკი ეწინააღმდეგება აღნიშნულ აზრს და აღიარებს რა ხანდაზმულობის ორმაგ ბუნებას, ამბობს, რომ ხანდაზმულობის შესახებ ნორმებს აქვთ უკუძალა ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან ისინი არ აწესებს ქმედების დასჯადობას და არ ამკაცრებს სასჯელს.³⁷²

დ. ორლოვი, ეყრდნობა რა პირის მდგომარეობის გაუარესების აკრძალვას, ამბობს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც ნაკლებ ვადებს და ვადის გამოთვლის უფრო ხელსაყრელ წესს ადგენს.³⁷³

ნაციონალ-სოციალისტური დანაშაულების დასჯადობისა და მათზე ხანდაზმულობის გაგრძელების პრობლემა აქტუალურია გერმანიაში მრავალი კუთხით. განსაკუთრებით ეს ეხება კანონის უკუძალის, ხანდაზმულობის პროცესუალური თუ მატერიალური ბუნების, ხანდაზმულობის შეჩერების, შეწყვეტისა და ვადის გაგრძელების საკითხებს.³⁷⁴

³⁶⁸ ნაციზმის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების დასჯის აუცილებლობის შესახებ ახ. Брайнин Я. М., И. И. Лукашук, П. Е. Недбайло, *Неотвратимость наказания нацистских преступников и срок давности*, в: «Советское государство и право», 1966, №1, 85

³⁶⁹ ახ. Полторак А. И., *Нюрнбергский процесс и вопрос об ответственности за агрессию*, «Советское государство и право», 1965, №6; А А Пионтковский, *Вопросы материального уголовного права на Нюрнбергском процессе*, М. 1948, 21-22

³⁷⁰ ახ. Дурманов Н. Д., *Давность и погашение судимости*, М, 1939, 14

³⁷¹ ახ. Зыков В., *Об обратной силе норм общей части уголовного законодательства*, «Советская юстиция», 1973, №23, 3-10

³⁷² ახ. Ткачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, М., 1978, 17

³⁷³ ახ. დ. ორლოვის დასახ. ნაშრ, 134-136

³⁷⁴ აღნიშნული საკითხი აქტუალური იყო XX საუკუნის 60-იან წლებში, თუმცა არ დაუკარგავს აქტუალობა 90-იან წლებშიც, რისი დასტურიცაა ნაშრომები: König P., *Zur Verfolgungsverjährung von SED-Unrechtstaten - - Anmerkung zu OLG Frankfurt/M. vom 10. 7. 1991 - 2 Ws 88/91 (NSiZ 1991)*, NSiZ 1991, Heft 12, 566-571; Letzgu K., *Unterbrechung, Ruhen und Verlängerung strafrechtlicher Verjährungsfristen für im*

გერმანელ მეცნიერებში მძლავრობს აზრი, რომ ხანდაზმულობის ძველი კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პირი იძენს იურიდიულ უფლებას, არ იქნეს დასჯილი, რის გამოც ამ პრინციპზე უარის თქმა იქნებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის ნდობის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება. ამ თეორიის მიხედვით, ხანდაზმულობის შეჩერების შესახებ ახალი ინსტრუქციები, თუ ისინი ამძიმებს პირის მდგომარეობას, არ უნდა გამოვიყენოთ, ვინაიდან ის, რაც ქმედების ჩადენისას არ იყო იურიდიული ფაქტი, არ შეიძლება ასეთად გახდეს შემდგომში, რადგან ეს ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. შ. ციმერმანის მიხედვით, თუ ხანდაზმულობის ძველი ვადა გავიდა ახალი ვადის დამწესებელი კანონის ამოქმედებამდე, მაშინ ახალი კანონი მასზე ვერ გავრცელდება, მაგრამ თუ ვადა ჯერ გასული არაა, უკუძალა მოქმედებს.³⁷⁵

ავტორთა ის ნაწილი, რომლებიც ხანდაზმულობას მატერიალურ სამართალს განაკუთვნიან, დანაშაულის შედეგთან დაკავშირებულ ყველა ცნებას ათავსებს ტერმინ „დასჯადობაში“, რის საფუძველზეც უარყოფს ხანდაზმულობის უკუძალას, როცა ახალი კანონი ითვალისწინებს ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივ ვადებს.³⁷⁶ ხანდაზმულობისა და კანონის უკუძალის თანაარსებობის საფუძველად მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს მის პროცესუალური სამართლისათვის მიკუთვნებას.³⁷⁷

უ. კლუგი სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული დაუსჯელობის შემთხვევებზე სამართლიანობის, თანასწორობის და კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე.³⁷⁸

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ნიშნავს, რომ ახალი კანონით სახელმწიფომ შეამცირა თავისივე უფლებამოსილების შეზღუდვის ის საზღვარი, რაც მას წინა კანონით ჰქონდა მინიჭებული. ხანდაზმულობა ხომ სწორედ სახელმწიფოს უფლებამოსილების შეზღუდვას ნიშნავს.³⁷⁹ აღნიშნული პოზიციიდან, უფრო მკაცრი ვადების უკუძალით გავრცელება დაუშვებელია.

როგორც ა. არნდტი ამბობს, სამართლისა და რეალობის თანადროულობის მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დასჯის უფლებამოსილების გამოყენება შეუძლია შეზღუდულად გარკვეული დროის განმავლობაში. ავტორი ხანდაზმულობას უკავშირებს დასჯადობას. მისი თქმით, არა აქვს მნიშვნელობა

Beitrittsgebiet begangene Straftaten, NStZ, 1994, Heft 2, 57-63; Riedel J., "Schließbefehl" und Verjährung - Zum Problem der Strafverfolgungsverjährung bei Schußwaffengebrauch an der ehemaligen DDR-Grenze, DtZ 1992, Heft 6, 162-169; Schlüchter E., Duttge G., Spionage zugunsten des Rechtsvorgängerstaats als Herausforderung für die Strafrechtsdogmatik - - Zugleich Besprechung von BGH, Urteil v. 18. 10. 1995 - 3 StR 324/94, NStZ, 1996, Heft 10, 457-465; Schmidt, Verjährungsprobleme bei Straftaten der Mitarbeiter des Ministeriums für Staatssicherheit der ehemaligen DDR, NStZ 1995 Heft 6, 262-265; Puls T., Analoge Anwendung des § 1 Nr. 1 StGB auf Sexualstrafatbestände des DDR-StGB, DtZ 1995 Heft 11, 392-394; Heuer V., Hans Lilie, Laßt verjähren, was verjährt?, DtZ 1993 Heft 12, 354-357; Sauter A., Verjährung von SED-Unrecht Überlegungen zum gesetzgeberischen Handlungsbedarf, DtZ 1992 Heft 6, 169-172.

³⁷⁵ იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 131, 179

³⁷⁶ იხ. Dreher/Tröndle, *StGB und Nebengesetze*, 47. Aufl., München, 1995, Rn. 116 zu §1; Jantsch E., *Das strafrechtliche Verjährungsproblem*, DRiZ 1968, 196-200; Lorenz M., *Strafrechtliche Verjährung und Rückwirkungsverbot*, GA 1968, 300ff.

³⁷⁷ იხ. გ. ბემანის დასახ. ნაშრ., 333-338; ფ. კალველი-ადორნოს დასახ. ნაშრ., 273-276; ფიშერის დასახ. ნაშრ., 293ff; უ. კლუგის დასახ. ნაშრ., 149-151

³⁷⁸ იხ. უ. კლუგის დასახ. ნაშრ., 149ff

³⁷⁹ იხ. შ. ციმერმანის დასახ. ნაშრ., 205

იმას, ხანდაზმულობას პროცესუალურ ბუნებას მივაკუთვნებთ, თუ - მატერიალურს, რადგან კანონის უკუძალა მაინც გამოორიცხულია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში კომპეტენციის გადამეტებასთან გვექნება საქმე, იქნება ეს თანადროულობის დარღვევით თუ მინიჭებული თავისუფლების დარღვევით. სწორედ დროის ფარგლებში კანონის არსებობა არის გარანტი სამართლისა და რეალობის ურთიერთმიმართებისა.³⁸⁰

სამართლის დოქტორი მ. ტურავა მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობისა და ნასამართლობის ვადების გაქარწყლების საკითხთან დაკავშირებით ნორმებს აქვთ უკუძალა მიუხედავად იმისა, ამსუბუქებს თუ ამკაცრებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ავტორი ამტკიცებს, რომ ეს წესი არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლს, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, გაეროს 1968 წლის კონვენციას ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის შესახებ.³⁸¹

კანონის უკუძალის საკითხს ხანდაზმულობასთან მიმართებაში განიხილავს სამართლის დოქტორი მ. ტურავა, რომელიც იყენებს ზოგად ფორმულირებას, რომ „არსებობს სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი, რომელთა მიმართებაშიც, იმ შემთხვევაში, როცა პირის სამართლებრივი მდგომარეობა უარესდება, კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი არ მოქმედებს. ასეთია, კონრეტულად, ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადების გაქარწყლების საკითხი“.³⁸² ავტორის აზრით, ხანდაზმულობის შესახებ ახალ ნორმას ექნება უკუძალა იმის მიუხედავად, აუარესებს თუ არა პირის მდგომარეობას და ეს შეესაბამება საერთაშორისო აქტებს ხანდაზმულობის შესახებ, თუმცა მოცემული საკითხის ირგვლივ პრაქტიკაში არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების არსებობის გამო ავტორი აუცილებლად მიიჩნევს მისი ერთმნიშვნელოვნად დარეგულირების აუცილებლობას.³⁸³

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცელი მსჯელობის შედეგად არ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელების მოთხოვნები. მან მიიჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი არ არის არაკონსტიტუციური. ამასთან, სასამართლოს მითითებით, სსკ-ის მე-3 მუხლი შემდგენაირად უნდა განიმარტოს : ხანდაზმულობის ვადის გამამკაცრებელ ნორმას უკუძალა არ უნდა მიენიჭოს, როცა ძველი ხანდაზმულობის ვადა ახალი ვადის ამოქმედების დროისათვის უკვე გასულია. ამის საფუძველია ის, რომ აღნიშნული შემთხვევა შედის პასუხისმგებლობისა და ქმედების დანაშაულებრიობის დაწესების ცნებაში მისი ფართო გაგებით. ამასთან, ხანდაზმულობის ახალ ვადას უკუძალა უნდა მიენიჭოს, როცა ახალი ვადის ამოქმედებისას ძველი ვადა ჯერ ამოწურული არ იყო. ეს იმიტომ, რომ ამ დროს არა გვაქვს პასუხისმგებლობის ან ქმედების დანაშაულებრიობის დაწესება.³⁸⁴ ჩვენ ვეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

³⁸⁰ იხ. ა. არნდტის დასახ. ნაშრ., 14-16

³⁸¹ ტურავა მ., სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, თბ., 2005, 84

³⁸² იქვე

³⁸³ იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2008, 35-37

³⁸⁴ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428, 447, 459, გვ. 23-26. აღნიშნული გადაწყვეტილება მოძიებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს

ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალის განმარტებას და მიგვაჩნია, რომ ის გამოდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან.

მიუხედავად ამ განმარტების სისწორისა, აღნიშნული საკითხის პრობლემატურობას და მასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის არსებობას ყველაზე ნათლად გამოხატავს ის ფაქტი, რომ მოცემული გადაწყვეტილების ხელმომწერმა საკონსტიტუციო სასამართლოს ფაქტიურად ყველა წევრმა განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის – ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრის თანახმად, რომელიც საკმარისად დასაბუთებულად გვეჩვენება, უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელების მოთხოვნები, ვინაიდან სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნული მოსაზრება ძირითადად ემყარება პასუხისმგებლობისა და სასჯელის ცნებების გამიჯვნას, კანონის სიცხადის მოთხოვნას. ვინაიდან სსკ-ის მე-3 მუხლი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რომელთაგან თითოეულს აქვს არსებობის უფლება, ამდენად, ის არაკონსტიტუციურია. რაც შეეხება ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალას, ამ საკითხში ქ. ერემაძე ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას და მოითხოვს, აღნიშნული კანონით ერთმნიშვნელოვნად დარეგულირდეს.³⁸⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის – ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრის მიხედვით, მართალია სსკ-ის მე-3 მუხლი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლს, თუმცა ის უნდა განიმარტოს შემდეგნაირად : ხანდაზმულობის ვადის გამკაცრებას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს უკუძალა, ვინაიდან კანონმა სამომავლო უფლება ისევე უნდა დაიცვას, როგორც უკვე არსებული უფლება.³⁸⁶ აღნიშნული მოსაზრება საინტერესოა სუბიექტის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით, რაც ახასიათებს ხანდაზმულობის ცნებას, თუმცა ასეთი აზრი არ იკითხება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილში, სადაც საუბარია მხოლოდ პასუხისმგებლობის დაწესებასა და პასუხისმგებლობის დამძიმებაზე.

ხანდაზმულობასთან მიმართებით სსკ-ის მე-3 მუხლის კონსტიტუციურობის საკითხის გადასაწყვეტად პირველ რიგში უნდა გარკვეულიყო, ხანდაზმულობის ვადის გამკაცრება პასუხისმგებლობის დაწესების ცნებაში უნდა მოვიაზროთ თუ პასუხისმგებლობის დამძიმების ცნებაში. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსის უკეთ გადმოსაცემად, მიგვაჩნია, უმჯობესი იქნებოდა, სიტყვები : „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“ შეცვლილიყო სიტყვებით: „კანონს, თუ ის ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა აქვს“. შინაარსი საბოლოო ჯამში იგივეა, თუმცა აღქმის თვალსაზრისით უფრო მარტივია და შინაარსობრივად უფრო გამართული.

ხანდაზმულობის ვადის დინებისას ნეგატიური პასუხისმგებლობა ჯერ დაკისრებული არ არის, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ ის არც დგება. ამის გამო ხანდაზმულობის ვადის გაზრდა პასუხისმგებლობის ზომასა და სახეზე გავლენას არ ახდენს. ის მოქმედებს მხოლოდ პასუხისმგებლობის დასაწყისის გადავადებაზე არ ხდენს რა გავლენას თვითონ პასუხისმგებლობის ვადაზე.

აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის გაზრდა ვერ მოთავსდება პასუხისმგებლობის დამძიმების ცნებაში.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაწესებას ქმედების კრიმინალიზაციის აზრით, ხანდაზმულობის ვადის გაზრდა არც ამ ცნებაში მოიაზრება. მაგრამ არსებობს პასუხისმგებლობის დაწესების ფართო გაგება იურიდიულად შეფასებაუნარდაკარგული ქმედების კვლავ შეფასებაუნარიანად გახდომის აზრით. ამ დროს პასუხისმგებლობა წესდება არა ზოგადად, არამედ უკვე ჩადენილ კონკრეტულ ქმედებაზე. ამ ცნებაში შედის ხანდაზმულობის ვადის გაზრდის არა ნებისმიერი შემთხვევა, არამედ მხოლოდ უკვე დასრულებული ვადის გაზრდა, თუმცა პასუხისმგებლობის დაწესების ცნების ვიწრო ინტერპრეტაციაც ისევე ლეგიტიმურია, როგორც მისი ფართო ინტერპრეტაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.“ ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გამკაცრება არ ამძიმებს პასუხისმგებლობას, ბუნებრივია, ის ვერც სასჯელს დაამძიმებს. ხოლო ქმედების დანაშაულებრიობის დაწესების ცნებაში ხანდაზმულობა იმავე დათქმით შედის, რა დათქმითაც პასუხისმგებლობის დაწესების ცნებაში.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ამ სახით მიღების საფუძველი ხანდაზმულობასა და პირობით მსჯავრთან დაკავშირებით, გახდა პასუხისმგებლობისა და სასჯელის, ისევე, როგორც პასუხისმგებლობისა და დანაშაულებრიობის ცნებების გაიგივება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების ანალიზის საფუძველზე, დამაჯერებელი და დასაბუთებული პოზიციას გამოხატული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის – ქეთევან ერემაძის განსხვავებულ აზრში, სადაც ხაზგასმულია, რომ პასუხისმგებლობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სასჯელი.³⁸⁷ აქვე შეიძლება ერთი საკითხის გარკვევა : ფორმა არის ის, რაშიც ვლინდება შინაარსი. თუ ვიტყვით, რომ სასჯელი პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმაა, მაშინ იქმნება საშიშროება ამ ორი ცნების გაიგივებისა მიუხედავად იმისა, მივუთითებთ თუ არა პასუხისმგებლობის სხვა ფორმებზე. სინამდვილეში პასუხისმგებლობა არასდროს ვლინდება მხოლოდ სასჯელში. სასჯელი არის პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმის ერთ-ერთი შესაძლებელი ელემენტი. კერძოდ, პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმა შეიძლება იყოს გასამართლება, სასჯელი და ნასამართლობა. ამასთან, ამ ჩამონათვალიდან სასჯელი შეიძლება ამოღებულ იქნეს და მაშინ პასუხისმგებლობის ფორმა იქნება გასამართლება, ანუ კონკრეტული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და ამით მისი უარყოფითი შეფასება და (სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში) ნასამართლობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დადგა სასამართლოს წინაშე, არის ის, შედის თუ არა ხანდაზმულობის ცნება პასუხისმგებლობის ცნებაში.³⁸⁸ საკითხის ასე დაყენება არასწორია, რადგან ხანდაზმულობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა და როგორ შეიძლება ის იყოს იმ ცნების

³⁸⁷ იქვე, 39

³⁸⁸ იქვე, 6, 39-40

შემადგენელი ნაწილი, რომელსაც გამოირიცხავს? ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში პირს პასუხისმგებლობა არ აკისრია და სწორედ ამიტომ არის, რომ ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების გამოირიცხვა. ამიტომ, ხანდაზმულობა არ შედის პასუხისმგებლობის ცნებაში. უმჯობესი იყო საკითხის დაყენება შემდეგნაირად: ხომ არ შედის ხანდაზმულობის ვადის დამძიმება პასუხისმგებლობის დაწესების ცნებაში. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა სასამართლომ და დასაბუთებული პასუხი გასცა.³⁸⁹

მეტად საინტერესოა კანონის უკუქაღის საფუძვლის შესახებ მოპასუხის წარმომადგენელთა განცხადება, რომლის მიხედვითაც უკუქაღის საფუძველია მხოლოდ რეალურად აწმყოში არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. ისინი ხანდაზმულობის შესახებ ნორმის მიერ მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობად ასახელებენ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ურთიერთობას, რაც დგება მხოლოდ ვადის ამოწურვის შემდეგ. ამიტომ ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე აღნიშნული ვადის გაგრძელება კანონის უკუქაღის საკითხს არ წამოჭრის.³⁹⁰ ამ დროს მოქმედებს ბოლოს დაწესებული ვადა. აღნიშნული პოზიცია საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ის ადასტურებს ხანდაზმულობისა და სამართლებრივი ურთიერთობის მიმართების საკითხს, რაზეც შესაბამის პარაგრაფებში ვრცლად ვისაუბრეთ.

კერძოდ, რომ ხანდაზმულობის შესახებ ნორმა არის წამახალისებელი ნორმა და ის განსაზღვრული ქცევის შედეგად სამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნების დაპირებით ზემოქმედებს ფაქტობრივი შესაძლებლობის სფეროში მოქმედ სუბიექტზე, რომ ამ უკანასკნელმა ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაულებრივი ქმედება და ამ გზით მიეცეს დავიწყებას ძველი ქმედებაც, დარჩეს ის სამართლებრივი შეფასების გარეშე. აღნიშნული დაპირების არსი მდგომარეობს პირისათვის მომავალში გარკვეული უფლების მინიჭებაში, კერძოდ, ხელშეუხებლობის უფლების. უფლება კი სუბიექტს მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში აქვს. ამიტომაც არის, რომ ხანდაზმულობის შესახებ ნორმა პირდება ქმედების სუბიექტს სამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნებას. ხოლო ძველი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე ახალი ხანდაზმულობის ვადის დაწესებისას ნებისმიერ შემთხვევაში ახალი ვადის ამოქმედების დებულება ემყარება 2 საფუძველს: 1. კანონის უკუქაღა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ რეალურ სამართლებრივ ურთიერთობაზე; 2. ხანდაზმულობის ვადის დინებისას არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, რომელსაც მოაწესრიგებდა ხანდაზმულობის შესახებ ნორმა.

ჩვენი აზრით, ხანდაზმულობის ვადების ცვლილება დამოუკიდებლად კი არ უნდა მოხდეს, არამედ კოდექსის კერძო ნაწილში ცვლილებების შეტანის პარალელურად. ეს დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა აიგოს დანაშაულთა კატეგორიის ფარგლებში ამ კატეგორიის დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის მიხედვით სასამართლოების ვადების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ კოდექსის კერძო ნაწილში შესული ცვლილებების შედეგად რომელიმე დანაშაულის კატეგორია შეიცვლება, ეს ავტომატურად გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადების ცვლილებებსაც. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ნორმის გამოყენება დამოკიდებულია კერძო ნაწილის ნორმის გამოყენებაზე.

³⁸⁹ იქვე, 14-15

³⁹⁰ იქვე, 8

აღნიშნულის გარდა, სავსებით მოსალოდნელია კანონმდებლის მიერ ხანდაზმულობის ვადის ათვლის წესის შეცვლა ისე, რომ ახალი წესი ადგენდეს იმავე დანაშაულებისთვის უფრო მსუბუქ ან მკაცრ ვადას. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი ნორმა მიუხედავად იმისა, ამჟამად ის პირის მდგომარეობას, თუ - ამსუბუქებს.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, როცა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ძველი ვადები უკვე გავიდა და ახალმა კანონმა ამის შემდეგ დააწესა უფრო ხანგრძლივი ვადები, ეს შემთხვევები ძალიან ჰგავს ქმედების კრიმინალიზაციას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ შედარებით მცირე მასშტაბთან გვაქვს საქმე. კერძოდ, თუ ქმედების კრიმინალიზაციისას აღნიშნული ქმედების განხორციელების ნებისმიერი შემთხვევა ისჯება, აქ მხოლოდ უკვე განხორციელებულ ერთ კონკრეტულ ქმედებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ის კრიმინალიზაციას იმით ემსგავსება, რომ ორივე შემთხვევაში კანონი აძლევს სასამართლოს უფლებას, დასაჯოს პირი, რომლის დასჯაც აღნიშნული ცვლილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ისეთი შემთხვევები, როცა უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის შემდეგ წესდება ახალი, უფრო მკაცრი ხანდაზმულობის ვადა, მართალია, პირდაპირ არ წარმოადგენს ქმედებისთვის დასჯადობის დაწესების მაგალითებს, თუმცა მაინც უნდა გაუთანაბრდეს მათ. ამის საფუძველზე კი უნდა ვადიაროთ, რომ უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის შემდეგ მოცემული ქმედებისათვის პირის პასუხისგებაში მიცემა ყოველად დაუშვებელია.

ამ მხრივ უნდა გავიზიაროთ გერმანელი იურისტების მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პირის დასჯა იქნებოდა სახელმწიფოს მიერ თვითშეზღუდვის პრინციპის დარღვევა, ასევე სახელმწიფოს მიმართ პირის ნდობის გაქარწყლება. ასეთ ვითარებაში კი ხანდაზმულობის არსებობასაც აზრი დაეკარგება, ვინაიდან ის უკვე აღარ შეასრულებს ახალი დანაშაულისაგან შემაკავებელ ფუნქციას, ვინაიდან პირს ეცოდინება, რომ სახელმწიფოს შეეძლება ნებისმიერ დროს შეცვალოს ხანდაზმულობის ვადა ისე, რომ ის დაუსჯელი არ დატოვოს. ჩვენს დასკვნას აძლიერებს „კაცობრიობისა და ომის დანაშაულების მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოყენებლობის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „კონვენციის დებულებები ვრცელდება იმ სამართალდარღვევათა მიმართაც, რომლებიც ჩადენილ იქნა კონვენციის მიღებამდე, თუ ძველი ხანდაზმულობის ვადა ამ მომენტამდე ჯერ არ გასულა.“³⁹¹

აქვე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა, მართალია, ხანდაზმულობის ვადები არ მკაცრდება, თუმცა ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის ახალი წესები დგინდება და ამის საფუძველზე პირის დასჯა უკვე ისევ შესაძლებელი ხდება. მაგალითად, კანონმდებელმა შემოიღო პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი ახალი გარემოება. ამის საფუძველზე პირის მიმართ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად ვეთანხმებით გერმანელ მეცნიერებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ის მოვლენა, რომელიც ადრე არ ასრულებდა იურიდიული ფაქტის ფუნქციას, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკუძალით, თუმცა ერთი დათქმით: ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი ახალი გარემოება უნდა ეხებოდეს თვით სუბიექტის ქმედებას. ეს უკავშირდება ისევ და ისევ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას და სუბიექტის ნდობას სახელმწიფოს მიმართ იმ გაგებით, რომ სავსებით შესაძლებელია, ამ ქმედების ჩადენის მომენტში მას რომ

³⁹¹ EUROPEAN CONVENTION ON THE NON-APPLICABILITY OF STATUTORY LIMITATION TO CRIMES AGAINST HUMANITY AND WAR CRIMES, Strasbourg, 25.I.1974, <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Word/082.doc> 10 :32 08.03.2009

ჰქონოდა იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა, სუბიექტს თავი შეეკავებინა მისი ჩადენისაგან.

ამასთან, თუ კოდექსი გარემოებად, რომელიც წყვეტს ან აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას, დაასახელებს ისეთ ქმედებას, რომელიც აწმყოშიც გრძელდება, მაშინ აღნიშნულ გარემოებას ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ფუნქცია უნდა მიენიჭოს ამ ცვლილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, ვინაიდან სუბიექტს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს ქმედება, თუ მას არ უნდა ხელი შეუშალოს ხანდაზმულობის ვადის დენას.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებად ისეთი მოვლენების გათვალისწინებას, რაც არ არის დაკავშირებული სუბიექტის ქმედებასთან, მის ნებასთან, მათი გავრცელება უკუძალით დასაშვებად მიგვაჩნია. მაგალითად, თუ კანონით დაწესდება, საომარი მდგომარეობის დროს შეჩერდეს ხანდაზმულობის ვადა, ის უნდა გავრცელდეს უკუძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის შემთხვევებიც, რის გამოც მათზე ცალკე არ შეეჩერდება.

ბოლოს, განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ცალკე ხანდაზმულობის ვადა წესდება გარკვეული დანაშაულებისათვის. მაგალითად, როცა კოდექსი აწესებს განსხვავებულ ვადას სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. ეს შემთხვევები უნდა გავიაზროთ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების ანალოგიურად. კერძოდ, თუ, მაგალითად, აღნიშნული დანაშაულებისთვის უფრო მკაცრი ვადები დაწესდება, ვიდრე იგივე დანაშაულისთვის აქამდე იყო გათვალისწინებული დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით, ეს უტოლდება ხანდაზმულობის ვადის ახალი კოდექსით გამკაცრებას. ამიტომ აქაც იგივე წესები უნდა ამოქმედდეს. კერძოდ, ახალი ვადა გავრცელდება ძველ ქმედებებზე მიუხედავად იმისა, აგრძელებს თუ ამოკლებს ვადის ხანგრძლივობას (რა თქმა უნდა, თუ ძველი ვადა ჯერ ამოწურული არ არის).

2.1.112. ცვლილებები კოდექსის კერძო ნაწილში და ხანდაზმულობა

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმების უკუძალასთან შედარებით მარტივად წყდება ხანდაზმულობის ვადების გამოყენების საკითხი კოდექსის კერძო ნაწილში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

მ. ეფიმოვის მტკიცებით, კოდექსის კერძო ნაწილში სასჯელის შემსუბუქების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება ახალი კანონის მიხედვით, ხოლო გამკაცრების შემთხვევაში – ძველი კანონით.³⁹² იმავე პოზიციაზე დგას ე. ვონ ბუბნოფი, რომლის აზრითაც, დანაშაულისათვის სასჯელის გამკაცრებისას, თუ ხანდაზმულობის ვადაც იზრდება ამის გამო, გამოიყენება ხანდაზმულობის ძველი ვადა.³⁹³

აქ აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ ძველი კანონი გამოიყენება დანაშაულის კატეგორიასთან და სასჯელთან მიმართებით და ამ ძველი

³⁹² იხ. მ. ეფიმოვის დასახ. ნაშრ., 22

³⁹³ von Bubnoff E., *Rechtsfolgen einer nach den Verfahrensgegebenheiten im Inland eingetretenen Strafverfolgungsverjährung bei vertragslosem Auslieferungsverkehr*, NStZ, 1987, Heft 8, 354- 355

კანონით განსაზღვრული კატეგორიისა და სასჯელის შესაბამისად უნდა შეირჩეს ხანდაზმულობის ვადა ახალ კანონში გათვალისწინებული ვადებიდან, თუ ძველი ვადა ჯერ გასული არ არის.

§2.2. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა

2.2.1. ხანდაზმულობის ვადების დიფერენციაცია

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის საკითხის გადაჭრისას უნდა გვახსოვდეს, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის საფუძველია ის, რომ განაჩენი არ იქნა დროულად მიქცეული აღსასრულებლად ან მიექცა აღსასრულებლად, თუმცა რეალურად არ დაწყებულა მისი აღსრულება. აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენისას უკვე საქმე გვაქვს გამამტყუნებელ განაჩენთან და დანიშნულ კონკრეტულ სასჯელთან. ამდენად, დგას საკითხი, რა პრინციპით უნდა მოხდეს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების დიფერენციაცია: დანაშაულთა კატეგორიზაციის მიხედვით, როგორც ეს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევაშია, თუ - უკვე დანიშნული სასჯელის ზომის მიხედვით? დგას საკითხი, რამდენად გამართლებულია, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა იყოს დანიშნულ სასჯელზე მეტი?

ვინაიდან სასჯელის მიზნების მიღწევის სასამართლოს მიერ შერჩეული ოპტიმალური გზა - კონკრეტული სასჯელი უკვე დანიშნულია, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა უნდა დაუკავშირდეს სწორედ მას. თუ ასე არ მოვიქცევით, გამოვა, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით შესაძლებელი სასჯელის მინიმუმის (ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად) ან მაქსიმუმის (ამჟამად მოქმედი მოდელის შესაბამისად) მიხედვით. ორივე გზა უსამართლო შედეგისაკენ მიგვიყვანს, ვინაიდან, ერთ შემთხვევაში, გამოვა, რომ სასჯელის მოხდის გარეშე სასჯელის მიზნები მიიღწევა უფრო მალე, ვიდრე სასჯელის მოხდის ვითარებაში მიიღწეოდა. მეორე შემთხვევაში კი ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივი ინება, ვიდრე დანიშნული სასჯელი, რაც პირის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს ეწინააღმდეგება. ამდენად, საკითხის სწორ გადაწყვეტად გვესახება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის მისადაგება დანიშნული სასჯელის ვადასთან.

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის საკითხისათვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, სასჯელის ვადაში ნასამართლობის ვადა არ შედის. აღნიშნულის გამო სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების დადგენისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ნასამართლობის ვადები, როგორც ამას ი. ტაჩევსკი აღნიშნავს.³⁹⁴

თუ გავითვალისწინებთ, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა არ შეიცავს ნასამართლობის ვადას, ნათელი გახდება, რომ ის დანიშნული სასჯელის ტოლი უნდა იყოს. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას

³⁹⁴ იხ. Такачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, 82

იპყრობს დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა. თუ ამ ვითარებაში ხანდაზმულობის ვადას გამოვითვლიდით დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, გამოვიდოდა, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი უნდა გათავისუფლებულყო სასჯელისაგან. მაშინ ასეთ სურათს მივიღებდით: სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ხუთჯერ ჩადენის შემთხვევაში (ასეთი ფაქტები პრაქტიკაში არც ისე ცოტაა) ქმედების სუბიექტს თუ განესაზღვრა სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (თითოეული ქმედებისთვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთა), სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გავა 5 წელზე გაცილებით ადრე. ამ დროს ხანდაზმულობის ვადა უფრო მოკლე იქნება, ვიდრე საბოლოო სასჯელი. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა საკითხის სწორი გადაწყვეტა და დაუსჯელობის შეგრძნებას უფრო გააღვივებდა, ვიდრე სამართლიანობის გრძნობას.

როცა დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნულია რამდენიმე სასჯელი და ისინი შეკრებილია სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ზომის ტოლი. ერთი განაჩენით დანიშნული რამდენიმე სახის სასჯელის შემთხვევაში სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს სასჯელის თითოეული სახისათვის ცალ-ცალკე. ამასთან, სასჯელის სახედ როცა ისეთი იძულებითი ღონისძიება ინიშნება, რომელიც არ არის დაკავშირებული რაიმე ვადასთან, მაგალითად ჯარიმა, ქონების ჩამორთმევა, ამ შემთხვევებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის სპეციალურად დადგენილი ვადა. ასეთ ვადად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ 6 თვე.

2.2.2. ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი

საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა ორი წლის განმავლობაში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ გამოყენებული ტერმინი „დანაშაულის ჩადენიდან“ გაუგებრობების საფუძველია. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებიდან განაჩენამდე პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა მიედინება. ორი სახის ხანდაზმულობის ვადის პარალელურად დენა კი დაუშვებელია, რადგან იქმნება საშიშროება მათი გაიგივებისა. აღნიშნული გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია „დანაშაულის ჩადენის“ ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ჩაიწეროს კოდექსში.

ამ მიმართებით განსხვავებული საკანონმდებლო რედაქცია გვხვდება სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებში, სადაც ნახსენებია არა დანაშაულის ჩადენა, არამედ მსჯავრდება. ამასთან, ხანდაზმულობის დენის დასაწყისად მითითებულია არა მსჯავრდების მომენტი, არამედ ზოგადად და ბუნდოვნად არის მითითებული, რომ სასჯელის ხანდაზმულობა ექვსი წელი

ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდების დროს; ათი წელი მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს; თხუთმეტი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

უკეთესი იქნება, თუ დაზუსტდება, რომ სასჯელის ხანდაზმულობის ვადა იწყება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 602-ე მუხლის მოქმედი რედაქცია კიდევ უფრო ამარტივებს საქმეს, როცა ადგენს, რომ განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მისი მიღებისთანავე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება განაჩენის მიღებიდან. ამასთან, იმ სასჯელის ნაწილში, რომლის აღსრულება იწყება მოგვიანებით და არა განაჩენის მიღებისთანავე, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენაც დაიწყება მოგვიანებით. მაგალითად, დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 24 აპრილის განაჩენით ა ცნობილ იქნა დამნაშავედ ქალის მოტაცებაში მასთან ქორწინების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 134-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით. აღნიშნული განაჩენი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატის 2002 წლის 27 ივნისის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული. ყვარლის რაიონულმა სასამართლომ განკარგულება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ გაუგზავნა შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 2002 წლის 17 ივლისს. აღნიშნულის მიუხედავად 2008 წლის 1 ივლისამდე მოცემული განაჩენის აღსრულება არ მომხდარა. აღნიშნულის პარალელურად, მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მიმართა ყვარლის რაიონულ სასამართლოს სასჯელის გადავადების თხოვნით, რაც 2004 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც, 2008 წლის 1 ივლისის განჩინებით მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის მოხდისაგან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამასთან, სააპელაციო პალატამ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშა საქმეზე საბოლოო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან - 2002 წლის 27 ივნისიდან.³⁹⁵

აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა შს ორგანოების მიერ მსჯავრდებულის დაკავებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლების შეუსრულებლობა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

ჩვენ ვამართლებთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ მიმართებით, რომ მან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშა საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და არა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დღიდან, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობასთან, რაც იმ დროიდან უნდა გამოითვალოს, რა დროიდანაც აითვლება სასჯელის ვადები – განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (რა თქმა უნდა, პატიმრობის ვადები სასჯელის ვადაში უნდა ჩაითვალოს). ამ მიმართებით, მიგვაჩნია, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაშიც უნდა ჩაითვალოს ის ვადები,

³⁹⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება № 9/ბ-37-08

რომლებიც ჩვეულებრივ ითვლება სასჯელის ვადაში (იგულისხმება პატიმრობის ვადები).

ჰ. იეშეკისა და ტ. ვაიგენდის აზრით, სასჯელთა შეკრების შემთხვევაში სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, რომლითაც მოხდა სასჯელების საერთო სასჯელის დანიშვნა.³⁹⁶

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა უნდა დაუკავშირდეს ცალკეულ სასჯელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა თითოეული სასჯელისთვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე.

2.2.3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

ცალკე განხილვას იმსახურებს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. საუბრობენ რა აღნიშნულ პრობლემაზე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვადის დენის შეჩერების საფუძველი, ჰ. იეშეკისა და ტ. ვაიგენდის მიხედვით, არის პირობით ვადაზე გათავისუფლება, ჯარიმის გადახდის გადავადება. ამასთან, თუ პირი საზღვარგარეთ იმყოფება და შეუძლებელია მისი მოყვანა, აღმასრულებელ სასამართლოს შეუძლია ერთჯერადად ნახევარი ვადით გააგრძელოს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.³⁹⁷

საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში სასჯელის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო. აღნიშნული რედაქციით მოცემული ნაწილის არსებობა მიუღებელია ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენისას ბრალი უკვე სასამართლოს მიერ დადგენილია და კოდექსში ბრალის აღიარებით გამოცხადების შესახებ მითითება გაუგებრობას უნდა მივაწეროთ, თუმცა პრობლემა ამით არ ამოიწურება. დასაზუსტებელია ერთი საკითხი: თავის არიდებამდე სასჯელი აღსრულების პროცესში იყო თუ არა? თუ სასჯელი ჯერ არ აღსრულებულა, მაშინ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა მიედინება, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

მსჯავრდებულის მიმალვასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა პრაქტიკიდან: განსასჯელი ა ესწრებოდა რაიონული სასამართლოს სხდომებს, მაგრამ ის არ გამოცხადდა ბოლო სხდომაზე, სადაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ და მას დაუსწრებლად შეუფარდეს სასჯელად თავისუფლების აღკვეთა. ამიტომ განაჩენის დადგენიდან მსჯავრდებულის დაკავებამდე ფორმალურად მსჯავრდებულის მიმართ ძებნა გამოცხადებული არ იყო. ³⁹⁸ მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში ხდება, რის გამოც დგას საკითხი: ამ დროს მიედინება სასჯელის აღსრულების

³⁹⁶ იხ. ჰ. იეშეკისა და ტ. ვაიგენდის დასახ. ნაშრ., 918

³⁹⁷ იქვე

³⁹⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი №1/ბ-1291-08

ხანდაზმულობის ვადა თუ არა? შეიძლება მსგავს შემთხვევაში ვთქვათ, რომ მსჯავრდებული თავს არიდებს სასჯელის მოხდას? როგორც ვხედავთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე არ დაწყებულია მისი აღსრულება. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა მიედინება და არა გვაქვს სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება. თავის არიდება ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს. თავის არიდება კი უნდა გამოიხატოს რაიმე ისეთ აქტში, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს, რომ თავის არიდების გამო მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის აღსრულება შეუძლებელია. ასეთი შეიძლება იყოს მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადება სასამართლოს მიერ სსსკ-ის 606¹-ე მუხლის შესაბამისად.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ შემთხვევა ქალის მოტაცებაში ა-ს მსჯავრდებულთან დაკავშირებით, როცა უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება 2002 წლის 27 ივნისს მიიღო. ყვარლის რაიონულმა სასამართლომ განკარგულება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ გაუგზავნა შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 2002 წლის 17 ივლისს. აღნიშნულის მიუხედავად 2008 წლის 1 ივლისამდე მოცემული განაჩენის აღსრულება არ მომხდარა.

მოცემულ მაგალითთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხი: შეიძლება თუ არა აღნიშნული შემთხვევის მიჩნევა მსჯავრდებულის მიმალვად? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ გარემოებათა გამო: პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შემთხვევაში პირის მიმალვის საფუძველია მის მიერ საპროცესო მოვალეობების დარღვევა მაშინ, როცა თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევაში პირი არ არის ვალდებული, თვითონ აღასრულოს სასჯელი. ეს პროცედურა უნდა ჩაატაროს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ. ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ. აღნიშნული ორგანოს მიერ მისი დაკავების შეუძლებლობა არ შეიძლება გაუტოლდეს იურიდიულ მიმალვას. ის უფრო ფაქტობრივი მიმალვის შემთხვევას ჰგავს, რასაც არანაირი იურიდიული მნიშვნელობა არ ენიჭება. ამიტომაც ეს შემთხვევა უნდა განვასხვავოთ იმ ვითარებისგან, როცა პირს განაჩენით გარკვეული მოვალეობა დაეკისრება სასჯელის სახით. მაგალითად, პრობაციის ბიუროში გამოცხადება და აღნიშნული მოვალეობის შესრულებას თავს აარიდებს მსჯავრდებული. ამ შემთხვევაში ძებნის გამოცხადების იურიდიული საფუძველიც არსებობს. ეს კი, თავის მხრივ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ძებნილი განსასჯელის მიმართ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება, მაგრამ დაუსწრებელი განაჩენის დადგენის შემდეგ ითვლება რომ პირი თავს არიდებს სასჯელის მოხდას? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს ერთი მარტივი მიზეზის გამო: მსჯავრდებულმა თავი შეიძლება აარიდოს სასჯელის იმ სახის თუ ფორმის მოხდას, რომლის აღსრულებაც მისი მოვალეობაა. ასეთია, მაგალითად პირობითი მსჯავრის დროს მოვალეობა, არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში რეგულარულად. განაჩენით დაკისრებული აღნიშნული მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მსჯავრდებული თავს არიდებს სასჯელს. მაგრამ განა თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მოვალეობა მსჯავრდებულს აკისრია? რა თქმა უნდა არა. ან კიდევ განა სასამართლო პროცესზე გამოცხადების მოვალეობის დარღვევა, რის გამოც გამოცხადდა ძებნა სასჯელისგან თავის არიდებად შეიძლება ჩაითვალოს? ისევ და ისევ არა. მაშინ უნდა გაკეთდეს ერთი დასკვნა:

ქებნილი განსასჯელი არ არის იმ მსჯავრდებულის იდენტური, რომელიც თავს არიდებს სასჯელის მოხდას. ამიტომაც ქებნილი განსასჯელის მიმართ, რომელიც დაუსწრებლად გასამართლდა, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა კი არ ჩერდება, არამედ გრძელდება ჩვეულებრივი წესით.

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველად კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს სასჯელის აღსრულების შეუძლებლობა თვით მსჯავრდებულის ქმედების საფუძველზე. რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისათვის თავის არიდებას მანამდე სასჯელის აღსრულების პროცესში ყოფნის დროს, ამ შემთხვევებში თავის არიდება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადას კი არ აჩერებს, არამედ სასჯელის ვადას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პირობითი მსჯავრისა და სასჯელისაგან პირობით გათავისუფლების მაგალითები. ამ დროის განმავლობაში სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა კი არ ჩერდება, არამედ მიედინება. ამას ადასტურებს სსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც სასჯელის გადავადებისას ხანდაზმულობის ვადა დენას განაგრძობს.

თუ გადავადებამდე სასჯელი არ აღსრულებულა (მაგალითად ჯარიმის შემთხვევაში), ამ შემთხვევაში სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა მიედინება სასჯელის გადავადებამდეც. მაშინ სასჯელის გადავადება ვერ გამოიწვევს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას. ამასთან, ის ვადის დენას არც შეაჩერებს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც იმათ, ვის მიმართაც საქმე შეწყდა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, კვლავ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა და დაენიშნოთ სასჯელი გამოჯანმრთელების შემდეგ, თუ არ არის გასული პასუხისმგებაში მიცემის ან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა. ამიტომ ასეთ ვითარებაში სასჯელის გადავადება არ ახდენს გავლენას ხანდაზმულობის ვადის დენაზე და ვადა დენას განაგრძობს.

აქვე უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებულის ირიდიული მიმალვის გარდა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეაჩეროს ასევე სასჯელის აღსრულების დაწყებამ. ეს გარემოება ვადის დენის შეჩერების საფუძველი უნდა იყოს და არა შეწყვეტის, რადგან სასჯელის აღსრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა განახლდეს.

2.2.4. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ი. ტკაჩევსკის შეხედულებით, ხანდაზმულობის ვადის დენას უნდა წყვეტდეს ახალი დანაშაულის ჩადენა, ამასთან, ეს დანაშაული განზრახი უნდა იყოს.³⁹⁹ აღნიშნული მოსაზრება არ არის მართებული, ვინაიდან სასჯელის ხანდაზმულობას უნდა წყვეტდეს არა მხოლოდ განზრახი, არამედ ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. ეს იმიტომ, რომ ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა მიანიშნებს სასჯელის მიზნების მიუღწევლობაზე გასული პერიოდის მიუხედავად.

³⁹⁹ იხ. ი. ტკაჩევსკის დასახ. ნაშრ., 100

პ. მშენიერადე ამბობს, რომ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა გავლენას ახდენს ხანდაზმულობაზე განაჩენის აღსრულება. ზოგ კანონმდებლობაში ის წყვეტს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობას: საფრანგეთი, რუსეთი. მოგვიანებით კანონმდებლობები მას ანიჭებენ ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი და არა შემწყვეტი გარემოების მნიშვნელობას. თუ დავუშვებთ, რომ სასჯელის მოხდის დაწყება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის დასასრულზე მიუთითებს, მაშინ რა ხდება მსჯავრდებულის გაქცევისას? ავტორის აზრით, არასწორი იქნება, თუ ვაღიარებთ, რომ ამ მომენტში ხანდაზმულობის ვადა არ მიედინება. ასევე არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სასჯელაღსრულების დაწყებულებიდან გაქცევა ხანდაზმულობის ვადის დენას წყვეტს, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მანამდე მიედინება. სასჯელის მოხდისას ხანდაზმულობის ვადა კი არ მიედინება, არამედ სასჯელის ვადა. ამ სიტუაციიდან ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობამ ის გამოსავალი იპოვა, რომ მათი კანონმდებლობის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა მიედინება სასჯელის მოხდის პარალელურად, რაც მიუღებელია, ვინაიდან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა სასჯელის აღსრულების გამომრიცხველი გარემოებაა. თუ ასეა, როგორ შეიძლება სასჯელი და მისი აღსრულების გამორიცხვის ვადა ერთდროულად მიედინებოდეს? ამასთან, თუ აღნიშნულს დავუშვებთ, მაშინ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დასრულება უნდა იწვევდეს სასჯელის მოხდის შეწყვეტას და პირის გათავისუფლებას მაშინაც, თუ სასჯელის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მოსახდელია. ეს კი ყოველად დაუშვებელია.⁴⁰⁰

სწორად აღნიშნავს პ. მშენიერადე, რომ გაუგებარია კოდექსში მსჯავრდებულის დაკავება რატომაც ხანდაზმულობის განახლების საფუძველი, რადგან ამ დროს ხომ სასჯელის მოხდა გრძელდება? მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე უკვე მიაჩინა ავტორმა, აღნიშნული საკითხი პრობლემატურია თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც. ამასთან, ავტორი მნიშვნელოვან დებულებას ავითარებს: ხანდაზმულობის შემწყვეტი გარემოება სასჯელაღსრულების დაწყებულებიდან გაქცევა კი არ უნდა იყოს, არამედ მსჯავრდებულის დაკავება.⁴⁰¹

საკითხი ასე ერთმნიშვნელოვანი არ არის. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან ორი შემთხვევა: 1. როცა სასჯელი დანიშნულია, მაგრამ მისი აღსრულება არ არის დაწყებული. 2. როცა განაჩენის აღსრულება დაწყებულია და მსჯავრდებულის გაქცეულია სასჯელაღსრულების დაწყებულებიდან.

პირველ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასასრული უკავშირდება სწორედ მსჯავრდებულის დაკავებას და შესახლებას სასჯელაღსრულების დაწყებულებაში, საიდანაც იწყება სასჯელის მოხდა. აქ შეიძლება ისეთი შემთხვევის გათვალისწინებაც, როცა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის აღსრულება დაიწყო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, თუმცა აღსრულების დაწყებიდან მოკლე დროში, ისე, რომ ჯერ სასჯელის აღსრულება დასრულებული არ იყო, სასჯელის აღსრულება კვლავ შეწყდა, ხოლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ისევ დადგა საკითხი სასჯელის აღსრულების გაგრძელებისა. ასეთ ვითარებაში საიდან უნდა აითვალოს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა: განაჩენის დადგენიდან თუ სასჯელის აღსრულების შეწყვეტიდან? რა როლს ასრულებს სასჯელის აღსრულების დაწყება: წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას, თუ -

⁴⁰⁰ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა იხილეთ პ. მშენიერადის დასახელებულ ნაშრომში, 212-215

⁴⁰¹ იქვე, 224-227

აჩერებს? ასეთ შემთხვევაში სასჯელის აღსრულების დაწყებამ ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეაჩეროს და სასჯელის აღსრულების შეწყვეტის შემდეგ უნდა გაგრძელდეს ხანდაზმულობის ვადის დენა, რომლის ამოწურვის შემდეგ სასჯელის აღსრულების განახლება გამორიცხულია.

ზემოთ განხილულ მეორე შემთხვევაში სასჯელის აღსრულება წყდება ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით. ამიტომ მეორე შემთხვევაში საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის უნდა ვიცოდეთ, რა მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენისთვის ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას (სასჯელაღსრულების დაწყებულებიდან გაქცევა დანაშაულია). ზოგადად ახალი დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს ხანდაზმულობის ვადის შემწყვეტი. აღნიშნულ შემთხვევაში, ვინაიდან ახალი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია სასჯელის აღსრულების შეწყვეტისთანავე, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან და ამ დროიდან გამოითვლება ორი ვადა: წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა და ახალი დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემის ვადა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე დანაშაულისათვის პირი გასამართლდა მის დაუსწრებლად, გვექნება ორი ვადა, რომელიც პარალელურად მიედინება: წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გამოიანგარიშება ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან და ახალი განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გამოიანგარიშება ახალი განაჩენის გამოტანის დღიდან. იმ შემთხვევაში კი, როცა ახალი განაჩენით წინა სასჯელი დამატებულია ახლად დანიშნულ სასჯელს, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უკვე არ მიედინება, ვინაიდან არ არსებობს დამოუკიდებელი სასჯელი როგორც ამ ხანდაზმულობის ვადის დინების საფუძველი. ძველი სასჯელი დამატებულია ახალ სასჯელს და ის იქცა ერთიან სასჯელად, რის გამოც უკვე მხოლოდ ახალი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ბოლო განაჩენის დადგენის დღიდან (ზოგიერთი სასჯელისთვის კი მათი აღსრულების დაწყების კანონით გათვალისწინებული თარიღიდან). ამასთან, ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადის ტოლი.

გაქცევის შემთხვევის განხილვამ აჩვენა, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის, ისევე, როგორც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და არაფერი სხვა. ეს ასეა, ვინაიდან სასჯელის მიზნების სასჯელის გამოყენების გარეშე მიუღწევლობის (ყველაზე მეტად კერძო პრევენციისა და რესოციალიზაციის) დამადასტურებელი მტკიცებულებაა სწორედ ახალი დანაშაული. ასეთ ვითარებაში კი ხანდაზმულობის ვადის დენა აზრს კარგავს და ის თავიდან უნდა დაიწყოს.

2.2.5. ხანდაზმულობის ვადის ათვლის ბოლო მომენტი

დღის წესრიგში დგას, გაირკვეს, თუ რა მომენტამდე მიედინება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

ერთადერთ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტად, რომლის შემდეგაც სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი არ დგას, ეს არის სასჯელის აღსრულების დასრულება. განაჩენის დადგენიდან სასჯელის

აღსრულების დასრულებამდე შესაძლებელია სასჯელის ან სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების დენა. განაჩენის აღსრულების შეწყვეტის ყოველ ჯერზე ხანდაზმულობის ვადის დენა განახლდება მანამ, სანამ ან არ ამოიწურება აღნიშნული ვადა, ან არ დასრულდება სასჯელის აღსრულება. ამიტომაც სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენის ბოლო მომენტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღნიშნული ვადის ამოწურვა ან სასჯელის საბოლოოდ აღსრულების დასაწყისი.

2.2.6. ხანდაზმულობის ვადის დენის დასრულების იურიდიული შედეგი

ხანდაზმულობის ვადის დასასრულის საკითხის გარკვევა არ შეიძლება დამთავრებულად იქნეს მიჩნეული მანამ, სანამ არ გაირკვევა, თუ რა იურიდიული შედეგი უნდა მოჰყვეს აღნიშნული ვადის გასვლას. ასეთ შემთხვევებში კანონმდებლის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: სასჯელის აღსრულება არ უნდა დაიწყოს ან არ უნდა განახლდეს, მაგრამ პროცედურულად ეს როგორ ხდება? განა ევალება სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს ხანდაზმულობის ვადების შემოწმება? მაგალითად, პოლიციის შესახებ კანონში მითითებულია, რომ სასამართლოს დავალებით მსჯავრდებულის ძებნა პოლიციის თანამშრომლების მოვალეობაა, მაგრამ აღნიშნულ კანონში არაფერია ნათქვამი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაზე. ამიტომ როგორ უნდა მოიქცეს პოლიციის ორგანო, როცა მსჯავრდებულს დააკავენ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ? უნდა გაუშვას ის თუ შეასახლოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როგორც ეს განაჩენშია მითითებული? შესახლების შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს სასჯელაღსრულების დაწესებულება? უნდა მიიღოს ის თუ არა? პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის XIV თავი ეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პირის განთავსებასა და გათავისუფლებას. აღნიშნული თავიდან ჩანს, რომ პირის მოთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მისი გათავისუფლება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით. კერძოდ, შესახლების საფუძველია განაჩენი, გათავისუფლებისა - შესაბამისი გადაწყვეტილება ან სასჯელის ვადის ამოწურვა. მართალია, აღნიშნული კანონი არაფერს ამბობს ხანდაზმულობის ვადაზე, თუმცა მოცემული თავის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტოს ხანდაზმულობის ვადის გასვლის საკითხი, ვინაიდან მან უნდა აღასრულოს განაჩენით დადგენილი სასჯელი. რაც შეეხება სააღსრულებო წარმობათა შესახებ კანონს, მისი მე-17 მუხლის მე-9 ნაწილში მითითებულია, რომ აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა გამო სასამართლო აღმასრულებელი საკითხის გადასაწყვეტად მიმართავს სააღსრულებო სამსახურს, რაც იმის ფიქრის საშუალებას იძლევა, რომ ხანდაზმულობის ვადის შემოწმების მოვალეობა აკისრია სასამართლო აღმასრულებელს, მაგრამ იმავე კანონის 33-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმობების შეჩერება ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. უშუალოდ ხანდაზმულობის შესახებ აღნიშნული კანონიც არაფერს ამბობს.

როგორც ჩანს, საკითხი ასე დგას: ვისი ფუნქციაა მსჯავრდებულის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის

შემდეგ: სასჯელის დამნიშნავი ორგანოსი თუ სასჯელის აღმასრულებელი ორგანოსი? ამ პრობლემის გადაჭრის სრულად სასამართლოსათვის დაკისრება არ იქნება სწორი, ვინაიდან ეს ბევრ პრაქტიკულ პრობლემას წარმოშობს. მაგალითად, უკანონო პატიმრობის; სასამართლოსათვის სასჯელის აღსრულების დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდების... მართალია, სსსკ-ის 604-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განაჩენის აღმასრულებელმა ორგანომ აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა აღნიშნულ მუხლში დაკონკრეტებული არ არის, აღსრულების დაწყება უნდა ეცნობოს სასამართლოს, თუ დასრულება, რის გამოც, შინაარსის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგულისხმება აღსრულების დასრულება. ეს კი კვლავ პრობლემატურად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, ვინ უნდა გადაწყვიტოს სასჯელის აღსრულების დაწყების საკითხი მაშინ, როცა განაჩენი აღმასრულებელ ორგანოს გადაეგზავნა, მაგრამ აღსრულებამდე ხანდაზმულობის ვადა გავიდა.

მსჯავრდებულის უფლებების დაცვის და პრაქტიკაში ნაკლები პრობლემების განჩენის თვალსაზრისით საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზად გვესახება, განაჩენის აღმასრულებელ ორგანოებს დაეკისროთ მოვალეობა, თვალ-ყური ადევნონ ხანდაზმულობის ვადის დენას ისევე, როგორც საგამოძიებო ორგანოებს ეკისრებათ მოვალეობა, გააკონტროლონ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების დენა. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის საკითხის დადგომისას მათ უნდა შეწყვიტონ განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად წარმოებული შესაბამისი მოქმედებები, აღნიშნულის შესახებ აცნობონ სასამართლოს და მიმართონ მას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების თხოვნით.

2.2.7. დანაშაულები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება

სამხედრო დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებთან დაკავშირებით, ი. ტკაჩევსკის აზრით, ხანდაზმულობის გამოყენების დაუშვებლობა განპირობებულია იმით, რომ ამ ქმედების სუბიექტი საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს არ კარგავს, ეს დანაშაულები არასდროს მიეცემა დავიწყებას.⁴⁰²

სინამდვილეში აღნიშნული დანაშაულებისათვის მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობა არაა განპირობებული მათ პიროვნებაში მიმდინარე ცვლილებებით. აქ საუბარია განსაზღვრული დანაშაულების განსაკუთრებულ ხასიათზე, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ ძირითად ღირებულებებს უკიდურესი ხერხებით; საზოგადოების დამოკიდებულებაზე ასეთი დანაშაულების მიმართ. მათდამი დამოკიდებულება უკიდურესად უარყოფითია, აღნიშნული დანაშაულების შედეგები იმდენად დიდი მასშტაბისა და დროში გაწელილია, რომ ამ შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენისა და ზოგადი პრევენციის მიზანი იძენს უპირატესობას.

სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობის კრიტერიუმად დანაშაულთა გარკვეული ჯგუფია მიჩნეული. მართალია, სასჯელის

⁴⁰² იხ. ი. ტკაჩევსკის დასახ. ნაშრ, 113

აღსრულების ხანდაზმულობა სასჯელის მიხედვით უნდა აიგოს, თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნული წესიდან გამონაკლისია დაშვებული. ეს გამართლებულიცაა იმიტომ, რომ სასჯელის მიზნების განხორციელება დამოკიდებულია არამხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენაზე, არამედ სასჯელის რეალურად მოხდაზე. ამდენად, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობის პრინციპი ამ დანაშაულებთან მიმართებაში არის სასჯელის გარდუვალობის პრინციპის განხორციელების მექანიზმი. მის გარეშე აღნიშნული დანაშაულებისთვის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის გამოუყენებლობის პრინციპის დაწესებასაც აზრი დაეკარგებოდა.

ამდენად, ამ სახის დანაშაულებში პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობისა და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობა ორივე ემყარება ერთ პრინციპს: ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელის გარდუვალობის პრინციპს. რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, მათ შემთხვევებში იმდენად, რამდენადაც სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის პირობებში საუბარია სასამართლოს მიერ უკვე დანიშნული სასჯელის აღსრულებაზე, ამდენად საზოგადოების განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ სასჯელში უნდა იყოს უკვე გამოვლენილი. ამდენად, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობა შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე მკაცრი სასჯელის შემთხვევებში. ამას ადასტურებს სასჯელის ხანდაზმულობის ვადების უკვე დანიშნული სასჯელის ვადაზე აგების აუცილებლობაც. ამდენად, მიუღებელია სასჯელის ხანდაზმულობის გამოყენებაზე უარის თქმა დანაშაულის კატეგორიის, სახისა თუ ჯგუფის მიხედვით, არამედ მიზანშეწონილია კრიტერიუმად სასჯელის ზომის აღება. ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოუყენებლობა დასაშვებია მხოლოდ უვადო თავისუფლების აღკვეთილის მიმართ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სხვა გამონაკლისი დაუშვებელია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლება აღკვეთილის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა. ასეთ ვითარებაში უვადო თავისუფლების აღკვეთა იცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. ეს ნორმა შეესაბამება სსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის მიხედვითაც ვადიანი თავისუფლება აღკვეთილი შეიძლება ვადამდე პირობით გათავისუფლდეს სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ; ასევე იმავე მუხლის მე-7 ნაწილს, რომლის მიხედვითაც სასჯელის მოხდისაგან პირობით გათავისუფლების წესი მოქმედებს უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირის მიმართაც. ამდენად, ვინაიდან კანონი ითვალისწინებს მსჯავრდებულის გათავისუფლებას სასჯელის მოხდისაგან სასჯელის რეალურად მოხდის შემთხვევაში, მაშინ რატომ არ უნდა გაითვალისწინოს მან უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, როცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ აღსრულდა სასჯელი? აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ნორმა შეესაბამება ხანდაზმულობის ჰუმანურ ბუნებას და ის თავსდება სასჯელის აღსრულების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საერთო მიმართულებაში, რასაც სსკ-ის 72-ე მუხლიც ადასტურებს.

2.2.8. ხანდაზმულობა და განაჩენთა ერთობლიობა

განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით აგება პრობლემას ქმნის. კერძოდ, თუ ერთი განაჩენით დაინიშნა სასჯელად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო მეორე განაჩენით – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის; საბოლოოდ კი სასჯელთა შეკრების შედეგად მსჯავრდებულს განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა; ამასთან, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გავიდა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული ვადა – არა, მაშინ როგორ მოვიქცეთ? თუ ვადიარებთ, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ანალოგიურად უნდა აიგოს, გამოვა, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის განკუთვნილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდებულს სასამართლოს მიერ დანიშნული საერთო სასჯელი კი არ აღუდგება, არამედ შეუმცირდება. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა აიგოს დანიშნული სასჯელის საბოლოო ვადის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა განაჩენთა ერთობლიობით სხვადასხვა სახის სასჯელბრუნებთან გვაქვს საქმე, თითოეული სახის სასჯელისთვის ხანდაზმულობა გამოანგარიშებული იქნება ამ სახის სასჯელთა საბოლოო ზომის მიხედვით. მაგალითად, ჯარიმისა თავისუფლების აღკვეთისათვის ხანდაზმულობის ვადა ცალ-ცალკე გამოითვლება.

2.2.9. ხანდაზმულობის ვადები არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის

სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების გამოთვლა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ.

ულრიხ აიზენბერგის მიხედვით, არასრულწლოვანთა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის შემთხვევებში უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც ხანდაზმულობის ვადა ასრულებს დენას, ვინაიდან გარკვეული ასაკის მერე პირი არ შეიძლება დაისაჯოს არასრულწლოვნობის პერიოდში ჩადენილი ქმედებისთვის. ასეთ ასაკად ავტორს მიაჩნია 24 წელი.⁴⁰³

რაიმე კონკრეტული თარიღის დათქმა, რომლის მერეც არასრულწლოვნებისთვის ხანდაზმულობის ვადის დენა დასრულდება, მოკლებულია ლოგიკას, ვინაიდან საუბარია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უკვე დაენიშნა სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა. ე.ი. სახელმწიფომ უკვე განსაზღვრა მისი ნეგატიური პასუხისმგებლობის ხარისხი. მაშასადამე, სასჯელის ბოლო დღემდე მან უნდა მოიხადოს იგი. ხანდაზმულობის ვადები შესაბამისობაში უნდა იყოს სასჯელის ვადებთან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა არასრულწლოვან განსასჯელს იმ ზომის სასჯელი ენიშნება,

⁴⁰³ იხ. Eisenberg U., *Jugendgerichtsgesetz*, 8. Aufl., verl. Beck 73-75

რომ მის მოხდას მსჯავრდებული დაასრულებს სრულწლოვნობის ასაკში. ამას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც სწორედ ასე არეგულირებს. მაგალითად, 17 წლის არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ის სასჯელის მოხდას დაასრულებს 27 წლის ასაკში.

ამდენად, სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში უნდა აიგოს ზოგადი წესის შესაბამისად. ვგულისხმობთ ხანდაზმულობის ვადის აგებას დანიშნული სასჯელის მიხედვით.

2.2.10. ხანდაზმულობა და კანონის უკუძალა

2.2.10.1. ხანდაზმულობის ვადების ცვლილება კანონში

ამ პარაგრაფში განხილულ უნდა იქნეს ის შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში შედის ცვლილებები სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გაზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით. აქ უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა: 1. როცა ცვლილება შედის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ და 2. როცა ცვლილება შედის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე. პირველ შემთხვევაში მომქედებს ძველი ხანდაზმულობის ვადები. მეორე შემთხვევაში - ახალი ვადები. ეს ეხება ასევე ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს.

რაც შეეხება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასთან, შეწყვეტასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს იგივე პრინციპი, რაც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობისას.

2.2.10.2. ცვლილებები კოდექსის კერძო ნაწილში და ხანდაზმულობა

გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ კონკრეტული სასჯელის განსაზღვრულ ზომასთან გვაქვს საქმე და ხანდაზმულობაც უკვე სწორედ ამ სასჯელის ზომას უკავშირდება. ამაზე მიაჩნებს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიც, რომელიც ამბობს, რომ „თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისთვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში“. სწორედ ამ კუთხით იქცევა ყურადღებას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის მიმართება კანონის უკუძალასთან.

მხედველობაში გვაქვს შემთხვევები, როცა სასჯელის აღსრულება არ დაიწყო მანამ, სანამ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი შემცირდა. სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, მოკლედ შევეხებით იმ შემთხვევებს, როცა სასჯელი კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად უნდა შემცირდეს განაჩენის აღსრულების დაწყების მიუხედავად. აღნიშნული შემთხვევები მოწესრიგებულია სსსკ-ის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ეს შემთხვევა მიეკუთვნება ახლად

გამოვლენილ გარემოებას. სსსკ-ის 594-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 597-599-ე მუხლების თანახმად, ამ შემთხვევებში მსჯავრდებულისათვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელის შემცირება ახალი კანონით გათვალისწინებულ სასჯელის შესაძლებელ მაქსიმუმამდე უნდა მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. სსსკ-ის 594-ე მუხლი არეგულირებს ასევე მოცემულ შემთხვევებში საჩივრის შემტანი სუბიექტების წრეს. ასეთები არიან მხარეები, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში - მისი ნათესავი, დამცველი ან სხვა დაინტერესებული პირი.

ზემოთ მოცემული მცირე მსჯელობის შემდეგ უფრო ადვილია იმ შემთხვევების განხილვა, როცა განაჩენის აღსრულება ჯერ არ დაწყებულა და კანონში შეტანილი ცვლილებები დანიშნული საბოლოო სასჯელის შემცირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში წარმოებადამთავრებულ საქმეზე მხარის საჩივრის საფუძველზე სასჯელის შემცირების გადაწყვეტილებას მიიღებს ზემოთ მითითებული სასამართლოები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ პრობლემატურია შემთხვევები, როცა საქმეზე წარმოება დამთავრებული არ არის. კერძოდ, როგორც ცნობილია, მსჯავრდებულის მიმალვაში ყოფნის შემთხვევაში მას არ შეუძლია განაჩენის გასაჩივრება. ამდენად, სანამ მსჯავრდებულს არ დააკავებენ და გასაჩივრების ვადა არ გავა, მანამდე საქმის წარმოება დამთავრებულად ვერ ჩაითვლება. ამ შემთხვევაში როგორ უნდა გადაწყდეს სასჯელის შემცირების საკითხი? მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად. მსჯავრდებული იმყოფება მიმალვაში, რის გამოც ის ვერ ასაჩივრებს განაჩენს, ხოლო სახელმწიფო ბრალმძებელმა განაჩენი არ გაასაჩივრა 1 თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში კანონი შეიცვალა და საჭიროა დანიშნული სასჯელის შემცირება სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო თავისი ინიციატივით, საჩივრის გარეშე საქმეს ვერ განიხილავს, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს, უზენაესი სასამართლო ახლად გამოვლენილი გარემოების წესით საქმეს ვერ განიხილავს, ვინაიდან ჯერ საქმის წარმოება დასრულებული არ არის და საქმეს სააპელაციო ინსტანცია არ გაუვლია. თავის მხრივ, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, გაასაჩივროს განაჩენი. ამ დილემიდან ერთადერთ გამოსავლად გვეჩვენება ისევ უზენაესი და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღება მხარის საჩივრის საფუძველზე სსსკ-ის 601-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, როცა საქმის წარმოება მიმდინარეობს ზემდგომ ინსტანციაში და რაიმე მიზეზით განაჩენის აღსრულება ჯერ დაწყებული არ არის, სასჯელის შემცირების გადაწყვეტილების მიღება პრობლემას არ წარმოადგენს: ამას გააკეთებს ის სასამართლო, რომლის წარმოებაშიც არის საქმე.

ახალი კანონით სასჯელის შემსუბუქების საფუძველზე უკვე დანიშნული სასჯელის შეცვლის პროცესუალურ მხარეს ამდენი ყურადღება იმიტომ დაუეთმეთ, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა დაკავშირებულია უკვე დანიშნული სასჯელის ზომასთან. ამიტომ სანამ სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით არ შეიცვლება სასჯელის უკვე დანიშნული ზომა, მანამდე სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის შემცირება დაუშვებელია. მხოლოდ მას მერე, რაც ახალი კანონით გათვალისწინებული ცვლილება აისახება სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებაში, შეიცვლება სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაც. სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებას შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს სასამართლოს ძველ გადაწყვეტილებაში. ეს კი იმას

ნიშნავს, რომ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ცვლილება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ ძველი გადაწყვეტილების შეცვლაზე. ამიტომაც მაშინ, როცა მსჯავრდებულის დაკავება ვერ ხერხდება, აუცილებელია სასჯელის შემცირება მოხდეს მისი დაკავების გარეშე, რათა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა გამოანგარიშებულ იქნეს ახალი სასჯელის მიხედვით და თავიდან იქნეს აცილებული უკანონო პატიმრობის შემთხვევები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევებში, როცა კოდექსის კერძო ნაწილში შესული ცვლილებების საფუძველზე მსუბუქდება სასამართლოს მიერ უკვე დანიშნული სასჯელი, გამოიყენება ხანდაზმულობის შემცირებული ვადები (კერძოდ, ახალი სასჯელის შესატყვისი ვადები), ხოლო როცა კანონი ამძიმებს სასჯელს, ეს არ ახდენს გავლენას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაზე, ვინაიდან ის უცვლელი რჩება ისევე, როგორც უცვლელი რჩება უკვე დანიშნული სასჯელი. ამასთან, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისეთი შემთხვევები, როცა ხანდაზმულობის ვადები მიიმდება დანიშნული სასჯელის უცვლელად დატოვების მიუხედავად. მაგალითად, (სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის დღეს მოქმედი მოდელის შესაბამისად): ახალი კანონით შეიცვალა იმ დანაშაულის კატეგორია, რომლისთვისაც პირი არის მსჯავრდებული. ამის საფუძველზე შეიცვალა ხანდაზმულობის ვადა (რადგან მოქმედი მოდელით ხანდაზმულობის ვადა დანაშაულის კატეგორიაზეა დამოკიდებული). რომელი ვადა უნდა გამოვიყენოთ? ძველი, თუ - ახალი? თუ ძველი ვადა უკვე გასულია, მაშინ ახალი, გახანგრძლივებული ვადის გამოყენება დაუშვებელია, ხოლო თუ ძველი ვადა გასული არ არის, გამოყენებულ უნდა იქნას ახალი ვადა მიუხედავად იმისა, უფრო ხანგრძლივია ის, თუ - ხანმოკლე.

დასკვნა

ხანდაზმულობის შესახებ არსებული ნორმატიული, პრაქტიკული და სამეცნიერო მასალის შესწავლის შედეგად დასკვნის სახით შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს რამდენიმე ძირითადი დებულება, რომელიც პრობლემის ნოვატორულ გადაწყვეტას შეიცავს:

1. არსებულ თეორიათა მიმოხილვის შედეგად ნაშრომის დასაწყისშივე გაკეთებულია დასკვნა, რომ აქამდე შემუშავებული არც ერთი თეორია არ შეიძლება უნაკლოდ მივიჩნიოთ მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანში იკვეთება ხანდაზმულობისათვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები.
2. ხანდაზმულობა არის ფუნქციონალური სოციალური დროის, როგორც ქმნადობის გამოვლენა ფუნქციურად დატვირთულ სამართლებრივ დროში.
3. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ცნების დადგენის მიზნით ნაშრომში გაანალიზებულ იქნა კერძო და საჯარო სამართალში ხანდაზმულობისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რის საფუძველზეც აიგო ზოგადად ხანდაზმულობის ცნების კონსტრუქცია. კერძოდ, **ხანდაზმულობა ზოგადად სამართალში არის დროის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შედეგად დამდგარი მოვლენა, რომელიც გამორიცხავს ინსტანციის მხრიდან სუბიექტის მიმართ ამ უკანასკნელის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას.** გაიმიჯნა სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი ხანდაზმულობა.
4. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად დანაშაულის ჩადენის მიჩნევა სოციოლოგიურია. იურიდიულად კი შეიძლება საუბარი მხოლოდ ქმედების ჩადენაზე, რომელიც მომავალში შეიძლება შეფასდეს დანაშაულად. ამიტომაც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების შემადგენლობის განხორციელებიდან.
5. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ საპროცესო ურთიერთობის დაწყებამდე.
6. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება თავიდან ბოლომდე სისხლისსამართლებრივ და საპროცესო ურთიერთობებს გარეთ მიმდინარეობდეს, თუმცა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება გაგრძელდეს საპროცესო ურთიერთობაშიც.
7. ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება ბრალდებულის სასარგებლოდ პროცესუალურ ურთიერთობაში გაშუალებულია პასუხისგებაში მიცემის პროცესუალური აქტით. მართალია, ხანდაზმულობის პროცესუალურ მოქმედებებზე გავრცელებისთვის მნიშვნელოვანია გამოძიების დაწყების პროცესუალური აქტიც, როცა გამოძიება მიდის ფაქტზე, თუმცა ბრალდებულის სასარგებლოდ ხანდაზმულობა პროცესუალურ ურთიერთობაში ერთგვარადაა ბრალდებულთან ერთად პასუხისგებაში მიცემის აქტის საშუალებით.
8. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა გაგრძელდეს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
9. ნაშრომში პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა განხილულია როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. დადგინდა, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ნეგატიური პასუხისმგებლობის გამორიცხვა დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში შესაძლებელი

ცვლილებების გათვალისწინებით პირის კეთილსინდისიერების ვარაუდს უკავშირდება.

10. ამ მიმართებით ცალკე მსჯელობის საგანია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა, რომელიც სასჯელის აღსრულებისაგან გამათავისუფლებელი გარემოებაა. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება უკავშირდება იმას, რომ დროის ხანგრძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგ შესაძლებელი ცვლილებების გამო სასჯელის განხილვა, როგორც სასჯელის მიზნების მიღწევის ადექვატური საშუალება, ეჭვქვეშ დგება.

11. გაირკვა, რომ ხანდაზმულობა არის პასუხისმგებლობისა და სასჯელის გარდუვალობის პრონციპთან შეთანხმებული. ხანდაზმულობა უნდა მივიჩნიოთ სამართლიანობის პრინციპის გამოვლენად. ასევე ხანდაზმულობა დაუკავშირდა სასჯელის დაუყოვნებლობის (მართლმსაჯულების სისწრაფის) პრინციპს. ის განხილულ იქნა, როგორც სახელმწიფოს ძალაუფლების დროითი შეზღუდვის ბერკეტი.

12. ხანდაზმულობა წარმოადგენს დაგვიანებული პროცესის გამომრიცხველ; სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების სწრაფი და შედეგიანი მუშაობის მასტიმულირებელ გარემოებას; პასუხისმგებლობის უსამართლო ზომის თავიდან აცილების, ასევე ქმედების სუბიექტზე ზემოქმედების გზით ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, პირის კვლავ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნების საშუალებას.

13. ხანდაზმულობას ახასიათებს შერეული: მატერიალურ-პროცესუალური ბუნება არა მარტო მისი ლეგიტიმაციის საფუძვლების თვალსაზრისით, არამედ დოგმატიკური თვალსაზრისითაც. ამასთან, აღნიშნული ორმაგი ბუნება ახასიათებს მის თითოეულ სახეს: როგორც პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობას, ასევე სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობასაც.

14. ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის პროცესუალური საფუძველია მტკიცებულებების არარსებობა იმის შესახებ, იქონია თუ არა დრომ გავლენა პიროვნებაზე და რა მიმართულებით, რის გამოც მოქმედებს ეჭვის პირის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპის საფუძველზე კეთილსინდისიერების პრეზუმფცია.

15. ხანდაზმულობის ლეგიტიმაციის მატერიალური საფუძველია დროის გასვლისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, ქმედების აქტუალობის დაკარგვა.

16. ხანდაზმულობის მატერიალური ბუნება დოგმატიკური თვალსაზრისით დაუკავშირდა ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის ეტაპად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების შემადგენლობის განხორციელებას და ვადის დასრულების შემდეგ პირის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნების შესაძლებლობას. ასევე ის განხილული იქნა, როგორც მატერიალური ცნება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის, ხანდაზმულობის გამოუყენებლობის შემთხვევების, ქმედებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების, როგორც ვადის ხანგრძლივობის განმსაზღვრელი მოვლენის თვალსაზრისით.

17. ნაშრომში ხაზგასმულია ხანდაზმულობის პროცესუალური ბუნება ხანდაზმულობის ვადის დენაზე პასუხისგებაში მიცემის პროცესუალური აქტის გავლენის, ხანდაზმულობის ვადის დენის პროცესუალურ მოქმედებებზე გავრცელების, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში პროცესუალური მოქმედებების განხორციელების შეუძლებლობის, ხანდაზმულობის შეჩერების გაანალიზების საფუძველზე.

18. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად პირს არ დაეკისრება ნეგატიური პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოირიცხება ქმედების უარყოფითი შეფასება, სასჯელის დაკისრება, ასევე ნასამართლობა.

19. ხანდაზმულობა არის არა თვითონ ვადა ან მისი მსვლელობა ან ამ დროს არსებული მოვლენა, არამედ ვადის დენის შედეგი.

20. განხილული დებულებების გაანალიზების შედეგად მოცემულია ხანდაზმულობის ცნების ახალი განსაზღვრება: **ხანდაზმულობა სისხლის სამართალსა და სისხლის საპროცესო სამართალში არის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ვადის გასვლის შედეგი, რომელიც სამართლებრივი პრეზუმფციის ძალით, ქმედების შეფასებისაგან თავის შეკავების შედეგად აღიარებს პიროვნების კეთილსინდისიერებას ანუ ნდობას უცხადებს ქმედების სუბიექტს, რის გამოც გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი დევნა და ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.**

21. ყურადღებას იმსახურებს დასკვნა იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის დღევანდელი დოგმატიკური რეგულირების მიხედვით უგულებელყოფილია ქმედების ბუნებისა და ქმედების სუბიექტის კომპლექსურად განხილვის აუცილებლობა. იგულისხმება დანაშაულთა კატეგორიზაციის შესაბამისობა პასუხისმგებლობის ზომასთან ისე, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაული ყოველთვის უფრო მსუბუქად დაისაჯოს, ვიდრე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები. ეს კი მაშინ მოხდება, როცა დანაშაულთა კატეგორიზაცია მოხდება არა მხოლოდ სასჯელის მაქსიმუმის, არამედ როგორც მინიმუმის, ასევე მაქსიმუმის გათვალისწინებით. ეს არის ძირითადი დებულება, რომელზე დაყრდნობითაც უნდა აიგოს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები. ნაშრომში მოყვანილი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს ნეგატიური პასუხისმგებლობის ზომის მინიმუმის, ანუ დანაშაულთა კონკრეტული კატეგორიისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმისა და ნასამართლობის ვადის ჯამის ტოლი.

22. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ეთმობა შესაბამისი ყურადღება. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოტანილია დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი გარემოება უნდა იყოს ყველა მოვლენა, რომელიც ქმედების სუბიექტის მოქმედებას თუ ზოგადად მის საქმიანობას უკავშირდება და რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნისა თუ პასუხისმგებლობის დაკისრების ხელისშემშლელი გარემოებაა ან პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენას ემსახურება.

23. ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დენის შემწყვეტი გარემოება უნდა იყოს და ეს კოდექსში ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩაიწეროს.

24. ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი შესაძლებელი პროცესუალური შედეგი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება), ხოლო ბრალდებულის მიერ ხანდაზმულობის წესზე უარის შემთხვევაში – გამამართლებელი განაჩენი ან გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით.

25. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ის 88-ე და მე-100 მუხლებში მითითებული

ვადები და სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა მოხდეს შესაბამისი ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა.

26. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შესახებ ნორმის უკუძალის თემა. ამ მიმართებით ყურადღება უნდა მიექცეს იმას, გავიდა თუ არა ძველი ხანდაზმულობის ვადები ახალი ვადების დაწესებამდე. თუ ძველი ვადები უკვე გასულია, მაშინ დაუშვებელია ახალი, უფრო მძიმე ვადების გამოყენება, ხოლო თუ ძველი ვადები გასული არ არის, მაშინ ახალი ვადები გავრცელდება უკუძალით მაშინაც, თუ ისინი ამძიმებენ მდგომარეობას. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილ ცვლილებებს, თუ ის ამკაცრებს სასჯელს, მაშინ გამოიყენება ძველი რედაქცია და, შესაბამისად, ახალი კანონით დაწესებული ხანდაზმულობის ის ვადა, რომელიც შეესაბამება ძველ რედაქციას (თუ ძველი ვადა გასული არ არის), ხოლო თუ ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს, გამოიყენება ახალი კანონი. რაც შეეხება ხანდაზმულობის შეჩერების ან შეწყვეტის ახლებურ რეგულირებას კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მას უკუძალა ექნება ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა: თუ ის დაკავშირებულია ქმედების სუბიექტის მიერ ისეთი ქმედების განხორციელებასთან, რაც მან უკვე ჩაიდინა. ასეთ ვითარებაში აღნიშნულ ქმედებაზე ვერ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის ახალი წესი.

27. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა განისაზღვროს უკვე დანიშნული სასჯელის და არა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით.

28. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან.

29. სასჯელის აღსრულების დაწყებამ კი არ უნდა შეწყვიტოს ან დაასრულოს ვადის დენა, არამედ უნდა შეაჩეროს, რათა სასჯელის აღსრულების გაგრძელების შეწყვეტის შემთხვევაში (აქ არ იგულისხმება მსჯავრდებულის გაქცევა) კვლავ განახლდეს სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნული ვადის დენის საბოლოოდ დასასრული კი არის სასჯელის აღსრულების დასრულება ან ხანდაზმულობის ვადის გასვლა სასჯელის აღსრულების დასრულებამდე.

30. პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებული იქნება, ხანდაზმულობის ვადის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების თხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მიენიჭოს სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს.

31. სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლევად.

32. განაჩენით რამდენიმე სახის სასჯელის გამოყენების შემთხვევაში თითოეული სახის სასჯელის აღსრულებას თავისი დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადა უნდა დაუწესდეს. ამასთან, ერთი სახის სასჯელთა შეკრებისას სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ტოლი. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მათთან დაკავშირებით ამ მიმართებით განსხვავებული წესის დადგენა მიზანშეწონილი არ არის.

33. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მხოლოდ ვადის გასვლის მოტივით სასჯელის შემსუბუქება დაუშვებელია, რადგან ხანდაზმულობა არის არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, არამედ მისი გამომრიცხავი, თუმცა დასაშვებია სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის გამოყენება უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ, რა დროსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა იცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999
3. საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2000, №18, მუხ. 45
4. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2006, №14, მუხ. 90
5. საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2006, №37, მუხ. 271
6. საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2007, №28, მუხ. 283
7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982, 12, მუხ. 371
8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 19 ივნისის ბრძანებულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987, 6, მუხ. 151
9. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი, გაზეთი „უწყებანი“, 1992 წ. 7 აგვისტო
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998
11. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2006, №14, მუხ. 89
12. საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2007, №1, მუხ. 15
13. საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2007, №19, მუხ. 165
14. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი
15. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 1999
16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997
17. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, 1999
18. Уголовный кодекс Российской Федерации, <http://law.edu.ru>
19. Основные начала уголовного законодательства СССР и союзных республик, 1924

20. Convention on the non-applicability of statutory limitations to war crimes and crimes against humanity, UN General Assembly Resolution 2391 (XXIII), 26 november 1968, <http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NRO/243/51/IMG/NRO24351/pdf>

21. European Convention on the non-applicability of statutory limitations to war crimes and crimes against humanity, 25.01.1974, <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/word/082.doc>

22. StGB, <http://bundesrecht.juris.de/stgb/>

პრაქტიკის მასალები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის დადგენილება №1/ბ-95-08
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენი №1/ბ-1588-07
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი №1/ბ-1475-07
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განაჩენი №1/ბ-799-08
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება № 9/ბ-37-08
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი №1/ბ-1291-08
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №1/ა-7723
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 აგვისტოს განაჩენი №1/ა-95
9. ასპინძის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განაჩენი №1/ა-01
10. ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განაჩენი №1/ა-23
11. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428, 447, 459, <http://www.constcourt.ge>

სამეცნიერო ნაშრომები

ქართულ ენაზე

1. ბაჩულაშვილი გ., *კატეგორიების დიალექტიკა, როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა*, თბ., 1979
2. გამყრელიძე ო., *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება*, თბ., 2005
3. დონჯაშვილი თ., *სისხლის სამართალი*, თბ., 2002
4. კვიციანი კ., *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, თბ., 2004
5. კობახიძე ა., *სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი*, თბ., 2001

6. ლაზარიაშვილი რ., *დროის პრობლემა ვ. ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში*, წიგნში - ახალგაზრდა ფილოსოფოსთა პრობლემატური საკითხების სესიის მასალები, თბ., 1984
7. ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის საგანი*, თბ., 1997
8. ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება*, თბ., 2000
9. ნაჭყებია გ., *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი*, თბ., 2000
10. ნაჭყებია გ., *ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია*, თბ., 2001
11. ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივ პასუხისვებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების საკითხისთვის*, წიგნში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003
12. ნაჭყებია გ., *სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი*, თბ., 2006
13. ნაჭყებია გ., *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის აქსიოლოგიური ბუნება*, „მართლმსაჯულება“, 2007, №1
14. ნაჭყებია გ., *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა*, წიგნში: „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, თბ., 2006
15. *საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი*, რედაქტორები: ფალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988
16. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი I, მთ. რედ. ლ. ჭანტურია, სარედაქციო კოლეგია: ზ. ახვლედიანი, ბ. ზოიძე, ს. ჯორბენაძე, თბ., 2002
17. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2007
18. სუხიტაშვილი დ., *დრო და სამართალი*, თბ., 2004
19. ტურავა მ., *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი*, თბ., 2005
20. ტურავა მ., *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2008
21. ფალიაშვილი ა., *დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება*, თბ., 1976
22. ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა., *მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა*, თბ., 2002
23. შუშანაშვილი ა., *იურიდიული ლექსიკონი*, თბ., 2000
24. ცინცაძე გ., *გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა*, თბ., 1975
25. წერეთელი ს., *დიალექტიკური ლოგიკა*, თბ., 1965
26. წულაია ზ., *სოციალისტური ქონების დატაცებასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში*, თბ., 1989
27. წულაია ზ., *კრიმინოლოგია*, თბ., 2003
28. ხარაზიშვილი ბ., *სიცრუის ფსიქოლოგია*, თბ., 1975
29. ხუცყურაული ი., *ჩეზარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის*, თბ., 1999

რუსულ ენაზე

1. Алексеев А. М., Роша А. Н., *Латентная преступность и эффективность деятельности правоохранительных органов, Вопросы борьбы с преступностью*, М., 1973, вып. 19
2. Аликперов Х., *Освобождение от уголовной ответственности в связи с истечением сроков давности*, “Законность”, 1999, №8
3. Аскин Я. Ф., *Проблема времени, ее философское истолкование*, М., 1966
4. Багрый-Шахматов Л. В., *Уголовная ответственность и наказание*, Минск, 1976
5. Базалук О. А., *Время в свете новой космологической концепции*, Днепропетровск, 2003
6. Баляшов А. Н., *Неотвратимость наказания за совершенное преступление*, М. 1972
7. Беляев Н. А., *Цели наказания и средства их достижения*, изд-во ЛГУ, 1963
8. Болотников И. М., *Проблемы исковой давности в советском гражданском праве*, Л., 1964
9. Браинин Я. М., *Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве*, М. 1963
10. Браинин Я. М., И. И. Лукашук, П. Е. Недбайло, *Неотвратимость наказания нацистских преступников и срок давности*, «Советское государство и право, 1966, №1
11. Вереницын Ф., *Об уголовной давности*, “Рабочий суд”, орган ленинградского губернского суда, 1927, №12 (124)
12. Викторов Б., *Неотвратимость наказания*, М. 1972
13. Власов Е. Л., Сутормин А. И., *Социальное время, как онтологическая проблема*, в книге: Философские аспекты проблемы времени, Ленинград, 1980
14. Галанза П. Н., *Учение Иммануила Канта о государстве и праве*, Москва: Государственное издательство юридической литературы, 1960
15. Галкин Б. А., *Единство основ уголовного судопроизводства союза ССР и союзных республик* – в сб.: Вопросы судопроизводства и судоустройства в новом законодательстве союза ССР, М, Госюриздат, 1959
16. Гальперин И., *Как исчислять срок давности привлечения к уголовной ответственности?*, «Советская юстиция», 1966, №9
17. Герцензон А. А., *Уголовное право, часть обшая*, М., 1948
18. Голина В. В. *Погашение и снятие судимости по советскому уголовному праву*, Харьков, 1979
19. Горановский М. А., *Давность, сроки исчисления ее и погашающая сила давности по ныне действующему уложению о наказаниях уголовных и исправительных и по уголовному уложению 22 марта 1903 года*, «Журнал министерства юстиции, годь тринадцатый, 1907, №10,С-П
20. Даль В., *Толковой словарь*; ВИТ, - М, 1989, т.1
21. Добровольский А. А., *Исковая форма защиты права*, М., 1965
22. Дроздов А. В., В. И. Ленин о проблеме общественных отношении, Л., 1969
23. Дроздов А. В., *Человек и общественные отношения*, Л., 1966

24. Дубинин Т. Т., *Проблема освобождения от уголовной ответственности*, в кн.: Проблемы правового статуса личности в уголовном процессе, изд. Саратовского университета, 1981
25. Дубинин Т. Т., *Конституционный принцип презумпции невиновности и проблемы освобождения от уголовной ответственности*, в кн.: Уголовная ответственность и ее реализация, Межвузовский сборник, Куйбышев, 1985
26. Дурманов Н. Д., *Советский уголовный закон*, М, 1967
27. Дурманов Н. Д., *Давность и погашение судимости*, М, 1939
28. Дурманов Н. Д., *Освобождение от наказания по советскому праву*, М, 1957
29. Ераксин В. В., Помчалов Л. Ф. *Погашение и снятие судимости в советском уголовном праве*, М, 1964
30. Ефимов М., *Давность привлечения к уголовной ответственности*, «Советская юстиция», 1967, №8
31. Жаров А. М., *Проблема времени и неопределенность*, изд. ростовского ун., 1987
32. Загородников Н., *Давность уголовного преследования и ее сроки*, «Социалистическая законность», 1967, №2
33. Загородников Н. И., *О пределах уголовной ответственности*, - «Советское государство и право», 1967, №7
34. Зельдов С. И., *Если Человек судим*, в кн. Закон и мы, Орджоникидзе, изд. «ИР», 1975
35. Зельдов С. И., *Освобождение от наказания и от его отбывания*, М, 1982
36. Зельдов С., *Соотношение сроков давности привлечения к уголовной ответственности и погашение судимости*, «Советская Юстиция», 1967, №12
37. Зыков В., *Об обратной силе норм общей части уголовного законодательства*, в: «Советская юстиция», 1973, №23
38. Игнатов А. Н. *Погашение и снятие судимости*, - в кн. Курс советского уголовного права, М, 1970, т.3
39. *Избранные сочинения Иеремии Бентама*, Т. 1, С-П: изд. «Русской книжной торговли», 1867
40. Кант И., *Сочинения* в 6 томах, т. 3, М., 1964
41. Карнеева Л. М. *Привлечение к уголовной ответственности*, М., 1971
42. Карпушин М. П., Курляндский В. И. *Уголовная ответственность и состав преступления*, М, 1974
43. Келина С. Г., *Теоретические вопросы освобождения от уголовной ответственности*, М. 1974
44. Кириллова М. Я., *Исковая давность*, М, 1966
45. Колбая Г. Н., *Соотношение предварительного следствия и судебного разбирательства*, М., 1975
46. *Комментарий к гражданскому кодексу РСФСР*, изд. 3, отв. ред. Братусь С. Н., Садиков О. Н., М, 1982
47. Кудрявцев В. Н., *Право и поведение*, М., 1978
48. Курляндский В. И. *Уголовная ответственность т ьеры общественного воздействия*, М., 1965
49. *Курс советского уголовного права*, М. 1970, т. 3 – Наказание
50. Куссмауль Р., *Момент истечения сроков давности в УК РФ установлен верно*, «Российская юстиция», 2001

51. Лейкина Н. С., *Личность преступника и уголовная ответственность*, Л., 1968
52. Либуре И. А., *Презумпция невиновности и прекращение уголовного дела (оправдание)*, - «Советское государство и право», 1981, №7
53. Лолаев Т. П., *Время, новые подходы к старой проблеме*, Орджоникидзе, 1989
54. Малков В. П. *Повторность преступлений*. Казань, 1970
55. Малков В., *Исчисление сроков давности привлечения к уголовной ответственности*, «Советская юстиция», 1966, №22
56. Маляренко В., *О давности привлечения к уголовной ответственности*, «Социалистическая законность», №8 (610), 1985
57. Марцев А. И., *Уголовная ответственность и общее предупреждение преступлений*, Омск, 1973
58. Матузов Н.И. *Личность, права, демократия, теоретические проблемы субъективного права*, 1972
59. *Механизм преступного поведения*, редактор В. Н. Кудрявцев, М., 1981
60. Мшвениерадзе П., *Институт давности в советском уголовном праве*, Тбилиси: изд-во «Сабчота сакартвело», 1970
61. Наумов А. В., *Применение уголовно-правовых норм*, Волгоград, 1973
62. Никиенко К. И., *Неотвратимость наказания*, Кишинев, 1987
63. Ной И. С., *Вопросы теории наказания в советском уголовном праве*, Саратов, 1962
64. Ной И. С., *Сушность и функции уголовного наказания в советском государстве*, изд. саратовского университета, 1973
65. Огурцов Н. А. *Правоотношения и ответственность в советском уголовном праве*, Рязань, 1976
66. *О праве наказания, Речь, произнесенная въ торжественномъ собрании Демидовского Лицея, 29 ноября, 1859 года*, Испр. д. пр. А. Чебышевымъ-дмитриевымъ, ярославль, въ типографии Германа Фалько, 1859
67. Орлов Д., *Теоретико-практические проблемы уголовно-правовой давности*, Владимир, 2007
68. Пионтковский А. А., *Учение Гегеля о праве и государстве и его уголовноправовая теория*, М., 1963
69. Пионтковский А. А. *О понятии уголовной ответственности*, - «Советское государство и право», 1967, №12
70. Пионтковский А. А. *Уголовное ответственность и наказание* – в кн.: Курс советского уголовного права, т. 3, М., 1970
71. Пионтковский А. А., *Основные аспекты теории наказания*, - «Советское государство и право», 1969, М, №7
72. Пионтковский А. А., *Правоотношение в уголовном праве*, «Правоведение», 1962, №2
73. Полторак А. И., *Нюрнбергский процесс и вопрос об ответственности за агрессию*, «Советское государство и право», 1965, №6
74. Попов Б., *Исковая давность*, М., 1926
75. Прошляков Д., *Освобождение от уголовной ответственности в связи с истечением сроков давности*, «Российская юстиция», 2000, №9
76. Репкин Л. М., *Исчисление срока давности по приостановленным уголовным делам*, «Сборник статей адъюнктов и соискателей», М, 1969

77. Ретюнских И. С., *Уголовная ответственность и ее реализация по советскому законодательству*, - в кн.: Уголовная ответственность: Проблема содержания, установления, реализации, Воронеж, 1989
78. Ринг М. П., *Действие исковой давности в советском гражданском праве*, «Советское государство и право», 1953, №8
79. Руссо Ж. Ж., *Об общественном договоре*, М. 1938
80. Саблер В., *О Значении давности в уголовном праве*, М, 1872
81. Санталов А. И., *Теоретические вопросы уголовной ответственности*, Л., 1982
82. Скибицкий В. В., *Освобождение от уголовной ответственности и отбывания наказания*, Киев, 1987
83. Слуцкий И. И., *Обстоятельства, исключающие уголовную ответственность*, изд. ЛГУ, 1956
84. Смольников В. Е., *Давность в уголовном праве*, М, 1973
85. Соловьев А., *Вопросы применения наказания по советскому уголовному праву*, М, 1958
86. Соловьев И. Ф., *Установление и реализация уголовной ответственности в приговоре суда*, в кн.: Уголовная ответственность: Основания и порядок реализации, Самара, 1991
87. Строгович М. С., *Уголовный процесс*, М., 1946
88. Стручков Н. А., *Уголовная ответственность и ее реализация в борьбе с преступностью*, Саратов, 1977
89. Сучкова Г. Г., *Время как проблема гносеологии*, изд. ростовского ун., 1988
90. Тихонов К. Ф. *О сущности уголовной ответственности*, - в кн.: *Вопросы предупреждения преступности*, Томск, 1967
91. Ткачевский Ю. М., *Давность в советском уголовном праве*, изд. Московского университета, 1978
92. Ткачевский Ю. М., *Освобождение от отбывания наказания по действующим советским правом*, МГУ, 1965
93. Ткачевский Ю. М., *Проблемы совершенствования института давности привлечения к уголовной ответственности*, - Актуальные проблемы уголовного права и криминологии: Сборник научных трудов, - М, 1981
94. Ткешелиадзе Г. Т., *Судебная практика и уголовный закон*, Тб., 1975
95. Траинин А. Н., *Уголовное право, Часть Общая*, М., 1929
96. Фефелов П. А., *Неотвратимость наказания – важнейший принцип советского уголовного права*, Свердловск, 1965
97. Фефелов П. А., *Критерии установления уголовной наказуемости деяний*, - «Советское государство и право», 1970, №11
98. Шаргородский М. Д., *Наказание по советскому уголовному праву*, М., 1958
99. Шаргородский М. Д. *Основание уголовной ответственности – в кн.: Курс советского уголовного права*, Л., 1968, т. 1
100. Шаргородский М. Д., *Наказание, его цели и эффективность*, изд. Ленинградского университета, 1973
101. Шаргородский М. Д., *Наказание по уголовному праву эксплуататорского общества*, М., 1957
102. Шаргородский М. Д. *Погашение судимости*, - в кн. Комментарий УК РСФСР, Л, 1962
103. Церетели Т. В., *Основание уголовной ответственности и понятие преступления*, "Правоведение", 1980, №2

104. Церетели Т. В., Макашвили В. Г., Состав преступления как основание уголовной ответственности, «Советское Государство и Право», 1954 г. №5
105. Хан-магамедов Д. О., *Освобождение от наказания по советскому праву*, М., 1964
106. Хиной С. Г., *Исковая давность*, М, 1959
107. Хорнабуджели Б., *Психологическая сторона вины*, Тб., 1981
108. Энгельман И. Е., *О давности по русскому гражданскому праву*, изд. 3, С-П, 1901
109. Яковлев В. П., *Социальное время*, изд. ростовского ун., 1980

გერმანულ ენაზე

1. Arndt A., *Umwelt und recht: Die Zeit im Recht (zum Streit und die "Rückwirkung" von Gesetzen)*. 2. *Die Verfassungsrechtliche Bedeutung der strafrechtlichen Verjaehrung*, in: NJW 1961, Heft 1
2. Baumann J., Weber U., *Starafrecht, AT*, 9. Aufl., verlag Ernst und Werner Giesing Bielefeld, 1985
3. Bemmann G., *Zur Frage der nachtraeglichen Verlaengerung der Strafverfolgungsverjaehrung*, JuS 1965
4. Blei H., *Starafrecht I, AT*, 18. Aufl., München, verlag C. H. Beck, 1983
5. Bock D., *Die Strafrechtliche Verfolgungsverjaehrung*, JuS, 1/2006
6. Breymann K., *Zur Auslegung der Verjaehrungsregelung in Art. EGStGB - - Verfolgbarkeit von Straftaten staatlicher Instanzen in der ehemaligen DDR, soweit sie nach DDR-Strafrecht verjaehrt sind*, NStZ 1991 Heft 10
7. Calvelli-Adorno F., *Die Verlaengerung der Verjaehrungsfrist fuer die Strafverfolgung von Verbrechen, die mit lebenslangem zuchthaus bedroht sind*; NJW, 18. Jahrgang - 1. Halbband, Beck, Muenchen, Berlin und Frankfurt aM, 1965
8. Cramer S., *Anmerkung zum Verjaehrungsgesetz*, NStZ 1995 Heft 3
9. Cremer R., *Strafrechtliche Sanktionen bei der Verletzung von Rechten des geistigen Eigentums (Q 169)*, GRUR Int 2002 Heft 6, 515
10. Dannecker G., *Die Verfolgungsverjaehrung bei Submissionsabsprachen und Aufsichtspflichtverletzungen in Betrieben und Unternehmen - - Zugleich eine Anmerkung zu BGH, NJW 1984, = NStZ 1985, 77, NStZ 1985 Heft 2*
11. Dreher/Troendle, *StGB und Nebengesetze*, 47. Aufl., Muenchen, 1995
12. Eisenberg U., *Jugendgerichtsgesetz*, 8. Aufl., verl. Beck
13. Eyrich H., *Auch die Verfolgung von Mord soll verjaehren*, ZRP 1979, Heft 3
14. Fischer T., *Entwicklungslinien der fortgesetzten Handlung - - „Tatbestand“ und „Typus“ in der Rechtsprechung des BGH -*, NStZ, 1992, Heft 9
15. Fischer T., *Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 55. neubearbeitete Aufl., Verlag C. H. Beck, München, 2008
16. Geis M-E, *Die Schuldrechtsreform und das Verwaltungsrecht*, NVwZ 2002 Heft 4
17. Geppert K., *Zur straf- und strafverfahrensrechtlichen Bewältigung von Serienstraftaten nach Wegfall der Rechtsfigur der „fortgesetzten Handlung“ - 1. Teil*, NStZ, 1996, Heft 2
18. Gillmeister F., *Strafzumessung aus verjaehrten und eingestellten Straftaten*, NStZ 2000 Heft 7
19. Gössel K-H., *Bindung der Wiederaufnahme zuungunsten des Verurteilten an die Verjaehrungsfrist? - - Zugleich eine Besprechung des Beschlusses des OLG Nürnberg vom 4. 5. 1988*, NStZ, 1988, Heft 12

20. Haenicke V., *Zur „Einrede“ der Verjährung im Öffentlichen Recht*, NVwZ 1995 Heft 4
21. Heuer V., Lilie H., *Laßt verjähren, was verjährt?*, DtZ 1993 Heft 12
22. Jescheck H-H, *Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil*, 4. Aufl., Berlin, 1988
23. Jescheck H-H, Weigend T., *Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil*, 5. Aufl., Duncker und Humboldt, Berlin, 1996
24. Jantsch E., *Das strafrechtliche Verjährungsproblem*, DRiZ 1968
25. Ingo, *Zeit im Recht*, NJW 2000, Heft 1
26. Klein H., *Keine Veränderung der Verjährungsfrist fuer Mord*, ZRP 1979, Heft 6
27. Klug U., *Die Verpflichtung des Rechtsstaats zur Verjährungsverlängerung*, JZ 1965
28. Krehl C., *Die Verjährung der in der ehemaligen DDR begangenen Straftaten*, DtZ 1992 Heft 1
29. Lackner K., *StGB mit Erleuterungen*, 22. Aufl., Verlag C. H. Beck, München, 1997
30. Lackner K., Kühl K., *StGB Kommentar*, 26. Aufl., Verlag C. H. Beck, München, 2007
31. Lekschas/Reneberg, *Zum Problem der Verjährung von Kriegs- und Naziverbrechen*, StuR 1964
32. Lemke M., Hettinger R., *Zur Verjährung von in der ehemaligen DDR begangenen Straftaten und den Möglichkeiten des Gesetzgebers - - Zugleich eine Erwiderung auf König*, NStZ 1991
33. Letzgas K., *Unterbrechung, Ruhen und Verlängerung strafrechtlicher Verjährungsfristen für im Beitrittsgebiet begangene Straftaten*, NStZ, 1994, Heft 2
34. Lewald W., *Aufhebung oder Nichtaufhebung der Mordverjaehrung – Freiheit der Gewissensentscheidung?* ZRP 1979, Heft 6
35. Lorenz M., *Strafrechtliche Verjährung und Rückwirkungsverbot*, GA 1968
36. Martensen J., *Die Verjährung als Grenze polizeilicher Verantwortlichkeit*, NVwZ 1997 Heft 5
37. Maurach /Gössel /Zipf, *Strafrecht AT 2*, 7. Aufl., 1989
38. Mehofer W., *Nichtverjährung des Voelkermordes*, ZRP 1979, Heft 4
39. Mitsch W., *Neuregelung beim Ruhen der Verjährung während des Auslieferungsverfahrens*, NJW 2005 Heft 42
40. Naegele, *zur Strafverfolgungsverjaehrung von vor dem 8 mai 1945 begangenen Straftaten*, NJW, 1960, Heft 20
41. Ossenbühl F., *Verzicht, Verwirkung und Verjährung als Korrektive einer polizeilichen Ewigkeitshaftung*, NVwZ, 1995, Heft 6
42. Pawlowski M., *Der Stand der rechtlichen Diskussion in der Frage der strafrechtlichen Verjaehrung*, NJW 1969
43. Puls T., *Analoge Anwendung des § 1 Nr. 1 StGB auf Sexualstraftatbestände des DDR-StGB*, DtZ 1995 Heft 11
44. Riedel J., *"Schießbefehl“ und Verjährung - Zum Problem der Strafverfolgungsverjährung bei Schußwaffengebrauch an der ehemaligen DDR-Grenze*, DtZ 1992, Heft 6
45. Roxin C., *Strafrecht AT I*, 4. Aufl., München, 2006
46. Sauter A., *Verjährung von SED-Unrecht Überlegungen zum gesetzgeberischen Handlungsbedarf*, DtZ 1992 Heft 6
47. Schmidt E., *Verjährungsprobleme bei Straftaten der Mitarbeiter des Ministeriums für Staatssicherheit der ehemaligen DDR*, NStZ 1995 Heft 6
48. Schlüchter E., Duttge G., *Spionage zugunsten des Rechtsvorgängerstaats als Herausforderung für die Strafrechtsdogmatik - - Zugleich Besprechung von BGH, Urteil v. 18. 10. 1995 - 3 StR 324/94*, NStZ, 1996, Heft 10
49. Sendler H., *Zur Verjaehrung der "Verbrechen gegen die Menschlichkeit" in Berlin*, JR, 1953

50. Stumpf C. A., *Die Verjährung öffentlich-rechtlicher Ansprüche nach der Schuldrechtsreform*, NVwZ 2003 Heft 10
51. Tröndle/Fischer, *StGB und Nebengesetze*, 52. Aufl., verlag C. H. Beck, München, 2004
52. Vogel H-J, *Mord sollte nicht verjähren*, ZRP 1979, Heft 1
53. von Bubnoff E., *Rechtsfolgen einer nach den Verfahrensgegebenheiten im Inland eingetretenen Strafverfolgungsverjährung bei vertragslosem Auslieferungsverkehr*, NStZ, 1987, Heft 8
54. Zimmerman S., *Strafrechtliche Vergangenheitsaufarbeitung und Verjährung*, Freiburg im Breisgau, 1997
55. *StGB Leipziger Kommentar*, 11. Aufl., herausgegeben von Jänke B., Laufhütte H. W., Odersky W., 3. Band, Berlin, De Gruyter Recht, 2006

ინგლისურ ენაზე

1. Adlestein A. L., *Conflict of the Criminal Statute of Limitations With Lesser Offenses At Trial*, 37 *Wm. & Mary L. Rev.*, 1995
2. Basham S. M., *Note, Forging the Causal Link: Reasonable Delay in Commencing Action for Childhood Sexual Abuse*, 27 *Suffolk U. L. Rev.* 1993
3. Bieber M. A., *Comment, Meeting the Statute or Beating It: Using "John Doe" Indictments Based on DNA to Meet the Statute of Limitations*, 150 *U. Pa. L. Rev.* 2002
4. Diehl J. W., *Drafting a Fair DNA Exception to the Statute of Limitations in Sexual Assault Cases*, 39 *Jurimetrics J.* 1999
5. Dunn A., *Statutes of Limitation on Sexual Assault Crimes: Has the Availability of DNA Evidence Rendered Them Obsolete?*, 23 *U. Ark. Little Rock L. Rev.* 2001
6. Kearns L., *Note: Incorporating tolling provisions into sex crimes statutes of limitations*, 13 *Temple Political & Civil Rights Law Review*, Fall, 2003
7. Kleppin C. L., *Symposium: race, gender, power, and the public interest: perspectives on professionalism: comment: yossarian is back, the ultimate catch-22: what to do when the statute of limitations has run on lesser offenses*, 8 *St. Thomas Law Review*, Fall, 1995
8. Listokin Y. and Princeton University, *Efficient Time Bars: A New Rationale for the Existence of Statutes of Limitations in Criminal Law*, *The Journal of Legal Studies*, The University of Chicago, January, 2002 № 31
9. Mindlin J. E., *Child Sexual Abuse and Criminal Statutes of Limitation: A Model for Reform*, 65 *Wash. L. Rev.* 1990
10. Mungovan T. W., *Survey of first circuit law: Topical surveys: Criminal Law -- Statute of limitations: an affirmative defence waived by a guilty plea -- Acevedo-Ramos v. United States*, 961 *F.2D 305 (1ST CIR.)*, *Cert. denied*, 113 *S. CT.* 299 (1992,), 27 *Suffolk University Law Review*, Fall 1993
11. Ochoa T.T., Wistrich A. J., *The Puzzling Purposes of Statutes of Limitation*, *Pacific Law Journal*, McGeorge School of Law, University of the Pacific· Spring, 1997, №28
12. Richardson E. J., *Eliminating the Limitations of Limitations Law*, *Arizona State Law Journal*, №29, Winter 1997
13. Robinson P. H., *Criminal Law Defenses*, 1995
14. Torcia C. E., *Wharton's Criminal Law*, 15th ed., 1993
15. Viens D., *Countdown to Injustice: The Irrational Application of Criminal Statutes of Limitations to Sexual Offenses Against Children*, 38 *Suffolk University Law Review*, 2004

16. Xianwei H. Z., *Comment on the Legal Regime of Limitation of Actions Regarding Carriage of Cargo by Sea in China*, Journal of Maritime Law & Commerce, Jefferson Law Book Company, April, 2006

17. Jeb Wait C. F., *The Statute of Limitations Governing Medical Malpractice Claims: Rules, Problems, and Solutions*, South Texas Law Review, Spring, 2000